

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

სამართლის მეცნე

International Scientific Journal

Herald of Law

07/2026 N13

E ISSN 2667-9434



სამართლის მეცნიერთა კავშირი
UNION OF LAW SCIENTISTS

გამოქვეყნებული სტატიის
სიზუსტეზე პასუხისმგებელია
ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება
არ ემთხვეოდეს ჟურნალის
სარედაქციო კოლეგიის
შეხედულებებს.

ჟურნალში ნაშრომები ქვეყნდება
– creative commons ლიცენზიით
(CC BY CA).

ჟურნალი არის ბუდაპეშტის
და ბერლინის ღია წვდომის
ინიციატივების დეკლარაციების
ხელმძღვანელი.

„სამართლის მაცნე“ არის ა(ა)
აიპ „სამართლის მეცნიერთა
კავშირის“ ჟურნალი.

მთავარი რედაქტორი:
გ. შურაბა ჰერალდოფი

რედაქტორი:
მანია ცაიტიშვილი

ტექნიკური
რედაქტორი:
ლ. შაპა ფირცხალავა

ქართული ტექსტის
კორექტორი:
მ. შაპა ბურდიაშვილი

ინგლისური ტექსტის
კორექტორი:
კ. შაპა ნიქარაშვილი,

დიზაინი და
დაკაბადონება:
თ. შაპა შაპაშაძე

ყდის დიზაინი:
ბ. შაპა ლორია

თბილისი
07/2026 #13

E ISSN 2667-9434
www.heraldoflaw.com
Email: info@heraldoflaw.com

ჟურნალის გამომცემელი
მადლობას უხდის აღმოსავლეთ
ევროპის უნივერსიტეტს
ჟურნალის მე-13 ნომრის
სტატიების ანტიპლაგიატის
პროგრამაში უსასყიდლოდ
გატარებისთვის.



The publisher of the journal wishes
to give special thanks to East
European University for providing
support in anti-plagiarism check of
articles prepared for 13th edition.



სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

შურაბა ჰერალდოფი, სამართლის მეცნიერთა კავშირის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

რედაქტორი

მანია ცაიტიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მისაელ ბრენერი, სამართლის დოქტორი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის გერმანული და ევროპული საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი (გერმანია)

ბერნდ ჰაინრიხი, სამართლის დოქტორი, თიუბინგენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (გერმანია)

ჰარალდ ქრისტიან შიი, სამართლის დოქტორი, პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი (ჩეხეთი, პრაღა)

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სამართლის დოქტორი, პროფესორი (გერმანია)
სოფიო ლიხოვა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის (უკრაინა, კიევი) ნოვი სადის „საგადასახადო აკადემიის“ პროფესორი (სერბეთი)

ელენა მიცაია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მ. აუზოვის სახ. სამხრეთ ყაზახეთის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის და პროცესის კათედრის პროფესორი, ყაზახეთის სპეციალიზირებული ეკონომიკური სასამართლოს არბიტრი (ყაზახეთი, ბიშკეტი)

გიორგი თოდრია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გია მეფარიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი იუსტიციის გადამდგარი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, უმაღლესი კვალიფიკაციის გადამდგარი მოსამართლე

ვალერი ხრუსტალი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

არჩილ ლორია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გია ლილუაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

მალვა ქურდაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი

ზვიად გაბისონია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

როინ მიგრაიული, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

ზვიად როგავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი

მერაბ ტურავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე და სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე, სამართლის დოქტორი, ადვოკატი

შურაბა ძლიერიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

კახა წიქარიშვილი, პროფესორი, ადვოკატი
დოდო ჯულუხაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ზურაბ მაგაბერიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნონა თოდუა, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ირმა მერებაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ზაზა თავაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

თამარ ვეფხვაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ხატიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი თუმანიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნინო ხუნაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი

გივი აბაშიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

ეკატერინე ნინუა, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დავით დოლიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ლია ჭილაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გოჩა ოჩიგავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ლორია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ლია ადეიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბექა ქანთარია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

სერგო ჭელიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნინო ბოჭორიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი



E ISSN 2667-9434
www.heraldoflaw.com
Email: info@heraldoflaw.com

ფაქტორინგის ხელშეკრულების ახალი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში ირაკლი შამათავა	6
ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქციებში იურისდიქციული კოლიზიების გადაწყვეტის სამართლებრივი მექანიზმები ნინო ჯოლია	27
სამართლებრივი და ეთიკური რეგულაცია კოლიტიკური თემების გაშუქების კონტექსტში ია მახარაძე	43
ქონების გადასახადის მოქმედი მოდელი და ინდივიდუალური დაბეგვრის დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები ნიკოლოზ ფიფია, არჩილ ლორია, მამუკა სარჩიმელია	69
საზოგადოებაზე ორიენტირებული კოლიციის მოდელი საქართველოში: განხორციელება, შედეგებითი კერსკეპტივა და პრაქტიკული გამოწვევები ოთარ ჯახველაძე	85
სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტი იკოთეპით უზრუნველყოფილი მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში ეთერი ბურჯანაძე	109
რეგრესის უფლება საბანკო გარანტიის ურთიერთობებში (URDG 758-ისა და საქართველოს სამოქალაქო სამართლის დოქტრინული ანალიზი) თამარ გოგოლაშვილი	132

THE NEW LEGISLATIVE REGULATION OF THE FACTORING AGREEMENT IN GEORGIA Irakli Shamatava	8
LEGAL MECHANISMS FOR RESOLVING JURISDICTIONAL CONFLICTS IN INTERNATIONAL DIGITAL MONEY TRANSACTIONS Nino Jolia	29
LEGAL AND ETHICAL REGULATION IN THE CONTEXT OF COVERAGE OF POLITICAL ISSUES Ia Makharadze	44
CURRENT PROPERTY TAX MODEL AND THE LEGAL FOUNDATIONS FOR THE INTRODUCTION OF INDIVIDUAL TAXATION Nikoloz Phiphia, Archil Loria, Mamuka Sarchimelia	71
COMMUNITY-ORIENTED POLICING MODEL IN GEORGIA: IMPLEMENTATION, COMPARATIVE PERSPECTIVE AND PRACTICAL CHALLENGES Otar Jakhveladze	86
THE INSTITUTE OF ENFORCEMENT MEDIATION IN MORTGAGE ENFORCEMENT PROCEEDINGS Eteri Burjanadze	111
THE RIGHT OF RECOURSE IN BANK GUARANTEE RELATIONSHIPS (Doctrinal Analysis of URDG 758 and Georgian Civil Law) Tamar Gogolashvili	133

ფაქტორინგის ხელშეკრულების ახალი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.1>

ირაკლი შამათავა

სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აფილირებული ასოცირებული პროფესორი და „კავკასიის სამართლის ჟურნალის“ მთავარი რედაქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მონვეული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის სრული პროფესორი, ადვოკატი, საავტორო უფლებათა ასოციაციის წევრი თბილისი, საქართველო

ელ. ფოსტა: ishamatava@cu.edu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0009-2626-9984>

აბსტრაქტი

2026 წლის 1 აპრილს საქართველოში მიღებულ იქნა „ფაქტორინგის შესახებ“ კანონი, რომელმაც უზრუნველყო ფაქტორინგის ხელშეკრულების სისტემური საკანონმდებლო მონესრიგება და მისთვის ერთიანი ნორმატიული ჩარჩოს შექმნა. კანონის მიღებამდე ფაქტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობები სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის, საერთაშორისო კომერციული პრაქტიკისა და დოქტრინული მიდგომების საფუძველზე წესრიგდებოდა, რაც სამართლებრივ გაურკვევლობას წარმოშობდა და აღნიშნული ინსტიტუტის პრაქტიკულ გამოყენებას ზღუდავდა.

კვლევის მიზანი: სტატია იკვლევს ფაქტორინგის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას, საქართველოში მისი ახალი საკანონმდებლო რეგულირების მოდელსა და ფაქტორინგის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ძირითად დოქტრინულ საკითხებს.

მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება ნორმატიულ, ლოგიკურ-ანალიტიკურ, ინდუქციურ-დედუქციურ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებს. კვლევის ფარგლებში განალიზებულია ფაქტორინგის მიმართ არსებული დოქტრინული შეხედულებები, მისი მიმართება მოთხოვნის დათმობის (ცესიის) ინსტიტუტთან და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბებული პრაქტიკა.

შედეგები: კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ფაქტორინგი აერთიანებს მოთხოვნის დათმობის (ცესიის), ფინანსური მომსახურებისა და დაკრედიტების ელემენტებს, რაც განაპირობებს მისი სამართლებრივი ბუნების მიმართ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. ამასთან, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ფაქტორინგი სცდება კლასიკური ცესიის ფარგლებს და თანამედროვე ფინანსურ ბრუნვაში დამოუკიდებელი ფუნქციური დატვირთვის მქონე

ნე ინსტიტუტად ვითარდება. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფაქტორინგის სამართლებრივი კვალიფიკაციის, სასამართლო და საბანკო პრაქტიკის სრულყოფის, აგრეთვე ფინანსური ზედამხედველობის სტანდარტების განვითარების პროცესში. ამასთან, ახალი საკანონმდებლო მოდელი ქმნის დებიტორული მოთხოვნების ბრუნვისა და ფინანსური რისკების განაწილების უფრო სტაბილურ, გამჭვირვალე და პროგნოზირებად სამართლებრივ საფუძველს.

საკვანძო სიტყვები: სამართლებრივი ბუნება, მოთხოვნის დათმობა (ცესია), დებიტორული მოთხოვნა, ფაქტორინგული კომპანია, ლიცენზირება, ფინანსური ზედამხედველობა

THE NEW LEGISLATIVE REGULATION OF THE FACTORING AGREEMENT IN GEORGIA

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.1>

Irakli Shamatava

*PhD in Law, Affiliated Associate Professor at the School of Law at Caucasus University
and Editor-in-Chief of the Caucasus Law Journal,
Invited Professor at the Faculty of Law and Social Sciences of Batumi Shota Rustaveli State University,
Full Professor at the Law and State Governance School at International Black Sea University, attorney,
member of the Copyright Association
Tbilisi, Georgia*

Email: ishamatava@cu.edu.ge

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0009-2626-9984>

ABSTRACT

On 1 April 2026, Georgia adopted the Law on Factoring, which ensured the systematic legal regulation of factoring contracts and established a unified normative framework. Prior to the adoption of this law, relationships related to factoring were regulated on the basis of various legislative acts, international commercial practice, and doctrinal approaches, which created legal uncertainty and limited the practical application of this legal institution.

Research Objective: This article examines the legal nature of factoring contracts, the model of their new legislative regulation in Georgia, and the main doctrinal issues related to the institution of factoring.

Methodology: The research is based on normative, logical-analytical, inductive-deductive, and comparative legal methods. Within the scope of the study, doctrinal approaches to factoring, its relationship with the assignment of receivables (cession), and practices developed across different legal systems are analyzed.

Results: The analysis of the research findings reveals that factoring combines elements of assignment of receivables (cession), financial services, and lending, which leads to divergent interpretations of its legal nature. Furthermore, the findings demonstrate that factoring goes beyond the scope of classical cession and is evolving in modern financial circulation as an institution with an independent functional role. The results of the study may be applied to the improvement of the legal qualification of factoring, judicial and banking practice, as well as the development of financial supervision standards. In addition, the new legislative model establishes a more stable, transparent, and predictable legal framework for the circulation of receivables and the allocation of financial risks.

KEYWORDS: Legal nature, Assignment of receivables (cession), Receivable, Factoring company, Licensing, Financial supervision

შესავალი

ფაქტორინგი კომერციული საქმიანობის დაფინანსებისა და დებიტორული მოთხოვნების მართვის ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. პრაქტიკაში იგი განიხილება, როგორც მოკლევადიანი დაფინანსების ერთ-ერთი მოქნილი და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი, რომლის ფინანსური მოცულობაც ხშირად პირდაპირ უკავშირდება კომპანიის სავაჭრო ბრუნვის ზრდას.¹ ფაქტორინგის სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებას განაპირობებდა ფინანსურ სექტორში ფაქტორინგის მზარდი პრაქტიკული გამოყენება და მის მიმართ ერთიანი სამართლებრივი სტანდარტის არარსებობა.

დღემდე საკამათოა, წარმოადგენს თუ არა ფაქტორინგი მოთხოვნის დათმობის სპეციფიკურ ფორმას, შერეული ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობას თუ დამოუკიდებელ ფინანსურ-სამართლებრივ ინსტიტუტს. აღნიშნული დისკუსია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფაქტორინგის სამართლებრივი ბუნებისა და მხარეთა შორის უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის თვალსაზრისით. დოქტრინაში არსებული განსხვავებული მიდგომები საერთაშორისო დონეზე ფაქტორინგის უფრო თანმიმდევრული მოწესრიგების საჭიროებას წარმოშობს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება UNIDROIT-ის მიერ 2023 წელს მიღებული სამოდელო კანონი, რომელიც წარმოადგენს საერთა-

შორისო სარეკომენდაციო სამართლებრივ ინსტრუმენტს და მიზნად ისახავს ფაქტორინგთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების ფუნქციური ჩარჩოს ჩამოყალიბებას. მისი შემუშავება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები ვერ უზრუნველყოფდა ფაქტორინგის ეფექტიან და თანმიმდევრულ მოწესრიგებას.² მიუხედავად ამისა, დოქტრინაში კვლავ რჩება დისკუსია ცალკეული დებულებების პრაქტიკულ ეფექტიანობასა და მისი საერთაშორისო იმპლემენტაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით.

საქართველოში „ფაქტორინგის შესახებ“ კანონის მიღებამდე ფაქტორინგი დამოუკიდებლად მოწესრიგებულ სამართლებრივ ინსტიტუტს არ წარმოადგენდა. მისი ფუნქციონირება ძირითადად ეფუძნებოდა მოთხოვნის დათმობის (ცესიის) მარეგულირებელ ნორმებს³ და საბანკო-საფინანსო სფეროს ცალკეულ საკანონმდებლო დებულებებს, რაც ვერ უზრუნველყოფდა ფაქტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობების სრულყოფილ და ერთგვაროვან რეგულირებას.

საკანონმდებლო ცვლილებებამდე ქართულ დოქტრინაში აღნიშნული იყო, რომ „ფაქტორინგული კომპანიების საქმიანობა არ ექვემდებარებოდა სპეციალურ ლიცენზირებას ან ზედამხედველობას და მათი საქმიანობა მხოლოდ ზოგადი სამეწარმეო რეგისტრაციის საფუძველზე ხორციელდებოდა“.⁴

- 1 Dubovec, M., 2024. Factoring Model Law: Advancing Access to Receivables Finance. In: Research Handbook on Secured Transactions. Cheltenham: Edward Elgar Publishing; Chen, L., 2025. Accounts Receivable Factoring and Corporate Financialization. Journal of Corporate Finance, 89.
- 2 UNIDROIT, 2023. Model Law on Factoring. Rome: International Institute for the Unification of Private Law. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/instruments/factoring/model-law-on-factoring/> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
- 3 მუხლი 199, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
- 4 გოთუა, ლ., 2018. საქართველოში ფაქტორინგის რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 21.

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონმა აღნიშნული მიდგომა არსებითად შეცვალა და ფაქტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობებისთვის სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების ჩარჩო ჩამოაყალიბა. კანონმა განსაზღვრა ფაქტორინგის ცნება, ფაქტორინგულ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების სტატუსი, მოთხოვნის გადაცემის სპეციალური რეჟიმი და ფაქტორინგთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის განაწილების ძირითადი პრინციპები.

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათის ანალიზი აჩვენებს, რომ საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობა განაპირობა ფაქტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობების სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების არარსებობამ, ფაქტორინგული საქმიანობის პრაქტიკულმა ზრდამ და შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირების საჭიროებამ. განმარტებითი ბარათის მიხედვით, არსებული მოდელი სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფდა ფაქტორინგული ურთიერთობების მონაწილეთა სტატუსისა და ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხების სათანადო მოწესრიგებას.⁵

ფაქტორინგის საკანონმდებლო მო-

წესრიგება ფინანსური სექტორის სამართლებრივი მოდერნიზაციის უფრო ფართო პროცესის ნაწილია. ამ მხრივ, ასოცირების შეთანხმება ფინანსურ მომსახურებას სამართლებრივი და ინსტიტუციური დაახლოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილავს, რაც ფინანსური სექტორის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებასა და მისი ინსტიტუციური საფუძვლების სრულყოფასაც მოიცავს.⁶ ამ კონტექსტში, ფაქტორინგის ინსტიტუტის სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგება შესაძლებელია შეფასდეს, როგორც თანამედროვე ფინანსური რეგულირების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების ერთ-ერთი მიმართულება.⁷

ფაქტორინგის მზარდ პრაქტიკულ მნიშვნელობას განაპირობებს ფინანსური ბაზრების ტრანსფორმაცია, დაკრედიტების პოლიტიკის გამკაცრება,⁸ ალტერნატიული დაფინანსების მექანიზმებზე მზარდი მოთხოვნა და ფინანსური ურთიერთობების ტექნოლოგიური განვითარება.⁹ ამდენად, სტატიის მიზანია ფაქტორინგის სამართლებრივი ბუნების, მისი თანამედროვე საკანონმდებლო რეგულირების მოდელისა და სამართლებრივი კვალიფიკაციის ძირითადი პრობლემების ანალიზი.

5 საქართველოს პარლამენტი, განმარტებითი ბარათი „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/415587> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

6 მუხლი 114, ქვეთავი 6, ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

7 UNIDROIT, 2023. *Model Law on Factoring*. Rome: International Institute for the Unification of Private Law. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/instruments/factoring/model-law-on-factoring/> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

8 ვრცლად იხ. შამათავა, ი., 2024. მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარბომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში. მონოგრაფია. თბილისი: ბონა კაუზა და კავკასიის უნივერსიტეტი.

9 Ben Youssef, W. A. and Mansour, N., 2024. The Factoring 2.0 in the Era of the Fintech Revolution Context. In: *Digital Technology and Changing Roles in Managerial and Financial Accounting: Theoretical Knowledge and Practical Application*, გვ. 37–51.

1. ფაქტორინგის, სესხისა და მოთხოვნის დათმობის (ცესიის) ურთიერთმიმართება: მსგავსებები და განსხვავებები

ფაქტორინგი კომერციული პრაქტიკის განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული კომპლექსური ფინანსურ-სამართლებრივი ინსტიტუტია, რომლის ფარგლებში საწარმო ფაქტორს გადასცემს დებიტორულ მოთხოვნებს და სანაცვლოდ იღებს წინასწარ დაფინანსებასა და შესაბამის ფინანსურ მომსახურებას.¹⁰ სესხის აღებისგან განსხვავებით, სადაც დაფინანსება ძირითადად მსესხებლის აქტივსა და მის გადახდისუნარიანობას ეფუძნება, ფაქტორინგი გულისხმობს დებიტორული მოთხოვნების (ინვოისების) ფაქტორზე გაყიდვას. ფაქტორინგის ფარგლებში ფაქტორი დებიტორული მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს წინასწარ დაფინანსებას და შესაბამის მომსახურებას, რის შედეგადაც იძენს მოთხოვნასთან დაკავშირებულ უფლებებს კანონითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში.

დოქტრინაში ფაქტორინგი განიხილება, როგორც საბანკო სექტორთან მჭიდროდ დაკავშირებული ფინანსური მექანიზმი და საბანკო კრედიტის ერთ-ერთი ფორმა. თუმცა, ფაქტორინგის სამართლებრივი და ეკონომიკური კონსტრუქცია არსებითად განსხვავდება კლასიკური საბანკო დაკრედიტებისგან. საბანკო პროდუქტების უმრავლესობა ეფუძნება მსე-

სხებლისათვის ახალი ვალდებულების წარმოშობასა და მისი გადახდისუნარიანობის შეფასებას, მაშინ როდესაც ფაქტორინგის ბირთვს წარმოადგენს არსებული დებიტორული მოთხოვნის გადაცემა და მის საფუძველზე ლიკვიდობის მყისიერი უზრუნველყოფა.¹¹

ფაქტორინგსა და მოთხოვნის დათმობას შორის მრავალი საერთო ნიშანი იკვეთება, თუმცა მათ შორის არსებული არსებითი განსხვავებები ფაქტორინგის დამოუკიდებელ და მრავალკომპონენტურ ბუნებას უსვამს ხაზს. მიუხედავად ამისა, ფაქტორინგი არ შეიძლება გაიგივდეს კლასიკურ ცესიასთან, ვინაიდან იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ დებიტორული მოთხოვნების გადაცემით და მოიცავს დაფინანსების, მოთხოვნათა ადმინისტრირებისა და საკრედიტო რისკების მართვის ფუნქციებს.

კომპარატივისტების მიხედვით, ფაქტორინგი გარკვეული ნიშნებით უახლოვდება სახელმწიკრულებო სუბროგაციას, თუმცა იგი არ შეიძლება გაიგივდეს არც დისკონტის ოპერაციასთან და არც საკრედიტო დაზღვევასთან. „მოთხოვნის დათმობასა და ფაქტორინგს შორის განსხვავება განსაკუთრებით ვლინდება იმ გარემოებაში, რომ ერთი წარმოადგენს განკარგვით გარიგებას და მისი მეშვეობით ხდება საკუთრების უფლების გადაცემა მოთხოვნებსა და უფლებებზე, როდესაც მეორე – ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა და იგი მხოლოდ საფუძვლად (კაუზად) გვევლინება ფულადი მოთხოვნის დათმობას“.¹²

ფაქტორინგის სამართლებრივი ბუ-

10 Camacho, M. E., 2012. Relieves Prácticos de la Prevalencia de una Determinada Causa en el Factoring. Revista e-mercatoria, 11(1), გვ. 340–341.

11 Gandhi, J. and Nasit, A., 2025. Comparison of Short-Term Financing Options; Factoring as the Best Alternative. Journal of Information Systems Engineering and Management, 10(40s), გვ. 166–175.

12 ქეჭელაშვილი, ზ., 2008. სადისერტაციო ნაშრომი: მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 11.

ნების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის კავშირს სასესხო და საკრედიტო ურთიერთობებთანაც. დოქტრინის ნაწილის მიხედვით, ფაქტორის მიერ განხორციელებული წინასწარი დაფინანსება შესაძლოა შეფასდეს როგორც სესხის ან საკრედიტო ურთიერთობის ფორმა, რადგან ფაქტორი კლიენტს დებიტორული მოთხოვნების საფუძველზე წინასწარ გადასცემს ფულად სახსრებს, რისთვისაც, როგორც წესი, პროცენტის გადახდაც არის გათვალისწინებული.¹³ მიუხედავად ამისა, ფაქტორინგის რომელიმე ერთ სახელშეკრულებო ინსტიტუტამდე დაყვანა პრობლემურია, რადგან იგი ერთდროულად აერთიანებს მოთხოვნის დათმობის, დაფინანსების, ადმინისტრირების, ლიკვიდურობის უზრუნველყოფისა და საკრედიტო რისკების განაწილების ფუნქციებს. ამდენად, ფაქტორინგი თანამშრომლობასა და მომსახურებაზე დაფუძნებულ კომპლექსურ კომერციულ ურთიერთობას წარმოადგენს¹⁴ და განიხილება როგორც ორმაგი ბუნების ფინანსური მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ფაქტორინგული კომპანია, ერთი მხრივ, საკრედიტო დაფინანსებას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ კლიენტებს ფინანსურ მომსახურებებს სთავაზობს.

შუალედური დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფაქტორინგი, მიუხედავად მოთხოვნის დათმობასთან და საკრედიტო ურთიერთობებთან არსებული მჭიდრო კავშირისა, დიდწილად სცდება მათ კლასიკურ სამართლებრივ მოდელს და მრავალფუნქციურ სამართლებრივ კონსტრუქციას წარმოადგენს.

2. ფაქტორინგის ხელშეკრულების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი (გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის გამოცდილება)

ფაქტორინგის ხელშეკრულება ეფუძნება დებიტორული მოთხოვნის დათმობის სამართლებრივ კონცეფციას და ამ თვალსაზრისით კლასიკური ცესიის ინსტიტუტთან მსგავსებას ავლენს. თუმცა, მსგავსების მიუხედავად, ფაქტორინგის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართალში არსებული მოთხოვნის დათმობისგან განსხვავდება, რადგან იგი პროფესიონალ სუბიექტებს შორის ფორმდება და თავისი სტრუქტურით კომპლექსურ სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენს.

გერმანიაში ფაქტორინგი მიჩნეულია რეგულირებულ ფინანსურ მომსახურებად, რომელიც წესრიგდება გერმანიის კანონით „საკრედიტო საქმიანობის შესახებ“ (*Kreditwesengesetz*). ზემოხსენებული სფეროს სპეციალური რეგულირების საჭიროება განპირობებული იყო ფაქტორინგის მზარდი მნიშვნელობით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების პროცესში.¹⁵ გერმანული სამართლებრივი მოდელი ფაქტორინგს მხოლოდ მოთხოვნის დათმობის საშუალებად აღარ განიხილავს და მას კომერციული დაფინანსების ფუნქციურ მექანიზმად აღიქვამს, რომლის ეკონომიკური დანიშნულება დებიტორული მოთხოვნების ბრუნვაუნარიანობის ზრდას უკავ-

13 Camacho, M. E., 2012. Relieves Prácticos de la Prevalencia de una Determinada Causa en el Factoring. Revista e-mercatoria, 11(1), გვ. 344–347.

14 იქვე. გვ. 349–350.

15 შეადარე. გოთუა, ლ., 2018. საქართველოში ფაქტორინგის რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 44.

შირდება.¹⁶ გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ფაქტორინგის სამართლებრივი ბუნების შეფასებისას გადაწყვეტ მნიშვნელობას იქნეს არა მხოლოდ მოთხოვნის ფორმალური გადაცემა, არამედ იმ ფინანსური და რისკ-განაწილებითი ფუნქციის ანალიზი, რომელსაც დასახელებული ინსტიტუტი კომერციულ ბრუნვაში ასრულებს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, „მოთხოვნა შეიძლება გადაცემულ იქნეს კრედიტორის მიერ სხვა პირისათვის ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულებით (მოთხოვნის დათმობა). ხელშეკრულების დადების მომენტიდან ახალი კრედიტორი იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს“.¹⁷ ამავე კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით: „მოთხოვნის დათმობა არ იშვება, თუ თავდაპირველი კრედიტორის ნაცვლად სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულების შინაარსის შეუცვლელად ვერ ხორციელდება, ან, თუ მოვალესთან შეთანხმებით მოთხოვნის დათმობა გამორიცხულია“.¹⁸ გერმანია ერთმანეთისგან მიჯნავს ნამდვილ და

არანამდვილ ფაქტორინგს.¹⁹ „ნამდვილი ფაქტორინგის შემთხვევაში, ფაქტორი ატარებს მოთხოვნის განხორციელების რისკს, მაშასადამე, ცედენტის მოვალეობა შესრულებაუნარიანობის რისკს (ე.წ. Delkredererisiko – ცედენტის დებიტორების გადახდისუნარიანობის რისკი).²⁰ შესაბამისად, ფაქტორინგის ეს სახეობა მოთხოვნის ყიდვას. არანამდვილი ფაქტორინგის დროს შესრულების რისკი ცედენტთან რჩება, მოთხოვნის განხორციელებლობის შემთხვევაში, ფაქტორი მოთხოვნას უკან გადასცემს ცედენტს და აკისრებს მას მისთვის თავდაპირველად მიცემული თანხის უკან დაბრუნებას. ამის გამო არანამდვილი ფაქტორინგი ატარებს საკრედიტო გარიგების ხასიათს“.²¹ ნამდვილი ფაქტორინგისგან განსხვავებით, არანამდვილი ფაქტორინგი უზრუნველყოფს მიზნით მოთხოვნის უპირატეს დათმობებთან მიმართებით არასოდეს იფარება მინიჭებული ინკასირების უფლებამოსილებით.²²

გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არანამდვილი ფაქტორინგი წარმოადგენს საკრედიტო გარიგებას გე-

16 ფაქტორინგის ეფექტიანობა დაკავშირებულია არა მხოლოდ მოთხოვნის გადაცემასთან, არამედ დებიტორების შესახებ ინფორმაციის ფლობასა და მათი გადახდისუნარიანობის შეფასებასთან, რადგან ფაქტორინგის წარმატება დამოკიდებულია ისეთი დებიტორების შერჩევაზე, რომელთა მიმართ ფაქტორს საკმარისი და სანდო ინფორმაცია გააჩნია. ვრცლად იხ. Leguizamó, C. A. F., 2010. El Contrato de Factoring y la Nueva Factura Unificada. Revista e-mercatoria, 9(1), გვ. 15.

17 მუხლი 398, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/203844/1/Germaniis_Samoqalaqo_Kodeqsi.pdf> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

18 იქვე. მუხლი 399.

19 Küting, K. and Weber, C., 2025. Echtes und unechtes Factoring. In: Handbuch der Rechnungslegung. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.haufe.de/id/beitrag/kuetingweber-handbuch-der-rechnungslegung-einzelabschluss-kap-8-factoring-verhaeltnisse-HI6452436.html>> [წვდომის თარიღი 08.05.2026]; ჭეჭელაშვილი, ზ., 2008. სადისერტაციო ნაშრომი: მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 11.

20 იხ. Roth, M. and Kieninger, E., 2022. Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. Band 4. 9. Auflage. München: C. H. Beck, § 398, Rn. 158–164.

21 კროპჰოლერი, ი., 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი). თბილისი: საია, GIZ, გვ. 286.

22 იქვე. გვ. 287.

რმანიის სამოქალაქო კოდექსის §488-ის მნიშვნელობით, რომელიც მოთხოვნის დათმობის გზით არის უზრუნველყოფილი.²³ ფაქტორინგის ფარგლებში გადასახდელი პროცენტი შეესაბამება იმ საპროცენტო განაკვეთს, რომელსაც ბანკები მოკლევადიანი კრედიტისთვის იყენებენ, რაც “Reverse Factoring”-ს საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობებთან აახლოებს.²⁴

იტალია ფაქტორინგის რეგულირების ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ევროპულ მოდელს წარმოადგენს. Law No. 52/1991-მა ფაქტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობებისთვის სპეციალური სამართლებრივი ჩარჩო შექმნა და იგი კომერციული დაფინანსების დამოუკიდებელ ინსტრუმენტად წარმოაჩინა.²⁵

ინვოისებიდან გამომდინარე მოთხოვნების გადაცემა და ბრუნვა იტალიურ სამართალში ფაქტორინგის სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში განიხილება, ხოლო შესაბამისი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ ბანკებისა და ავტორიზებული ფინანსური შუამავლების მიერ არის დასაშვები.²⁶ იტალიურ დოქტრინაში ფაქტორინგი

წარმოდგენილია მოთხოვნათა გადაცემის, დაფინანსების, ადმინისტრირებისა და ლიკვიდურობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტად, რის გამოც მისი სამართლებრივი ბუნების ერთ კონკრეტულ სახელშეკრულებო ინსტიტუტამდე დაყვანა პრობლემურია. იტალიაში ფაქტორინგული კომპანიები ექვემდებარებიან კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს, რომლებიც ევროკავშირის დირექტივებიდან მომდინარეობს და იტალიის ცენტრალური ბანკის გონივრული ზედამხედველობის ფარგლებში ხორციელდება. ზედამხედველობა მოიცავს საკრედიტო, ოპერაციულ, სავალუტო და სავაჭრო რისკებს. კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები, რომლებიც ბანკებთან შედარებით მოქნილია, ეფუძნება მიდგომას, რომლის თანახმადაც ფაქტორინგული კომპანიების საქმიანობის უფრო მაღალი გამჭვირვალობა და ფინანსური მდგრადობა სექტორის განვითარებასა და გაფართოებას უწყობს ხელს.²⁷

ფაქტორინგის საერთაშორისო უნიფიკაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია UNIDROIT-ის კონვენცია,²⁸ რომ-

23 Küting, K. and Weber, C., 2025. Echtes und unechtes Factoring. In: Handbuch der Rechnungslegung, Rn. 9. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.haufe.de/id/beitrag/kuetingweber-handbuch-der-rechnungslegung-einzelabschluss-kap-8-factoring-verhaeltnisse-H16452436.html> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

24 Muñoz, J. C., 2013. Reverse Factoring in Deutschland. Juristische Rundschau, 1, გვ. 2–3.

25 ib. Riesenfeld, S. A. and Hart, F. M., 1992. The Italian Law on Factoring. The Business Lawyer, 47(2), გვ. 523–541.

26 Noro, B. and others, 2023. First-step Analysis: Fintech Regulation in Italy. Lexology, 28.07.2023.

27 შეადარე. გოთუა, ლ., 2018. საქართველოში ფაქტორინგის რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 45.

28 UNIDROIT-ის „საერთაშორისო ფაქტორინგის შესახებ“ ოთავას კონვენციის საბოლოო ტექსტი დამტკიცდა 1988 წლის 28 მაისს და ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მაისს. კონვენციის მიზანს წარმოადგენდა მზარდი საერთაშორისო ფაქტორინგული ურთიერთობებისთვის ერთიანი სამართლებრივი წესების ჩამოყალიბება, თუმცა იგი სრულყოფილად არ არეგულირებს ფაქტორინგთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. კერძოდ, კონვენცია არ შეიცავს დებულებებს ფაქტორინგის ხელშეკრულების ფორმალური ვალიდურობისა და დებიტორულ მოთხოვნებთან დაკავშირებული კონკურენტული უფლებების პრიორიტეტის განსაზღვრის შესახებ. ვრცლად იხ. Bonell, M. J., 2014. UNIDROIT Convention on International Factoring: An Overview. Uniform Law Review, 19, გვ. 1–18.

ლის მიზანია ფაქტორინგის რეგულირების ერთიანი და ფუნქციური სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება. კონვენცია ფაქტორინგს განიხილავს არა მხოლოდ მოთხოვნის დათმობის ფორმად, არამედ თანამედროვე კომერციული დაფინანსების დამოუკიდებელ ინსტიტუტად. UNIDROIT-ის მიდგომა ორიენტირებულია მოთხოვნების ბრუნვაუნარიანობის, დაფინანსების ხელმისაწვდომობისა და სამართლებრივი პროგნოზირებადობის გაძლიერებაზე, თუმცა მისი ცალკეული მექანიზმების პრაქტიკულ ეფექტიანობასთან დაკავშირებით დოქტრინაში კვლავ არსებობს დისკუსია.²⁹ ოტავას კონვენციის მიხედვით, ფაქტორინგის ხელშეკრულება წარმოადგენს მიმწოდებელსა და ფაქტორს შორის დადებულ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ფაქტორს გადასცემს ან ვალდებულებას იღებს გადასცეს საქონლის ნასყიდობიდან წარმოშობილი დებიტორული მოთხოვნები, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის შეძენილ საქონელს უკავშირდება. ფაქტორი ვალდებულია შეასრულოს მინიმუმ ორი ფუნქცია შემდეგთაგან: მიმწოდებლის ფინანსური მხარდაჭერა (მათ შორის წინასწარი დაფინანსება ან სესხის გაცემა), დებიტორული დავალიანების ადმინისტრირება, მოთხოვნების ამოღება ან

მოვალის გადაუხდელობის რისკის საკუთარ თავზე აღება.³⁰

ფრანგულ სამართალში ფაქტორინგი მჭიდროდ უკავშირდება კომერციული მოთხოვნების გამარტივებული გადაცემის მოდელს (*Cession Daily*), რომელიც პროფესიული მოთხოვნების მობილიზაციის სპეციალურ სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს და ორიენტირებულია საბანკო პრაქტიკის ეფექტიანობასა და კომერციული დაფინანსების ოპერატიულობაზე. ფრანგულ დოქტრინაში ფაქტორინგი განიხილება, როგორც *sui generis* სახელშეკრულებო კონსტრუქცია, რომელიც აერთიანებს დაფინანსების, დებიტორული მოთხოვნების ადმინისტრირებისა და გადაუხდელობის რისკის განაწილების ელემენტებს.³¹

ფრანგულ დოქტრინაში ფაქტორინგი განიხილება, როგორც მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც კლიენტი საკუთარ დებიტორულ მოთხოვნებს გადასცემს ფაქტორს – მონეტარული და ფინანსური კოდექსის რეგულირებას დაქვემდებარებულ საკრედიტო ინსტიტუტს, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნების ადმინისტრირებას, მათ წინასწარ დაფინანსებასა და შესაბამისი საკრედიტო რისკების მართვას.³²

29 UNIDROIT, 2023. Model Law on Factoring. Rome: International Institute for the Unification of Private Law. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/instruments/factoring/model-law-on-factoring/> [წვდომის თარიღი 08.05.2026]; Kaya, B., 2024. UNIDROIT Factoring Model Law: Critiques and Possible Effects. *Revista Jurídica Portucalense*, 35.

30 Article 1, UNIDROIT Convention on International Factoring (Ottawa, 1988). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/english/conventions/1988factoring/convention-factoring1988.pdf> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

31 Crocq, P.A., 2023. Le fondement juridique du transfert de propriété des créances en matière d'affacturage. *Revue Banque*, 16 January. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.revue-banque.fr/regulation-et-risques/reglementation/le-fondement-juridique-du-transfert-de-propriete-des-creances-DD13547370> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

32 იქვე. გვ. 138.

3. ფაქტორინგის ინსტიტუტის ახალი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც, კერძოდ: 198-ე მუხლის ახალი რედაქციით, მოთხოვნის დათმობის მარეგულირებელი ზოგადი წესები აღარ ვრცელდება „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ურთიერთობებზე.³³ ფაქტორინგის ინსტიტუტის ფუნქციური ეფექტიანობის გაძლიერებას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებაც, რომლის მიხედვით, ფაქტორინგის შედეგად დებიტორული დავალიანების ფაქტორისტის გადაცემის შემთხვევაში მოთხოვნაზე არსებული გირავნობის უფლება წყდება და მოთხოვნა ფაქტორს დაუტვირთავი სახით გადაეცემა, ხოლო გირავნობის უფლება არსებობას აგრძელებს მიღებულ შემოსავალზე.³⁴ მსგავსი მიდგომა აძლიერებს მოთხოვნების ბრუნვაუნარიანობასა და ფაქტორის სამართლებრივ დაცვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით აიკრძალა ფიზიკური პირის

საცხოვრებელი ტიპის უძრავი ქონების გამოყენება ფაქტორინგისა და რევერსიული ფაქტორინგის მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალებად, თუ პირს დამატებით სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონება არ გააჩნია.³⁵ შეზღუდვა ცხადყოფს, რომ კანონმდებელი კომერციული დაფინანსების ინტერესებსა და საცხოვრებლის დაცვის სოციალურ ინტერესს შორის ბალანსის დაცვას ცდილობს.

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონმა ქართულ სამართლებრივ სისტემაში პირველად განსაზღვრა ფაქტორინგის ცნება, მისი საგანი, მხარეები, განხორციელების ფორმები და ზედამხედველობის მექანიზმები.³⁶ კანონის მიხედვით, ფაქტორინგი გულისხმობს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დებიტორული დავალიანების ფაქტორისტის გადაცემასა და ფაქტორინგის რეესტრში რეგისტრაციას, რის შედეგადაც დებიტორული დავალიანებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე საკუთრების უფლება შესაბამის ფაქტორს გადაეცემა.³⁷

კანონი ითვალისწინებს ფაქტორინგის რეესტრის შექმნას³⁸ და მოთხოვნათა პრიორიტეტის განსაზღვრას. კანონმდებელმა დააწესა ფაქტორინგული კომპანიების სპეციალური რეგისტრაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის რეჟიმი,³⁹ რაც ფაქტორინგს ფინანსური საქმიანობის რეგულირებად სფეროს უკავშირებს. ფაქტორინგის რე-

33 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

34 იქვე. მუხლი 274.

35 იქვე. მუხლი 286.

36 მუხლები 1–5, საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

37 იქვე. მუხლი 3.

38 იქვე. მუხლი 12.

39 იქვე. მუხლები 6–11.

ესტრის მოდელი მოთხოვნათა ბრუნვის საჯაროობის უფრო მაღალ სტანდარტს ქმნის, თუმცა ამავე დროს წარმოშობს კითხვას, რამდენად თავსებადია აღნიშნული მიდგომა მოთხოვნის დათმობის ტრადიციულ ვალდებულებით-სამართლებრივ ბუნებასთან.

კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს რეგრესის უფლებით და რეგრესის უფლების გარეშე ფაქტორინგს. რეგრესის უფლებით ფაქტორინგის შემთხვევაში ფაქტორს უფლება აქვს მოვალის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობისას მოთხოვნა მოთხოვნის დამთმობ მხარესაც წაუყენოს,⁴⁰ ხოლო რეგრესის უფლების გარეშე ფაქტორინგის დროს გადაუხდელობის რისკს თავად ფაქტორი ატარებს და უკუმოთხოვნის უფლება არ გააჩნია.⁴¹ კანონი უშვებს რევერსიული ფაქტორინგის შესაძლებლობასაც, რომლის ინიციატორია თავად მოვალე,⁴² აგრეთვე ფაქტორინგული პლატფორმის ფუნქციონირებას, რაც ფაქტორინგის ციფრული ფორმების სამართლებრივ აღიარებაზე მეტყველებს.⁴³

კანონი ასევე სპეციალურად აწესრიგებს დებიტორული დავალიანების გადაცემის, მოვალის შეტყობინების, ურთიერთგაქვითვის, უზრუნველყოფის საშუალებებისა და მოთხოვნასთან დაკავშირებული უფლებების გადასვლის საკითხებს,⁴⁴ რითაც ფაქტორინგის ძირითადი სამართლებრივი ელემენტები ერთიან საკანონმდებლო რეჟიმში ექცევა.

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის მიხედვით, ფაქტორინგული კომპანია წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს და არა ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს. მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკისთვის მინიჭებული ფართო საზედამხედველო და სანქციური უფლებამოსილებები მიუთითებს, რომ ფაქტორინგული საქმიანობა ფაქტობრივად კვაზისალიცენზიო რეგულირების რეჟიმს უახლოვდება. აღნიშნული მოდელი ფაქტორინგს თავისუფალი კერძოსამართლებრივი საქმიანობიდან რეგულირებადი ფინანსური საქმიანობის სფეროში გადაიყვანს.⁴⁵

აღსანიშნავია, რომ სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგების მიღებამდე ფაქტორინგი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საბანკო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებში იყო გათვალისწინებული. კერძოდ, კანონის მე-20 მუხლი ფაქტორინგულ ოპერაციებს რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ დასაშვებ სახედ განიხილავდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ ფაქტორინგი თავდაპირველად სამართლებრივად აღიქმებოდა არა როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი, არამედ როგორც საბანკო-საფინანსო საქმიანობის სპეციფიკური ფორმა. ამასთან, 2026 წლის 1 აპრილს მიღებულმა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონმა ფაქტორინგის ინსტიტუტი უკვე სპეციალიზებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგ-

40 იქვე. მუხლი 15.

41 იქვე. მუხლი 14.

42 იქვე. მუხლი 17.

43 იქვე. მუხლი 21.

44 იქვე. მუხლები 22–31.

45 ქვეპუნქტი „ტ“, მუხლი 3. საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0>> [წვდომის თარიღი 08.05.2026]; მუხლი 52⁸, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=66>> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

ლებში მოაქცია და მისთვის დამოუკიდებელი სამართლებრივი ჩარჩო დაადგინა. შესაბამისად, ფაქტორინგის რეგულირება საბანკო საქმიანობის სფეროს ფარგლებს გასცდა და დამოუკიდებელ ფინანსურ-სამართლებრივ ინსტიტუტად ყალიბდება.⁴⁶

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების პარალელურად, ცვლილებები შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.⁴⁷ კერძოდ, ორგანულ კანონს დაემატა 52⁸-ე მუხლი, რომელმაც ფაქტორინგული კომპანიისა და ფაქტორინგული პლატფორმის საქმიანობის ზედამხედველობის სპეციალური სამართლებრივი ჩარჩო განსაზღვრა. ამასთან, 2027 წლის 1 იანვრიდან ფაქტორინგული კომპანია და ფაქტორინგული პლატფორმა „საფინანსო სექტორის წარმომადგენლის“ ცნებაშიც მოექცევა, რაც მიუთითებს კანონმდებლის მიდგომაზე, ფაქტორინგი ფინანსური სექტორის ინსტიტუციურ ნაწილად განიხილოს.

მიუხედავად ამისა, მოქმედი საკანონმდებლო მოდელი ფორმალურად არ ეფუძნება კლასიკურ სალიცენზიო რეჟიმს, ვინაიდან „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ფაქტორინგული კომპანია წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ და არა ლიცენზირებულ იურიდიულ პირს.⁴⁸ თუმცა, ეროვნული ბანკისთვის მინიჭებული ფართო საზედამხებლო უფლებამოსილებები – რეგისტრაცია, რეგულირება, კაპიტალის კონტროლი, სანქციების გამოყენება და ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასება – მიუთითებს, რომ ფაქტორინგული საქმიანობა თავისი შინაარსით რეგულირებად ფინანსურ საქმიანობას უახლოვდება.⁴⁹

საკანონმდებლო სიახლეა ფაქტორინგის რეესტრის შექმნა, დებიტორული დავალიანების რეგისტრაციისა და მოთხოვნის გადაცემის სამართლებრივი ეფექტის განსაზღვრა, ერთი და იმავე მოთხოვნის მრავალჯერადი გადაცემის აკრძალვა, ფაქტორინგის ხელშეკრულების ბათილობის სპეციალური საფუძვლების დადგენა, ურთიერთგაქვითვის შეთანხმების სამართლებრივი რეჟიმის მოწესრიგება და მოთხოვნის დამთმობი მხარის პასუხისმგებლობის განსაზღვრა დებიტორული დავალიანების ნამდვილობისა და სიზუსტისათვის.⁵⁰

ამავდროულად, კანონმა ფაქტორინგული კომპანია და ფაქტორინგული პლატფორმა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სფეროში მოაქცია, დაადგინა მათი რეგისტრაციის, კაპიტალის, გამჭვირვალობის, აუდიტის, ანგარიშგებისა და სანქციების სპეციალური რეჟიმი,

46 მუხლი 20, საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

47 ქვეპუნქტი „ა“, მუხლი 2, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=66> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

48 ქვეპუნქტი „ტ“, მუხლი 3, საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

49 მუხლი 52⁸, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=66> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

50 მუხლები 12, 20, 27–30, საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

რაც ფაქტორინგულ საქმიანობას რეგულირებადი ფინანსური საქმიანობის ნიშნებს ანიჭებს.⁵¹

სტატიაში განხილული საკანონმდებლო მოწესრიგება არსებით მნიშვნელობას იძენს საბანკო-საფინანსო სექტორისთვის, ვინაიდან იგი ქმნის დებიტორული დავალიანების ბრუნვის, დაფინანსების, რისკების მართვისა და ციფრული ფინანსური მომსახურების უფრო სტაბილურ, გამჭვირვალე და პროგნოზირებად სამართლებრივ საფუძველს.

შუალედური დასკვნის სახით, „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონმა ფაქტორინგის ინსტიტუტის პირველი სისტემური საკანონმდებლო მოწესრიგება შექმნა და მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი სამართლებრივი რეგულირების ფარგლები.⁵² კანონმა ფაქტორინგი პრაქტიკული კომერციული მექანიზმიდან რეგულირებადი ფინანსურ-სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართულებით გადაიყვანა, რაც დებიტორული მოთხოვნების ბრუნვის უფრო სტაბილურ და პროგნოზირებად სამართლებრივ საფუძველს ქმნის.⁵³

4. ფაქტორინგის ხელშეკრულების სტრუქტურული ელემენტები და კლასიფიკაციის მოდელები

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონი ფაქტორინგულ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა წრეს განსაზღვრავს⁵⁴ და მათ სტატუსს ერთ-

მანეთისგან განასხვავებს. მოთხოვნის დამთმომ მხარედ შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი იურიდიული პირი, ინდივიდუალური მეწარმე ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც იურიდიული პირი არ არის. ამავდროულად, კანონმდებელმა ფაქტორის სტატუსი კონკრეტული სუბიექტების წრით შემოსაზღვრა და აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება მიანიჭა მხოლოდ კომერციულ ბანკს, მიკრობანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და სპეციალურად რეგისტრირებულ ფაქტორინგულ კომპანიას. აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ კანონმა ფაქტორინგი მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობად კი არ განიხილა, არამედ იგი ინსტიტუციური რეგულირების სფეროშიც მოაქცია, რაც ფაქტორინგული საქმიანობის ზედამხედველობისა და ორგანიზაციული სტანდარტების განსაზღვრასაც უკავშირდება.

ფაქტორინგის ხელშეკრულების გაფორმებისას, უპირველესად, განისაზღვრება ხელშეკრულების საგანი, რაც გულისხმობს დებიტორული დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ ფაქტორისთვის გადაცემას, ხოლო ფაქტორინგული ურთიერთობა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დამატებით მოიცავდეს შესაბამის ფინანსურ მომსახურებებს.⁵⁵ „საერთაშორისო საფინანსო სამართალში გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, დასაშვებია, ფაქტორინგის საგანს წარმოადგენდეს საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან მომდინარე

51 იქვე. მუხლები 6–11, 21, 26, 32.

52 იქვე. მუხლები 1–5.

53 იქვე. მუხლები 13–21.

54 იქვე. პუნქტები 1–3, მუხლი 5.

55 Dubovec, M., 2024. Factoring Model Law: Advancing Access to Receivables Finance. In: Research Handbook on Secured Transactions. Cheltenham: Edward Elgar Publishing, გვ. 512–526; Roth, M. and Kieninger, E., 2022. Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. Band 4. 9. Auflage. München: C. H. Beck, §398, Rn. 158–164.

არსებული ან სამომავლო, სრული თუ ნაწილობრივი, ვადამოსული ან ვადამოსვლელი მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება”.⁵⁶ აღნიშნული მიდგომა ფაქტორინგის საგანს ფართოდ განიხილავს და მხარეთა ავტონომიის შეღავათებით ფართო ფარგლებსაც აღიარებს. ამის საპირისპიროდ, „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონმა ფაქტორინგის საგნის ფარგლები დააკონკრეტა და იგი მხოლოდ დებიტორული დავალიანების გადაცემით შემოსაზღვრა. ამავდროულად, კანონმა ფაქტორინგის განხორციელების პირობებიც განსაზღვრა, მათ შორის – შესაბამისი საგნობრივი შეზღუდვები და მოთხოვნის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტური საფუძვლები.⁵⁷

ფაქტორინგის ხელშეკრულების არსებით პირობებს მიეკუთვნება მოთხოვნის გადაცემის წესი, დაფინანსების მოცულობა, მხარეთა ფინანსური ვალდებულებები და ანგარიშსწორების პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივ ჩარჩოს.⁵⁸ ფაქტორინგის ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად პირობად მიიჩნევა რეგრესის უფლების არსებობა ან არარსებობა. რეგრესის უფლების მქონე ფაქტორინგის შემთხვევაში გადაუხდელი მოთხოვნის რისკი საბოლოოდ კლიენტს ეკისრება, ხოლო რეგრესის უფლების გა-

რეშე ფაქტორინგისას შესაბამისი რისკი ფაქტორზე გადადის, რაც, როგორც წესი, მომსახურების უფრო მაღალ საფასურს განაპირობებს.⁵⁹

ფაქტორინგის ხელშეკრულება, როგორც კომპლექსური სახელშეკრულებო ურთიერთობა, ჩვეულებრივ მოიცავს მოვალის შეტყობინების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებს, კონფიდენციალურობის დაცვის, პირგასამტეხლოს, ფორს-მაჟორის, ხელშეკრულების მოქმედებისა და შეწყვეტის პირობებს. აღნიშნული ელემენტები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მხარეთა შორის რისკების განაწილებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის სტაბილურობის სამართლებრივ ჩარჩოს.⁶⁰

ფაქტორინგის ხელშეკრულებები შესაძლებელია კლასიფიცირდეს იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე ახორციელებს ფაქტორი მიმწოდებლისთვის ანგარიშსწორებას. იურისპრუდენციაში გამოიყოფა ძველი ხაზის ფაქტორინგი, ვადამოსული ფაქტორინგი და სააგენტო ფაქტორინგი.

ძველი ხაზის ფაქტორინგის (Old-line factoring) ფარგლებში მიმწოდებელი ფაქტორს სრულად ან ნაწილობრივ გადასცემს კომერციული საქმიანობიდან წარმოშობილ მოთხოვნებს, ხოლო ფაქტორი უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას, აღმინისტრირებასა და ინკასოს. აღნიშნული მოდელი, როგორც წესი, დაკავშირებულია

56 გოთუა, ლ., 2018. საქართველოში ფაქტორინგის რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 33.

57 მუხლი 4, საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0>> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

58 Küting, K. and Weber, C., 2025. Echtes und unechtes Factoring. In: Handbuch der Rechnungslegung. Rn. 9. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.haufe.de/id/beitrag/kuetingweber-handbuch-der-rechnungslegung-einzelabschluss-kap-8-factoring-verhaeltnisse-HI6452436.html>> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

59 Camacho, M. E., 2012. Relieves Prácticos de la Prevalencia de una Determinada Causa en el Factoring. Revista e-mercatoria, 11(1), გვ. 344–347.

60 Ben Youssef, W. A. and Mansour, N., 2024. The Factoring 2.0 in the Era of the Fintech Revolution Context. In: Digital Technology and Changing Roles in Managerial and Financial Accounting: Theoretical Knowledge and Practical Application. გვ. 37–51.

ავანსურ დაფინანსებასთან და, რიგ შემთხვევებში, მოვალის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული რისკის აღებასთან.⁶¹

ვადიანი ფაქტორინგის (Maturity factoring) შემთხვევაში ფაქტორი, როგორც წესი, არ ახორციელებს წინასწარ დაფინანსებას და მისი ძირითადი ფუნქცია მოთხოვნების ადმინისტრირება, ინკასო და გადახდის ვადის დადგომისას ანგარიშსწორების უზრუნველყოფაა. აღნიშნული მოდელი უფრო მეტად ორიენტირებულია მოთხოვნების მართვასა და საკრედიტო რისკის კონტროლზე.⁶²

სააგენტო ფაქტორინგის (Agency factoring) ფარგლებში მოთხოვნების ადმინისტრირებისა და ინკასოს ფუნქცია, ძირითადად, მიმწოდებლის მხარეს რჩება, ხოლო ფაქტორი უზრუნველყოფს დაფინანსებასა და შესაბამის ფინანსურ მომსახურებას. აღნიშნული მოდელი ფაქტორის ადმინისტრაციულ ჩართულობას შედარებით ამცირებს.⁶³

კომერციულ პრაქტიკაში გამოიყოფა ნაწილობრივი ფაქტორინგი, გაყოფილი ფაქტორინგი, განაწილებული რისკის ფაქტორინგი და სელექციური ფაქტორინგი. ნაწილობრივი ფაქტორინგის დროს კლიენტი ფაქტორს უთმობს დებიტორული მოთხოვნების მხოლოდ ნაწილს, ხოლო დანარჩენ მოთხოვნებს თავად მართავს;

გაყოფილი ფაქტორინგის შემთხვევაში მოთხოვნები ორ ფაქტორს შორის ნაწილდება; განაწილებული რისკის ფაქტორინგის დროს საკრედიტო რისკს ფაქტორი და კლიენტი ერთმანეთში ინაწილებენ; ხოლო სელექციური ფაქტორინგის დროს კლიენტი თავად განსაზღვრავს, რომელ მოთხოვნებს დაუთმობს ფაქტორს, ხოლო ფაქტორინგული კომპანია იტოვებს დაფინანსების დამტკიცების ან უარყოფის უფლებას.⁶⁴ ფაქტორინგის ხელშეკრულებები ასევე კლასიფიცირდება რეგრესის უფლების არსებობის მიხედვით.

ტერიტორიული მასშტაბის მიხედვით განასხვავებენ ადგილობრივ (შიდა) და საერთაშორისო ფაქტორინგს. ადგილობრივი ფაქტორინგი ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხორციელდება, ხოლო საერთაშორისო ფაქტორინგი ტრანსსაზღვრო ურთიერთობას უკავშირდება და, როგორც წესი, ექსპორტისა და იმპორტის ფაქტორების ჩართულობას გულისხმობს.⁶⁵

გერმანული სამართლის მეცნიერება და გერმანიის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გამოყოფს „ნამდვილ“ და „არანამდვილ“ ფაქტორინგს. „ნამდვილი“ ფაქტორინგის შემთხვევაში მოთხოვნის რეალიზაციის რისკი ფაქტორს ეკისრება, ხოლო „არანამდვილი“ ფაქტორინგის დროს აღნიშნული რისკი კლიენტს/მიმ-

61 Article 1(2), UNIDROIT Convention on International Factoring, Ottawa, 28.05.1988. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/factoring/convention-on-international-factoring/>> [წვდომის თარიღი 08.05.2026]; International Finance Corporation (IFC), 2024. Knowledge Guide on Factoring Regulation and Supervision. Washington, D.C., გვ. 10–11.

62 Salinger, F., 1999. Factoring Law and Practice. London: Sweet & Maxwell, გვ. 15–18.

63 Ibid.

64 Costa, J., 2023. Factors that Determine Factoring as a Financing Alternative. Catholic University of Portugal. გვ. 33–34. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://repositorio.ucp.pt/bitstreams/c6ab402f-be63-4a20-b31b-f242047a6e1d/download>> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

65 Riesenfeld, S. A. and Hart, F. M., 1992. The Italian Law on Factoring. The Business Lawyer, 47(2), გვ. 523–541.

წოდებელს უნარჩუნდება.⁶⁶

ფაქტორინგის ხელშეკრულების კლასიფიკაცია შესაძლებელია მოვალის ინფორმირების კრიტერიუმის მიხედვითაც. შეტყობინების მქონე ფაქტორინგისას მოვალე ინფორმირებულია მოთხოვნის ფაქტორისთვის გადაცემის შესახებ, ხოლო შეტყობინების გარეშე ფაქტორინგის შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია მას არ მიეწოდება. აღნიშნულ განსხვავებას მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის შესრულების წესისა და მხარეთა რისკების განაწილების თვალსაზრისით. ამდენად, განხილული კლასიფიკაციები ადასტურებს, რომ ფაქტორინგი ერთგვაროვან სახელშეკრულებო მოდელს არ წარმოადგენს და მისი სამართლებრივი ბუნება დამოკიდებულია რისკების განაწილების, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების სტრუქტურისა და კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურებებზე. აღნიშნული მრავალფეროვნება ართულებს ფაქტორინგის ერთიან სამართლებრივ კვალიფიკაციას და განაპირობებს მის მიმართ დოქტრინაში არსებული განსხვავებული მიდგომების არსებობას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამართლებრივი სისტემები ფაქტორინგს სულ უფრო მეტად აღიქვამენ არა მხოლოდ მოთხოვნის დათმობის ინსტრუმენტად, არამედ კომერციული დაფინანსების დამოუკიდებელ ფინანსურ-სამართლებრივ ინსტიტუტად. გერმანული, ფრანგული და იტალიური სამართლებრივი მოდელები, განსხვავებული საკანონმდებლო ტექნიკის მიუხედავად, საერთო ფუნქციურ მიზანს ემსახურება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოთხოვნების ბრუნვანარიანობის, რეესტრული საჯაროობის, ფინანსური ლიკვიდურობისა და კომერციული დაფინანსების სტაბილურობის უზრუნველყოფას.

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ ქართულ სამართლებრივ სისტემაში პირველად შექმნა ფაქტორინგის სპეციალური და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების საფუძველი და იგი მოთხოვნის დათმობის მარეგულირებელი ზოგადი წესებისგან გამიჯნა. კანონმა განსაზღვრა ფაქტორინგის ცნება, მისი განხორციელების ფორმები, რეგრესის მოდელები, ფაქტორინგის რეესტრის ფუნქცია, მოთხოვნათა პრიორიტეტის მექანიზმები, ფაქტორინგული პლატფორმის საქმიანობა და ზედამხედველობის ინსტიტუციური საფუძვლები, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა ფაქტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობების სისტემური მოწესრიგების წინაპირობა შექმნა.

სტატიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ფაქტორინგის სამართლებრივი ბუნება კვლავ სცდება რომელიმე ერთი სახელშეკრულებო ინსტიტუტის ფარგლებს და იგი თანამედროვე ფინანსურ ბრუნვაში მრავალკომპონენტური ფინანსურ-სამართლებრივ კონსტრუქციად ყალიბდება. ამასთან, ფაქტორინგთან დაკავშირებული არაერთი საკითხი კვლავ საჭიროებს შემდგომ დოქტრინულ და პრაქტიკულ დაზუსტებას, განსაკუთრებით – მოთხოვნათა პრიორიტეტის, რეესტრული

66 Küting, K. and Weber, C., 2025. Echtes und unechtes Factoring. In: Handbuch der Rechnungslegung. Rn. 9. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.haufe.de/id/beitrag/kuetingweber-handbuch-der-rechnungslegung-einzelabschluss-kap-8-factoring-verhaeltnisse-HI6452436.html> [ნვდომის თარიღი 08.05.2026]; Muñoz, J. C., 2013. Reverse Factoring in Deutschland. Juristische Rundschau, 1, გვ. 2–3.

ლი საჯაროობის, რეგრესის სამართლებრივი ბუნებისა და ფინანსური ზედამხედველობის პრაქტიკული სტანდარტების მიმართულებით. აღნიშნულ საკითხზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება

არსებით გავლენას მოახდენს ფაქტორინგის ინსტიტუტის სამართლებრივ სტაბილურობასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე ქართულ საბანკო-საფინანსო სექტორში.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოთუა, ლ., 2018. საქართველოში ფაქტორინგის რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი. სამართლის ჟურნალი, 2.
2. კროპჰოლერი, ი., 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი). თბილისი: საია, GIZ.
3. შამათავა, ი., 2024. მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში. მონოგრაფია. თბილისი: ბონა კაუზა და კავკასიის უნივერსიტეტი.
4. ჭეჭელაშვილი, ზ., 2008. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება. სადისერტაციო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. Ben Youssef, W. A. and Mansour, N., 2024. The Factoring 2.0 in the Era of the Fintech Revolution Context. In: Digital Technology and Changing Roles in Managerial and Financial Accounting: Theoretical Knowledge and Practical Application.
6. Bonell, M. J., 2014. UNIDROIT Convention on International Factoring: An Overview. Uniform Law Review, 19.
7. Camacho, M. E., 2012. Relieves Prácticos de la Prevalencia de una Determinada Causa en el Factoring. Revista e-mercatoria, 11(1).
8. Chen, L., 2025. Accounts Receivable Factoring and Corporate Financialization. Journal of Corporate Finance, 89.
9. Costa, J., 2023. *Factors that Determine Factoring as a Financing Alternative*. Catholic University of Portugal. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://repositorio.ucp.pt/bitstreams/c6ab402f-be63-4a20-b31b-f242047a6e1d/download> [წვდომის თარიღი 12.05.2026].
10. Crocq, P.A., 2023. *Le fondement juridique du transfert de propriété des créances en matière d'affacturage*. Revue Banque, 16 janvier. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.revue-banque.fr/regulation-et-risques/reglementation/le-fondement-juridique-du-transfert-de-propriete-des-creances-DD13547370> [წვდომის თარიღი 12.05.2026].
11. Dubovec, M., 2024. Factoring Model Law: Advancing Access to Receivables Finance. In: Research Handbook on Secured Transactions. Cheltenham: Edward Elgar Publishing.
12. Gandhi, J. and Nasit, A., 2025. Comparison of Short-Term Financing Options; Factoring As the Best Alternative. Journal of Information Systems Engineering and Management, 10 (40s).
13. International Finance Corporation (IFC), 2024. *Knowledge Guide on Factoring Regulation and Supervision*. Washington D.C. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ifc.org/content/dam/ifc/doc/2024/knowledge-guide-on-factoring-regulation-and-supervision-ifc-2024.pdf> [წვდომის თარიღი 12.05.2026].
14. Kaya, B., 2024. UNIDROIT Factoring Model Law: Critiques and Possible Effects. Revista Jurídica Portucalense, 35.
15. Küting, K. and Weber, C., 2025. Echtes und unechtes Factoring. In: Handbuch der Rechnungslegung. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.haufe.de/id/beitrag/kuetingweber-handbuch-der-rechnungslegung-einzelabschluss-kap-8-factoring-verhaeltnisse-HI6452436.html> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
16. Leguizamo, C. A. F., 2010. El contrato de factoring y la nueva factura unificada. Revista

- e-mercatoria, 9(1).
17. Muñoz, J. C., 2013. Reverse Factoring in Deutschland. Juristische Rundschau, 1.
 18. Noro, B. and others, 2023. *First-step Analysis: Fintech Regulation in Italy*. Lexology, 28.07.2023.
 19. Riesenfeld, S. A. and Hart, F. M., 1992. The Italian Law on Factoring. The Business Lawyer, 47(2).
 20. Roth, M. and Kieninger, E., 2022. Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. Band 4. 9. Auflage. München: C. H. Beck.
 21. Salinger, F., 1999. *Factoring Law and Practice*. London: Sweet & Maxwell.

ნორმატიული მასალა:

1. UNIDROIT Convention on International Factoring (Ottawa, 1988). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/english/conventions/1988factoring/convention-factoring1988.pdf> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
2. UNIDROIT, 2023. Model Law on Factoring. Rome: International Institute for the Unification of Private Law. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/instruments/factoring/model-law-on-factoring/> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
3. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/european-union/377295-asotsirebis-shesakheb-shetankhmeba> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
4. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/ [წვდომის თარიღი 08.05.2026].
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
6. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=66> [წვდომის თარიღი 12.05.2026].

7. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962> [წვდომის თარიღი 12.05.2026].
8. საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=26> [წვდომის თარიღი 12.05.2026].
9. საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
10. საქართველოს პარლამენტი, განმარტებითი ბარათი – „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/415587> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Gothua, L., 2018. *Some Legal Aspects of Factoring Regulation in Georgia*. Journal of Law, 2. (in Georgian).
2. Kropholler, J., 2014. *German Civil Code (Educational Commentary)*. Tbilisi: GYLA, GIZ. (in Georgian)
3. Shamatava, I., 2024. *The Standard of Proportionate Protection of the Rights and Obligations of the Parties in the Loan Agreement*. Monograph. Tbilisi: Bona Cauza and Caucasus University. (in Georgian)
4. Chechelashvili, Z., 2008. *Assignment of Claims and Transfer of Debt*. Doctoral Dissertation. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. (in Georgian)
5. Ben Youssef, W. A. and Mansour, N., 2024. The Factoring 2.0 in the Era of the Fintech Revolution Context. In: *Digital Technology and Changing Roles in Managerial and Financial Accounting: Theoretical Knowledge and*

- Practical Application*. (in English)
6. Bonell, M. J., 2014. UNIDROIT Convention on International Factoring: An Overview. *Uniform Law Review*, 19. (in English)
 7. Camacho, M. E., 2012. Relieves Prácticos de la Prevalencia de una Determinada Causa en el Factoring. *Revista e-mercatoria*, 11(1). (in Spanish)
 8. Chen, L., 2025. Accounts Receivable Factoring and Corporate Financialization. *Journal of Corporate Finance*, 89. (in English)
 9. Crocq, P.A., 2023. *Le fondement juridique du transfert de propriété des créances en matière d'affacturage*. *Revue Banque*, 16 January. [Online] available at: <https://www.revue-banque.fr/regulation-et-risques/reglementation/le-fondement-juridique-du-transfert-de-propriete-des-creances-DD13547370> [Accessed 08.05.2026]. (in French)
 10. Dubovec, M., 2024. Factoring Model Law: Advancing Access to Receivables Finance. In: *Research Handbook on Secured Transactions*. Cheltenham: Edward Elgar Publishing. (in English)
 11. Costa, J., 2023. *Factors that Determine Factoring as a Financing Alternative*. Catholic University of Portugal. [Online] available at: <https://repositorio.ucp.pt/bitstreams/c6ab402f-be63-4a20-b31b-f242047a6e1d/download> [Accessed 12.05.2026]. (in English)
 12. International Finance Corporation (IFC), 2024. *Knowledge Guide on Factoring Regulation and Supervision*. Washington, D.C.: International Finance Corporation. [Online] available at: <https://www.ifc.org/content/dam/ifc/doc/2024/knowledge-guide-on-factoring-regulation-and-supervision-ifc-2024.pdf> [Accessed 12.05.2026]. (in English)
 13. Gandhi, J. and Nasit, A., 2025. Comparison of Short-Term Financing Options; Factoring as the Best Alternative. *Journal of Information Systems Engineering and Management*, 10(40s). (in English)
 14. Kaya, B., 2024. UNIDROIT Factoring Model Law: Critiques and Possible Effects. *Revista Jurídica Portucalense*, 35. (in English)
 15. Küting, K. and Weber, C., 2025. Echtes und unechtes Factoring. In: *Handbuch der Rechnungslegung*. [Online] available at: <https://www.haufe.de/id/beitrag/kuetingweber-handbuch-der-rechnungslegung-einzelabschluss-kap-8-factoring-verhaeltnisse-HI6452436.html> [Accessed 08.05.2026]. (in German)
 16. Leguizamo, C. A. F., 2010. El contrato de factoring y la nueva factura unificada. *Revista e-mercatoria*, 9(1). (in Spanish)
 17. Muñoz, J. C., 2013. Reverse Factoring in Deutschland. *Juristische Rundschau*, 1. (in English)
 18. Noro, B. and others, 2023. *First-step Analysis: Fintech Regulation in Italy*. Lexology, 28.07.2023. (in English)
 19. Riesenfeld, S. A. and Hart, F. M., 1992. The Italian Law on Factoring. *The Business Lawyer*, 47(2). (in English)
 20. Roth, M. and Kieninger, E., 2022. *Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*. Band 4. 9th ed. München: C. H. Beck. (in German)
 21. Salinger, F., 1999. *Factoring Law and Practice*. London: Sweet & Maxwell. (in English)
- Normative Materials:**
1. UNIDROIT Convention on International Factoring (Ottawa, 1988). [Online] available at: <https://www.unidroit.org/english>
 2. UNIDROIT, 2023. Model Law on Factoring. Rome: International Institute for the Unification of Private Law. [Online] available at: <https://www.unidroit.org/instruments/factoring/model-law-on-factoring/> [Accessed 08.05.2026]. (in English)
 3. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the One Part, and Georgia, of the Other Part. [Online] available at: <https://mfa.gov.ge/european-union/377295-asotsirebis-shesakheb-shetankhmeba> [Accessed 08.05.2026]. (in Georgian)
 4. German Civil Code (BGB). [Online] available at: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/ [Accessed 08.05.2026]. (in Georgian)
 5. Civil Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138> [Accessed 08.05.2026]. (in Georgian)
 6. Organic Law of Georgia on the Nation-

- al Bank of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=66> [Accessed 12.05.2026]. (in Georgian)
7. Law of Georgia on Commercial Banks. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962> [Accessed 12.05.2026]. (in Georgian)
 8. Law of Georgia on Factoring. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0> [Accessed 08.05.2026]. (in Georgian)
 9. Law of Georgia on Microfinance Organisations. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=26> [Accessed 12.05.2026]. (in Georgian)
 10. Parliament of Georgia, Explanatory Note to the Draft Law of Georgia on Factoring. [Online] available at: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/415587> [Accessed 14.05.2026]. (in Georgian)

ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქციებში იურისდიქციული კოლიზიების გადაწყვეტის სამართლებრივი მექანიზმები

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.2>

ნინო ჯოლია

ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტი
და მონვეული ლექტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და
ტექნოლოგიების ფაკულტეტის მონვეული ლექტორი
საქართველო, თბილისი

ელ. ფოსტა: nino.jolia@ciu.edu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0009-1454-650X>

ნინო ჯოლია

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ციფრული ფულისა და კრიპტოაქტივების გამოყენებისას წარმოშობილი ტრანსსასაზღვრო სამართლებრივი გამოწვევები და მათი გადაწყვეტის შესაძლო მექანიზმები. ნაშრომის ძირითადი თეზისია, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის კლასიკური ინსტრუმენტები კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელობას, თუმცა, არასაკმარისია იმ შემთხვევებში, როდესაც ტრანზაქცია ხორციელდება დეცენტრალიზებული რეესტრის, სმარტ (ჭკვიანი) კონტრაქტის ან ვირტუალური აქტივების მომსახურების მიმწოდებლის მეშვეობით. კვლევის ფარგლებში განხილულია ციფრული ფულის ერთიანი სამართლებრივი სტანდარტის არარსებობა, ბლოკჩეინზე დაფუძნებული ტრანზაქციების ტრანსსასაზღვრო ბუნება, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) მექანიზმების არათანაბარი იმპლემენტაცია, კიბერუსაფრთხოების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები, ასევე ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებისა და სტეიბლკოინების რეგულაციური პრობლემემატიკა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული სამართლისთვის რელევანტურ გამოწვევებს, მათ შორის, ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობას, ფინანსური რეგულირების, მონაცემთა დაცვისა და ფულის გათეთრების პრევენციის მექანიზმების კოორდინაციას. სტატიის ძირითადი დასკვნაა, რომ ციფრული ფულის სფეროში სამართლებრივი კოლიზიების გადაწყვეტა არ შემოიფარგლება მხოლოდ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრით. იგი საჭიროებს სამართლებრივი კლასიფიკაციის, ზედამხედველობის, მონაცემთა დაცვის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნები-

სა და ფინანსური სტაბილურობის ურთიერთდაკავშირებულ შეფასებას. შესაბამისად, ეფექტიანი მონესრიგება უნდა დაეფუძნოს ჰარმონიზებულ, რისკებზე დაფუძნებულ და ტექნოლოგიურად შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოს.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინი, მარეგულირებელი ჰარმონიზაცია, სტეიბლკოინი, კიბერუსაფრთხოება, ტრანსსასაზღვრო გადახდები, დეცენტრალიზებული პასუხისმგებლობა

LEGAL MECHANISMS FOR RESOLVING JURISDICTIONAL CONFLICTS IN INTERNATIONAL DIGITAL MONEY TRANSACTIONS

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.2>

Nino Jolia

PhD in Economics, PhD student at the Faculty of Law at Caucasus International University, Assistant and Invited Lecturer at the Faculty of Law at Caucasus International University, Invited Lecturer at the Faculty of Business and Technology at Caucasus International University, Georgia, Tbilisi

E-mail: nino.jolia@ciu.edu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0009-1454-650X>

ABSTRACT

The article analyses the cross-border legal challenges arising from the use of digital money and crypto-assets, as well as the possible legal mechanisms for addressing them. The central thesis of the article is that the classical instruments of private international law remain relevant but are insufficient where a transaction is carried out through a distributed ledger, a smart contract, or a virtual asset service provider. The research examines the absence of a uniform legal standard for digital money, the cross-border nature of blockchain-based transactions, the uneven implementation of Anti-Money Laundering and Countering the Financing of Terrorism (AML/CFT) mechanisms, issues of legal liability in cybersecurity, and the regulatory challenges associated with central bank digital currencies and stablecoins. Particular attention is given to challenges relevant to Georgian law, including the supervision of virtual asset service providers and the coordination of financial regulation, data protection, and anti-money laundering mechanisms. The article concludes that resolving legal conflicts in the field of digital money is not limited to determining the applicable law. It requires an interconnected assessment of legal classification, supervision, data protection, Anti-Money Laundering and Countering the Financing of Terrorism requirements, and financial stability. Accordingly, effective regulation should be based on a harmonized, risk-based, and technologically appropriate legal framework.

Keywords: Blockchain, Regulatory harmonization, Stablecoin, Cybersecurity, Cross-border payments, Decentralized liability

შენიშვნა

ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირება თანამედროვე ფინანსური სამართლის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ბლოკჩეინის ინფრასტრუქტურა, ვირტუალური აქტივების გლობალური ბრუნვა, ციფრული გადახდის სერვისები, სტიბლკოინები და ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების განვითარების პერსპექტივა ტრადიციულ სამართლებრივ კატეგორიებს ახალ კონტექსტში აყენებს. სამართალი, რომელიც ისტორიულად ეფუძნებოდა ტერიტორიულობის პრინციპს, რეგულირებული სუბიექტის იდენტიფიცირებასა და ცენტრალიზებული ფინანსური შუამავლის არსებობას, დღეს ფუნქციონირებს არსებითად განსხვავებულ ტექნოლოგიურ გარემოში. ასეთ გარემოში ტრანზაქცია შესაძლოა, ერთდროულად უკავშირდებოდეს რამდენიმე იურისდიქციას, ხოლო მისი განხორციელებისთვის გამოყენებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა არ იყოს მკაფიოდ მიბმული რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიასთან ან სამართლებრივ წესრიგთან.

წინამდებარე სტატიის მიზანია ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქციებში წარმოშობილი იურისდიქციული კოლიზიების გადაწყვეტის სამართლებრივი მექანიზმების ანალიზი. „იურისდიქციული კოლიზია“ მოცემულ კონტექსტში არ განიხილება მხოლოდ ვიწრო პროცესუალური მნიშვნელობით, როგორც სასამართლოს კომპეტენციის ან განსჯადობის საკითხი. ციფრული ფულის სფეროში იგი წარმოადგენს მრავალმხრივ სამართლებრივ პრობლემას, რომელიც მოიცავს როგორც გამოსაყენებელი სამართლისა და მარეგულირებელი რეჟიმის განსაზღვრას, ისე ზედამხედველობის, ლიცენზირების, ფინანსური მონიტორინგისა და მომხმარებელთა დაცვის საკითხებს.

კერძოდ, იურისდიქციული კოლიზია აჩენს კითხვებს, თუ რომელი სახელმწიფოს მარეგულირებელი ჩარჩო უნდა გავრცელდეს კონკრეტულ ტრანზაქციაზე; რომელ ორგანოს უნდა ჰქონდეს ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება; სად უნდა დარეგისტრირდეს ან მოიპოვოს ლიცენზია მომსახურების პროვაიდერმა; რომელი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტებს უნდა დაექვემდებაროს ტრანზაქცია; როგორ უნდა დაბალანსდეს ფინანსური მონიტორინგის მოთხოვნები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვალდებულებებთან; და რა მექანიზმებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მომხმარებლის ან ინვესტორის დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების გაწევა ფაქტობრივად საზღვრებს მიღმა ხორციელდება.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია რეგულირების ფრაგმენტულობით. ციფრული ფულის სამართლებრივი სტატუსი სხვადასხვა იურისდიქციაში არაერთგვაროვანია: ერთ სისტემაში იგი შეიძლება აღიქმებოდეს როგორც გადახდის საშუალება, მეორეში – როგორც საინვესტიციო აქტივი, მესამეში – როგორც ვირტუალური აქტივი ან კერძო ციფრული ფული. აღნიშნულ არაერთგვაროვნებას ემატება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის, კიბერუსაფრთხოების, მონაცემთა დაცვისა და მომხმარებელთა დაცვის განსხვავებული მოთხოვნები. შედეგად, იურისდიქციული კოლიზია არ არის მხოლოდ თეორიული პრობლემა; იგი ქმნის პრაქტიკულ რისკებს ზედამხედველობის, აღსრულების, მომხმარებლის დაცვისა და ფინანსური სტაბილურობისთვის.

სტატიის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სისტემური, შედარებითი და ფუნქციური ანალიზი. სისტემური მიდგომა საჭიროა იმისთვის,

რომ ციფრული ფული შეფასდეს როგორც ფინანსური, ტექნოლოგიური და სამართლებრივი ფენომენი. შედარებითი ანალიზი ავლენს, თუ როგორ ცდილობენ საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები იურისდიქციული ფრაგმენტაციის შემცირებას. ფუნქციური ანალიზი კი საშუალებას იძლევა, აქტივი შეფასდეს მისი ეკონომიკური და სამართლებრივი ფუნქციის მიხედვით და არა მხოლოდ ტექნოლოგიური ფორმით. სტატიის ძირითადი თეზისია, რომ ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქციებში იურისდიქციული კოლიზიების გადაწყვეტა მოითხოვს მრავალმრიან მოდელს: აქტივის ფუნქციურ კლასიფიკაციას, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების (VASP) იდენტიფიკაციას, ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტების ჰარმონიზაციას, კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის მოთხოვნების ინტეგრაციას და ეროვნული ზედამხედველობის საერთაშორისო კოორდინაციას.

1. ციფრული ფულის სამართლებრივი ბუნება და იურისდიქციული კოლიზიის წარმოშობის საფუძველი

ციფრული ფულის სამართლებრივი ბუნება იურისდიქციული კოლიზიის საწყის წერტილს წარმოადგენს. ტრადიციული ფული, როგორც წესი, დაკავშირებულია სახელმწიფოს სუვერენულ

უფლებამოსილებასთან, ცენტრალურ ბანკთან, საბანკო ინფრასტრუქტურასთან და ტერიტორიულად განსაზღვრულ გადახდის სისტემებთან. ციფრული ფული და ვირტუალური აქტივები კი ხშირად ფუნქციონირებენ დეცენტრალიზებულ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც არ ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს. ბლოკჩეინი ხასიათდება ტრანზაქციების გამჭვირვალობით, უცვლელობითა და განაწილებული ჩანაწერის სისტემით, თუმცა, სწორედ ეს მახასიათებლები ქმნის კლასიკური რეგულირების შეზღუდვებს.¹

ციფრული ფულის სამართლებრივი შეფასება რთულდება მისი ფუნქციური მრავალფეროვნებით. ერთი და იგივე ციფრული აქტივი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანგარიშსწორებისთვის, საინვესტიციო მიზნებისთვის, ღირებულების შესანახად ან სავაჭრო ოპერაციებისთვის. თუ აქტივი გადახდის საშუალებად გამოიყენება, სამართლებრივი შეფასების ცენტრალურ საკითხებად გადახდის უსაფრთხოება, მომხმარებელთა დაცვის უზრუნველყოფა და AML/CFT კონტროლის მექანიზმები გამოდის. თუ იგი გამოიყენება საინვესტიციო მიზნებისთვის, აქტუალური ხდება ინვესტორის დაცვა, ინფორმაციის გამჭვირება და ბაზრის ზედამხედველობა. თუ აქტივი მიბმულია ფიატ ვალუტაზე ან სხვა აქტივებზე, მისი რეგულირება უახლოვდება სტეიბლკოინის პრობლემატიკას, სადაც ცენტრალური საკითხებია რეზერვები, გამოსყიდვის უფლება, ლიკვიდობა და ფინანსური სტაბილურობა.²

- 1 Al Mashhour, O.F., Abd Aziz, A.S. and Mohd Noor, N.A., 2022. Blockchain and its Entire Eco-System: A Legal Consideration to an International Cross-Border Technology. *International Journal of Multidisciplinary Sciences and Advanced Technology*, 3(3), გვ. 15. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/363645357_Blockchain_and_its_Entire_Eco-System_A_Legal_Consideration_to_an_International_Cross-Border_Technology [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- 2 Gorton, G.B. and Zhang, J.Y., 2023. Taming Wildcat Stablecoins. *University of Chicago Law Review*, 90(3), გვ. 909. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://chicagounbound.uchicago.edu/uclrev/vol90/iss3/3/> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

სწორედ ეს ფუნქციური მრავალფეროვნება წარმოშობს იურისდიქციულ კოლიზიას. ერთი ტრანზაქცია შეიძლება ერთდროულად დაექვემდებაროს რამდენიმე სამართლებრივ რეჟიმს: გადახდის მომსახურების წესებს, ვირტუალური აქტივების რეგულირებას, AML/CFT სტანდარტებს, მონაცემთა დაცვის მოთხოვნებს და მომხმარებელთა დაცვის ნორმებს. ამასთან, სხვადასხვა სახელმწიფო ერთსა და იმავე აქტივს განსხვავებულად აფასებს. თუ ერთი იურისდიქცია მას გადახდის ინსტრუმენტად მიიჩნევს, ხოლო მეორე – საინვესტიციო პროდუქტად, ტრანზაქციის მონაწილეები დგანან სამართლებრივი გაურკვევლობის წინაშე.

კოლიზიის გადაწყვეტის პირველი მექანიზმი უნდა იყოს ფუნქციური კლასიფიკაცია. სამართალმა ციფრული ფული უნდა შეაფასოს არა მხოლოდ ტექნოლოგიური ფორმით, არამედ მისი რეალური ეკონომიკური ფუნქციით. ასეთი მიდგომა ამცირებს ფორმალურ გაურკვევლობას და ეხმარება მარეგულირებელს განსაზღვროს, რომელი წესები უნდა გავრცელდეს კონკრეტულ ტრანზაქციაზე. ამავდროულად, ფუნქციური კლასიფიკაცია არ გამორიცხავს ერთდროულ რეგულირებას. პირიქით, ციფრული ფულის ჰიბრიდული ბუნების გამო შესაძლებელია, მასზე გავრცელდეს რამდენიმე რეჟიმი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მკაფიო პრიორიტეტებით და არა ფრაგმენტულად.

მეორე მექანიზმი არის რეგულირებადი სუბიექტის იდენტიფიკაცია. სრულად დეცენტრალიზებულ ქსელზე პირდაპირი სამართლებრივი ზემოქმედება რთულია, თუმცა პრაქტიკაში მომხმარებლისა და ბაზრის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება შუამავლების, პლატფორმების,

გაცვლის სერვისების, საფულის მომსახურების მიმწოდებლებისა და სხვა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების (VASP) მეშვეობით. სწორედ აღნიშნული სუბიექტები შეიძლება იქცნენ იურისდიქციის განსაზღვრის პრაქტიკულ წერტილად, რადგან მათ მიმართ შესაძლებელია რეგისტრაციის, ლიცენზირების, იდენტიფიკაციის, ანგარიშგების, უსაფრთხოების და მომხმარებელთა დაცვის მოთხოვნების დაწესება.

2. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტები, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები და საზედამხებო კომპეტენციის გადაკვეთა

ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქციებში იურისდიქციული კოლიზიის ყველაზე პრაქტიკული გამოვლინება AML/CFT სფეროში გვხვდება. დეცენტრალიზებული ციფრული აქტივები, ფსევდონიმურობა და გლობალური გადარიცხვების სისწრაფე ზრდის უკანონო ფინანსური საქმიანობის რისკს. ამ მიზეზით, AML/CFT სტანდარტები ციფრული ფულის სამართლებრივი კონტროლის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იქცა.³

ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიდგომის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ცდილობს ვირტუალური აქტივებისა და VASP-ების მიმართ გამოიყენოს ის AML/CFT ლოგიკა, რომელიც ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებზე ვრცელდება. ამ მიდგომის თანახმად, ვირტუალური აქტივი

3 შეადარე. Al-Tawil, T.N., 2023. Anti-money laundering regulation of cryptocurrency: UAE and global approaches. *Journal of Money Laundering Control*, 26(6), გვ. 1150. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1108/JMLC-07-2022-0109> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

შეიძლება იყოს ღირებულების ციფრული გამოხატულება, რომელიც გამოიყენება გადახდის, ინვესტიციის ან გადარიცხვის მიზნებისთვის, ხოლო VASP არის ის სუბიექტი, რომელიც ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს გაცვლას, გადარიცხვას, შენახვას, ადმინისტრირებას ან სხვა შესაბამის მომსახურებას.⁴

VASP-ის კონცეფცია იურისდიქციულად მნიშვნელოვანია, რადგან სამართლებრივი ზედამხედველობა ხშირად ვერ ხორციელდება თვითონ დეცენტრალიზებულ პროტოკოლზე, მაგრამ შესაძლებელია განხორციელდეს იმ სუბიექტებზე, რომლებიც მომხმარებლებს ციფრული აქტივის შეძენის, გაცვლის, შენახვის ან გადარიცხვის საშუალებას აძლევენ. ამდენად, VASP წარმოადგენს რეგულირების ე.წ. „დამაგრების წერტილს“. სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს, როდის მიიჩნევა მომსახურების მიმწოდებელი მის იურისდიქციასთან დაკავშირებულად: მაგალითად, თუ იგი მომსახურებას სთავაზობს ადგილობრივ მომხმარებლებს, იყენებს ადგილობრივ ვალუტას, ახორციელებს მარკეტინგს ადგილობრივ ბაზარზე ან ამუშავებს ადგილობრივი მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს.

FATF-ის მიერ დადგენილი „ინფორმაციის თანმხლები გადაცემის წესი“ (Travel Rule) ამ მოდელის ცენტრალური ნაწილია. მისი მიზანია გადარიცხვასთან დაკავშირებული გამგზავნისა და მიმღების

ინფორმაციის შენახვა და გადაცემა ისე, რომ ტრანსსასაზღვრო ოპერაცია არ დარჩეს სამართლებრივი კონტროლის მიღმა.⁵ თუმცა, ციფრული ფულის სფეროში ეს წესი განსაკუთრებულ სირთულეებს აჩენს. ერთი მხრივ, AML/CFT მიზნებისთვის საჭიროა ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება; მეორე მხრივ, ბლოკჩეინის გარემოში ტრანზაქციის მონაწილე შეიძლება არ იყოს ტრადიციული საბანკო ანგარიშის მფლობელი, ხოლო საფულებს შორის გადარიცხვა შეიძლება განხორციელდეს რეგულირებული შუამავლის გარეშე.

ამ კონტექსტში იურისდიქციული კოლიზიის გადაწყვეტა უნდა დაეფუძნოს სამ საფეხურს. პირველი საფეხურია მინიმალური საერთო AML/CFT სტანდარტის აღიარება – მომხმარებლის იდენტიფიკაცია, ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, საექსპო ოპერაციების მონიტორინგი და ანგარიშგება. მეორე საფეხურია ზედამხედველობის კოორდინაცია იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი ტრანზაქცია რამდენიმე სახელმწიფოს ეხება. მესამე საფეხურია რისკზე დაფუძნებული მიდგომა, რადგან ყველა ციფრული აქტივის ტრანზაქცია ერთნაირ საფრთხეს არ წარმოშობს.⁶

რისკზე დაფუძნებული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ რეგულაციამ არ შეაფერხოს ინოვაცია და ამავედროულად არ დატოვოს მაღალი

4 Financial Action Task Force, 2014. Virtual Currencies: Key Definitions and Potential AML/CFT Risks. Paris: FATF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

<<https://www.fatf-gafi.org/content/dam/fatf-gafi/reports/Virtual-currency-key-definitions-and-potential-aml-cft-risks.pdf>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

5 Financial Action Task Force, 2019. FATF Recommendation 15: New Technologies. Paris: FATF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

<<https://www.fatf-gafi.org/content/dam/fatf-gafi/recommendations/FATF%20Recommendations%202012.pdf.coredownload.inline.pdf>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

6 Financial Action Task Force, 2024. Virtual Assets: Targeted Update on Implementation of the FATF Standards on VAs and VASPs. Paris: FATF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

<<https://www.fatf-gafi.org/en/publications/Fatfrecommendations/targeted-update-virtual-assets-vasps-2024.html>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

რისკის ოპერაციები კონტროლის გარეშე. ასეთი მიდგომა საჭიროებს ტრანზაქციის მოცულობის, მხარეთა რისკ-პროფილის, იურისდიქციის რეპუტაციის, მომსახურების ტიპისა და ტექნოლოგიური მახასიათებლების შეფასებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება AML/CFT ვალდებულებები იყოს პროპორციული და ეფექტიანი.

აღნიშნული სამსაფუხურიანი მოდელის პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს რეზიდენტი მომხმარებელი ტრანსსასაზღვრო გადარიცხვის მიზნით იყენებს უცხოური ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერსა და სტაბილურ ვირტუალურ აქტივს. ასეთ ვითარებაში, ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის სტანდარტების შესაბამისად, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს ეკისრება გამგზავნისა და მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემების შეგროვებისა და მათი გადაცემის ვალდებულება „ინფორმაციის თანმხლები გადაცემის წესის“ ფარგლებში, მათ შორის, უცხო ქვეყნის პარტნიორი მომსახურების მიმწოდებლისთვის. აღნიშნული ვალდებულება არ ქარწყლდება იმ გარემოებით, რომ ტრანზაქცია ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლოა, განხორციელდეს დეცენტრალიზებულ ბლოკჩეინზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც ტრანზაქციის განხორციელების ტექნიკური ადგილი მკაფიოდ არ იდენტიფიცირდება, ზედამხედველობის სამართლებრივი და პრაქტიკული „მიზნის წერტილი“ ყალიბდება მომსახურების მიმწოდებელ ვირტუალური აქტივის პროვაიდერთან. სწორედ ეს სუბიექტი წარმოადგენს იმ რეგულირებად შუამავალს, რომლის მე-

შვეობითაც დეცენტრალიზებული ტექნოლოგიური გარემო უკავშირდება სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემას. ამდენად, მოდელი ეფუძნება არა უშუალოდ ბლოკჩეინის ქსელის ტერიტორიულ ლოკალიზაციას, არამედ იმ რეგულირებადი სუბიექტის იდენტიფიცირებას, რომელიც მომხმარებელს აძლევს ვირტუალურ აქტივებზე წვდომას და უზრუნველყოფს ტრანზაქციის განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება როგორც FATF-ის მე-15 რეკომენდაციის ლოგიკას, ისე ვირტუალური აქტივებისა და მათი მომსახურების პროვაიდერების შესახებ 2024 წლის მიზნობრივი განახლებით გაძლიერებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

3. ევროკავშირის მოდელი: MICA, GDPR, PSD2 და NIS2 – როგორც კოლიზიის შემცირების ინსტრუმენტები

ევროკავშირის სამართლებრივი ჩაჩოცი ციფრული ფულის იურისდიქციული კოლიზიების შემცირების ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ მაგალითს წარმოადგენს. კრიპტოაქტივების ბაზრების შესახებ რეგულაცია (Markets in Crypto-Assets Regulation (MiCA)) ქმნის ერთიან რეჟიმს კრიპტოაქტივებისა და კრიპტოაქტივების მომსახურების მიმწოდებლებისთვის ევროკავშირის ბაზარზე. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს ერთიანი ბაზრის ფარგლებში შეამციროს რეგულაციური ფრაგმენტაცია და წინასწარ განსაზღვროს ავტორიზაციის, გამჭვირვალობის, ორგანიზაციული და მომხმარებელთა დაცვის მოთხოვნები.⁷

MiCA-ს მიდგომა ციფრული აქტივების კლასიფიკაციის მიმართულებით განსაკუთ-

7 European Parliament and Council, 2023. Regulation (EU) 2023/1114 on Markets in Crypto-Assets. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32023R1114> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

რებით რელევანტურია იურისდიქციული კოლიზიებისთვის. რეგულაცია განასხვავებს სხვადასხვა ტიპის კრიპტოაქტივებს, მათ შორის, აქტივებით უზრუნველყოფილ ტოკენებსა და ელექტრონული ფულის ტოკენებს. ასეთი კლასიფიკაცია ეხმარება სამართალს განსაზღვროს, რომელი რეჟიმი უნდა გავრცელდეს კონკრეტულ აქტივზე. ამავდროულად, MiCA არ წყვეტს ყველა კოლიზიურ საკითხს, რადგან ციფრული აქტივების ტრანზაქციები ხშირად სცდება ევროკავშირის ტერიტორიას და უკავშირდება მესამე ქვეყნებში არსებულ პლატფორმებს ან მომხმარებლებს.

ამ კონტექსტში დამოუკიდებელ სამართლებრივ პრობლემად წარმოჩნდება მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (General Data Protection Regulation (GDPR)) როლი, ვინაიდან ფინანსური მონიტორინგის მიზნებისთვის მონაცემთა შეგროვებისა და გადაცემის ვალდებულება უნდა დაბალანსდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის, მიზნობრიობის, პროპორციულობისა და მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპებთან. ციფრული ფულის ტრანზაქცია ხშირად მოიცავს პერსონალურ მონაცემებს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი მოითხოვს მომხმარებლის იდენტიფიკაციას, მონაცემთა შენახვას და საჭიროების შემთხვევაში მათ გაზიარებას. GDPR მოითხოვს მონაცემთა დამუშავების კანონიერ საფუძველს, პროპორციულობას, უსაფრთხოებას და „privacy by design“

და „privacy by default“ მიდგომებს.⁸ ციფრული ფულის სფეროში ეს პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს AML/CFT მოთხოვნებს, რაც მარტივი არ არის. თუ AML/CFT ლოგიკა ითხოვს ინფორმაციის შენახვასა და გადაცემას, მონაცემთა დაცვის ლოგიკა ითხოვს დამუშავების მინიმიზაციას, მიზნობრიობას და უსაფრთხოებას.

გადახდის მომსახურების მეორე დირექტივა (PSD2)⁹ ციფრული გადახდების უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სტანდარტია. იგი მოითხოვს მომხმარებლის გაძლიერებულ ავთენტიფიკაციას და ქმნის ოპერაციული და უსაფრთხოების რისკების მართვის ჩარჩოს.¹⁰ ციფრული ფულის ტრანზაქციებში ეს ნიშნავს, რომ იურისდიქციის საკითხი ვერ შეფასდება მხოლოდ ფინანსური სამართლის ფარგლებში; აუცილებელია ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინება. თუ მომხმარებელი ერთ სახელმწიფოშია, მომსახურების მიმწოდებელი – მეორეში, ხოლო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა – მესამე იურისდიქციაში, უსაფრთხოების დარღვევა ერთდროულად შეიძლება შეეხოს რამდენიმე მარეგულირებელ რეჟიმს.

ქსელისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების მეორე დირექტივა (NIS2)¹¹ ამ ლოგიკას კიდევ უფრო ავითარებს და კრიტიკული სექტორებისთვის კიბერუსაფრთხოების საერთო დონეს ადგენს. ციფრული ფინანსური სერვისე-

8 Voigt, P. and von dem Bussche, A., 2024. The EU General Data Protection Regulation (GDPR): A Practical Guide. Cham: Springer.

9 European Parliament and Council of the European Union, 2015. Directive (EU) 2015/2366 on payment services in the internal market. Official Journal of the European Union, L 337, გვ. 35. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2015/2366/oj/eng>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

10 European Banking Authority, 2017. Guidelines on the Security Measures for Operational and Security Risks of Payment Services under Directive (EU) 2015/2366, EBA-GL-2017-17.

11 European Parliament and Council of the European Union, 2022. Directive (EU) 2022/2555 on measures for a high common level of cybersecurity across the Union. Official Journal of the European Union, L 333, გვ. 80. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2022/2555/oj/eng>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

ბი კიბერუსაფრთხოების მაღალი რისკის სფეროა, სადაც ინციდენტი შეიძლება გადაიზარდოს მომხმარებლის ზიანში, ბაზრის ნდობის დაკარგვასა და სისტემურ საფრთხეში. ამიტომ იურისდიქციული კოლიზიის გადაწყვეტა მოითხოვს არა მხოლოდ იმის დადგენას, რომელმა ფინანსურმა ორგანომ უნდა იმოქმედოს, არამედ იმასაც, რომელი კიბერუსაფრთხოების სტანდარტი და ინციდენტის შეტყობინების ვალდებულება გავრცელდება კონკრეტულ სუბიექტზე.

ევროკავშირის მოდელი აჩვენებს, რომ ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირება მრავალსექტორულია. ფინანსური რეგულირება, AML/CFT, მონაცემთა დაცვა და კიბერუსაფრთხოება ერთმანეთისგან იზოლირებულად ვერ იმუშავებს. სწორედ ამიტომ, იურისდიქციული კოლიზიების შემცირების ეფექტიანი მექანიზმი უნდა იყოს ინტეგრირებული – ერთდროულად უნდა პასუხობდეს აქტივის სამართლებრივ ბუნებას, მომსახურების მიმწოდებლის სტატუსს, მომხმარებლის დაცვას, პერსონალურ მონაცემებს და ოპერაციულ მდგრადობას.

4. CBDC და სთეიბლკოინები: განსხვავებული სამართლებრივი ბუნება და განსხვავებული კოლიზიური რისკები

ციფრული ფულის ყველა ფორმა ერთნაირ იურისდიქციულ პრობლემას არ წარმოშობს. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა (CBDC) და სთეიბლკოინი ამ

მხრივ განსხვავებული სამართლებრივი კატეგორიებია. CBDC უკავშირდება სახელმწიფოს მონეტარულ სუვერენიტეტს და ცენტრალური ბანკის უფლებამოსილებას, ხოლო სთეიბლკოინი – კერძო ემიტენტს, რეზერვებს, გამოსყიდვის მექანიზმს, გადახდის ფუნქციასა და ფინანსური სტაბილურობის რისკებს.

CBDC-ის შემთხვევაში იურისდიქციული კოლიზია ნაკლებად ეხება ემიტენტის იდენტიფიკაციას, რადგან ემიტენტი ცენტრალური ბანკია. მთავარი პრობლემაა, თუ როგორ დაბალანსდეს ცენტრალური ბანკის ფუნქცია, მომხმარებლის კონფიდენციალურობა, მონაცემთა დაცვა და AML/CFT მოთხოვნები. CBDC-ის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა შეიძლება იძლეოდეს ტრანზაქციების უფრო მაღალი ხარისხით მიკვლევადობის შესაძლებლობას, რაც სასარგებლოა ფინანსური მონიტორინგისთვის, მაგრამ ამავედროულად ზრდის პერსონალური მონაცემების დამუშავების მასშტაბს.¹²

CBDC-ის სამართლებრივი ბუნება კლასიკურ კატეგორიებს სრულად არ ემთხვევა. იგი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ცენტრალური ბანკის ფულის ციფრული ფორმა, მაგრამ მისი გამოყენება განსხვავდება ფიზიკური ნაღდი ფულისგან, რადგან დაკავშირებულია ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასთან, მონაცემთა დამუშავებასთან და ოპერაციულ კონტროლთან.¹³ აქედან გამომდინარე, CBDC-ის სამართლებრივი ჩარჩო უნდა განსაზღვრავდეს არა მხოლოდ გამოშვებისა და გამოყენების წესებს, არამედ მონაცემთა დაცვის, უსაფრთხოების, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა დაცვის გარანტიებს.

12 Auer, R. and Böhme, R., 2020. The Technology of Retail Central Bank Digital Currency. BIS Quarterly Review, March, გვ. 85. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.bis.org/publ/qtrpdf/r_qt2003j.htm [წვდომის თარიღი 15.05.2026].

13 European Central Bank, 2020. Report on a Digital Euro. Frankfurt am Main: ECB. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.ecb.europa.eu/euro/digital_euro/report/html/index.en.html [წვდომის თარიღი: 15.05.2026].

სტეიბლკოინების შემთხვევაში კოლიზიური რისკი განსხვავებულია. ისინი კერძო ციფრული ფულის ფორმას უახლოვდება და შეიძლება ერთდროულად ასრულებდეს გადახდის, ღირებულების შენახვისა და საინვესტიციო ფუნქციას. სტეიბლკოინების რეგულირებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეზერვების ხარისხი, მათი გამჭვირვალობა, გამოსყიდვის უფლება, ემიტენტის პასუხისმგებლობა და მომხმარებელთა დაცვა.¹⁴

სტაბილური ვირტუალური აქტივი იურისდიქციულ სირთულეს ქმნის, რადგან ემიტენტი, რეზერვის აქტივები, მომხმარებელი, სავაჭრო პლატფორმა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა შესაძლოა, სხვადასხვა სახელმწიფოს უკავშირდებოდეს. ასეთ პირობებში ბუნდოვანი ხდება, რომელმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა, რომელი მომხმარებელთა დაცვისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის წესები უნდა გავრცელდეს და როგორ უნდა აღსრულდეს მოთხოვნა რეზერვის აქტივებზე. MiCA-ს მიერ აქტივებით უზრუნველყოფილი ტოკენებისა და ელექტრონული ფულის ტოკენების განსხვავება ამ პრობლემის შემცირების მცდელობაა, თუმცა, გლობალური ტრანზაქციების დონეზე იგი სრულ გადაწყვეტას ვერ უზრუნველყოფს.¹⁵

მაგალითად, თუ აქტივით უზრუნველყოფილი სტეიბლკოინის ემიტენტი რეგისტრირებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში და ექვემდებარება MiCA-ს, მისი რეზერვის აქტივები ინახება მესამე ქვეყნის საბანკო სესხსა ან

ობლიგაციებში, ხოლო მომხმარებელი და სავაჭრო პლატფორმა საქართველოს იურისდიქციასთან არიან დაკავშირებულნი, ზედამხედველობისა და მომხმარებელთა დაცვის ცალკეული ელემენტები გაყოფილია სხვადასხვა რეჟიმებს შორის. ემიტენტზე ვრცელდება MiCA-ს მიერ დადგენილი მოთხოვნები რეზერვების ხარისხზე, გამჭვირვალობასა და გამოსყიდვის უფლებაზე, მაშინ როდესაც საქართველოს მომხმარებელთა დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნები და მომხმარებელთა დაცვის სტატუსი უნდა განისაზღვროს ეროვნული სამოქალაქო და ფინანსური კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ არ ასახავდეს სტეიბლკოინის სპეციფიკას. ამასთან ერთად, თუ გადახდა ხორციელდება ტრანსსაზღვრო რეჟიმში, AML/CFT მოთხოვნები უკვე მოითხოვენ FATF-ის სტანდარტების, მათ შორის, ვირტუალური აქტივებისა და VASP-ების შესახებ 2024 წლის განახლებული რეკომენდაციების, კოორდინირებულ იმპლემენტაციას როგორც ევროკავშირის, ისე საქართველოს ზედამხედველი ორგანოების მხრიდან.

სტეიბლკოინების მაგალითი აჩვენებს, რომ იურისდიქციული კოლიზიის გადაწყვეტისათვის საჭიროა რეზერვებზე, ემიტენტსა და მომხმარებელზე ორიენტირებული კომბინირებული მიდგომა. თუ აქტივი ფართოდ გამოიყენება გადახდისთვის, რეგულაციამ უნდა უზრუნველყოს გამოსყიდვის სანდოობა და მომხმარებელთა დაცვა. თუ იგი სისტემურად მნიშვნელოვანი ხდება, საჭიროა ფინანსური სტაბილურობისა და მონეტარული

14 Berentsen, A. and Schär, F., 2019. Stablecoins: The Quest for a Low-Volatility Cryptocurrency. In: Fatás, A., "ed." The Economics of Fintech and Digital Currencies. London: CEPR Press, გვ. 70. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://cepr.org/system/files/publication-files/60138-the-economics-of-fintech-and-digital-currencies.pdf> [წვდომის თარიღი: 15.05.2026].

15 European Parliament and Council, 2023. Regulation (EU) 2023/1114 on Markets in Crypto-Assets. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32023R1114> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

პოლიტიკის რისკების გათვალისწინება. თუ იგი გამოიყენება ტრანსსასაზღვრო გადარიცხვებში, აუცილებელია AML/CFT და მონაცემთა დაცვის რეჟიმების კოორდინაცია.

5. ქართული სამართლის სამომავლო განვითარების მიმართულებები

ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქციები საქართველოსთვის, როგორც წესი, ტრანსსასაზღვრო ელემენტს შეიცავს: მომხმარებელი შესაძლოა, საქართველოში იმყოფებოდეს, მომსახურების მიმწოდებელი – სხვა იურისდიქციაში, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა – გლობალურ ქსელში, ხოლო აქტივი ისეთი ფორმით არსებობდეს, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობა ჯერ მკაფიოდ არ განსაზღვრავს. ამიტომ ქართული სამართლისთვის ძირითადი ამოცანაა არა მხოლოდ ციფრული ფულის ზოგადი აღიარება, არამედ ისეთი სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც განსაზღვრავს მარეგულირებელ კომპეტენციას, ზედამხედველობის ფარგლებს, მომხმარებელთა დაცვის წესებსა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისობას.

პირველი სამომავლო საკანონმდებლო მიმართულება¹⁶ არის ციფრული ფულისა და ვირტუალური აქტივების ფუნქციური კლასიფიკაციის დანერგვა. ეროვნულმა სამართალმა უნდა განასხვავოს ციფრული აქტივი, რომელიც გამოიყენება გადახდისთვის; აქტივი, რომელიც ქმნის საინვესტიციო მოლოდინს; სტიმულკოინი, რომელიც უკავშირდება რეზერვებსა და გამოსყიდვის უფლებას;

და CBDC, როგორც ცენტრალური ბანკის ფულის ციფრული ფორმა. ასეთი კლასიფიკაცია აუცილებელია იმისთვის, რომ ზედამხედველმა ორგანოებმა იცოდნენ, რომელი რეჟიმი უნდა გავრცელდეს კონკრეტულ პროდუქტზე.

მეორე მიმართულება არის VASP-ების მარეგულირებელი სტატუსის მკაფიო განსაზღვრა. ქართული სამართლისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა შემთხვევაში ექვევა უცხოური VASP საქართველოს მარეგულირებელი ინტერესის ქვეშ. ასეთი კავშირი შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც მომსახურება აქტიურად მიემართება საქართველოს მომხმარებლებზე, გამოიყენება ქართული ენა ან ადგილობრივი გადახდის არხები, მუშავდება საქართველოს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები ან იქმნება AML/CFT რისკი საქართველოს ფინანსური სისტემისთვის.

მესამე მიმართულება არის AML/CFT ვალდებულებების ტექნოლოგიურად შესაბამისი მოდელი. ვირტუალური აქტივების მომსახურების მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს მომხმარებლის იდენტიფიკაციის, ტრანზაქციის მონიტორინგის, საექვო ოპერაციების ანგარიშგების, მონაცემთა შენახვისა და საჭირო ინფორმაციის გადაცემის ვალდებულებები. ამასთან, რეგულაცია უნდა იყოს რისკზე დაფუძნებული და არ უნდა აწესებდეს ერთნაირ სიმძიმეს დაბალი და მაღალი რისკის ოპერაციებზე.

მეოთხე მიმართულება არის კიბერუსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტეგრაცია ფინანსურ რეგულირებაში. ციფრული ფულის ტრანზაქცია ერთდროულად არის ფინანსური ოპერაცია და მონაცემთა დამუშავების პროცესი. ამიტომ მარეგულირებელმა ჩაიჩინა უნდა მოითხოვოს შესაბამისი ტექ-

16 De lege ferenda (ლათ. „სამომავლო კანონის თვალსაზრისით“) – აღნიშნავს იმ წინადადებებს, თუ როგორი უნდა იყოს სამართალი.

ნიკური და ორგანიზაციული ზომები, ინციდენტების მართვის პროცედურები, უსაფრთხოების აუდიტი და მომხმარებელთა მონაცემების პროპორციული დამუშავება.¹⁷

მეხუთე მიმართულება არის ზედამხედველ ორგანოთა კოორდინაცია. ციფრული ფულის სფეროში შეიძლება ერთდროულად იყოს ჩართული ფინანსური ზედამხედველობა (მათ შორის, AML/CFT, კიბერუსაფრთხოების კომპეტენტური უწყებები), პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანო. თუ მათი კომპეტენციები არ იქნება კოორდინირებული, იურისდიქციული კოლიზია შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდა სამართლებრივ დონეზეც. ამიტომ საჭიროა ინფორმაციის გაცვლის, ერთობლივი ზედამხედველობისა და საგანგებო ინციდენტებზე რეაგირების პროცედურების წინასწარ განსაზღვრა.

დასკვნა

ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქციებში იურისდიქციული კოლიზიების გადაწყვეტა მოითხოვს სამართლებრივი აზროვნების გადანაცვლებას ტერიტორიულად შეზღუდული მოდელიდან ფუნქციურ და რისკზე დაფუძნებულ მოდელზე. ციფრული ფინანსური ურთიერთობა არ არის მხოლოდ გადახდა ან მხოლოდ ინვესტიცია; იგი ხშირად აერთიანებს გადახდის, საინვესტიციო, ტექნოლოგიურ, მონაცემთა დაცვისა და კიბერუსაფრთხოების ელემენტებს. სწორედ ამიტომ, ერთმნიშვნელოვანი და ერთსაფეხურიანი გადაწყვეტა საკმარისი არ არის.

სტატიის ძირითადი დასკვნაა, რომ იურისდიქციული კოლიზიების გადაწყვეტის

ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმი მრავალშრიანი უნდა იყოს. პირველ საფეხურზე საჭიროა ციფრული აქტივის ფუნქციური კლასიფიკაცია. მეორე საფეხურზე უნდა განისაზღვროს რეგულირებადი სუბიექტი, განსაკუთრებით ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი. მესამე საფეხურზე აუცილებელია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტების, მათ შორის, „ინფორმაციის თანმხლები გადაცემის წესის“, პროპორციული და ტექნოლოგიურად შესაბამისი დანერგვა. მეოთხე საფეხურზე ფინანსური რეგულირება უნდა დაუკავშირდეს კიბერუსაფრთხოებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას. მეხუთე საფეხურზე ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა და სტაბილური ვირტუალური აქტივები უნდა მოწესრიგდეს მათი განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით.

ქართული სამართლისთვის აღნიშნულ ანალიზს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ციფრული ფულის საერთაშორისო ტრანზაქცია საქართველოს იურისდიქციას შეიძლება დაუკავშირდეს მომხმარებლის, მომსახურების მიმწოდებლის, მონაცემთა დამუშავების, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის რისკის ან ფინანსური სტაბილურობის საფუძველზე. ამდენად, საჭიროა ისეთი ეროვნული ჩარჩო, რომელიც ციფრული ფულის სპეციფიკურ რისკებს ცალკე, სისტემურად და საერთაშორისო სტანდარტებთან კოორდინირებულად მოაწესრიგებს.

17 Anderson, R., Böhme, R., Clayton, R. and Moore, T., 2008. Security Economics and European Policy. In: Johnson, M.E., "ed." Managing Information Risk and the Economics of Security. New York: Springer, გვ. 55.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბისონია, ზ., 2019. ბიტკოინის, როგორც ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების კონცეპტუალური ასპექტები, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2.
2. Al Mashhour, O.F., Abd Aziz, A.S. and Mohd Noor, N.A., 2022. Blockchain and its Entire Eco-System: A Legal Consideration to an International Cross-Border Technology. International Journal of Multidisciplinary Sciences and Advanced Technology, 3(3). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/363645357_Blockchain_and_its_Entire_Eco-System_A_Legal_Consideration_to_an_International_Cross-Border_Technology [წვდომის თარიღი 15.05.2026].
3. Al-Tawil, T.N., 2023. Anti-money laundering regulation of cryptocurrency: UAE and global approaches. Journal of Money Laundering Control, 26(6). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1108/JMLC-07-2022-0109> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
4. Anderson, R., Böhme, R., Clayton, R. and Moore, T., 2008. Security Economics and European Policy. In: Johnson, M.E., „ed.“ Managing Information Risk and the Economics of Security. New York: Springer, გვ. 55.
5. Auer, R. and Böhme, R., 2020. The Technology of Retail Central Bank Digital Currency. BIS Quarterly Review, March. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.bis.org/publ/qtrpdf/r_qt2003j.htm [წვდომის თარიღი 15.05.2026].
6. Berentsen, A. and Schär, F., 2019. Stablecoins: The Quest for a Low-Volatility Cryptocurrency. In: Fatás, A., ed. The Economics of Fintech and Digital Currencies. London: CEPR Press. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://cepr.org/system/files/publication-files/60138-the_economics_of_fintech_and_digital_currencies.pdf [წვდომის თარიღი 15.05.2026].
7. European Central Bank, 2020. Report on a Digital Euro. Frankfurt am Main: ECB. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: www.ecb.europa.eu/euro/digital_euro/report/html/index.en.html [წვდომის თარიღი 15.05.2026].
8. Financial Action Task Force, 2014. Virtual Currencies: Key Definitions and Potential AML/CFT Risks. Paris: FATF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/content/dam/fatf-gafi/reports/Virtual-currency-key-definitions-and-potential-aml-cft-risks.pdf> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
9. Financial Action Task Force, 2019. FATF Recommendation 15: New Technologies. Paris: FATF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/content/dam/fatf-gafi/recommendations/FATF%20Recommendations%202012.pdf.coredownload.inline.pdf> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
10. Financial Action Task Force, 2024. Virtual Assets: Targeted Update on Implementation of the FATF Standards on VAs and VASPs. Paris: FATF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/en/publications/Fatfrecommendations/targeted-update-virtual-assets-vasps-2024.html> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
11. Gorton, G.B. and Zhang, J.Y., 2023. Taming Wildcat Stablecoins. University of Chicago Law Review, 90(3). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://chicagounbound.uchicago.edu/uclev/vol90/iss3/3/> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
12. Voigt, P. and von dem Bussche, A., 2024. The EU General Data Protection Regulation (GDPR): A Practical Guide. Cham: Springer.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 1998. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> [წვდომის თარიღი: 15.05.2026].
3. საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო

- მომსახურების შესახებ, 2017. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3654557> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
4. საქართველოს კანონი ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, 2019. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
 5. European Parliament and Council of the European Union, 2015. Directive (EU) 2015/2366 on payment services in the internal market. Official Journal of the European Union, L 337, გვ. 35. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2015/2366/oj/eng> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
 6. European Parliament and Council of the European Union, 2022. Directive (EU) 2022/2555 on measures for a high common level of cybersecurity across the Union. Official Journal of the European Union, L 333. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2022/2555/oj/eng> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
 7. European Parliament and Council of the European Union, 2023. Regulation (EU) 2023/1114 on Markets in Crypto-Assets. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32023R1114> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
 - regulation of cryptocurrency: UAE and global approaches. Journal of Money Laundering Control, 26(6). [Online] available at: <https://doi.org/10.1108/JMLC-07-2022-0109> [Accessed 15.05.2026]. (in English)
 3. Anderson, R., Böhme, R., Clayton, R. and Moore, T., 2008. Security Economics and European Policy. In: Johnson, M.E., ed. Managing Information Risk and the Economics of Security. New York: Springer. (in English)
 4. Auer, R. and Böhme, R., 2020. The Technology of Retail Central Bank Digital Currency. BIS Quarterly Review, March. [Online] available at: https://www.bis.org/publ/qtrpdf/r_qt2003j.htm [Accessed 15.05.2026]. (in English)
 5. Berentsen, A. and Schär, F., 2019. Stablecoins: The Quest for a Low-Volatility Cryptocurrency. In: Fatás, A., ed. The Economics of Fintech and Digital Currencies. London: CEPR Press. [Online] available at: https://cepr.org/system/files/publication-files/60138-the_economics_of_fintech_and_digital_currencies.pdf [Accessed 15.05.2026]. (in English)
 6. European Central Bank, 2020. Report on a Digital Euro. Frankfurt am Main: ECB. [Online] available at: https://www.ecb.europa.eu/euro/digital_euro/report/html/index.en.html [Accessed 15.05.2026]. (in English)
 7. Financial Action Task Force, 2014. Virtual Currencies: Key Definitions and Potential AML/CFT Risks. Paris: FATF. [Online] available at: <https://www.fatf-gafi.org/content/dam/fatf-gafi/reports/Virtual-currency-key-definitions-and-potential-aml-cft-risks.pdf> [Accessed 15.05.2026]. (in English)
 8. Financial Action Task Force, 2019. FATF Recommendation 15: New Technologies. Paris: FATF. [Online] available at: <https://www.fatf-gafi.org/content/dam/fatf-gafi/recommendations/FATF%20Recommendations%202012.pdf.coredownload.inline.pdf> [Accessed 15.05.2026]. (in English)
 9. Financial Action Task Force, 2024. Virtual Assets: Targeted Update on Implementation of the FATF Standards on VAs and VASPs. Paris: FATF. [Online] available at: <https://www.fatf-gafi.org/en/publications/Fatfrecommendations/targeted-update-virtual-assets-vasps-2024.html> [Accessed 15.05.2026]. (in English)
 10. Gabisonia, Z., 2019. Conceptual Aspects of Le-

BIBLIOGRAPHY

Used Literature:

1. Al Mashhour, O.F., Abd Aziz, A.S. and Mohd Noor, N.A., 2022. Blockchain and its Entire Eco-System: A Legal Consideration to an International Cross-Border Technology. International Journal of Multidisciplinary Sciences and Advanced Technology, 3(3). [Online] available at: https://www.researchgate.net/publication/363645357_Blockchain_and_its_Entire_Eco-System_A_Legal_Consideration_to_an_International_Cross-Border_Technology [Accessed 15.05.2026]. (in English)
2. Al-Tawil, T.N., 2023. Anti-money laundering

- gal Regulation of Bitcoin as a Digital Currency, German-Georgian Journal of Comparative Law, 2. (in Georgian)
11. Gorton, G.B. and Zhang, J.Y., 2023. Taming Wildcat Stablecoins. University of Chicago Law Review, 90(3). [Online] available at: <https://chicagounbound.uchicago.edu/uclrev/vol90/iss3/3/> [Accessed 15.05.2026]. (in English)
 12. Voigt, P. and von dem Bussche, A., 2024. The EU General Data Protection Regulation (GDPR): A Practical Guide. Cham: Springer. (in English)

at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32023R1114> [Accessed 15.05.2026]. (in English)

Normative Materials:

1. Law of Georgia on Private International Law, 1998. [Online] available at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
2. Civil Code of Georgia, 1997. [Online] available at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
3. Law of Georgia on Electronic Document and Electronic Trust Services, 2017. [Online] available at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3654557> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
4. Law of Georgia on the Promotion of Prevention of Money Laundering and Terrorism Financing, 2019. [Online] available at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
5. European Parliament and Council of the European Union, 2015. Directive (EU) 2015/2366 on payment services in the internal market. Official Journal of the European Union, L 337, p. 35. [Online] available at: <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2015/2366/oj/eng> [Accessed 15.05.2026]. (in English)
6. European Parliament and Council of the European Union, 2022. Directive (EU) 2022/2555 on measures for a high common level of cybersecurity across the Union. Official Journal of the European Union, L 333, p. 80. [Online] available at: <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2022/2555/oj/eng> [Accessed 15.05.2026]. (in English)
7. European Parliament and Council of the European Union, 2023. Regulation (EU) 2023/1114 on Markets in Crypto-Assets. [Online] available

სამართლებრივი და ეთიკური რეგულაცია პოლიტიკური თემების გაშუქების კონტექსტში

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.3>

ია მახარაძე

ფილოსოფიის დოქტორი, ჟურნალისტიკის მაგისტრი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, თბილისი

ელფოსტა: ia.makharadze788@gmail.com

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0005-2422-7474>

ია მახარაძე

აბსტრაქტი

ეს ნაშრომი წარმოადგენს პოლიტიკის გაშუქებისას ჟურნალისტიკის საქმიანობის საზღვრებს: კანონებს, ქცევის კოდექსებს, კრიტიკას და სამართლიან კომენტარს. იკვლევს პროფესიული იდეოლოგიის დღევანდელ მედია მოდერნიზაციასთან ადაპტაციის ბუნებას. იმ ეთიკურ ნორმებს განიხილავს, რომლებიც როგორც მეინსტრიმ, ასევე არამეინსტრიმ მედიაში წარმოიქმნება, დაწყებული გაზეთებიდან, მაუწყებლობიდან, სოციალური არხების მომხმარებლებითა და ბლოგერებით დამთავრებული. კვლევა ხელახლა განსაზღვრავს ჟურნალისტური სიმართლის ძიების, ობიექტურობისა და ზიანის მინიმიზაციის ტრადიციულ კონცეფციებს გლობალურ მედია პლატფორმების სტრუქტურებში. სტატია ახალი მეინსტრიმული მედიაეთიკის კონტურებს აღწერს. ნაშრომი სვამს პრობლემას კოსმოპოლიტურ პრინციპებზე დაფუძნებული გლობალური მედია ეთიკისთვის. პოლიტიკური ლიდერების მიერ ახალი „შერეული მედიის“ სრულად მართვის შესაძლებლობიდან გამომდინარე, ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის მიერ ნორმებისა და ეთიკური სტანდარტების დაცვა შემცირდა. დიდი ხანია ნორმები, ეთიკა, ტრადიციები მხოლოდ საზოგადოებრივი ქცევის სტანდარტების შესანარჩუნებლად გამოიყენება. სტატიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები ამტკიცებენ, რომ არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ გამომწვეულია იმითაც, რომ სოციალური სტიგმა ველარ ასრულებს სახელმწიფო მოხელეთა ქცევის შემაკავებელი მექანიზმის ფუნქციას. ეს სტატია იმ იდეის გადამუშავებისა და დახვეწის შედეგია, რომლებიც თვალდაპირველად პოლიტიკის კორექტულად გაშუქებაში მოიხაზა. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგებმა სამი ასეთი მექანიზმი აჩვენა: 1. ჟურნალისტიკის პროფესიული როლის ხელახლა გააზრება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის დამცველისა; 2. ეთიკის კოდექსების ზეწოლის როლი ჟურნალისტების ქცევის სათანადო სტანდარტების დამკვიდრებაში. 3. ახალ „შერეული მედიის“ სივრცეში სახელმწიფო მოხელეთა ქცევის სამართლებრივი და ფორმალური რეგულაციების გაძლიერება.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ჟურნალისტიკა, მოხელეთა ქცევა, ჟურნალისტიკის ქცევა, ეთიკის ზეწოლა, ჟურნალისტიკის ინსტრუმენტალიზაცია, ჟურნალისტური პლატფორმიზაცია

LEGAL AND ETHICAL REGULATION IN THE CONTEXT OF COVERAGE OF POLITICAL ISSUES

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.3>

Ia Makharadze

*Doctor of Philosophy, Master of Journalism, Associate Professor at the Faculty of Social Sciences at National University of Georgia
Georgia, Tbilisi*

Email: ia.makharadze788@gmail.com

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0005-2422-7474>

ABSTRACT

This paper presents the boundaries of what journalism can do when covering politics: laws, codes of conduct, criticism, and fair commentary. It examines the ethical norms that arise in both mainstream and non-mainstream media, from newspapers, broadcasters, social media users, and bloggers. The research redefines traditional concepts of journalistic truth-seeking, objectivity and harm-minimization within the structures of global media platforms. The article outlines the contours of new mainstream media ethics. The paper poses a problem for global media ethics based on cosmopolitan principles. With the ability of political leaders to fully control the new mixed media, the adherence of some public officials to norms and ethical standards has decreased. For too long, norms, ethics, traditions have been used only to maintain standards of social behavior. The research methods used in the article argue that the current situation is partly due to the fact that social stigma no longer serves as a mechanism for restraining the behavior of public officials. This article is a refinement of the ideas originally presented in the Political Correctness Report. So, the study revealed three mechanisms: 1. To redefine the professional role of the journalist as a defender of the public good; 2. The role of enforcing codes of ethics in establishing appropriate standards of conduct for journalists. 3. Strengthening legal and formal regulations for the conduct of public officials in the new mixed media space.

KEYWORDS: Political journalism, Official conduct, Journalistic conduct, Pressure on ethics, Instrumentalisation of journalism, Journalistic platformisation

I. შესავალი

1.1. თემის აქტუალობა

ძველი ეგვიპტიდან დაწყებული 5000 წელია, ყველა ქვეყნის ხელისუფლება იმ საქმიანობას ეწევა, რასაც 21-ე საუკუნეში მედიის საშუალებით საზოგადოების ინფორმირებას, საზოგადოებასთან ურთიერთობას უწოდებენ.¹ ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობის მოთხოვნილება ყოველთვის არსებობდა და არსებობს. მოქალაქეებმა ინფორმაციის მისაღებად ხელისუფლებისგან რატივის მომსახურება შეუძლიათ მიიღონ.² დემოკრატიული სახელმწიფოების მედიებში საზოგადოების ინფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სწრაფად ცვალებად სოციალურ-პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ ლანდშაფტთან ერთად, პოლიტიკის თემატიკის ეთიკურად გაშუქების ტენდენციების აღწერა, განმარტება და გამოვლინება ასევე ტრადიციული ინდუსტრიების ფარგლებს სცილდება. პოლიტიკურმა ჟურნალისტებმა მმართველებს უნდა ურჩიონ, როგორ მიაწოდონ

უკეთ ინფორმაცია გადაწყვეტილების ან პროგრამის შესახებ.³ ასევე გააცნონ სახელმწიფო მმართველებსა და აპარატს მასმედიის როლი პოლიტიკური ამბების გაშუქებისას, ასწავლონ, როგორ უნდა იმუშაონ მის წარმომადგენლებთან.⁴ მოქალაქეებმა ასეთი შინაარსის ინფორმაციებზე დაყრდნობით უნდა შეაფასონ მათ მიერ არჩეული წარმომადგენლობის პოლიტიკა და საქმიანობა.⁵ ინფორმაციის მეშვეობით მოქალაქეებმა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეძლონ.⁶ ამ ასპექტში მნიშვნელობა ენიჭება მედიისა და ჟურნალისტების ღირებულებათა სისტემას. განსაზღვროს, როგორ მოიქცევა სპეციფიკურ სიტუაციებში. განიხილოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაში რა არის „სწორი“ ან „მცდარი“, ზუსტი, ნახევრად-ზუსტი და ყალბი, სამართლიანი და უსამართლო, კეთილი და ბოროტი, კარგი და ცუდი, პასუხსაგები და არაპასუხსაგები. ჟურნალისტის ქცევას არა მხოლოდ მისი ცნობიერება განსაზღვრავს, არამედ საზოგადოების, პროფესიული ჯგუფისა

- 1 შეადარე. კოქსი, უ., დენის კამერონი, ლ. და გლენ, ტ., 2011. საზოგადოებასთან ურთიერთობა. პირველი გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: დიოგენე, გვ. 486.
- 2 Brooke, F. L. and Horsley, S. J., 2007. The Government Communication Decision Wheel: Toward a Public relations Model for the Public Sector. Journal of Public Relations Research, 19(4), გვ. 337. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10627260701402473?utm_source=researchgate.net&utm_medium=article> [წვდომის თარიღი 07. 05. 2026].
- 3 Seib, P. and Fitzpatrick, K., 1995. Public Relations Ethics. California: Belmont, CA: Thomson/ Wadsworth, გვ. 45.
- 4 Zielbauer, P., 2007. Propaganda Fear is Cited in Account of Killings of Iraqis. New York: New York Times, გვ. 12. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.nytimes.com/by/paul-von-zielbauer>> [წვდომის თარიღი 08. 05. 2026].
- 5 Cooper, M. and Lou, M., 2007. Were the Campaign Money Goes. New York: New York Times, გვ. 11. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.nytimes.com/2014/10/20/us/the-cost-of-campaigns.html>> [წვდომის თარიღი 07. 05. 2026].
- 6 Wose, K., 2007. Lobbying and Relationship Management: The K Street Connection. Journal of Public Relations Research, გვ. 357. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10627260701402457#:~:text=Public%20relations%20professionals%20working%20as,groups%20build%20identities%20in%20Washington>> [წვდომის თარიღი 09. 05. 2026].

და დამქირავებლის დაწესებული ნორმებიც.⁷ ეს და მსგავსი პრობლემები მედიის წარმომადგენლებს მრავალ თავსატეხს უჩენს, თუმცა საერთაშორისო კვლევები არ ადასტურებს, რომ ძალიან ბევრ ჟურნალისტ – პრაქტიკოსს მყარად ჩამოყალიბებული პირადი შეხედულებები აქვს, ისეთი პრინციპული დამქირავებლისთვის მუშაობს, რომ იშვიათად უწევს საკუთარ ღირებულებებთან კომპრომისზე წასვლა, თუკი დამქირავებლის წინადადება ეთიკის საკითხებს ეჭვქვეშ აყენებს, ჟურნალისტს შეუძლია მათი გაპროტესტება იმ შესაძლო შედეგების მოხმობით, რომლებსაც ასეთი ქმედება გამოიწვევს – მაგალითად, მედიის უარყოფითი შეფასება.⁸ აქედან გამომდინარე, მედიის შინაარსი საზოგადოებრივი დისკუსიის დღის წესრიგსა და განაწესს აყალიბებს. ადამიანები მიდრეკილნი არიან, ილაპარაკონ ახალ ამბებში იმ თემებზე, რომლებიც ნახეს და მოისმინეს. მედია ამბებისა და სათაურების შერჩევის საშუალებით პუბლიკას ეუბნება, რაზე უნდა იფიქროს და რა უნდა იფიქროს. რეალობაში სხვა პრობლემური საკითხია – როგორც ჟურნალისტების, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობის კრიტიკოსებისთვის – რამდენად შეუძლია პრაქტიკოს ჟურნალისტს დაწეროს პოლიტიკაზე ეთიკურად, როცა იგი, ამავედროულად, საკუთარი საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის, პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის მცველია.⁹ ზოგიერთის მოსაზრებით,

ჟურნალისტები პოლიტიკურ თემებს პირადი პერსპექტივიდან და პროფესიული ღირებულებებიდან გამომდინარე აღწერდნენ.¹⁰ კვლევები ასევე გვაფიქრებინებს, რომ ტრადიციული ეთიკა უკრძალავს ჟურნალისტებს ადვოკატის როლში გამოსვლას, ვინაიდან დამცველის ამპლუაში „მიკერძოებულნი“ ხდებიან და ადამიანებით „მანიპულირებას“ ცდილობენ.¹¹ სავარაუდოდ, ეს გარემოება მედიაში მაღალი კონკურენციით აიხსნება. ასევე მნიშვნელოვანია ხელისუფლების საინფორმაციო საქმიანობის მიზნები, რომლებიც მეცნიერმა უილიამ რაგანმა ზოგადი სტანდარტის სახე მისცა, როგორებიცაა: 1. საზოგადოებისთვის საზოგადოებრივი საქმეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; 2. სახელმწიფო უწყებების მუშაობა საზოგადოებრივი ინფორმირების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. 3. სხვაგვარად განიმარტოს უწყებების პროგრამები, რათა მოქალაქეებისათვის ისინი გასაგები იყოს და მათ შეძლონ ამ პროგრამებით სარგებლობა; 4. სახელისუფლებო აპარატის უკუკავშირით უზრუნველყოფა, რათა საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით პროგრამები და პოლიტიკა მოდიფიცირდეს, შესწორდეს ან გაგრძელდეს. 4. რჩევა მმართველებისთვის, როგორ მიაწოდონ უკეთ ინფორმაცია გადაწყვეტილების ან პროგრამის შესახებ, რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს. 5. ომბუცმენის როლის მორგება: საზოგადოების წარმომადგენლობა და მისი წარმომადგენლის მოსმენა. გადა-

7 შეადარე. კოქსი, უ., დენის კამერონი, ლ. და გლენ, ტ., 2011. საზოგადოებასთან ურთიერთობა. პირველი გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: დიოგენე, გვ. 73.

8 Fitzpatrick, K. and Bronstein, C., 2006. Ethics in Public Relations: Responsible Advocacy. Thousand Oaks. Chicago: CA: Sage Publications, გვ. 7. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://communication.depaul.edu/academics/research/publications/bronstein-ethics-public-relations> [წვდომის თარიღი 10. 05. 2026].

9 Chalaby, J. K., 1998. The Invention of Journalism. London: Macmillan, გვ.107.

10 იქვე.

11 Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. USA: Sigma Delta Chi Foundation Allyn & Bacon, Booknotes. გვ.118.

სახადის გადამხდელთა უზრუნველყოფა ცალკეული პრობლემების შესაბამისად გადასაწყვეტად. 6. სახელმწიფო მმართველებისთვის და აპარატისთვის მასმედიის როლის გაცნობა და სწავლება, თუ როგორ უნდა იმუშაონ მის წარმომადგენლებთან.¹² ამ სტატიაში განხილულია, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს ჟურნალისტმა სიზუსტე და სანდოობა პოლიტიკურ თემაზე მასალების მოძიებისა და გაშუქებისას. როგორ შევამოწმოთ დეტალურად ფაქტები, როგორ მოვეპყრათ ოფიციალურ წყაროებს და როგორ დამუშავდეს დელიკატური ჟურნალისტური მასალები. აგრეთვე, განხილულია რამდენიმე ეთიკური დილემა, რომლის წინაშეც ჟურნალისტი პოლიტიკურ თემებზე მუშაობისას დგება.

ციფრულ მედიაში ჟურნალისტების ქცევის ცვლადი ხასიათის კვლევა და განხილვა აქტუალურია. წარმოდგენილ სტატიაში მედიის ეთიკისა და სამართლებრივი ქცევის განსაზღვრა, პოლიტიკის გაშუქების კონტექსტში შესწავლა, ღირებულია, სწორედ ამ დარგობრივი ჟურნალისტიკისთვის უფრო მეტი მნიშვნელობის მისანიჭებლად, ზოგადად, როგორ ახდენენ საზოგადოების აზრის ლიდერები მასმედიით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და ინტერპრეტაციას. ასევე შესწავლის ობიექტია უეინ უანტამის (Wayne Wanta) და სხვა მეცნიერების გამოკვლევა დღის წესრიგისა და განაწესის ეფექტებზე, ცხადყოფი იმისა, რომ მასმედია არა მხოლოდ აყალიბებს დღის წესრიგსა და განაწესს, არამედ ახასიათებს კიდევ პოლიტიკის თემატიკის ახალი ამბების საგანს. უარყოფით ან დადებითი მახასიათებლები მეხსიერებაში ამოტივტივდება და გარკვეულ შეფერილობას ანიჭებს საზოგადოებრივ აზრს.

1.2. დასახული პრობლემის მეცნიერული სიახლე

ნაშრომში თქვენ წაიკითხავთ მსოფლიო მედია გამოცემების პუბლიკაციებზე დაკვირვებას. განხილულია, თუ როგორაა შესაძლებელი ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით გამოკვლევის წარმოება პოლიტიკურ თემატიკაზე. სტატიაში აღწერილია ზოგადი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც ჟურნალისტებს პოლიტიკური თემატიკის გაშუქების კონტექსტში დაეხმარება, გაცნობიერონ და აღწერონ პრობლემები. როგორ შეუძლია ჟურნალისტს, არ დაეთანხმოს იმას, რაც ქმნის და აყალიბებს ეთიკურ დილემას ან პრობლემას. გაიზიაროს სამი ძირითადი მსოფლმხედველობრივი პოზიცია: აბსოლიტისტური, ეგზისტენციალისტური და სიტუაციური. რომელი მიესადაგება საუკეთესოდ ჟურნალისტის დამოკიდებულებას ეთიკისადმი. რა როლს ასრულებენ პროფესიული ორგანიზაციები მედია პრაქტიკის სტანდარტის შექმნაში. შეუძლია თუ არა ჟურნალისტს, რაიმე შემთხვევის წამოწყების დამცველი იყოს და ეთიკური დარჩეს. ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაშრომი დაეხმარება სტუდენტებს და პრაქტიკოსებს დამოუკიდებლად იპოვონ გამოსავალი უფრო ძლიერი დასაბუთებისა და ლექსიკის რთული გადაწყვეტილებების დასაცავად და გასასამართლებლად. ამ სფეროს ძიებებიდან შეიძლება, პოლიტიკური ჟურნალისტების მიერ დაწერილი მასალებიდან გამოსადეგი, ღირებული იდეები და მეთოდები ამოკრიბონ, ვინაიდან, სანიმუშო პუბლიკაციები მხოლოდ აძლიერებს პოლიტიკური ჟურნალისტიკის იდეალიზებულ აღქმას.

1.3. კვლევის საგანი, მიზანი და ამოცანები

წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს მედიაში პოლიტიკური თემატიკის გაშუქებისას ეთიკური პრობლემების შეთანხმებას, კონსესუსის გადაჭრის ალტერნატიული გზების შემოთავაზებას. პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში უამრავი საკითხი და დილემაა, რომელთა გადაჭრა არც ისე ადვილია. მისი განხილვა ღრმა განსჯას საჭიროებს. ჟურნალისტიკა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საინფორმაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ეთიკური წესები. იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გააჩნია ან საერთოდ არ ეთანხმება მას, როგორ უნდა წამოჭრას ყოველივე განსახილველად, როცა მის ორგანიზაციაში ეთიკური კოდექსი არ მოქმედებს. ჟურნალისტს როგორ შეუძლია გაეცნოს პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების, პრესის მმართველ რედაქტორთა ასოციაციის ან რადიოს და ტელევიზიის საინფორმაციო განყოფილების დირექტორთა ასოციაციის ეთიკური კოდექსის ნიმუშებს. ჟურნალისტ-პრაქტიკოსებისთვის ეთიკურ სტანდარტებსა და პროფესიულ წესებს აწესებენ, რომლებიც მათ პროფესიულ ზრდას ემსახურება. მომდევნო ქვეთავები წარმოგვიდგენს იმ უდიდესი პროფესიული ჯგუფების საკმაოდ ყოვლისმომცველ მონახაზს, რომლებიც ჟურნალისტის პროფესიას ემსახურებიან. სხვადასხვა ორგანიზაციამ შექმნა კოდექსები პოლიტიკური ჟურნალისტიკის ზოგადი პრაქტიკისთვის, ზოგიერთმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ქვევის ნორმები საგანგებო სიტუაციებისა და სპეციფიკური საკითხებისთვისაც.

1.4. კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სტატიაში დასმულია პრობლემა, რომელშიც პოლიტიკური ჟურნალისტური

საქმიანობის ეთიკის, კანონისა და სამართლიანობის საკითხების კვლევას ეხება. სტატიაში დასმული ზოგადი კითხვაა, არის თუ არა ის ეთიკური? ეს კითხვა ეხება როგორც ყოველდღიურ, ისე გაცილებით სერიოზულ საკითხებსაც, როცა ჟურნალისტიკა უნდა გადაწყვიტოს, გამოაქვეყნოს თუ არა ესა თუ ის პოლიტიკური შინაარსის ინფორმაცია. რაც შეეხება კონკრეტული ინფორმაციის გამოქვეყნება – არგამოქვეყნების საკითხს, ამისი მაგალითი სტატიაში განხილული იქნება. ასევე განსხვავებულად გაშუქებული ერთი და იგივე პოლიტიკური შემთხვევა, ორივე გადაწყვეტილება კანონიერი შეიძლება იყოს, მაგრამ ორივე ეთიკური არაა. არ შეიძლება ყველაფერი, რაც კანონიერია, ეთიკური იყოს. კანონი ეთიკურ კოდექსებთან შედარებით უფრო მკაფიოდ განსაზღვრულია. ჟურნალისტები ქვევის წესებს ამიტომაც ხშირად ეფარებიან. მიუხედავად ამისა, დემოკრატიის ლოგიკა მოითხოვს ჟურნალისტებმა კანონები იცოდნენ. განსაკუთრებით, მედიასამართლის იმ სფეროებში, რომლებიც წყაროს ან ჟურნალისტური მასალის პერსონაჟის გასაჩივრებას ეხება, პირადი და ემოციური სტრესის მიყენებისას. ამ სტატიით ასევე ჟურნალისტები გადაიკითხავენ იმ ადგილებს ნორმატიული და პრეცედენტული უფლებების შესახებ, რომლებიც მედიის წარმომადგენლებს ეხებათ. ამ კვლევაში ბევრი გასათვალისწინებელი რამაა მოცემული. ჟურნალისტიკა უარი არ უნდა თქვას ადამიანის, დაწესებულების ან რომელიმე საკითხის შესახებ მოკვლევაზე, იმის მიშით, რომ არ უჩივლონ. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ახალი მასალები, გაანალიზებული საერთაშორისო პუბლიკაციები, პროფესიული სტანდარტები, პრაქტიკუმები და სიტუაციური სავარჯიშოები მნიშვნელოვანია მომავალი ჟურნალისტებისათვის, რადგან არსებობს იმის რისკი, რომ ისინი პრაქტიკაში

საჩოთირო ეთიკურ სიტუაციას შეხვდებიან და მათთან გამკლავება გაუჭირდებათ. სწორედ ამ მოტივით, ბევრი ანგარიშვალდებული ორგანიზაციები იტოვებენ უფლებას, გარიცხონ ის წევრები, რომლებიც უხეშად არღვევენ ორგანიზაციის ქცევის ან ეთიკის კოდექსს, ან რომლებიც მხილებულნი არიან დანაშაულში. ზუსტი, სანდო, მართალი ინფორმაციის მიწოდება არსებითია საჯარო ინტერესის მსახურებისთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში. პოლიტიკოსებმა ჟურნალისტს ერთმად ძვირფასი საჩუქარი არ უნდა მისცენ იმის სანაცვლოდ, რომ მან ორგანიზაციის შეასახებ მისთვის საჭირო სტატია დაწეროს. ჟურნალისტისთვის ბევრ სიტუაციას შეუძლია წამოჭრას ეთიკური დილემები აუდიტორიასთან ურთიერთობის პროცესში. მათი გადაჭრა ხშირ შემთხვევაში პროცესია, რომელიც მრავალ ფაქტორს მოიცავს: მსოფლმხედველობას, ღირებულებათა სისტემას და წარმოდგენებს პროფესიულ სტანდარტებზე. მაგალითად, 2000 წლიდან პოლიტიკური დებატების გაშუქების გაფართოების შედეგად, წარმოიშვა ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკური სპექტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დიალოგური მოდელი. მაგალითად, მაიკლ კენტი მონკლერის და მორინ ტეილორი რაჯერსის უნივერსიტეტიებიდან „პაბლიკ რილეიშმ რევიუში“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერდნენ: „თეორიული გადანაცვლება, რომელიც გულისხმობს მედია საშუალებებით საზოგადოებასთან ურთიერთობაში აქცენტის გადანაცვლებას – კომუნიკაციის მართვიდან კომუნიკაციაზე, როგორც მოლაპარაკებათა ურთიერთობების ინსტრუმენტზე – საკმაო ხანია, თავს იჩენს“. *კენტი და ტეილორი ამბობენ, რომ ეფექტიანი დიალოგური კომუნიკაცია საზოგადოებასთან, პოლიტიკოსებისგან*

შემდეგ უნარ-ჩვევებს მოითხოვს: „მოსმენას, თანაგრძნობას, თანაგანცდას, საკითხების კონტექსტუალიზაციას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ჩარჩოში, საერთო საფუძველების მოძებნას მხარეებს შორის. იფიქრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე, ვიდრე ხანმოკლე ამოცანებზე, უნარს, ეძებო და იპოვნო საპირისპირო მოსაზრებების მეორე ადამიანები, ჯგუფები და შესთავაზო სხვადასხვა მოსაზრება პოლიტიკურ საკითხებზე“. ამ კონტექსტში დიალოგი საზოგადოებასთან ნაკლებად გულისხმობს შეტყობინების გავრცელებას ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით და მეტს – ინტერპერსონალურ არხებს. მაგალითად, კენტი და ტეილორი ამბობენ, რომ ინტერნეტი და ვებკონტენტები ბრწყინვალე საშუალებებია დიალოგისთვის, თუკი საიტი ინტერაქტიულია. ისინი წერენ: „ვებგვერდები შეიძლება, გამოვიყენოთ საზოგადოებრივ ჯგუფებთან უშუალო კომუნიკაციისთვის – მეორე მხარეს პირდაპირ მიმდინარე დისკუსიები შევთავაზოთ, უკუკავშირის, რეფლექსიის საშუალებები, ადგილები, სადაც მეორე მხარეს შეუძლია განათავსოს თავისი კომენტარები და მოსაზრებები, დავურთოთ წყაროები ინფორმაციისთვის ორგანიზაციის შესახებ, ასევე განვათავსოთ ორგანიზაციის წევრების ბიოგრაფიები და საკონტაქტო ინფორმაცია“.¹³ მიუხედავად იმისა, რომ დარგის გაფართოების კვალდაკვალ ხაზობრივი პროგრესი შეინიშნებოდა, დღევანდელი პრაქტიკა საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა მოდელის ნაზავია. კიდევ ერთი მოდელი, რომელიც ნელ-ნელა აღიარებას იხვეჭს, იმ მოსაზრებასთან გვაბრუნებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მხოლოდ ურთიერთობის დამყარება. პროფესორი გლენ კამერონი

13 შეადარე. კოქსი, უ., დენის კამერონი, ლ. და გლენ, ტ., 2011. საზოგადოებასთან ურთიერთობა. პირველი გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: დიოგენე, გვ. 70.

მისურის უნივერსიტეტიდან, წარმოდგენილი წყაროს ერთ-ერთი ავტორი, მიიჩნევს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა უფრო დამარწმუნებელი, ძლიერი და სანდო უნდა იყოს; იგი საუკეთესოდ განისაზღვრება, როგორც კონკურენციისა და კონფლიქტის სტრატეგიული მართვა ორგანიზაციის ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების შესაბამისად. ეს მიდგომა განხილულია სტატიის შემდეგ საკითხებში. სტატიაში გაცნობით სიტუაციებს, რომლებიც შეიძლება პრაქტიკაში შეგხვდეთ პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს. აქედან გამომდინარე, სტატიაში დასმული პრობლემა საინტერესო უნდა იყოს პრაქტიკოსი ჟურნალისტებისთვის, პოლიტიკოსებისთვის. წარმოდგენილი ნაშრომი ასევე გამოადგებათ სოციალურ მეცნიერებათა, მედიისა და კომუნიკაციების მიმართულების ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებსა და აკადემიურ წრეს.

1.5. გამოყენებული კვლევის მეთოდები

ნაშრომში შედარებითი ანალიზის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა დავაკონკრეტოთ ეთიკის კონცეფციის მასშტაბი, რომელსაც ვიყენებთ. საკვლევ ობიექტზე დაკვირვებისას საინტერესო იყო, ჰქონდა თუ არა აზრი ჟურნალისტურ-ეთიკური მოდელების პოლიტიკის ურთიერთობების მიმართულებით გამოკვეთილ კვლევას. ისეთ საკითხებზე ფოკუსირებით, როგორებიცაა ჟურნალისტური პროფესიონალიზმი, პლატფორმიზაცია, ბიზნეს მოდელების შეცვლა და კონტენტის წარმოება ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში. სტატიაში წარმოდგენილი შესწავლილი და გადამუშავებული ნაშრომები ჟურნალისტის დასავლეთი ქვეყნების მედიაეთიკის კონცეფციების გამოკვეთას ეხება: მოდერნიზებულ ეთიკის თეორიებს ჰქონდათ რიგი ერთობლივი

მახასიათებლები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში ახალ მეინსტრიმულ მედიაში ერთდროულად ან განსხვავებულად იჩენდა თავს ცალკეულ გამოკვეთილ პოლიტიკური თემატიკის კონტენტებში. ეს მიუთითებს ეთიკასა და მმართველობას შორის ნაკლებად შესწავლილ დაძაბულობაზე და აჩენს დამატებით კითხვებს: რა სხვა მაგალითები არსებობს, რომლებიც ამ განსხვავებას ან მსგავსებას აჩვენებს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევა. პოლიტიკური თემატიკის გაშუქებისას მნიშვნელოვანია მედიაეთიკის გადაკვეთისა და საზღვრების გაგება, ორგანიზაციული გადაცდომების მორალური მხარის განსაზღვრისა და ანგარიშვალდებულებების სისტემების გაუმჯობესებისთვის. ეს დასკვნები ასევე ერთ მუდმივ პრობლემას ხსნის კვლევებში, ესაა თაღლითობისა და კორუფციის გაშუქებისას განსაზღვრის სირთულე. ჟურნალისტების ეთიკური ქცევის შეფასება განსხვავდება ადამიანებს, ორგანიზაციებსა და საზოგადოებებს შორის და დროთა განმავლობაში იცვლება. ქცევის შეფასება არის ის დანაშაული, არაეთიკური ქმედება თუ რაციონალური ნაბიჯი, რომელიც ხშირად იცვლება კანონმდებლობის, კულტურისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ცვლილებასთან ერთად. კვლევის პერიოდში კრიტიკულადაა გაანალიზებული საკვლევ საკითხის პირველადი სამეცნიერო წყაროები, რაც ნაშრომის კონცეფციის იმპლიციტურ განზოგადებებს მნიშვნელოვან კონტროლს უწესებს. ასევე აღნიშნული წყაროების გათვალისწინება და შედარება მნიშვნელოვანია მოვლენათა ზუსტი და ობიექტური შეფასებისათვის. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კომპარატივისტული მეთოდი, სადაც სხვადასხვა თეორიის ინტერპრეტაციასთან ერთად, სიღრმისეული ექსპერტული ინტერვიუები განხორციელდა. კვლევის მეთოდად ასევე

გამოყენებულია კომბინირებული მონაცემები (მედია, სასამართლო ტრანსკრიპტები და პირადი დოკუმენტები). ეს მეთოდი უზრუნველყოფს დეტალურ და ჰოლისტიკურ ანალიზს მედიის როლზე, კონკრეტულად როგორ აშუქებს მედია პოლიტიკურ სკანდალს მორალური თვალსაზრისით. სტატიას ასევე საფუძვლად უდევს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ბაკალავრებისთვის წაკითხული სალექციო კურსი, რომელიც არსებითადაა შევსებული-გადამუშავებული. უხვი საილუსტრაციო მასალების ანალიზის საფუძველზე ავტორი იკვლევს ისეთ დისციპლინათმორის პრობლემებს, როგორებიცაა: ჟურნალისტიკის იურიდიული, ეთიკური, პოლიტიკური, მედიის ფსიქოლოგიური ასპექტები, პროფესიული პრინციპების პარადოქსები პოლიტიკური შინაარსის მასალებში. ჟურნალისტიკის სუბიექტურისა და სიმართლის ძიების ურთიერთმიმართება ტექსტებში. ამ კუთხითაც სტატია სასრგებლო იქნება დისციპლინათმორისი კვლევებით დაინტერესებული თეორიტიკოსებისთვის, პრაქტიკოს-ჟურნალისტებისთვის და სტუდენტებისათვის.

II. ძირითადი ტექსტი

2.1. ჟურნალისტები

პოლიტიკოსებს უჭერენ მხარს

მაღალი ჟურნალისტური პროფესიონალიზმი რაციონალურ-ლეგალური მმა-

რთველობის ქვეყნებშია განვითარებული¹⁴. ნაწილობრივ ეს სოციალური ინსტიტუტების ჰომოლოგიურობით, კულტურული რეზონანსითა და ურთიერთგავლენითაა განპირობებული. როგორც ჩანს, ასეთი ტიპის ქვეყნების საზოგადოებებში სპეციალური კვალიფიკაციისადმი პროფესიული ერთგულება, ქცევის წესები, სოციალური ფუნქციები, ეთიკა და ავტონომიურობაზე განაცხადი ფართოდ გავრცელებულია. ჟურნალისტიკაც ამ მოდელშია ადაპტირებული. მაგალითად, ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიონალური საქმიანობის იდეა, ისევე, როგორც სხვა პროფესიების გამოკვეთა, გერმანიაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა.¹⁵ მედიის მკვლევარი კარლ ბახერი, რომელმაც გერმანიაში ჟურნალისტური განათლების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა, ეს სფერო ფუნქციურად საჯარო სამსახურის ტოლფასად მიიჩნია. ამ მოტივით მედიაგანათლების მოდელისთვის სახელმწიფოს მხარი უნდა დაეჭირა.¹⁶ ვებერი, რომელიც გაზეთ Frankfurter Zeitung-ისთვის წერდა, ჟურნალისტიკას „მოწოდებით პოლიტიკად“ მოიხსენებდა და პოლიტიკური სამყაროს ნაწილად განიხილავდა. ამავდროულად განმარტავდა, რომ „ჟურნალისტის მაღალი პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია... ვიდრე მეცნიერისა... როგორც ეს ომმა ცხადყო. ეს ბუნებრივია, რადგან ჟურნალისტური საქმიანობისას უპასუხის-

14 რაციონალურ-ლეგალური მართველობა მაქს ვებერის მიხედვით, მმართველობის სახეა, რომელიც წერილობით კანონებს, ფორმალურ წესებსა და იერარქიულ სტრუქტურას ეფუძნება. ქვეყნის მმართველის ძალაუფლება დაკავებული თანამდებობისგან მომდინარეობს და არა ცალკე პიროვნებისგან. ასეთ პირობებში გადაწყვეტილებები ობიექტურად, კომპეტენციისა და დამკვიდრებული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე მიიღება.

15 პელინი, დ. და მანჩინი, პ., 2005. მედიასისტემების შედარება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 254.

16 Edwin, B. C., 2014. Advertising and a Democratic Press, Princeton Legacy Library. New Jersey: Princeton University Press, გვ.15. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://press.princeton.edu/books/ebook/9781400863556/advertising-and-a-democratic-press-pdf?srsId=AfmBOookql67PCH_I2whtqCT3O6EagjFS-1w-AqUDxZjp1_8tz3-VKAq [წვდომის თარიღი 09. 05. 2026].

მგებლობა და მისი თანმდევი ნეგატიური ეფექტი მეხსიერებიდან არ იშლება¹⁷. ჟურნალისტიკის ვებერისეულ ინტერპრეტაციაში პოლიტიკური ჩართულობა, საჯარო სამსახურის ეთიკა და ერთიანი სტანდარტების გაგება თანაარსებობენ. აქედან გამომდინარე, რაციონალურ-ლეგალური მმართველობა და ჟურნალისტიკური საქმიანობა ურთიერთკავშირშია. უფრო კონკრეტულად რომ განვმარტოთ, ჟურნალისტიკას, ადმინისტრირებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთგავლენა არსებობს: ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურები, ხელისუფლება საერთო ვალდებულებებს ემსახურება, მსგავსად ამისა, ჟურნალისტიკური პრაქტიკის ერთიანი სტანდარტის ჩარჩო ხელს უწყობს განვითარებას და ამავედროულად ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი სამსახურის იდეოლოგიას აყალიბებს. ეს პროცედურები და მმართველობა ჟურნალისტებისთვის საერთო წყაროს უზრუნველყოფს და ინფორმაციის ღირებულების საერთო კრიტერიუმებს ადგენს. საგულისმოა, რომ სწორედ ამ გზით ყალიბდება „თამაშის წესების“ ის ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მათი დაცვის ვალდებულებებს განაპირობებს. ეს ტენდენცია „საჯარო ინტერესის“ იდეის, პა-

რტიკულარულ ინტერესებზე მაღლა დაყენების მნიშვნელობის კონკრეტიზაციას ახდენს.

2.2. „სკოტის პრევილენცია“

დღეს განსხვავებული მენტალიტეტის, გემოვნების, აზროვნების, განვითარების დონის, ცხოვრების წესისა და ყოველდღიურობის მექანე საზოგადოებებს, დემოკრატიის სახელით, გლობალიზაციის ფარგლებში მართვისა და ზემოქმედების ერთგვაროვან მოდელს აკისრებენ. მაგალითად, დასავლეთსა და საქართველოში ჟურნალისტებს ზოგი პრობლემა საერთო აქვთ, ზოგიც ლოკალური. ეს საკითხი თანამედროვე სამყაროსთვის აქტუალურია. თანამედროვე ციფრულ ხანაშიც კვლავ სამაგალითოა 1972 წლის ჟურნალისტის საინფორმაციო წყაროსთან მუშაობის პათოსი: გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ წამყვანი ჟურნალისტი ჯეიმს ბარეტ რესტონი,¹⁸ მეტსახელად – „სკოტი“,¹⁹ მე-20 საუკუნის ყველაზე გავლენიან ამერიკელ ჟურნალისტად სახელდებოდა. მის სიტყვას იმდენად ძლიერი გავლენა ჰქონდა, რომ საზოგადოება რეგულარულად ეცნობოდა რესტონის პუბლიკაციებს. ხელისუფლება ანგარიშს „სკოტის“ აზრსა და პოზიციას უწევდა. მისი კოლეგა ჟურნალისტები ამ-

17 Weber, M., 1946, Politics as a Vocation. New York: Oxford University Press, გვ. 7. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://dn790009.ca.archive.org/0/items/weber_max_1864_1920_politics_as_a_vocation/weber_max_1864_1920_politics_as_a_vocation.pdf [წვდომის თარიღი 04. 05. 2026].

18 ჯეიმს ბარეტ რესტონი, შოტლანდიელი ემიგრანტი ჟურნალისტი აშშ-ში. ოჰაიოს გაზეთ „დეილი ნუსის“ კორესპონდენტი, 1934 წლიდან „ასოშიეთედ პრესის“ ჟურნალისტი. 1939 წლიდან „ნიუ-იორკ თაიმსის“ ლონდონის ბიუროსა და ნიუ-იორკის ჟურნალისტი. 1945 ეროვნული კორესპონდენტი ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში. 1964 – 1987 წწ. „ნიუ-იორკ თაიმსის“ ასოცირებული, აღმასრულებელი რედაქტორი, ვიცე პრეზიდენტი, ეროვნული სინდიცირებული სვეტის ავტორი. აშშ-ის რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაციის დროს პოლიტიკური ოპონენტების სიაში შედიოდა. ამერიკის ფილოსოფიურ საზოგადოებაში 1980 წელს აირჩიეს. დოკუმენტალისტი და პოლიტიკური და ისტორიული მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის ავტორი. იგი წერდა ვიეტნამის ომის, ჯონსთაუნის ხოცვა-ჟლეტის, სამოქალაქო უფლებების, რიჩარდ ნიქსონის იმპიჩმენტისა და 11 სექტემბრის თავდასხმების შესახებ.

19 James, R., 1991-1992. A memoir Deadline. New York: Random House, გვ. 45. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://archive.org/details/deadlinememoir0000rest/page/n7/mode/2up> [წვდომის თარიღი 08. 05. 2026].

ბობდნენ, ჯეიმს რესტონს ისეთი პოლიტიკური წონა ჰქონდა, როგორც აშშ-ის სამ სენატორს ერთად აღებულს. სცენარისტმა კარლ მეიერმა იუმორით აღნიშნა, რომ რესტონის დონის პუბლიცისტს აშკარა უპირატესობა აქვს სენატორებთან შედარებით: კონგრესის წევრს ირჩევენ, ხოლო ჟურნალისტი, ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრის მსგავსად, მარადიულია. მისი წარმატების საიდუმლო პროფესიონალიზმსა და ეთიკის ნორმების ერთგულებას ეფუძნებოდა. როგორც წესი, ეთიკური ნორმების დაცვა უზრუნველყოფს ხელისუფლების მაღალ ეშელონებსა და მედიას შორის ურთიერთობის დაბალანსებას. ამიტომაც მმართველები და საზოგადოება მედიას ენდობა²⁰. თუმცა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის ცნობილ, ლეგენდარულ, გავლენიან ჟურნალისტებს პროფესიული ჩავარდნებიც ხშირად ჰქონიათ. სწორედ იმ მიზეზით, რომელსაც „სკოტის პრივილეგიას“ უწოდებდნენ. კონკურენტი კოლეგები გაზეთ „ვაშინგტონ პოსტიდან“ ჟურნალისტს ფარულად საყვედურობდნენ. რესტონი ბევრი მაღალი რანგის მნიშვნელოვან პოლიტიკოსს დაუახლოვდა და საკუთარ საინფორმაციო წყაროებად აქცია. მედიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ეთიკური პრინციპების დაცვით მოქმედებისა და ბალანსის შენარჩუნების უნარი ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, ჟურნალის-

ტთან სხვებზე მეტად პოლიტიკოსები თანამშრომლობდნენ და საზოგადოებაც ენდობოდა, თუმცა „სკოტს“ უღალატეს. ეს მის მიერ ხოტბაშესხმული ჰენრი ალფრედ კისინჯერი იყო. იმ პერიოდში ნიქსონის ადმინისტრაციაში აშშ-ში სახელმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობდა.²¹ თავის პუბლიკაციებში იგი აშშ-ის სახელმწიფო მდივანსა და ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველს, ჰენრი კისინჯერს, მუდმივად დადებით კონტექსტში აშუქებდა. კისინჯერმა, როგორც ჟურნალისტის პირადმა წყარომ, „სკოტს“ 1972 წელს ვიეტნამის დაბომბვაზე არასწორი ინფორმაცია მი-აწოდა²². მოგვიანებით პოლიტიკოსმა თეთრი სახლის ადმინისტრაცია შეცდომაში შეიყვანა, როცა რესტონთან საუბრისას ნათქვამი კომენტარი შეცვალა. სასამართლომ სიმართლის დასადგენად კისინჯერის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები გამოიყენა. ჟურნალისტის კარიერაში ამ ფაქტის ინციდენტი პროფესიულ შავ ლაქად დარჩა. გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტი რ. უ. ეფლი გაზეთის პუბლიკაციიდან პასუხობდა კოლეგას და მის ოპონენტთა საყურადღებოდ განმარტავდა: „ბატონი რესტონი ჯარისკაცებს, პოლიტიკოსებსა და პარტიებს სისუსტეებს პატიობდა“.²³ ჟურნალისტს ბევრი კრიტიკოსი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ეთიკური ნორმების დარღვევისთვის ამხელს.²⁴ კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ზემოთ აღნიშნული რეს-

20 იქვე.

21 დე გრაფი ნადარეიშვილი, მ., 2011. მედია და პოლიტიკური იმიჯი. თბილისი: უნივერსალი, გვ. 11.

22 Hersh, S. M., 1999. The Intelligence Gap. The New Yorker, December 6. გვ.76. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.newyorker.com/magazine/1999/12/06/the-intelligence-gap> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

23 Hammond, W., 1990. Public Affairs: The Military and The Media, 1962-1968. Washington: Center of Military History United States Army, გვ. 197. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <https://history.army.mil/portals/143/Images/Publications/catalog/91-13.pdf> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

24 James, R., 1991-1992. A memoir Deadline, New York: Random House, გვ. 45. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://archive.org/details/deadlinememoir0000rest/page/n7/mode/2up> [წვდომის თარიღი 08.05.2026].

პოლენტების მიმართ გადამეტებულ მიმტვეებლობას იჩენდა.²⁵ ეს მათთან ზედმეტად ახლო მეგობრობის შედეგი იყო. ამ ფაქტის აღწერის საპირწონედ საინტერესოა ჟურნალისტისა და მედიამკვლევრის უოლტერ ლიპმანის მიდგომა მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე. მისი აზრით, ახალი ამბის მთავარი ფუნქცია ფაქტების გამოვლენა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება და რეალური სურათის შექმნაა, რათა საზოგადოებამ სწორად იმოქმედოს.²⁶ აქედან გამომდინარე, მეცნიერი თვლიდა, რომ მართალი ჟურნალისტური ვერსია პირადული შეხედულებებითაა ნასაზრდოები.²⁷ ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჟურნალისტი გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან ერთი ადამიანის თვალით დანახული რეალობის ჰიპოთეზას გამოსატყვის. ვერასოდეს მოხერხდება ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემა და სწორედ ამ ლოგიკიდან გამომდინარე, მედია „ღირეუქიული დემოკრატიის ორგანო“ ვერ გახდება.²⁸

2.3. ჟურნალისტების რამდენიმე განზომილება

დღესდღეობით პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ფსონი ლოკალური და გლობალური მასშტაბისაა. სწორედ ჟურნალისტების მრავალმხრივი უნარია – ადამიანებს სამყაროს ხედვის გარკვეული პრინციპები თავს მოახვიონ, აიძულონ ისე იფიქრონ, იაზროვნონ, რომლითაც მხოლოდ დაყოფილ სამყაროს ხედავენ. ამ-

გვარი დაყოფა ისეთი ტიპის ჯგუფების ჩამოყალიბებაზეა გამიზნული, რომლითაც პოლიტიკური თვითმობილიზებისა და თავიანთ არსებობაში სხვების დარწმუნების უნარი შესწევთ. ამ ტექნოლოგიებით მედია გავლენებსა და პრივილეგიებს იხვეჭს. დღეს მედია, განსაკუთრებით ვიდეო ჟურნალისტიკა (ტელევიზია), ამ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობს.²⁹ ამასთან დაკავშირებით, ერთ მაგალითს მოვიყვან რობერტ კაროს წიგნიდან: ჟურნალისტმა გამომძიებელმა რობერტ კარომ შვიდი წლის ჟურნალისტური გამოძიების შედეგად 1100-გვერდიანი ტრაქტი (წიგნი) – „ძალაუფლების ბროკერი“ (რობერტ მოზესი და ნიუ-იორკის დაცემა) დაწერა. წიგნმა 1975 წელს პულიცერისა და ფრენსის პარკმენის პრემიები მიიღო. გამოძიების გმირი რობერტ მოზესია, ერთი შეხედვით, ავტორის შერჩეული პერსონაჟი საინტერესო არაფრითაა. ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოზესი ჯერ პარკების კომისარი, შემდეგ ნიუ-იორკის ტრაიბოროს ხიდებისა და გვირაბების სამართველოს უფროსი იყო. ის პარკებსა და გზებს აშენებდა, ასევე საერთაშორისო ბაზრობების დაგეგმვაში მონაწილეობდა. თუმცა, მოზესი სამთავრობო ინსტიტუციებში არასოდეს აურჩევიათ, ეროვნულ პოლიტიკის დაგეგმვის პროცესშიც არ მონაწილეობდა.³⁰ ამ კვლევა-ძიებით ჟურნალისტს სურდა აეხსნა, როგორ მოქმედებს პოლიტიკური ძალაუფლება. რეპორტიორი პოლიტიკაზე მწერალი ჟურნალისტი

25 დე გრაფი ნადარეიშვილი, მ., 2006. ეფემერულობის დიდებულება. ჩვენი მწერლობა, (22), გვ. 5. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144620/1/Chveni_Mwerloba_2006_N22.pdf//> [წვდომის თარიღი: 09.05.2026].

26 Compare. Lippman, W., 1922. Public Opinion. (U.S.A.) and London (U.K.): Transaction Publishers., გვ. 7.

27 დე გრაფი ნადარეიშვილი, მ., 2011. მედია და პოლიტიკური იმიჯი. თბილისი: უნივერსალი, გვ. 11.

28 იქვე. გვ. 13.

29 ბურდიე, პ., 2021. ტელევიზიის შესახებ. თბილისი: Carpe diem, გვ. 31.

30 Hammond, W., 1990. Public Affairs: The Military and The Media, 1962-1968. Washington: Center of Military History United States Army, გვ. 197.

იყო. სინამდვილეში მისი წიგნის შინაარსში იკვეთება, რომ რეალურად სულაც არ წერდა იმის შესახებ, რის ასახსნელადაც ჟურნალისტიკაში მოვიდა, ანუ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. ამ იდეას ხშირად იმ კაცთან მიჰყავდა, რობერტ მოზესთან. არაფერი ესმოდა, ეს კაცი ხალხს არასოდეს აურჩევია, მაგრამ თანდათან ხვდებოდა, რომ მას მეტი ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე ნებისმიერ გუბერნატორს თუ მერს. წიგნში ნაჩვენებია ის პარალელები თუ ჟურნალისტები მათი პროფესიული მიდრეკილებების, ჩვეულებებისა და პროფესიული ლოგიკის თანახმად, ყოველდღე როგორ ცდილობენ იმის გაკეთებას, რაც კარომ მსხვილი ბიუროკრატის შესახებ მოახერხა, ოღონდ მცირე მასშტაბით.³¹ ასე მივედით ჟურნალისტიკის ძირითად პროფესიულ პრინციპზე, აღქმის იმ კატეგორიების საფუძველზე, რომელიც ჟურნალისტის პროფესიული ჩვევაა. ამგვარი კატეგორიები ჟურნალისტის განათლების პროდუქტია. აქედან გამომდინარე, რასაც ხედავენ, თავისებურად ხედავენ და არჩეულის კონსტრუირებას ახდენენ.

ჟურნალისტური სამყარო კონფლიქტებით, კონკურენციითა და ურთიერთქიშპობით დანაწევრებულია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემ მიერ ჩატარებული მედიაკონტენტების აკადემიური ანალიზის მთავარი მიმართულება ძალაში რჩება: ესაა, ჟურნალისტური პროდუქციის წარმოებისა და გაშუქების პროცესში ეთიკისა და სამართლის დაცვა, ისე, რომ მასების ორგანიზებული შეხედულებების, ჩვევების ცნობიერი და გონივრული მართვა შესაძლებელი იყოს. ძირითად პრობლემად ინფორმაციის უზუსტობა და წყაროს

უსაფრთხოება რჩება. უოლტ ლიპმანის მოსაზრება ციფრულ ეპოქაშიც აქტუალურია, რომ ჟურნალისტებს მოვლენების განზოგადებული შეფასება და პიროვნებებზე გარკვეული იდეაფიქსების შესაბამისად მსჯელობა ახასიათებთ. მედიით მანიპულირება ორმხრივად შეიძლება. სტერეოტიპული აზროვნება ზემოქმედებს კონკრეტული პოლიტიკოსის იმიჯზე და პირიქით, მისი იმიჯი განსაზღვრავს, თუ რომელ სტერეოტიპს მოარგებენ მის პოლიტიკურ პორტრეტს.³² იქნება ეს თანამდებობაზე არჩევის, ახალი საკითხების ინტერპრეტაციისა და პოპულარიზაციის პრობლემა თუ სახელმწიფო საქმეების ყოველდღიური მართვის საზოგადოებრივი ცხოვრების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაწილად ქცევა. პროპაგანდის გამოყენება, რომელიც მასების მენტალიტეტზეა მორგებული და პოლიტიკური ცხოვრების არსებით დამხმარე საშუალებად გამოიყენება.³³ დღესდღეობით მედიას პოლიტიკური კამპანიის დომინანტური იდეების გასავრცელებლად და საზოგადოებისათვის გასაცნობად იყენებენ. კარგი მთავრობა საზოგადოებას ისევე შეიძლება მიეწოდოს, როგორც ნებისმიერი საქონელი.³⁴ შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკოსი არ ჩქარობს საქმიან ცხოვრებაში ჩვეულებრივ გამოყენებული მეთოდების ათვისებას, ისაა, რომ მისთვის პირდაპირ ხელმისაწვდომია კომუნიკაციის საშუალებები, რომლებიც ძალაუფლების წყაროა. რეპორტიორი მასზე ამყარებს ახალი ამბების მიღების იმედს, ინფორმაციის მიწოდების ან დაფარვის ძალით პოლიტიკოსს ეფექტიანად პოლიტიკური სიახლეების ცნებურა შეუძლია. რეპორტიორები ვალდებული

31 იქვე. გვ. 7.

32 Compare. Lippman, W., 1922. Public Opinion. (U.S.A.) and London (U.K.): Transaction Publishers, გვ. 304.

33 ბერნეისი, ე., 2024. პროპაგანდა. თბილისი: აქტი, გვ. 90.

34 იქვე. გვ. 100.

არიან, შეესაბამებოდნენ ახალი ამბების წყაროებს.³⁵ მედიაში გამოსვლისას პოლიტიკური ლიდერი თავად უნდა ქმნიდეს გარემოებებს და არა მხოლოდ სტერეოტიპებისა და შტამების მექანიკური პროცესების შექმნის პროდუქტი იყოს.³⁶

მედიის წარმომადგენლები განსხვავებული სტრატეგიითა და მიზნებით მოქმედებენ. ჟურნალისტების ერთი ნაწილი პოლიტიკოსთან თანამშრომლობის ტაქტიკას ექსკლუზიური ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს. ზოგი მუდმივად ჩასაფრებულ პოზიციაშია და ოპოზიციონერია. მცირე ნაწილი მეგობრობის მოტივით უახლოვდება მაღალჩინოსნებს, შემდეგ თავადაც რომ აღარ სურდეს, პოლიტიკოსი მასზე მაინც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს.³⁷ პარტიულობის პრინციპის ერთგულ ჟურნალისტს³⁸ მცდარი გადაწყვეტილების მიღებისას შეუძლია განაცხადოს: „მე თავისუფალი ვარ, ასე მწამს და ასე ვმოქმედებ“. ამ დროს სამყაროს იდეოლოგიის პრიზმიდან უყურებს. სამწუხაროდ, კანონმდებლობა ან პროფესიული ეთიკა მსგავს გარემოებებს არ ითვალისწინებს, საკითხის გადაწყვეტა ჟურნალისტური ორგანიზაციების პროფესიულ ფორმირებასთანაა დაკავშირებული.

ამ პრობლემას, სოციალურ-პოლიტიკურის გარდა, მრავალი ქვეყნისთვის ეროვნულ-კულტურული ასპექტიც გააჩნია.³⁹

აქედან გამომდინარე, თეორიული ფორმულირებებისა და მსჯელობის განზოგადებისგან აკადემიური თავშეკავება დასავლური მედიის ერთობლივ სახეს წარმოაჩენს. მედია ორგანიზაციებს შორის განსხვავება მედიამენეჯერის ინტელექტზე, გემოვნებასა და ჟურნალისტის ტემპერამენტზეა დამოკიდებული.⁴⁰ დღეს დასავლური სამყაროს ჟურნალისტთა მთავარი საზრუნავი აუდიტორიის სრულყოფილად ინფორმირებაა ახალ მომხდარ ამბავზე.⁴¹ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისას მედიის პოლიტიკური ორიენტირები და სოციალური პრობლემის წინასწარ განჭვრეტა-გათვალისწინების უნარი ვლინდება.⁴² დასავლურ მედიას ემპირიული მასალების მეცნიერული განვრცობა კვლევისა და ანალიზისათვის უხვად გააჩნია. მედია ეთიკა ეგზისტენციალური პრობლემის წინაშე დგას: მოძებნოს სხვა მიდგომა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, მის მიერვე აღიარებული ნორმების განხორციელების საშუალებები, რომლებიც ეთიკის

35 იქვე. გვ.102.

36 იქვე. გვ.103.

37 დე გრაფი ნადარეიშვილი, მ., 2011. მედია და პოლიტიკური იმიჯი. თბილისი: უნივერსალი, გვ. 16.

38 სურგულაძე, რ., 1996. ჟურნალისტთა მცოდნეობის საფუძვლები. თბილისი: ნიკე, გვ. 7.

39 Schulz, W., 2001. Foreign News in Leading Newspapers of Western and Post-Communist Countries. Institute for Social Science of the University of Erlangen-Nuernberg. Paper prepared for presentation at the 51st Annual Conference of the International Communication Association, USA: Washington: May 24-28, 2001, გვ. 5. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/228708911_Foreign_news_in_leading_newspapers_of_western_and_post-Communist_countries> [წვდომის თარიღი 05. 05. 2026].

40 Pilkington, A., Political Correctness in a Global age. The ethical implications of a hegemonic discourse, Global Media Ethics and the Digital Revolution, New York, by Routledge, 2022. გვ.30.

41 Hall, S. and others, 1978. Policing the Crisis –Mugging, the State, and Law and Order, London: Macmillan. გვ. 54. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://sociologytwynham.com/wp-content/uploads/2014/10/policing-the-crisis.pdf>> [წვდომის თარიღი 08. 05. 2026].

42 Alibhai-Brown, Y., 2018. In Defence of Political Correctness. London: Biteback Publishing. გვ. 10. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.goodreads.com/book/show/41944711-in-defence-of-political-correctness>> [წვდომის თარიღი 08. 05. 2026].

ოქროს წესია და დღესაც სტანდარტებს განსაზღვრავს⁴³. მაგალითად, აშშ-ში ერთმა დეტროიტელმა ტელეწამყვანმა რესპუბლიკურ პარტიას 2 600 დოლარი შესწირა, ხოლო ნიუ-იორკისა და ტეხასის ტელეწამყვანები გუბერნატორობის კანდიდატების საარჩევნო ტურნეებზე ცერემონიების მასპინძლებად გამოვიდნენ. ბოლო წლებში პოლიტიკური კანდიდატების მხარდამჭერი ჟურნალისტები მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცნენ.⁴⁴ კრიტიკოსების მტკიცებით, პოლიტიკოსების საჯაროდ მხარდამჭერი მედიის წარმომადგენლები საკუთარ სანდოობას აზიანებენ, თავიანთი რეპორტაჟების მიუკერძოებლობის მიმართ ამომრჩევლებსა და ოპონენტებში ეჭვს აძლიერებენ.⁴⁵

პოლიტიკოსებისთვის შემოწირულობების გამღები ჟურნალისტები აცხადებენ, რომ ის, რასაც საკუთარ პირად დროს აკეთებენ, მხოლოდ მათი პირადი საქმეა. ისინი ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური რბოლისას ერთ მხარეს, მხარდაჭერის მიუხედავად, ორივე კანდიდატის მიმართ სამართლიანობის შენარჩუნება შეუძლიათ. მაგალითად, 1994 წლის ტეხასის გუბერნატორის არჩევნების დროს, ენ რიჩარდსსა და ჯორჯ უ. ბუშს შორის მიმდინარე კამპანიის ფარგლებში, დალასში მდებარე ტელეკომპანია⁴⁶ KXAS-TV-ის ახალი ამბების წამყვანი მაიკ სნაიდერი ბუშის მხარდამჭერ რამდენიმე საარჩევ-

ნო შეხვედრაზე ცერემონიების წამყვანად გამოვიდა. სნაიდერი ბუშს ხშირად „ტეხასის მომავალ გუბერნატორად“ წარადგენდა.⁴⁷ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, რომელიც საბოლოოდ ჯორჯ ბუშის გამარჯვებით დასრულდა, ენ რიჩარდსის საარჩევნო შტაბმა ეჭვქვეშ დააყენა მაიკ სნაიდერის ბუშის მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა. აღნიშნული ფაქტი დალასის ერთ-ერთმა კონკურენტმა ტელესადგურმა კრიტიკულად გააშუქა, რის შემდეგაც ინფორმაცია საერთაშორისო სააგენტო Associated Press-მა და ტეხასის რამდენიმე გაზეთმაც გაავრცელეს. KXAS-TV-ის ხელმძღვანელობამ მიმდინარე გამოძიების პერიოდში სნაიდერი ეთერიდან მოხსნა. მოგვიანებით ინტერვიუებში სნაიდერი აცხადებდა, რადგან იგი პოლიტიკური ტოქ-პროგრამის წამყვანია და საარჩევნო კამპანიებს უშუალოდ არ აშუქებს, თავისუფალ დროს საკუთარი მეხელულებების გამოხატვის უფლება აქვს. მისივე თქმით, ბუშის საარჩევნო კამპანიისგან არასოდეს მიუღია ანაზღაურება და მხარდამჭერ საქმიანობაში მხოლოდ მოხალისის სტატუსით მონაწილეობდა. იმავე წელს დეტროიტის ერთ-ერთმა ტელენიუსის წამყვანმა პოლიტიკოსებს არა მხოლოდ დრო, არამედ ფულიც შესწირა. ტელეკომპანია WJBK-ის წამყვანმა რიჩ ფიშერმა, რომელიც პოლიტიკური მიმართულების პროგრამის დებატებს

43 Shipman, T., 2020. Voters seek return to common sense in revolt against political correctness. Sunday Times, 24 May. Retrieved from: Voters seek return to common sense in revolt against political correctness | News | The Sunday Times (thetimes.co.uk).

44 Hersh, S., 1999. The Intelligence Gap. The New Yorker, 6 December, 1999, 76.

45 Robert Picatd, 1984. Levels of State Intervention in the Western Press. Mass Comm Review (11) 27-35.

46 KXAS-TV 5 არხია გაერთიანებული, რომლის ლიცენზიაც გაცემულია ფორტ-უორზში, ტეხასის შტატში, ემსახურება დალას-ფორტ-უორზის მეტროპოლიტენს. ის ეკუთვნის და მართავს NBC სატელევიზიო ქსელს NBC-ის საკუთრებაში არსებული სატელევიზიო სადგურების განყოფილების მეშვეობით. Telemundo-ს ტელევიზიასთან KXTX-TV-სთან (არხი 39) საერთო საკუთრების ფარგლებში, ორი სადგური იზიარებს სტუდიებს CentrePort Business Park-ში, აღმოსავლეთ ფორტ-უორზში.

47 Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. USA: Doing Ethics in Journalism. Sigma Delta Chi Foundation Allyn & Bacon, გვ. 117.

უძღვებოდა, 1 100 დოლარი შესწირა რესპუბლიკელ სენატორთა ეროვნულ კომიტეტს და 1 000 დოლარი მიჩიგანის რესპუბლიკურ პარტიას. მან ასევე 500 დოლარი აშშ-ის სენატის კანდიდატ სპენსერ აბრაამის კამპანიას გადასცა. Detroit Free Press-თან საუბარში ფიშერი ამტკიცებდა, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები ჟურნალისტურ საქმიანობაზე გავლენას არ ახდენდა და პირადი ცხოვრების თავისუფლების კანონს უსვამდა ხაზს. მის დასაცავ განცხადებაში WJBK-ის ახალი ამბების დირექტორმა მორტ მეისნერმა ჟურნალისტის პროფესიული კეთილსინდისიერებაზე გაამახვილა ყურადღება. მსგავსი შემთხვევა WNBC-შიც მოხდა, სადაც წამყვანმა Chuck Scarborough-მ Steve Forbes-ისა და მოგვიანებით Bob Dole-ის საარჩევნო კამპანიებს თანხა შესწირა. ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ WNBC-მ სკარბორო არჩევნების გაშუქებას ჩამოაშორა, თუმცა იგი ტელეკომპანიაში ახალი ამბების წამყვანად დარჩა.

2.4. შემთხვევების ანალიზი

ეს შემთხვევები ნათლად აჩვენებს როგორც ჟურნალისტის დამოუკიდებლობის პრინციპის მნიშვნელობას, ისე ინტერესთა კონფლიქტის სირთულეს. გასაკვირი არაა, რომ აშშ-ში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები მედიისადმი საზოგადოების უნდობლობას და მზადყოფნას ცხადყოფს, მედიის თავისუფლება პარტიული ნიშნით პოლიტიკური პროპაგანდის ნაწილში შეიზღუდოს. ეს შემთხვევა თანამედროვე პროპაგანდის ტექნიკის ილუსტრირებაა. რასაკვირველია, შეიძლება შეგვეკამათონ, რომ პროპაგანდას საკუთარი

თავის ამოწურვის ტენდენცია გაუჩნდება, როდესაც მისი მექანიზმი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება.⁴⁸ პროპაგანდა წამყვანი პოლიტიკური ლიდერების შესაქმნელად გამოიყენება. კითხვა იმაში მდგომარეობს, ლიდერი ქმნის პროპაგანდას თუ პროპაგანდა ქმნის ლიდერს? ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ ნიჭიერ პრესმდივანს არაარობა ღიად ადამიანად შეუძლია აქციოს. პასუხი იდენტურია, რაც ადრეული პერიოდის კითხვაზე: გაზეთი აყალიბებს საზოგადოებრივ შეხედულებას თუ საზოგადოებრივი აზრი ქმნის გაზეთს? ავტორის მიხედვით, ლიდერი და იდეა ნაყოფიერ ნიადაგს საჭიროებენ, მაგრამ ლიდერს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მარცვალი უნდა გააჩნდეს დასათესად. სხვა სიტყვებით, უნდა არსებობდეს ერთობლივი საჭიროება, სანამ თითოეული შეძლებს, პოზიტიურად ეფექტიანი გახდეს. პროპაგანდა სრულიად უსარგებლოა პოლიტიკოსისთვის, თუ მას არაფერი აქვს სათქმელი, რისი ცნობიერად თუ არაცნობიერად მიღების სურვილი საზოგადოებას არ აქვს. მაგრამ, თუნდაც, დავუშვათ, რომ კონკრეტული სახის პროპაგანდა ყალბი ან არაგულწრფელია, ამ საფუძვლით ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ პროპაგანდის მეთოდების, როგორც ასეთის, უარყოფას, რადგან პროპაგანდა რაიმე ფორმით ყოველთვის იქნება გამოყენებული იქ, სადაც ლიდერებს თავიანთი ამომრჩევლისადმი მიმართვა დასჭირდებათ.⁴⁹ ამერიკელები თითქმის ერთსულოვნად მიდიან შემდეგ დასკვნამდე: პრესა მიკერძოებულია, გავლენიან ადამიანებსა და ორგანიზაციებს ახალი ამბები შეუძლიათ ჩაახშონ ან მართონ.⁵⁰ ასე-

48 ბერნეისი, ე., 2024. პროპაგანდა. თბილისი: აქტი, გვ. 105.

49 იქვე.

50 სარედაქციო წერილი ASHNE-ს (გაზეთის რედაქტორთა ამერიკული საზოგადოება) შესახებ, რომელიც გაზეთის სანდოობის თაობაზე ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევას შეეხება. გამოკითხვაში 3 000 მოზარდი ამერიკელი მონაწილეობდა. "Editor & Publisher". 28 დეკემბერი, 1998 წ. გვ. 12.

თი ფაქტები შესაძლოა, საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩეს. მაყურებელი ჟურნალისტის სახელს მხოლოდ პოლიტიკური ფაქტების გაშუქებისას ისმენდა. დეტროიტის, ნიუ-იორკისა და დალასის ტელეწამყვანები იძულებულნი აღმოჩნდნენ, არჩევანი ურთიერთსაპირისპირო ერთგულებებს შორის გაეკეთებინათ – პოლიტიკოსების მიმართ, რომელთაც მხარს უჭერდნენ, და საზოგადოების მიმართ, რომელსაც ჟურნალისტების როლში ემსახურებოდნენ.

დამოუკიდებლობის პრინციპი ჟურნალისტებს ავალდებულებს, თავი აარიდონ ისეთ კავშირებსა და საქმიანობას, რომლებიც მათ კეთილსინდისიერებას ან სანდოობას საფრთხეს შეუქმნის. მთავარი ამ დროს ისაა, რომ ჟურნალისტი საზოგადოებრივ ინტერესებში მოქმედებდეს. ამ პრინციპის დაცვა აუცილებელია როგორც ცალკეული ჟურნალისტებისთვის, ისე მედიაორგანიზაციებისთვის, თუ ისინი ჟურნალისტიკის ძირითად მოვალეობას – სიმართლის ძიებასა და მის სრულყოფილად გაცემას მოემსახურონ. ამ შემთხვევებში წამყვანების მონაწილეობა განსაკუთრებით პრობლემურია მათი მაღალი საზოგადოებრივი ხილვადობისა და ახალი ამბების წარდგენაში წამყვანი როლის გამო. სწორედ პოლიტიკაზე მომუშავე ჟურნალისტის საქმეა, რომ ობიექტურად გამოკვეთოს და განმარტოს კანდიდატთა შეხედულებები და საზოგადოებამ ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს. მიუხედავად იმისა, რომ დავები ძირითადად ჟურნალისტების ქმედებებზე იყო ფოკუსირებული, პასუხისმგებლობა ტელესადგურების მენეჯმენტსაც ეკისრება. იყო თუ არა თავიდანვე მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა და მოლოდინები საარჩევნო კამპანიების დასაწყისში? იყო თუ არა ხელმძღვანელობა ფხიზლად ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო რის-

კების მიმართ? იყო თუ არა მათი რეაქცია გულწრფელი პრობლემის გადასაჭრელად, თუ მხოლოდ იძულებითი ნაბიჯები მედიის მიერ ფაქტების გამჟღავნების შემდეგ? და ბოლოს, იყვნენ თუ არა სადგურები საზოგადოებასთან ღია და გულწრფელი პრობლემის არსისა და მისი გადაწყვეტის შესახებ – ანუ რამდენად ეთიკურად ჩააბარეს მათ ანგარიშვალდებულების ტესტი? ეს შემთხვევები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მედიაორგანიზაციებში პოლიტიკური ჩართულობისა და საზოგადოებრივ საკითხებზე აქტიუზმის მკაფიო სტანდარტების აუცილებლობას. ასეთი სტანდარტები ისეთ სადავო პოლიტიკურ საკითხებზეც შესაძლოა გავრცელდეს, როგორებიცაა: აბორტი, ბირთვული ენერგია და სამოქალაქო უფლებები. მაგალითად, „ოსტინ ამერიკან – სტეიტსმენის“ ჟურნალისტი ჯინა ჰითი პოლიტიკის გაშუქებას „კონფლიქტს კანდიდატსა და ჟურნალისტების მოთხოვნილებებს შორის“ აღიქვამს: „მას უნდა, რომ თავად აკონტროლოს ის, თუ როგორ მოეწოდება ხალხს მისი პოლიტიკური პროგრამა, ჩვენ კი სიმართლის თქმა გვსურს“. ჯინამ აღმოაჩინა, რომ კანდიდატების საარჩევნო პროგრამები გათვლილია ტელევიზორის მოყვარულ ხალხზე – ნამდვილ ძალაზე. მთელ ამ საქმეში ამას ერთი მიზანი აქვს: ოსტატურად შეფუთული კანდიდატი პირდაპირ ოთახში დაუსვას ამომრჩეველს“. რა თქმა უნდა, სწორედ ჟურნალისტს ევალება მთელი ამ შეფუთვის და კამუფლაჟის ჩამოცლა. ჟურნალისტს ასევე ევალება, რომ საკუთარ თავში ჩაიხედოს – მიკერძოებით ხომ არ ამუშავებს. აქვს თავისი სიმპათიები და მიდრეკილებები, მაგრამ პოლიტიკაზე მომუშავე ჟურნალისტმა არ უნდა დაუშვას, რომ პირადი გრძნობები მის მუშაობაზე აისახოს. პოლიტიკისა და პოლიტიკური კამპანიების გაშუქებისას ეფექტიანი იქნება რჩევების

ხილვა შემდეგ პლათფორმაზე: Some Tips on Campaign Coverage NPW-ში.⁵¹ მედიის მენეჯერებმა არ უნდა ივარაუდონ, რომ თანამშრომლებისთვის თავისთავად ორგანიზაციის პოზიციის ეთიკურ კონფლიქტებზე გასაგებობა ან, რომ ყველა ჟურნალისტი ერთსა და იმავე შეხედულებებს იზიარებს. ზოგი ჟურნალისტი შეიძლება კონკრეტულ საკითხში იმდენად ემოციურად იყოს ჩართული, რომ ჩართულობა გარდაუვლად განიხილებოდეს. თუმცა ჟურნალისტიკა ვერ ფუნქციონირებს ეფექტიანად, თუ ჟურნალისტები დამოუკიდებელი დამკვირვებლისა და მოვლენების აღმწერის როლზე მარტივად იტყვიან უარს. დამოუკიდებლობა ფუნდამენტური პრინციპია, რომელზეც სამართლიანობა დგას. ჟურნალისტის ვალდებულებაა ისეთ კავშირებსა და საქმიანობას აარიდოს თავი, რომლებიც მის სანდოობას ან კეთილსინდისიერებას აზიანებს, ეს პასუხისმგებლობა უკიდურესად სერიოზულად უნდა იქნეს აღქმული. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ჟურნალისტს ასეთ საქმიანობაში ჩართვას აიძულებს, უნდა ეფუძნებოდეს შესაძლო შედეგების გააზრებას, მათ შორის სამუშაო გადანაწილებას ან ორგანიზაციიდან წასვლასაც კი. იდეალურ შემთხვევაში, რეპორტიორებმა და რედაქტორებმა მსგავსი კონფლიქტები

რაც შეიძლება ადრე უნდა განიხილონ. წინასწარი გააზრება თანამშრომლობას ამარტივებს, ალტერნატივების განხილვის საშუალებას იძლევა, კრიზისული მართვისა და სერიოზული ზიანის რისკს ამცირებს, როგორც ინდივიდებისთვის, ისე ორგანიზაციისთვის.

ამას გარდა, არსებობს მარეგულირებელი ორგანოები თავად მედიაში. მაგალითად, გამორჩეულია, Capital Newspapers⁵² – ში მოქმედებს პრესისადმი საყვედურების განმხილველი კომისია და სამაუწყებლო კომისია. ასევე ჟურნალისტური ეთიკა საკუთარ კოდექსებს აწესებს. ეს ცოტათი ართულებს რეგულირების პროცესს, რადგანაც ცალკეული სამაუწყებლო საშუალების მიერ შემუშავებული კოდექსი მეტად ან ნაკლებად მკაცრია მედიის სხვა საშუალების კოდექსზე, რაც იქ მომუშავე ჟურნალისტებს არათანაბარ პირობებში აყენებს. მაგალითად, საერთაშორისო ეთიკის კოდექსის მიხედვით, რომლის კონცეფციასაც გილდიის ხელშეკრულების ქვეპუნქტი განიხილავს და პოლიტიკის გაშუქების ნაწილში მის სტანდარტიზაციას ადგენს, ჟურნალისტებს ავალდებულებს, თავი აარიდონ ნებისმიერ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას გამოცემის შესაძლებლობებს: მთავრობასთან კავშირი ხშირად ყველაზე

51 The Plumas County Museum; Mel Finkelstein. Daily News: Larry C. Price. The Philadelphia inquirer magazine. გვ. 482.

52 „Capital Newspapers“ – „Lee Enterprises“-სა და „The Capital Times Company“-ის მედია ჰოლდინგია, რომელიც ვისკონსინში 27 გამოცემას და რამდენიმე ვებსაიტს მართავს. კომპანიის კორპორატიული სახელწოდებაა „Madison Newspapers Inc“. „Capital Newspapers“-ს თითქმის 400 თანამშრომელი ჰყავს. მედიაჰოლდინგში ფუნქციონირებს მედიის მარეგულირებელი ორგანოები.

მიუღებელია⁵³. „გაზეთების გილდიაში“⁵⁴ წლების განმავლობაში ობიექტურობის ეს დახვეწილი მოდელი შესუსტდა და მისი მნიშვნელობა დაიკარგა. მაგალითად, მწერალმა ლეო როსტენმა ჟურნალისტი-ბი სოციოლოგიურად გამოიკვლია. კვლევის შედეგად ავტორმა დაადასტურა, რომ „ობიექტურობის“ ტერმინს იმისთვის იყენებდნენ, რომ ეთქვათ, ჟურნალისტიკა ობიექტური იყო. ასეთივე იყო სხვა სპეციალისტების აზრი, რომლებმაც მედიაში ობიექტურობა შეუძლებლად მიიჩნიეს.⁵⁵ ობიექტური მეთოდის ცნების გაგებას ყოველი ჟურნალისტი ცალ-ცალკე განმარტავს პირად საუბარში. პრესის სტანდარტები ძირითადად ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაციის დასახმარებლად დაარსდა, პოლიტიკური თემები მედიაში მათემატიკურ მტკიცებებს არ ექვემდებარება. ამას ჟურნალისტები უფრო ტექნიკითა და ყოველდღიური შრომით აღწევენ. სინამდვილეში, ამ მიმართულების ჟურნალისტური მასალები კომპლექსური და არასტაბილურია, პოლიტიკური მიმოხილვა, დისკუსიები, ახალი ამბები, რეპორტაჟები უმაღლესი მეცნიერული თვისებების გამოვლენას მოითხოვს. ჟურნალისტიკა მედიამკვლევრის უოლტერ

ლიპმანის თანახმად, ინტელექტუალური მეთოდებისა და ფაქტების სამყაროსკენ უნდა ისწრაფვოდეს.⁵⁶ აქვე აღსანიშნავია, მისი ხედვა ჟურნალისტიკის ცენტრალურ ფუნქციაზე, როგორც მეცნიერმა 1920 წელს განმარტა: „თავისუფლება ვერასოდეს ეღირსება იმ საზოგადოებას, რომელსაც ინფორმაცია აკლია, რომლის დახმარებითაც ტყუილებს აღმოაჩენდა“.⁵⁷

დასკვნები

ჩვენი მიზნიდან გამომდინარე გამოვიკვლიეთ ის, რამდენად შესაძლებელია მასმედიამ პოლიტიკური სტრუქტურების მახასიათებლები კვალიფიციურად გააშუქოს. ჩვენ შევეცადეთ, ემპირიულად გვეჩვენებინა პოლიტიკური ჟურნალისტური მასალების შედარებითი ანალიზი და ვიფიქრეთ რომელიმე საპირწონე იდეალური პროფესიონალური ანგარიშვალდებულების მოდელის შემოთავაზება, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სხვა მედიაეთიკის მოდელზე შესრულებული პოლიტიკური ჟურნალისტური ნაწარმოებების შეფასება. სწორედ მედიაში, ტექნოლოგიური ცვლილებებიდან გამომდინარე, გაძ-

53 Code of Conduct, 2022. 30. September, Wisconsin: Capital Newspapers, Chapter 1: Media-Generated Content and Activities. Gathering and reporting of news. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://witness.co.za/code-of-conduct/>> [წვდომის თარიღი 08.05. 2026].

54 გაზეთების გილდია (NewsGuild-CWA) – პროფკავშირი, რომელიც დააარსეს გაზეთების ჟურნალისტებმა 1933 წელს. წესდებაში ნათქვამია: მისი მიზანია ჟურნალისტიკასა და საინფორმაციო ინდუსტრიის ბიზნეს პრაქტიკებში პატიოსნება, ხელფასებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება. [ინტერნეტი] ხელისაწვდომია: <<https://newsguild.org/about/>> [წვდომის თარიღი 10. 05. 2026].

55 Walter, k., 1999. Committee of Concerned Journalists: The principles of Journalism, The Journalist's Resource, Massachusetts: Harvard Kennedy School, Training. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://journalistsresource.org/home/principles-of-journalism/>> [წვდომის თარიღი 07. 05. 2026].

56 Lippman, W., 1931. The Press and Public Opinion, Political Science Quarterly, Oxford University Press. გვ. 165. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.jstor.org/stable/i311269>> [წვდომის თარიღი 09. 05. 2026].

57 Lippman, W. and Merz, C., 1917-1920. A Test of the News. USA: New York Times. Part II. გვ. 39. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://ia601902.us.archive.org/14/items/LippmannMerzATestoftheNews/Lippmann_Merz_ATestoftheNews.pdf> [წვდომის თარიღი 09. 05. 2026].

ლიერდა განცდა, რომ ამდაგვარი კვლევა – ეთიკური ნორმების გამოყენების ხელახლა განსაზღვრა – უკიდურესად აუცილებელი იყო და, რომ ის ტრადიციული ეთიკის კონცეფციები და მედიასამართლის ნორმატივები მუდმივი დარჩა: ესაა ცილისწამება, პირადი ცხოვრების ხელყოფა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტიები და მთავრობის ჩარევისაგან დაცვა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ასევე დადასტურდა, რომ მედიაში ციფრული ტექნოლოგიების სწორად გამოყენებით მას შეუძლია პოლიტიკური ჟურნალისტიკის ეთიკის სიდრმეების შეცვლა, ვინაიდან პოლიტიკის თემასთან დაკავშირებული ჟურნალისტური მასალა შეიძლება ტრადიციული ინტერვიუებისა და ეპიზოდების აღწერის ჩარჩოებს გასცდეს და უზარმაზარი დოკუმენტური სამხილები მოგვცეს. კვლევაში წარმოდგენილი პოლიტიკური ჟურნალისტიკის მაგალითები ექსტრემალურად ხსნის პოლიტიკაზე მომუშავე ჟურნალისტების ქცევის წესებს. იმას, თუ როგორ არ უნდა ან როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი. შედეგად, სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ საჭიროა სხვა მექანიზმების მოძიება, რომლებიც შეასწავს იმ სიცარიელეს, რომელიც სოციალური ნორმების დასუსტებამ შექმნა. სტატიაში განვიხილეთ პოლიტიკის თემებზე მომუშავე ავტორები, როგორ უნდა ცდილობდნენ, რომ მხოლოდ სიმართლის გზით ეძებონ სიმართლე. ასევე მიმოვიხილეთ დასავლეთის ქვეყნების ეთიკის სხვადასხვა კოდექსი, ეთიკური დილემები, რომელთა წინაშე პოლიტიკის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები ხშირად დგებიან. ამას გარდა, ჟურნალისტიკასთან მიმართებით ეთიკის ზოგადი ღირებულებები და ანგარიშვალდებულებების სისტემები წარმოვადგინეთ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევები სწავლობს, როგორ ქმნის მედია პოლიტიკური სკანდალების გაშუქებისას ეთიკის მოთხოვნებს, ნაკლები ყურადღე-

ბა ეთმობა იმას, თუ როგორ აყალიბებს მედია თვითონ ქმედების მორალურ შეფასებას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მედია საზოგადოების წარმოდგენებზე, მისაღებ ქცევებზე დიდ გავლენას ახდენს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია მკაფიო სტანდარტიზაციისთვის საზოგადოების საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ჩართულობასა და აქტივიზმთან. კვლევამ ასევე შემდეგ ძირითად დასკვნებამდე მიგვიყვანა, რომ საზოგადოებაში მოსაზრებათა ფართო სპექტრი არსებობს: იგულისხმება, რომ ყოველი ჩვენგანი აზრთა სპექტრის ერთ ან მეორე უკიდურესობას ემხრობა. პოლიტიკურ იდეოლოგიას პარტიული ნიშნით ან ვუჭერთ მხარს, ან ვეწინააღმდეგებით. პოლიტიკურ პოლარიზებულ თემებს ის პრობლემა ახლავს, რომ აუდიტორიას სულ უფრო ნაკლები საშუალება აქვს პოლიტიკურ პროცესში ჩართულობისა, რომელთაც, წესით, მასმედიამ მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს და საკუთარი გადარჩენის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გამოიყენოს. ჟურნალისტის ძირითადი აქცენტების გადანა პროპაგანდისტული შინაარსისა და მეთოდების პოლიტიკურ თემებზე ხალხს მასმედიისგან ამორებს. რადგან პოლიტიკური ჟურნალისტიკის სფერო ვითარდება ანალიტიკური დაკვირვებითა და დაკვირვებადი ფაქტების იტერპრეტაციით მათი მიმართების გათვალისწინებით, ამ ფონზე მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტივობის გამოწვევასა და სტაბილურობაში მედიის ფუნქციის რთული ამოცანის გაზომვა: კვლევების შედეგად მოპოვებული მასალებით დგინდება, რომ ჟურნალისტიკა ყოველ ეპოქაში ამ მისიას მთავარ მიზნად მიიჩნევდა. ამ ამოცანის შესრულება საზოგადოებისთვის მხოლოდ ცოდნითა და ინფორმაციით ვერ მიიღწევა, არამედ პოლიტიკურ თემებზე დისკუსიის, „კამათის კულტურის“ ხელშეწყობის ვალდებულებით, რომელიც ქვეყნის, საზოგადო-

ების სისტემის მშენებლობაში ჩართვას გულისხმობს. ისეთი პოლიტიკური თემების ტოქმოუებისა და ახალი ამბების ფორმატში გაშუქების საჭიროებას, რომელიც საზოგადოების ნდობისთვის იბრძვის. ტრადიციულ მედიასთან ინტეგრირებული ახალი ფორმები ინტერნეტგვერდები, „ჩატოთახები“ სახალხო დისკუსიად აქცევს. ასევე დავადგინეთ, რომ ტექნოლოგია მონაწილეთა პოზიციებს არ ქმნის. *მანქანა ადამიანის ბუნებას ვერ ცვლის. კომპიუტერული ტექნოლოგიები მედიიდან ვერ გამოდევნის ფაქტისა და კონტექსტის ძიებას, პროფესიული ნორმების დაცვას, რომლებიც ტრადიციულ ჟურნალისტიკას ახასიათებდა. მედიას ახალი ტექნოლოგია ამ ძველი ტვირთისგან ვერ გაათავისუფლებს, მაშინ აღარაფერი დაგვრჩება ტექნოლოგიების გარდა, ვინ დაადგენს, სოციალურ ქსელებში გაკეთებული რომელი განცხადება შეესაბამება სიმართლეს? ვინ შეისწავლის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების ისტორიასა და მოტივებს? ვინ გასცემს პასუხს იმ კითხვებს, რომელთაც ყველაზე განრისხებული პოლემისტები სვამენ მმართველი ძალის წარმომადგენლების წინაშე? თუ დისკუსია ფაქტისა და კონტექსტის საძირკველს არ დაეყრდნობა, მოქალაქეთა მიერ დასმული კითხვები უბრალო რიტორიკად გადაიქცევა. დებატები პოლიტიკურ განათლებას კი არ მოიტანს, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოების საწყის აღმფოთებას. საზოგადოება სულ უფრო მეტად დაკარგავს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. დისკუსიებში პოლიტიკოსების გამოსვლებიდან ვეღარაფერს ვისწავლით. ისინი ჩვეულებრივ ხმაურად გადაიქცევა, სადაც ყველაზე ხმამაღალი უმრავლესობა იქნება. ამიტომ უპირველესად, პოლიტიკურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებმა მტკიცედ უნდა დაიცვან ყველა ჟურნალისტური პრინცი-*

პი. მათ უნდა შეინარჩუნონ კომპრომისის ცენტრალური როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. პოლიტიკური ჟურნალისტიკის უპირველესი ამოცანა აგიტირება კი არა, გაშუქებაა. ეს საზოგადოების ჩართულობის გარანტია ქვეყნის განვითარებაში. ეპოქის გარკვეული ინოვაციების მიუხედავად, პოლიტიკური ინდივიდუალური ჟურნალისტიკისთვის ისეთი გზების ძიებაა საჭირო, რომელიც სფეროს ექსპერტებს, მედიამკვლევრებს საშუალებას მისცემდა, პოლიტიკურ თემებზე გაშუქებულ მასალებზე დაკვირვების, გაგებისა და წარმოჩენისას თავისი ირაციონალური, შეუმოწმებელი, გაუცნობიერებელი სტერეოტიპებისგან სუფთა და თავისუფალი დარჩენილიყო. პოლიტიკური თემების გაშუქება კომპლექსური და არასტაბილურია. კარგი მასალის მომზადება ჟურნალისტისგან უმაღლესი მეცნიერული თვისებების გამოვლენას მოითხოვს. ესაა მეთოდებისა და დისციპლინური ექსპერიმენტის ერთიანობა. ჟურნალისტი უნდა მიისწრაფოდეს ინტელექტუალური მეთოდისა და ფაქტების სამყაროსკენ. პოლიტიკური ჟურნალისტიკის სფეროს ქვაკუთხედი მტკიცებულებებისა და გადამოწმების მეცნიერული სწავლებაა. ეს ჟურნალისტებისთვის გამოსავალია, რომელ ველშიც მხოლოდ მეთოდებისა და დისციპლინირებული ექსპერიმენტების ერთიანობა არსებობს. ციფრული საუკუნის ჟურნალისტები ხვდებიან, როგორ იზრდება პროპაგანდისა და პრესაგენტების როლი. ადამიანი სუბიექტურია. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, პროფესიონალიზმისაკენ ჟურნალისტებს ყოველ ეპოქაში მოუწოდებდნენ, კრიტიკოსების არგუმენტები ხშირად ყველაზე დახვეწილი იყო. „გაზეთების გილდია“ ძირითადად იმისათვის დაარსდა, რომ ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაციას დახმარებოდა. თუმცა, წლების განმავლობაში ობიექტურობის ეს უფრო დახვეწი-

ლი საწყისი გაგება მთლიანად შესუსტდა და მისი მნიშვნელობაც დაიკარგა. ამასობაში ციფრულ ეპოქაში ჟურნალისტებზე მომუშავე ანგარიშვალდებულების სისტემებმა საერთაშორისო დონეზე დაიწყეს ეთიკის ცნების დახვეწა, რომელიც ბევრ მედია მკვლევარს ჰქონდა გონებაში. ამას ჟურნალისტები უფრო ტექნიკითა და ყოველდღიური შრომით უნდა აღწევდნენ. მთლიანობაში, ეს არაფორმალური სტრატეგიები ფართოდ გაგებულ დისციპლინად იქცევა. ისინი უახლოვდება იურისპრუდენციის სტანდარტულ წესებს ან სამეცნიერო ექსპერიმენტების საყოველთაოდ შეთანხმებულ მეთოდებს. ზემოთ წარმოდგენილ მედიაში არსებული მარეგულირებელი ორგანოები, რომლებიც ჟურნალისტებს პროფესიული ქცევის სტანდარტებს უწესებს, ძველი ტრადიციების გავრცობაა, რომ ჟურნალისტიკის

ახალ ფორმებს შეერწყას, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკამ ფაქტების განსაზღვრისათვის, შესაძლოა, განავითარა კიდევ სხვადასხვა მეთოდები და კონვენციები. მაგრამ ბევრი ვერაფერი გააკეთა ციფრულ მედიაში ჟურნალისტური ინტერპრეტაციების სანდოობის შესამოწმებელი სისტემების შესამუშავებლად. თავისუფალი პრესის თეორია, რომელიც მე-18 საუკუნის ევროპის საგანმანათლებლო მოძრაობიდან აღმოცენდა, რომლის თანახმადაც, დამოუკიდებელი ხმა უნდა არსებობდეს, რომელსაც საზოგადოების გავლენიანი ინსტიტუტების ქმედებების მეთვალყურეობა შეეძლება, დღეს სულ უფრო აქტუალური ხდება. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ასეთი კვლევა უფრო სისტემატური და ფართომასშტაბიანი უნდა იყოს.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერნეისი, ე., 2024. პროპაგანდა. თბილისი: აქტი.
2. ბურდიე, პ., 2021. ტელევიზიის შესახებ. თბილისი: Carpe diem.
3. დე გრაფი ნადარეიშვილი, მ., 2011. მედია და პოლიტიკური იმიჯი, თბილისი: უნივერსალი.
4. დე გრაფი ნადარეიშვილი, მ., 2006. ეფემერულობის დიდებულება. ჩვენი მწერლობა, 22. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/144620/1/Chveni_Mwerloba_2006_N22.pdf> [წვდომის თარიღი 09. 05. 2026].
5. მაცაბერიძე, მ., 2014. პოლიტიკური კომუნიკაცია. თბილისი.
6. სურგულაძე, რ., 1996. ჟურნალისტიკამცოდნეობის საფუძვლები, თბილისი: ნიკე.
7. უილკოქსი, დ. და კამერონი, ტ. გ., 2011. საზოგადოებასთან ურთიერთობა. თბილისი: დიოგენე.
8. ჰელინი, დ. და მანჩინი, პ., 2015. მედიასისტემების შედარება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
9. Alibhai-Brown, Y., 2018. In Defence of Political Correctness. London: Biteback Publishing. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.goodreads.com/book/show/41944711-in-defence-of-political-correctness>> [წვდომის თარიღი 08. 05. 2026].
10. Baker, C. E., 2014. Advertising and a Democratic Press. Princeton Legacy Library, New Jersey; Princeton University Press. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://press.princeton.edu/books/ebook/9781400863556/advertising-and-a-democratic-press-pdf?srsId=AfmBOookql67PCHl2whtqCT3O6EagjS-1w-AqUDxZjp1_8tz3-VKAq> [წვდომის თარიღი: 09. 05. 2026].
11. Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. USA: Sigma Delta Chi Foundation Allyn & Bacon, Booknotes.

12. Brooke, F. L. and Horsley, S. J., 2007. The Government Communication Decision Wheel: Toward a Public relations Model for the Public Sector. *Journal of Public Relations Research*, 19 (4). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10627260701402473?utm_source=researchgate.net&utm_medium=article [წვდომის თარიღი 07.05.2026].
13. Cooper, M. and Luo, M., 2007. Where the Campaign Money Goes. USA: New York Times, July 18. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.nytimes.com/2014/10/20/us/the-cost-of-campaigns.html> [წვდომის თარიღი 07.05.2026].
14. Chalaby, J. K., 1998. *The Invention of Journalism*. London: Macmillan.
15. Fitzpatrick, K. and Bronstein, C., 2006. *Ethics in Public Relations: Responsible Advocacy*. Thousand Oaks. Chicago: CA: Sage Publications. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://communication.depaul.edu/academics/research/publications/bronstein-ethics-public-relations> [წვდომის თარიღი 07.05.2026].
16. James, R., 1991-1992. *A memoir Deadline*, New York: Random House. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://archive.org/details/deadlinememoir0000rest/page/n7/mode/2up> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
17. Hallin, D. and Mancini, P., 2015. *Comparing Media Systems*. Tbilisi: Ilia State University.
18. Hall, S. and others, 1978. *Policing the Crisis – Mugging, the State, and Law and Order*. London: Macmillan.
19. Hammond, W., 1990. *The Military and the Media, 1962–1968*. Washington: Center of Military History, United States Army. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://history.army.mil/portals/143/Images/Publications/catalog/91-13.pdf> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
20. Hersh, S. M., 1999. *The Intelligence Gap*. The New Yorker, December 6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.newyorker.com/magazine/1999/12/06/the-intelligence-gap> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
21. Horsley, S. J., Liu, B. F. and Levenshus, A. B., 2007. The Government Communication Decision Wheel: Toward a Public Relations Model for the Public Sector. *Journal of Public Relations Research*, Published by Taylor & Francis, 19 (4).
22. Kille, W., 1999. *Committee of Concerned Journalists: The Principles of Journalism*. The Journalist's Resource, Harvard Kennedy School. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://journalistsresource.org/home/principles-of-journalism/> [წვდომის თარიღი 07.05.2026].
23. Lippmann, W., 1922. *Public Opinion*. USA & London: Transaction Publishers.
24. Lippmann, W., 1931. *The Press and Public Opinion*. Political Science Quarterly. Oxford University Press. [ინტერნეტი] <https://www.jstor.org/stable/i311269> [წვდომის თარიღი 09.05.2026].
25. Lippmann, W. and Merz, C., 1920. *A Test of the News*. The New Republic, Oxford: Oxford University Press, 4 August. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://ia601902.us.archive.org/14/items/LippmannMerzATestoftheNews/LippmannMerz_ATestoftheNews.pdf [წვდომის თარიღი 08.05.2026].
26. Mair, P., 1997. *Party System Change: Approaches and Interpretations*. Oxford: Clarendon Press.
27. Machaberidze, M., 2014. *Political Communication*. Tbilisi.
28. Picard, R., 1984. *Levels of State Intervention in the Western Press*. Mass Communication Review, 11.
29. Pilkington, A., 2022. *Political Correctness in a Global Age: The Ethical Implications of a Hegemonic Discourse*. In: *Global Media Ethics and the Digital Revolution*. New York: Routledge.
30. Reston, G. D., 1991-1992. *A Memoir Deadline*. New York: Random House, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://archive.org/details/deadlinememoir0000rest> [წვდომის თარიღი 08.05.2026].
31. Seib, P. and Fitzpatrick, K., 1995. *Public Relations Ethics*. Belmont, CA: Thomson/Wadsworth.
32. Shipman, T., 2020. *Voters Seek Return to Common Sense in Revolt Against Political Correctness*. Sunday Times, 24 May.
33. Schulz, W., 2001. *Foreign News in Leading Newspapers of Western and Post-Communist Countries*. Institute for Social Science University of Erlangen-Nuernberg. Paper prepared for presentation at the 51st Annual Conference of the International Communication Association, USA,

- Washington: May 24-28, 2001. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/228708911_Foreign_news_in_leading_newspapers_of_western_and_post-Communist_countries> [წვდომის თარიღი 05. 05. 2026].
34. Stuart, H. C., Critcher, T. and Jefferson, J., 1978. Clarke and B. Roberts, Policing the Crisis –Mugging, the State and Law and Order , London: Macmillan.
 35. Van, R. B., 2004. The Communication Grid: An Introduction of a Model of Four Communication Strategies. Public Relations Review, 30(2).
 36. Weber, M., 1946. Politics As A Vocation. New York: Oxford University Press. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://dn790009.ca.archive.org/0/items/weber_max_1864_1920_politics_as_a_vocation/weber_max_1864_1920_politics_as_a_vocation.pdf> [წვდომის თარიღი 04. 05. 2026].
 37. Wose, K., 2007. Lobbying and Relationship Management: The K Street Connection. Journal of Public Relations Research, 19, (4).
 38. Walter, k., 1999. Committee of Concerned Journalists: The Principles of Journalism, The Journalist's Resource, Massachusetts: Harvard Kennedy School, Training. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://journalistsresource.org/home/principles-of-journalism/>> [წვდომის თარიღი 07.05.2026].
 39. Wilcox, D. L. and Glen T. C., 2015. *Public Relations: Strategies and Tactics*. England: Pearson Education Limited, Harlow, Essex.
 40. Zielbauer, P., 2007. Propaganda Fear is Cited in Account of Killings of Iraqis. New York: New York Times, May (6). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.nytimes.com/by/paul-von-zielbauer>> [წვდომის თარიღი 08 05. 2026].
 2. Code of Conduct 2022. 30 September. Wisconsin: Capital Newspapers. Chapter 1: Media-Generated Content and Activities. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://witness.co.za/code-of-conduct/>> [წვდომის თარიღი 8.05.2026].

BIBLIOGRAPHY

Used Literature:

1. Alibhai-Brown, Y., 2018. In Defence of Political Correctness. London: Biteback Publishing. [Online] available at: <<https://www.goodreads.com/book/show/41944711-in-defence-of-political-correctness>> [Accessed 07. 05. 2026]. (in English)
2. Baker, C. E., 2014. Advertising and a Democratic Press. Princeton Legacy Library, New Jersey; Princeton University Press. [Online] available at: <https://press.princeton.edu/books/ebook/9781400863556/advertising-and-a-democratic-press-pdf?srsltid=AfmBOookql67PCHl2whtqCT3O6EagifS-1w-AqUDxZjp1_8tz3-VKAq> [Accessed 09. 05. 2026]. (in English)
3. Black, J., Steele B. and Barney R., 1997. USA: Doing Ethics in Journalism. Sigma Delta Chi Foundation Allyn and Bacon. Booknotes. C-Span, 29 May. (in English)
4. Brooke, F. L. and Horsley, S. J., 2007. The Government Communication Decision Wheel: Toward a Public relations Model for the Public Sector. Journal of Public Relations Research, 19(4), [Online] available at: <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10627260701402473?utm_source=researchgate.net&utm_medium=article> [Accessed 05. 05. 2026]. (in English)
5. Bernays, E., 2024. Propaganda. Tbilisi: Act. (in Georgian)
6. Bourdieu, P., 2021. On Television. Tbilisi: Carpe Diem. (in Georgian)
7. Cooper, M. and Luo, M., 2007. Where the Campaign Money Goes. New York Times, July 18. p. 11. [Online] available at: <<https://www.nytimes.com/2014/10/20/us/the-cost-of-campaigns.html>> [Accessed 05. 05. 2026]. (in English)

ნორმატიული მასალა:

1. Code of Conduct, 2022. 30 September. Wisconsin: Capital Newspapers. Chapter 1: Media-Generated Content and Activities. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://witness.co.za/code-of-conduct/>> [წვდომის თარიღი 08. 05. 2026].

8. Chalaby, J. K., 1998. The Invention of Journalism. London: Macmillan. (in English)
9. De Graafi Nadareishvili, M., 2011. Media and Political Image. Tbilisi: Universali. p. 11. (in Georgian)
10. De Graafi Nadareishvili, Maia, 2006. The Grandeur of Ephemerality. *Chveni Mwerloba (Our Literature)*, (22). [Online] available at: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144620/1/Chveni_Mwerloba_2006_N22.pdf [Accessed 07. 05. 2026]. (in Georgian)
11. Wilcox, D., L. and Cameron, G., T., 2011. Public Relations. (in Georgian)
12. Fisher, L. and Horsley, S. J., 2007. The Government Communication Decision Wheel: Toward a Public Relations Model for the Public Sector, *Journal of Public Relations Research*, 19(4).
13. Fitzpatrick, K. and Bronstein, C., 2006. Ethics in Public Relations: Responsible Advocacy. Thousand Oaks. Chicago: CA: Sage Publications. [Online] available at: <https://communication.depaul.edu/academics/research/publications/bronstein-ethics-public-relations> [Accessed 07. 05. 2026]. (in English)
14. James, R., 1991-1992. A memoir Deadline, New York: Random House. [Online] available at: <https://archive.org/details/deadlinememoir0000rest/page/n7/mode/2up> [Accessed 08. 05. 2026]. (in English)
15. Hallin, D. and Mancini, P., 2015. Comparing Media Systems. Tbilisi: Ilia State University. (in English)
16. Hall, S. and others, 1978. Policing the Crisis Mugging, the State, and Law and Order. London: Macmillan. (in English)
17. Hammond, W., 1990. The Military and the Media, 1962–1968. Washington: Center of Military History, United States Army. [Online] available at: <https://history.army.mil/portals/143/Images/Publications/catalog/91-13.pdf> (in English)
18. Hersh, S. M., 1999. The Intelligence Gap. The New Yorker, December 6 [Online] available at: <https://www.newyorker.com/magazine/1999/12/06/the-intelligence-gap> [Accessed 08. 05. 2026]. (in English)
19. Kille, W., 1999. Committee of Concerned Journalists: The Principles of Journalism. *The Journalist's Resource*, Harvard Kennedy School. [Online] available at: <https://journalistsresource.org/home/principles-of-journalism/> [Accessed 05. 05. 2026]. (in English)
20. Lippmann, W., 1922. Public Opinion. USA and London: Transaction Publishers. (in English)
21. Lippmann, W., 1931. The Press and Public Opinion. Political Science Quarterly. Oxford University Press. [Online] available at: <https://www.jstor.org/stable/i311269> [Accessed 09. 05. 2026]. (in English)
22. Lippmann, W. and Merz, C., 1920. A Test of the News. The New Republic, Oxford: Oxford University Press, 4 August. [Online] available at: https://ia601902.us.archive.org/14/items/LippmannMerzATestoftheNews/Lippmann_Merz_ATestoftheNews.pdf [Accessed 05. 05. 2026]. (in English)
23. Mair, P., 1997. Party System Change: Approaches and Interpretations. Oxford: Clarendon Press. (in English)
24. Machaberidze, M., 2014. Political Communication. Tbilisi. (in Georgian)
25. Picard, R., 1984. Levels of State Intervention in the Western Press. *Mass Communication Review* (11).
26. Pilkington, A., 2022. Political Correctness in a Global Age: The Ethical Implications of a Hegemonic Discourse. In: *Global Media Ethics and the Digital Revolution*. New York: Routledge. (in English)
27. Reston, G. D., 1992. *A Memoir Deadline* 1991 – 1992. New York: Random House. [Online] available at: <https://archive.org/details/deadlinememoir0000rest> [Accessed 08. 10. 2026]. (in English)
28. Surguladze, R., 1996. Foundations of Journalism Studies. Tbilisi: Nike. (in Georgian)
29. Seib, P. and Fitzpatrick, K., 1995. Public Relations Ethics. Belmont, CA: Thomson/Wadsworth. (in English)
30. Shipman, T., 2020. Voters Seek Return to Common Sense in Revolt Against Political Correctness. *Sunday Times*, 24 May. (in English)
31. Shipman, T., 2020. Voters Seek Return to Common Sense in Revolt Against Political Correctness. *Sunday Times*, 24 May. (in English)
32. Schulz, W., 2001. Foreign News in Leading Newspapers of Western and Post-Communist Countries. Institute for Social Science University of Erlangen-Nuernberg. Paper prepared for

- presentation at the 51st Annual Conference of the International Communication Association, USA, Washington: May 24-28, 2001. [Online] available at: https://www.researchgate.net/publication/228708911_Foreign_news_in_leading_newspapers_of_western_and_post-Communist_countries/// [Accessed 05. 05. 2026]. (in English)
33. Stuart, H. C., Critcher, T. and Jefferson, J., 1978. Clarke and B. Roberts, Policing the Crisis – Mugging, the State, and Law and Order, London: Macmillan. (in English)
 34. Van, R.B., 2004. The Communication Grid: An Introduction of a Model of Four Communication Strategies. *Public Relations Review*, 30 (2). (in English)
 35. Weber, M., 1946. Politics as a Vocation. New York: Oxford University Press. [Online] available at: https://dn790009.ca.archive.org/0/items/weber_max_1864_1920_politics_as_a_vocation/weber_max_1864_1920_politics_as_a_vocation.pdf [Accessed 05.05.2026]. (in English)
 36. Wose, K., 2007. Lobbying and Relationship Management: The K Street Connection. *Journal of Public Relations Research*, (19)4. [Online] available at: <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10627260701402457#:~:text=Public%20relations%20professionals%20working%20as%20groups%20build%20identities%20in%20Washington> [Accessed 09. 05.2026]. (in English)
 37. Walter, k., 1999. Committee of Concerned Journalists: The principles of Journalism, The Journalist's Resource, Massachusetts: Harvard Kennedy School, Training. [Online] available at: <https://journalistsresource.org/home/principles-of-journalism/> [Accessed 08.05. 2026]. (in English).
 38. Wilcox, D., L. and Cameron, G. T., 2011. Public Relations. (in English)
 39. Hallin, D. and Mancini, P., 2015. Comparing Media Systems. Tbilisi: Ilia State University. (in English)
 40. Zielbauer, P., 2007. Propaganda Fear is Cited in Account of Killings of Iraqis. New York: New York Times, A1 May, 6. [Online] available at: <https://www.nytimes.com/by/paul-von-zielbauer> [Accessed 08. 05.2026]. (in English)

Normative Materials:

1. Code of Conduct, 2022. 30 September. Wisconsin: Capital Newspapers. Chapter 1: Media-Generated Content and Activities. [Online] available at: <https://witness.co.za/code-of-conduct/> [Accessed 08. 05.2026]. (in English)
2. Newspaper Guild (NewsGuild-CWA) – 1933. [Online] available at: <https://newsguild.org/about/> [Accessed 10. 05. 2026]. (in English)

ქონების გადასახადის მოქმედი მოდელი და ინდივიდუალური დაბეგვრის დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.4>

ნიკოლოზ ფიფია

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის პროფესორი
საქართველო, თბილისი

ელ. ფოსტა: pipianikoloz07@gtu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0000-9348-6393>

არჩილ ლორია

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის პროფესორი,
„სამართლის მეცნიერთა კავშირის“ წევრი
საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა: archilioria@gmail.com

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0007-8738-4447>

მამუკა სარჩიმელია

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა: mamukasarchimelia@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომი სწავლობს ქონების გადასახადის სისტემის რეფორმის აუცილებლობას საქართველოში. კვლევა აჩვენებს, რომ არსებული 40 000 ლარის შემოსავლის ზღვარი და ოჯახის საერთო შემოსავალზე დაფუძნებული დაბეგვრის მოდელი ვე-ლარ ასახავს მოსახლეობის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობის, თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპებს.

ანალიზი ხაზს უსვამს 2010 წლის შემდეგ მომხდარ ეკონომიკურ ცვლილებებს — ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ინფლაცია, საარსებო მინიმუმისა და საშუალო ხელფასის ნომინალური ზრდა — რამაც საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახები

ქონების გადასახადის გადამხდელთა კატეგორიაში მოაქცია. ასევე გამოვლინდა ოჯახზე დაფუძნებული დაბეგვრის სამართლებრივი ბუნდოვანებები და უთანასწორო საგადასახადო ტვირთი.

ნაშრომი სთავაზობს ორი ძირითადი მიმართულების რეფორმას:

- ქონების გადასახადისგან გათავისუფლების შემოსავლის ზღვრის 40 000 ლარიდან 65 000 ლარამდე გაზრდა;
- ოჯახის საერთო შემოსავლის ნაცვლად ინდივიდუალური დაბეგვრის პრინციპზე გადასვლა.

გარდა ამისა, ხაზგასმითაა საჭირო 5-ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადისგან გათავისუფლების დროითი შეზღუდვის მოხსნა, როგორც თანასწორობისა და საკუთრების უფლების კონსტიტუციური დაცვის პრინციპის უზრუნველყოფის აუცილებელი ნაბიჯი. შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში ქონების გადასახადი ეფუძნება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და საბაზრო ღირებულებას, ხოლო ოჯახის საერთო შემოსავალზე მიბმული სისტემა პრაქტიკულად აღარ გამოიყენება.

წარმოჩენილი ცვლილებები, მიუხედავად მოკლევადიანი გავლენისა, ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალზე გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს საგადასახადო სამართლიანობას, შეამცირებს დისკრიმინაციულ პრაქტიკას და გაზრდის მოქალაქეთა ნდობას საგადასახადო სისტემის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ქონების გადასახადი, ინდივიდუალური დაბეგვრა, ოჯახის შემოსავალი, სამართლებრივი განსაზღვრულობა, საგადასახადო სამართლიანობა

CURRENT PROPERTY TAX MODEL AND THE LEGAL FOUNDATIONS FOR THE INTRODUCTION OF INDIVIDUAL TAXATION

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.4>

Nikoloz Phiphia

PhD in Law,

Professor at the Faculty of Law and International Relations

at Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

Email: piplanikoloz07@gtu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0000-9348-6393>

Archil Loria

PhD in Law,

Professor at the Faculty of Law and International Relations

at Georgian Technical University, Member of the "Union of Law Scientists"

Georgia, Tbilisi

Email: archiloria@gmail.com

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0007-8738-4447>

Mamuka Sarchimelia

PhD in Law,

Associate Professor at the Faculty of Law and International

Relations at Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

Email: mamukasarchimelia@gmail.com

ABSTRACT

This study examines the need for reforming the property tax system in Georgia. It demonstrates that the current threshold of 40,000 GEL and the taxation model based on total household income no longer reflect the real economic situation of the population and conflict with the principles of legal certainty, equality, and proportionality.

The analysis highlights the impact of economic changes since 2010, including the depreciation of the national currency, inflation, and nominal increases in the subsistence minimum and average salaries, which have shifted middle-income households into the category of property taxpayers. It also identifies legal ambiguities caused by household-based taxation.

The paper proposes two key reforms:

- Raising the income threshold for exemption from property tax from 40,000 GEL to 65,000 GEL.
- Transitioning from household-based to individual-based taxation.

Furthermore, it argues for removing the temporal limitation on exemptions for agricultural land plots up to 5 hectares, to comply with constitutional principles of equality and property rights. Comparative analysis shows that in developed legal systems, property tax is based on individual responsibility and market value rather than household income.

The proposed reforms aim to enhance tax fairness, reduce discriminatory burdens, and increase public trust, while balancing short-term impacts on local budgets with long-term socio-economic benefits.

KEYWORDS: Property tax, Individual taxation, Household income, Legal certainty, Tax fairness

საგადასახადო სამართალი წარმოადგენს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე სამართლებრივ ურთიერთობას. მისი მთავარი დანიშნულებაა, ერთი მხრივ, უზრუნველყოს საჯარო ინტერესების რეალიზაცია და ბიუჯეტის შემოსავლების სტაბილურობა, ხოლო, მეორე მხრივ, არ დაარღვიოს პირის კონსტიტუციური უფლებები, მათ შორის საკუთრების უფლება და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.

საგადასახადო ნორმები ვერ იქნება სტატიკური და უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ გადახედვას, რათა ისინი პასუხობდეს სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას, ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობასა და მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადასახადო ტვირთი კარგავს პროპორციულობას და იძენს დისკრიმინაციულ ხასიათს. გლობალური ეკონომიკური პროცესებისა და ინფლაციის ზრდის ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო სისტემა პერიოდულად გადაისინჯოს და ადაპტირდეს ეკონომიკურ გარემოსთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში ფიქსირებული საგადასახადო ზღვრები კარგავს თავდაპირველ სოციალურ ფუნქციას და მოსახლეობის საშუალო ფენისთვის დამატებით ფინანსურ ტვირთად იქცევა.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ქონების გადასახადი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე გადასახადია მოსახლეობისთვის, ვინაიდან იგი უკავშირდება საკუთრების უფლებას და ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას. არსებული რეგულაციების გარკვეული ნაწილი ვერ ასახავს ქვეყნის დღევანდელ სოციალურ და ეკონომიკურ

რეალობას, რის გამოც საჭირო ხდება მათი გადახედვა და დახვეწა.

კვლევა ეფუძნება დოგმატურ-სამართლებრივ, შედარებით-სამართლებრივ და ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს. ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმატიული ანალიზი, საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი შეფასება და ეკონომიკური მონაცემების შეფასება ქონების გადასახადის მოქმედი მოდელის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით.

ძირითადი ტექსტი

საგადასახადო დაბეგვრის სხვადასხვა პრინციპების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგადასახადო სამართლიანობის თეორიულ საფუძვლებს. თანამედროვე საგადასახადო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დოქტრინას წარმოადგენს გადახდისუნარიანობის პრინციპი (Ability-to-Pay Principle), რომლის თანახმად გადასახადი უნდა შეესაბამებოდეს პირის რეალურ ეკონომიკურ შესაძლებლობას. აღნიშნული პრინციპი ეფუძნება იდეას, რომ საგადასახადო ტვირთის განაწილება უნდა ხდებოდეს გადამხდელის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით და არა მხოლოდ ნომინალური შემოსავლების მიხედვით. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰორიზონტალური სამართლიანობის პრინციპს (Horizontal Equity), რომელიც მოითხოვს, რომ თანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პირები თანაბრად დაიბეგრონ.¹ ოჯახის საერთო შემოსავალზე დაფუძნებული დაბეგვრის მოდელი კი პრაქტიკაში ხში-

1 Smith, A, first published 1776 An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations (first published 1776, Project Gutenberg edition) Book V, ch II. [ინტერნეტი] გადამოწმებულია: <https://www.gutenberg.org/files/3300/3300-h/3300-h.htm> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

რად იწვევს განსხვავებულ საგადასახადო ტვირთს თანაბარი ინდივიდუალური შემოსავლის მქონე პირებისთვის, რაც თანამედროვე საგადასახადო დოქტრინაში განიხილება როგორც ჰორიზონტალური უთანასწორობის (Horizontal Inequity) ფორმა.²

გარდა ამისა, საგადასახადო სამართლიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც უფრო მაღალი ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე პირებმა უნდა იტვირთონ შედარებით მაღალი საგადასახადო ტვირთი. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფლაციისა და ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, როდესაც ფიქსირებული საგადასახადო ზღვრები დროთა განმავლობაში კარგავს თავდაპირველ სოციალურ ფუნქციას.

თანამედროვე ევროპულ საგადასახადო სისტემებში ფართოდ არის გავრცელებული ინდივიდუალური ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინების პრინციპი, რაც ასახულია ევროკომისიის ყოველწლიურ ანალიტიკურ მონაცემებში *Taxation Trends in the European Union*. აღნიშნული პლატფორმის მიხედვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო ვალდებულებებისა და საგადასახადო ტვირთის (Tax Wedge) შეფასება ხდება უშუალოდ კონკრეტული პირის (ინდივიდის) პირადი პასუხისმგებლობის, შემოსავლის დონისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გათვალისწინებით.³

აღნიშნული მიდგომა უფრო მეტად უზრუნველყოფს სამართლებრივი განსაზღვრულობის, თანასწორობისა და საგადასახადო სამართლიანობის პრინციპების დაცვას.

2010 წელს მიღებული საქართველოს საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა გადასახადის სახეები. კერძოდ, კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით დადგენილია შემდეგი გადასახადები:

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- დ) აქციზი;
- ე) იმპორტის გადასახადი.⁴

ამავე კოდექსით ადგილობრივი გადასახადის სახედ დადგინდა ქონების გადასახადი. 201-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადასახადის გადამხდელია ფიზიკური პირი, ხოლო დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს მთელი მისი უძრავი და მოძრავი ქონება და სხვა აქტივები.

ქონების გადასახადი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ გადასახადს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საკუთრების უფლებას და მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობას. მისი რეგულირება უნდა ემყარებოდეს როგორც ფისკალურ ინტერესებს, ისე სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპებს.

საქართველოში მოქმედი რეგულაციის მიხედვით საგადასახადო კოდექსით

2 შეადარე. OECD (2024), "Taxing Wages 2024: Tax and Gender through the Lens of the Second Earner", Chapter 2: Special Feature. [ინტერნეტი] გადამოწმებულია: https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2024/04/taxing-wages-2024_f869da31/dbcbac85-en.pdf [წვდომის თარიღი 15.05.2026].

3 European Commission, n.d. Taxation trends in the European Union. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://taxation-customs.ec.europa.eu/taxation/economic-analysis/data-taxation-trends/taxation-trends-eu_en [წვდომის თარიღი 15.05.2026].

4 მუხლი 6, საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

ასევე გათვალისწინებულია ქონების გადასახადისგან გათავისუფლების პირობებიც. კერძოდ, 206-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადასახადისგან გათავისუფლებულია „ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს.“⁵

საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 პუნქტით ოჯახი განიმარტება, როგორც: „პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, ძმა, ბებია, პაპა და შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან“.⁶ ამავე ნორმით დადგენილია, რომ კოდექსის მიზნებისთვის „გადასახადის გადამხდელი უპირობოდ თავად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწევიან.“⁷

აღნიშნული რეგულაცია ქმნის მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას. კერძოდ, კოდექსში არ არსებობს მკაფიო ნორმა, რომლის მიხედვითაც ქონების გადასახადის ვალდებულება ინდივიდუალურად განისაზღვრებოდა. შედეგად, ოჯახის საერთო შემოსავლის 40 000 ლარზე გადაჭარბების შემთხვევაში ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება შესაძლოა დაეკისროს ოჯახის ყველა წევრს, რაც იწვევს არათანაბარ და ხშირად უსამართლო საგადასახადო ტვირთს.

ამასთანავე, თავად კანონმდებლობა ქმნის სამართლებრივ წინააღმდეგობას, ვინაიდან გადასახადის გადამხდელს შეუძლია საერთოდ არ დაასახელოს ოჯახის არცერთი წევრი. ეს გარემოება ნათლად

მიუთითებს, რომ ოჯახის ცნებაზე მიბმული დაბეგვრის მოდელი ვერ აკმაყოფილებს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს.

საგადასახადო სისტემის არსებული მოდელის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ოჯახის საერთო შემოსავალზე დაფუძნებული დაბეგვრა უფრო ზუსტად ასახავს ეკონომიკურ რეალობას, რადგან ოჯახი წარმოადგენს ერთიან ეკონომიკურ ერთეულს, სადაც შემოსავლები და ხარჯები გაზიარებულია. ამავე დროს ეს მოდელი ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგადასახადო კონტროლის სირთულეს, რადგან სახელმწიფოსთვის უფრო მარტივია ოჯახის ერთიან ეკონომიკურ სურათზე დაყრდნობა, ვიდრე თითოეული ინდივიდის დეტალური შეფასება.

თუმცა, ეს მიდგომა ქმნის ჰორიზონტალური სამართლიანობის პრობლემას, რადგან ერთი და იგივე ინდივიდუალური ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე პირები განსხვავებულ საგადასახადო ტვირთს იღებენ მხოლოდ ოჯახის სტრუქტურის განსხვავების გამო. გარდა ამისა, თანამედროვე საგადასახადო თეორია ხაზს უსვამს, რომ საგადასახადო ვალდებულება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გადახდისუნარიანობას და არა კოლექტიურ ერთეულს, რადგან ეს უზრუნველყოფს უფრო ზუსტ სამართლებრივ განსაზღვრულობას და ამცირებს დისკრეციულ ინტერპრეტაციას. ეს მიდგომა მიიჩნევა უმნიშვნელოვანეს წინაპირობად საგადასახადო სისტემის სამართლებრივი განსაზღვრულობის უზრუნველყოფისა და საგადასახადო ორგანოების მხრიდან დისკრეციული (თვითნებური) ინტერპრეტაციის რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. აღნიშნული გლობალური

5 იქვე. მუხლი 206.

6 იქვე. მუხლი 8.

7 იქვე. მუხლი 206.

პრინციპების ადვოკატირებასა და მათ პრაქტიკულ იმპლემენტაციას აქტიურად უჭერს მხარს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, რაც ასახულია მათ ფისკალური პოლიტიკისა და საგადასახადო განსაზღვრულობის საერთაშორისო პლატფორმაზე.⁸

2010 წლის შემდეგ საქართველოში მოხდა არსებითი ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საგადასახადო ნორმების გამოყენებისას. კერძოდ, 2010 წელს ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1.7–1.89-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო 2025 წელს — 2.7–2.8-ის ფარგლებში, რაც დაახლოებით 1.5-ჯერ გაუფასურებდა მიუთითებს. ეს პირდაპირ აისახა ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობასა და მოსახლეობის რეალურ შემოსავლებზე.⁹

2010 წლის იანვრის მდგომარეობით შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი შეადგენდა 128 ლარს, ხოლო 2024 წლისთვის — 262.4 ლარს.¹⁰ პარალელურად გაიზარდა საშუალო თვიური ხელფასი: 2010 წელს იგი 597.6 ლარს შეადგენდა, ხოლო 2024 წელს — 1 970.8 ლარს.¹¹ აღნიშნული ზრდა ძირითადად ნომინალური და ინფლაციური ხასიათისაა. ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის პირობებში ნომინალური ხელფასების ზრდა ყოველთვის არ ნიშნავს მოსახლეობის კეთილდღეობის რეალურ გაუმჯო-

ბესებას. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკვების, კომუნალური მომსახურებების, საცხოვრებლისა და ჯანდაცვის ხარჯები, რამაც შეამცირა მოქალაქეთა რეალური მსყიდველუნარიანობა.

საქართველოში დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ოჯახის წლიურმა შემოსავალმა 40 000 ლარს რომ გადააჭარბოს, თვეში დაახლოებით 3 300 ლარი უნდა შეადგინოს. 2010 წელს ასეთი მაჩვენებელი მაღალი შემოსავლის კატეგორიას წარმოადგენდა და მისაღწევად ოჯახის მინიმუმ ხუთი წევრის დასაქმება იყო საჭირო. დღეისათვის კი იგივე ზღვარი, უმეტესწილად, შესაძლოა მხოლოდ ორი დასაქმებული ოჯახის წევრის შემთხვევაში გადაილახოს. ამრიგად, 40 000 ლარის ზღვარი აღარ ასახავს მოსახლეობის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და კარგავს იმ სოციალურ მიზანს, რომლისთვისაც იგი თავდაპირველად დაწესდა. ეკონომიკური თვალსაზრისით, მსგავსი ვითარება ქმნის ე.წ. „ფისკალური დრიფტის“ პრობლემას, როდესაც ინფლაციის გამო მოქალაქეები ავტომატურად ექვევნიან უფრო მაღალი საგადასახადო ტვირთის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ მათი რეალური შემოსავლები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, რომ 2023-2025 წლებში ფიზიკური პირე-

8 OECD. (n.d.). Tax Certainty Agenda and Fiscal Policy Principles. Organisation for Economic Co-operation and Development. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/en/topics/taxation.html> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

9 შეადარე. ქართული ბიზნეს პორტალი lari.ge [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.lari.ge/index.php?do=currency%2Fchart&code=USD&currDate=17.06.2010> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

10 შეადარე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

11 შეადარე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

ბის ქონების გადასახადის მაჩვენებლები სტაბილურად იზრდება. 2023 წელს ქონების გადასახადის დეკლარაცია 367 ათასმა ფიზიკურმა პირმა წარადგინა, ხოლო 2024 წელს — უკვე 402 ათასმა, რაც დაახლოებით 9.5%-იან ზრდას წარმოადგენს. ამავე პერიოდში გაიზარდა ბიუჯეტში მობილიზებული ქონების გადასახადის მოცულობაც: 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 80.7 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო 2024 წელს — 95.5 მილიონ ლარს, რაც დაახლოებით 17%-იანი ზრდაა.¹²

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ მოქმედი 40 000-ლარიანი ზღვარი თანამედროვე ეკონომიკურ რეალობას ვეღარ შეესაბამება და ქონების გადასახადის გადამხდელთა კატეგორიაში სულ უფრო მეტ საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეს აქცევს. შესაბამისად, ზღვრული ოდენობის გაზრდა არა მხოლოდ საგადასახადო სამართლიანობის პრინციპის უკეთ დაცვას უზრუნველყოფს, არამედ ხელს შეუწყობს საშუალო ფენის ფინანსური მდგომარეობის გაძლიერებას. გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნულმა ცვლილებამ შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ აქტივობაზე, მოხმარების ზრდასა და საბოლოოდ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია:

1. საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოთითებული თანხის 40 000 ლარიდან 65 000 ლარამდე გაზრდა;

2. ქონების გადასახადის დაბეგვრის ინდივიდუალურ პრინციპზე გადასვლა, სადაც შეფასდება კონკრეტული ფიზიკური

რი პირის პირადი წლიური შემოსავალი და არა ოჯახის საერთო შემოსავალი.

შესაბამისად, 206-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება, თუ ამ პირის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 65 000 ლარს.“

ამავე დროს კანონმდებლობაში მეტი სიცხადის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს, რომ იმ შემთხვევაში:

„თუ ოჯახში ორი ან მეტი წევრის პირადი წლიური შემოსავალი აღემატება 65 000 ლარს, ქონების გადასახადის გადამხდელად ითვლება თითოეული მათგანი, მის სახელზე რეგისტრირებული ქონების შესაბამისი პროპორციით.“

აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია შეამცირებს ქონების გადასახადის თავიდან აცილების მიზნით ფიქტიური განქორწინებების გამოყენების რისკს და უზრუნველყოფს პრევენციულ ეფექტს.

65 000 ლარის ოდენობა განსაზღვრული არ არის თვითნებურად. ეს ოდენობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც 2010 წლის 40 000-ლარიანი ზღვრის ეკონომიკურ რეალობასთან ადაპტირებული ეკვივალენტი. შესაბამისად, ეს მაჩვენებელი არ წარმოადგენს თვითნებურად შერჩეულ რიცხვს, არამედ ეფუძნება ინფლაციის, შემოსავლების დინამიკისა და ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის ცვლილებების ერთობლივ შეფასებას. 65 000 ლარი წარმოადგენს კონსერვატიულ ზღვარს, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საარსებო მინიმუმის ზრდით

12 შეადარე. ქართული ბიზნესმედიის ვებგვერდი — <BM.GE>. ქონების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა 402 ათასამდე გაიზარდა — რა თანხა შევა ბიუჯეტში? [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bm.ge/news/tsels-qonebis-gadasakhadis-gadamkhdelta-raodenoba-402-atasamde-gaizarda-ra-tankha-sheva-biujetshi?>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

ცხრილი 1

მაჩვენებელი	2010	2024
საშუალო ხელფასი	597.6	1970.8
საარსებო მინიმუმი	128	262.4
დოლარი/ლარი	1.78	2.75
ქონების გადასახადის ზღვარი	40 000	65 000 (შემოთავაზებული)

ინდექსირებულ მაჩვენებელს (82 000 ლარი), თუმცა თითქმის სრულად შეესაბამება დაგროვილი ინფლაციის ეფექტით მიღებულ მაჩვენებელს. შესაბამისად, 65 000 ლარი შეიძლება ჩაითვალოს ფისკალურ და სოციალურ ინტერესებს შორის დაბალანსებულ კომპრომისულ ზღვრად (იხ. ცხრილი 1).

არსებული სტატისტიკური მონაცემების პირობებში ქონების გადასახადისგან გათავისუფლების ზღვრის 65 000 ლარამდე გაზრდა გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების გარკვეულ მოკლევადიან შემცირებას, თუმცა აღნიშნული გავლენის ზუსტი მასშტაბის განსაზღვრა საჭიროებს დამატებით ემპირიულ შეფასებას შემოსავლების განაწილებისა და ქონების გადასახადის გადამხდელთა სტრუქტურის დეტალური მონაცემების საფუძველზე. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული გავლენა იქნება შედარებით ზომიერი, რადგან ქონების გადასახადის გადამხდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დარჩება 65 000 ლარზე მაღალი შემოსავლის კატეგორიაში.

შემდგომ სამართლებრივ რეგულაციას საჭიროებს კიდევ ერთი საკითხი — საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, ქონების გადასახადისგან თავისუფლება მხოლოდ იმ ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 – ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც მის საკუთრებაში იყო 2004 წლის 1-ელი მარტის მდგომარეობით.¹³

აღნიშნული დროითი დათქმა ვერ იქნება გამართლებული, ვინაიდან საკუთრების უფლების წარმოშობის თარიღი ვერ ცვლის საკუთრების სამართლებრივ არსს. მსგავსი რეგულაცია იწვევს მესაკუთრეთა დისკრიმინაციას და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცულ თანასწორობის პრინციპს¹⁴ და მე-19 მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას.¹⁵ ამიტომ აუცილებელია ამ ნორმიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „2004 წლის 1-ელი მარტის მდგომარეობით“ და ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13 ქვეპუნქტი „ტ“, პუნქტი 1, მუხლი 206, საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

14 მუხლი 11, საქართველოს კონსტიტუცია (1995). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

15 იქვე. მუხლი 19.

„ტ) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 – ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.“

მსგავსი მიდგომაა ესტონეთში, სადაც მიწის გადასახადი მიმართული არის მიწის საბაზრო ფასზე და არა წარსული თარიღით განსაზღვრულ მონაკვეთზე.¹⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საკუთრების უფლება წარმოადგენს კონსტიტუციით დაცულ ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და სახელმწიფოს ჩარევა დასაშვებია მხოლოდ ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვის პირობებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა“ და სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა იყოს ზომიერი, პროპორციული და სამართლებრივად განსაზღვრული.¹⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ხაზგასმულია ასევე, რომ საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, თუმცა მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაცულია სამართლიანი ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის.¹⁸ ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო ურთიე-

რობებში, ვინაიდან გადასახადი პირდაპირ უკავშირდება პირის ქონებრივ ინტერესებს და ფინანსურ თავისუფლებას.

ამავე დროს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გადასახადები და ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის ფორმას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. თუმცა ასეთი ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს „სამართლიანი ბალანსის“ (fair balance) მოთხოვნას სახელმწიფოს საჯარო ინტერესსა და ინდივიდუალური უფლებების დაცვას შორის.¹⁹ ამდენად, ქონების გადასახადის მოქმედი მოდელი, რომელიც ეფუძნება ოჯახის საერთო შემოსავალს და არა ინდივიდუალურ ეკონომიკურ შესაძლებლობას, შესაძლოა წარმოშობდეს თანასწორობისა და პროპორციულობის პრობლემებს.

საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელება იქნება ორმაგი ფისკალურ-ეკონომიკური ეფექტის მომტანი: გადასახადის ზღვრის გაზრდის გამო, ერთი მხრივ, გარკვეულწილად, შემცირდება ქონების გადასახადის შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტში, მეორე მხრივ, ეს არის სამართლიანი და პროგრესული საგადასახადო სისტემა, რომელიც საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ფიზიკურ პირებს აძლევს მეტ ფინანსურ თავისუფლე-

16 ტალინის ოფიციალური მუნიციპალური საინფორმაციო გვერდი [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.tallinn.ee/en/maamaks?>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

17 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N2/3/1337. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10447>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

18 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმე N3/1/512. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=484>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

19 შეადარე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Sporrang and Lönnroth v Sweden (განაცხადები N7151/75 და N7152/75). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57580>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

ბას და მათთვის ნაკლებ გადასახადს აწესებს, რაც გაზრდის პირად დანახარჯებს. აღნიშნული კი დადებით ეფექტს მოახდენს ეკონომიკაზე.

ოჯახის საერთო შემოსავალზე მიბმული მოდელი ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებს. მაგალითად: თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საგადასახადო ზღვრების პერიოდული ინდექსაცია ინფლაციის მაჩვენებელთან მიმართებით, რათა გადასახადის რეალური ტვირთი დროთა განმავლობაში ხელოვნურად არ გაიზარდოს და დაცული იყოს სოციალური სამართლიანობის პრინციპი.

გერმანიაში ქონების გადასახადი (Grundsteuer) ეფუძნება ქონების მფლობელის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და არ არის დამოკიდებული ოჯახის საერთო შემოსავალზე. გადასახადის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს ქონების ღირებულება და მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი განაკვეთი.²⁰ ეს მიდგომა უზრუნველყოფს სრულ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას.

საფრანგეთში ქონების გადასახადს იხდის ქონების მესაკურე (Taxe foncière) და აქ განმსაზღვრელია პირადი შემოსავლის ოდენობა და არა ოჯახის საერთო შემოსავლი, ამ გადასახადისგან გათავისუფლება ან შეღავათი ნებადართულია მხოლოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით — პირის ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები ან კონკრეტული პირის შემოსავლის დონე.²¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქონების გადასახადი წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომელიც ეფუძნება ქონების საბაზრო ღირებულებას და ინდივიდუალურ საკუთრებას. ოჯახის საერთო შემოსავალი, როგორც წესი, არ წარმოადგენს დაბეგვრის ძირითად კრიტერიუმს, ხოლო სოციალური შეღავათები ხორციელდება სპეციალური exemptions-ის მეშვეობით.²²

ცვლილების შედეგად, თუ ქონების გადასახადისგან გათავისუფლების ზღვარი 40 000 ლარიდან 65 000 ლარამდე გაიზრდება, მოკლევადიან პერიოდში შემცირდება ქონების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა. ეს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების დროებით შემცირებას გამოიწვევს. განსაკუთრებით შემცირდება იმ საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთი, რომლებიც არსებული ეკონომიკური პირობების ფონზე რეალურად აღარ წარმოადგენენ მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნულ ცვლილებას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ფისკალური და ეკონომიკური ეფექტი. სამართლიანი საგადასახადო გარემო ზრდის მოსახლეობის ნდობას სახელმწიფოსა და საგადასახადო სისტემის მიმართ, ამცირებს შემოსავლების დამალვის მოტივაციას და ხელს უწყობს დეკლარირებული შემოსავლების ზრდას. გარდა ამისა, მოსახლეობის განკარგადი შემოსავლის ზრდა დადებითად აისახება მოხმარებაზე, ეკონომიკურ აქტივობასა და სხვა გადასახადებიდან მიღებულ ბიუჯეტურ შემოსავლებზე, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადისა და საშემოსავლო გადასახადის

20 Germany, Grundsteuergesetz (Property Tax Act)). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.buzer.de/GrStG.htm?>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

21 French General Tax Code (Code général des impôts). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://french-business-law.com/french-legislation/legitext000006069577-french-general-tax-code/>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

22 Tax Foundation. Property Taxes in the United States, 2023. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://taxfoundation.org/taxedu/glossary/property-tax/?>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

მიმართულებით.

გრძელვადიან პერიოდში საგადასახადო ტვირთის შედარებით შემცირებამ შესაძლოა ეკონომიკაში დამატებითი პოზიტიური ეფექტები წარმოშვას. როდესაც საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებს მეტი განკარგვადი შემოსავალი რჩებათ, იზრდება მათი მოხმარების დონე, რაც პირდაპირ აისახება ბიზნეს აქტივობის ზრდაზე. გაზრდილი მოხმარება ხელს უწყობს ვაჭრობის, მომსახურებისა და უძრავი ქონების სექტორების გააქტიურებას, რაც საბოლოოდ სახელმწიფოსთვის დამატებითი საგადასახადო შემოსავლების გენერირებას იწვევს. მოხმარების ზრდა განსაკუთრებით ზრდის დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ) მიღებულ შემოსავლებს, ვინაიდან მოსახლეობის მიერ განხორციელებული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ დღგ-ით იბეგრება. ამასთანავე, სამართლიანი საგადასახადო გარემო ამცირებს მოქალაქეთა სტიმულს, შემოსავლები არაოფიციალურად მიიღონ ან დამალონ. როდესაც გადასახადის გადამხდელები სისტემას აღიქვამენ როგორც პროპორციულსა და ეკონომიკურ რეალობასთან შესაბამისს, იზრდება ნებაყოფლობითი საგადასახადო შესაბამისობის ხარისხი. შედეგად, იზრდება დეკლარირებული შემოსავლების მოცულობა და მცირდება ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი, რაც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, გრძელვადიან პერიოდში უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი საბიუჯეტო შემოსავლები მიიღოს. დადებითი ეფექტი შესაძლოა აისახოს ასევე საინვესტიციო გარემოზეც. ეკონომიკურად დაბალანსებული საგადასახადო სისტემა ზრდის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიორების ნდობას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ. სტაბილური და სამართლიანი საგადასახადო გარემო ხელს უწყობს ბიზნესის

გაფართოებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკური აქტივობის ზრდას, რაც მომავალში სახელმწიფოსთვის დამატებითი საშემოსავლო და მოგების გადასახადის წყარო ხდება. გარდა ამისა, მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ამცირებს სოციალურ მოწყვლადობას და სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სოციალური დახმარებების ზედმეტ საჭიროებას. შესაბამისად, ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც სოციალური დახმარებებისკენ იყო მიმართული, შესაძლოა ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისკენ გადაიტანოს, რაც დამატებით ეკონომიკურ ზრდას და ბიუჯეტის შემოსავლების გაფართოებას შეუწყობს ხელს.

დასკვნა

კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი 40 000 ლარიანი შემოსავლის ზღვარი და ოჯახის საერთო შემოსავალზე მიბმული დაბეგვრის მოდელი ვეღარ ასახავს მოსახლეობის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობის, თანასწორობისა და პროპორციულობის ფუნდამენტურ პრინციპებს.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ 2010 წლის შემდეგ ქვეყანაში მომხდარმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა — ლარის გაუფასურებამ, ინფლაციამ, საარსებო მინიმუმისა და საშუალო ხელფასის ნომინალურმა ზრდამ — არსებითად შეცვალა 40 000 ლარის სოციალური დატვირთვა, რის შედეგადაც საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახები პრაქტიკულად ექცვიან ქონების გადასახადის გადამხდელთა კატეგორიაში. ამასთან, ოჯახის ცნებაზე დაფუძნებული დაბეგვრა ქმნის სამართლებ-

რივ წინააღმდეგობებს და უთანასწორო საგადასახადო ტვირთს.

ნაშრომი სთავაზობს ქონების გადასახადის სისტემის რეფორმას ორი ძირითადი მიმართულებით:

(ა) ქონების გადასახადისგან გათავისუფლების შემოსავლის ზღვრის 40 000 ლარიდან 65 000 ლარამდე გაზრდას;

(ბ) ოჯახის საერთო შემოსავლის ნაცვლად ინდივიდუალური დაბეგვრის პრინციპზე გადასვლას.

დამატებით, დასაბუთებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის 5 ჰექტრამდე ფართობის ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისთვის მოქმედი დროითი დათქმის გაუქმების აუცილებლობა, როგორც კონსტიტუციური თანასწორობისა და საკუთრების უფლების შეზღუდვის დაუშვებელი ფორმა.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ განვითარებულ სამართლებრივ სისტემებში ქონების გადასახადი ეფუძნება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და ქონების საბაზრო ღირებულებას, ხოლო ოჯახის საერთო

შემოსავალზე მიბმული მოდელი პრაქტიკულად აღარ გამოიყენება.

საგადასახადო პოლიტიკის მიზანი, სახელმწიფოს მიერ ფინანსური რესურსების მობილიზებასთან ერთად არის სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის მიზანია არა შეღავათების შემოღება, არამედ სამართლიანი დაბეგვრის დაწესება. ამ სამართლიანი მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

ა) ქონების გადასახადი უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას,

ბ) სოციალური შეღავათები უნდა იყოს მიზნობრივი და გადამხდელის პერსონალურ მდგომარეობაზე მორგებული,

გ) შემოსავლის ზღვარი საჭიროებს პერიოდულ გადახედვას,

დ) საკუთრების უფლება არ შეიძლება განსხვავდებოდეს მისი შეძენის თარიღის მიხედვით.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Murphy, L. and Nagel, T, 2002. The Myth of Ownership (Oxford University Press).
2. Musgrave, R.A, 1959. The Theory of Public Finance. McGraw Hill, New York.
3. Smith, A, 1776. An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations. (Project Gutenberg edition) Book V, ch II. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gutenberg.org/files/3300/3300-h/3300-h.htm> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
4. Stiglitz, J. E., 2000. Economics of the Public Sector (3rd ed, WW Norton).
5. ნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
6. ქართული ბიზნესმედიის ვებგვერდი — <BM.GE>. ქონების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა 402 ათასამდე გაიზარდა — რა თანხა შევა ბიუჯეტში? [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/news/tsels-qonebis-gadasakhadis-gadamkhdelta-raodenoba-402-atasamde-gaizarda-ra-tankha-sheva-biujetshi> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
7. ქართული ბიზნეს პორტალი <lari.Ge>. კურსის ცვლილება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.lari.ge/index.php?do=currency%2Fchart&code=USD>

ინტერნეტ რესურსები:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საარსებო მინიმუმი. [ინტერ-

[&currDate=17.06.2010>](#) [წვდომის თარიღი 15.05.2026].

- European Commission, n.d. *Taxation trends in the European Union*. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://taxation-customs.ec.europa.eu/taxation/economic-analysis/data-taxation-trends/taxation-trends-eu_en?> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- OECD (2024), "Taxing Wages 2024: Tax and Gender through the Lens of the Second Earner", Chapter 2: Special Feature. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2024/04/taxing-wages-2024-f869da31/dbcbac85-en.pdf> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- Tallinn City Government, „Land Tax Information“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.tallinn.ee/en/maamaks?>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- Tax Foundation. Property Taxes in the United States, 2023. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://taxfoundation.org/taxedu/glossary/property-tax/?>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

ნორმატიული მასალა:

- საქართველოს კონსტიტუცია (1995). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=238> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- French General Tax Code (Code général des impôts). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://french-business-law.com/french-legislation/legitext000006069577-french-general-tax-code/>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- Germany, Grundsteuergesetz (Property Tax Act). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.buzer.de/GrStG.htm?>> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

სასამართლო პრაქტიკა:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N2/3/1337. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10447> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N3/1/512). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=484> [წვდომის თარიღი 15.05.2026].
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Sporrang and Lönnroth v Sweden (განაცხადები N7151/75 და N7152/75). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-57580> [წვდომის თარიღი 15.05.2026].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

- Murphy, L. and Nagel, T, 2002. *The Myth of Ownership* (Oxford University Press 2002). [Online] available at: https://www.u-cursos.cl/derecho/2015/1/D121A0103/4/material/docente/bajar?id_material=1081658 [Accessed 15.05.2026]. (in English)
- Musgrave R.A., 1959. *The Theory of Public Finance* (McGraw Hill, New York, 1959). (in English)
- Smith, A., 1776. *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations..* Project Gutenberg edition) Book V, ch II. [Online] available at: <https://www.gutenberg.org/files/3300/3300-h/3300-h.htm> [Accessed 15.05.2026]. (in English)
- Stiglitz, J.E, 2000. *Economics of the Public Sector* (3rd edn, WW Norton, 2000). (in English)

Internet Resource:

- European Commission, n.d. *Taxation trends*

- in the European Union*. [Online] available at: https://taxation-customs.ec.europa.eu/taxation/economic-analysis/data-taxation-trends/taxation-trends-eu_en [Accessed 15.05.2026]. (in English)
- Georgian business media website — [BM.GE](https://bm.ge) This year, the number of property tax payers increased by 402 thousand – how much will be included in the budget?. [Online] available at: <https://bm.ge/news/tsels-qonebis-gadasakhadis-gadamkhdelta-raodenoba-402-atasamde-gaizarda-ra-tankha-sheva-biujetshi> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
 - Georgian business portal lari.ge Exchange rate change. [Online] available at: <https://www.lari.ge/index.php?do=currency%2Fchart&code=USD&currDate=17.06.2010> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
 - National Statistics Office of Georgia, *Living minimum*. [Online] available at: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
 - OECD (2024), "Taxing Wages 2024: Tax and Gender through the Lens of the Second Earner", Chapter 2: Special Feature. [Online] available at: https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2024/04/taxing-wages-2024_f869da31/dbcbac85-en.pdf [Accessed 15.05.2026]. (in English)
 - Tallinn City Government, "Land Tax Information" [Online] available at: <https://www.tallinn.ee/en/maamaks> [Accessed 15.05.2026]. (in English)
 - Tax Foundation, *Property Taxes in the United States*, 2023. [Online] available at: <https://taxfoundation.org/taxedu/glossary/property-tax/> [Accessed 15.05.2026]. (in English)
 - des impôts*. [Online] available at: <https://french-business-law.com/french-legislation/legitext000006069577-french-general-tax-code/> [Accessed 15.05.2026]. (in French)
 - Germany, *Grundsteuergesetz* (Property Tax Act). [online] available at: <https://www.buzer.de/GrStG.htm> [Accessed 15.05.2026]. (in German)

Judicial Practice:

- Decision of the Constitutional Court of Georgia of 26 June 2012 in Case N3/1/512. [Online] available at: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=484> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
- Decision of the Constitutional Court of Georgia of 29 December 2020 in Case N2/3/1337. [Online] available at: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10447> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
- European Court of Human Rights, judgment of 23 September 1982 in *Sporrong and Lönnroth v Sweden* (Applications Nos 7151/75 and 7152/75). [Online] available at: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57580> [Accessed 15.05.2026]. (in English)

Normative Materials:

- Constitution of Georgia (1995). [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
- Law of Georgia "Tax Code of Georgia". [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=238> [Accessed 15.05.2026]. (in Georgian)
- French General Tax Code (*Code général*

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელი საქართველოში: განხორციელება, შედარებითი პერსპექტივა და პრაქტიკული გამოწვევები

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.5>

ოთარ ჯახველაძე

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, საქართველოს გენერალური პროკურატურის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი
საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა: o_jakhveladze@cu.edu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0003-0315-2421>

ოთარ ჯახველაძე

აბსტრაქტი

კვლევის შედეგად დგინდება, რომ საქართველოში მოქალაქეებთან პარტნიორობაზე დაფუძნებული საპოლიციო მიდგომა ჯერ კიდევ ვერ ფუნქციონირებს სრულფასოვან დამოუკიდებელ ინსტიტუციურ მოდელად. მისი პრაქტიკული განხორციელება ძირითადად ფერხდება მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციური გადატვირთვით, სამართლებრივი სტატუსის არასაკმარისი სიყვანძულობით, ადგილობრივი ანგარიშვალდებულების სუსტი მექანიზმებითა და საზოგადოებასთან არასისტემური კომუნიკაციით.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ინსტიტუტი შეფასებულია არა როგორც პოლიციის დამატებითი პრევენციული მიმართულება, არამედ როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული მოდელი, რომელიც საჭიროებს ფუნქციების მკაფიო გამიჯვნას, ადგილობრივ დონეზე ნდობის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებულ საქმიანობას.

კვლევა ეყრდნობა შედარებით-სამართლებრივ და ინსტიტუციურ ანალიზს. შეფასებულია ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს, იაპონიისა და ნიდერლანდების გამოცდილება, აგრეთვე საქართველოს მოქმედი სამართლებრივი ნორმები. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას მართლწესრიგის ოფიცრის სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესების, პროფესიული მომზადების სტანდარტების შემუშავებისა და საქართველოს საპოლიციო სისტემაში ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებისათვის. დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია მართლწესრიგის ოფიცრის როლის დაზუსტების, პროფესიული მომზადების გაუმჯობესების, ადგილობრივი ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებისკენ.

საკვანძო სიტყვები: ნდობა, ანგარიშვალდებულება, პრევენცია, ადგილობრივი უსაფრთხოება, ინსტიტუციური რეფორმა, სამეზობლო პარტნიორობა

COMMUNITY-ORIENTED POLICING MODEL IN GEORGIA: IMPLEMENTATION, COMPARATIVE PERSPECTIVE AND PRACTICAL CHALLENGES

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.5>

Otar Jakhveladze

*PhD Student at the School of Law at Caucasus University, Personal Data Protection Officer
at the Prosecutor General's Office of Georgia
Georgia, Tbilisi*

Email: o_jakhveladze@cu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/26679434/H.13.5>

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0003-0315-2421>

ABSTRACT

The research finds that, in Georgia, a partnership-based policing approach has not yet developed into a fully functioning independent institutional framework. Its practical effectiveness is limited by the functional overloading of community officers, insufficient clarity of their legal status, weak mechanisms of local accountability, and irregular communication with the public.

The scientific novelty of the study lies in assessing this institution not as an additional preventive function of the police, but as a separate legal and organizational framework requiring clear functional separation, trust-building at the local level, and activities tailored to community needs.

The study applies comparative legal and institutional analysis. It evaluates the experience of the United States, the United Kingdom, Japan, and the Netherlands, as well as the applicable Georgian legal framework. The conclusions indicate that further development requires clarification of the community officer's role, improvement of professional training, stronger local accessibility, and more effective accountability mechanisms. These findings may be used for improving the legal regulation of community officers, developing professional training standards, and strengthening accountability mechanisms in Georgia's policing system. The proposed recommendations are intended to restore the substantive purpose of the model and align its practical operation with the needs of a democratic law-enforcement system.

KEYWORDS: Public trust, Accountability, Crime prevention, Local security, Institutional reform, Neighborhood partnership

შესავალი

„პოლიცია არის ხალხი და
ხალხი არის პოლიცია.“
რობერტ პილი

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია თანამედროვე სამართალდამცავი სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი ამოსავალი იდეა არის ის, რომ უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი არა მხოლოდ წმინდა საპოლიციო ღონისძიებების გამოყენებით, არამედ საზოგადოებასთან ჩართულობითაც; აღნიშნული მოდელის გამოყენებით დანაშაულის ეფექტური პრევენცია დაკავშირებულია მოქალაქეთა, საგანმანათლებლო დაწესებულებათა და თვითმმართველობის აქტიურ მონაწილეობაზე. ამ მოდელში პოლიცია აღიქმება არა მხოლოდ როგორც ძალაუფლების მატარებელი სახელმწიფო ორგანო, არამედ როგორც ადგილობრივი საზოგადოების პარტნიორი, რომელიც კონკრეტულ პრობლემებს ადგილზე სწავლობს, მათ გამომწვევ მიზეზებს ანალიზებს და რეაგირებას კოორდინირებულ ფორმატში გეგმავს.¹

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში არაერთი პოლიციური რეფორმა განხორციელდა, რომელთა ერთ-ერთი მიზანი პოლიციის მიმართ ნდობის ზრდა და მოქალაქესთან უფრო ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბება იყო. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელი ხშირად აღიქმება მხოლოდ როგორც პრევენციული ფუნქციების მქონე დამატებითი საპოლიციო სამსახური და არა როგორც დამოუკიდებელი ფუნქციების მატარებელი ინსტიტუტი. აღ-

სანიშნავია, რომ საზოგადოებრივ პარტნიორობაზე ორიენტირებული მისია სათანადოდ არ განიმარტა კანონმდებლობით და არ გაძლიერდა შესაბამისი მექანიზმებით.

სტატიის კვლევის საგანია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის სამართლებრივი და ინსტიტუციური შინაარსი, აგრეთვე მისი განხორციელების პრაქტიკული დაბრკოლებები საქართველოს მაგალითზე. კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი შეფასებულია არა როგორც პოლიციის დამატებითი პრევენციული ფუნქცია, არამედ როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული მოდელი, რომელიც მოითხოვს მკაფიო სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციების გამიჯვნას, ადგილობრივ ანგარიშვალდებულებასა და საზოგადოებასთან სისტემურ თანამშრომლობას. კვლევის ამოცანებია მოდელის ისტორიული და თეორიული საფუძვლების წარმოჩენა, უცხოური გამოცდილების შედარებითი ანალიზი, საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტის შეფასება და იმ რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოდელის პრაქტიკული ეფექტიანობის გაზრდას. ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა გამოიხატება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ცნების სამართლებრივ გააზრებაში, ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობა — მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციების, პროფესიული მომზადებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესების მიმართულებით შემოთავაზებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებაში.

წინამდებარე სტატიის მიზანია, ერთი

1 შეადარე. Trojanowicz, R. and Bucqueroux, B., 1998. Community Policing: How to Get Started. Cincinnati, OH: Anderson Publishing, გვ. 5; Goldstein, H., 1987. Toward community-oriented policing: Potential, basic requirements, and threshold questions. Crime & Delinquency, 33(1), გვ. 17.

მხრივ, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ისტორიული და თეორიული საფუძვლების შეჯამება და, მეორე მხრივ, საქართველოს სამართლებრივი და პრაქტიკული გამოცდილების შედარებითი შეფასება. კვლევა ეყრდნობა ანგლო-ამერიკული და ევროპული ლიტერატურის ძირითად ნაშრომებს, უცხოური ქვეყნების სამართლებრივ წყაროებს, იაპონური და ნიდერლანდური მოდელების მიმოხილვას, აგრეთვე ქართული რეგულაციების ანალიზს. სტატიის ძირითადი არგუმენტია, რომ საქართველოში მოდელის ეფექტიანი განხორციელება შეუძლებელია, თუ მართლწესრიგის ოფიცრის როლი კვლავაც ძირითადად ჩვეულებრივ საპოლიციო ამოცანებზე დარჩება მიბმული და კანონი მკაფიოდ არ გამოიყენებს წმინდა საპოლიციო და მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციებს.

1. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ისტორიული და თეორიული საფუძვლები

თანამედროვე საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის იდეის არსი უკავშირდება მეცხრამეტე საუკუნის ბრიტანულ პოლიციურ რეფორმას. რობერტ პილის მიერ 1829 წელს ლონდონის მეტროპოლიტენ პოლიციის ჩამოყალიბებას ხშირად განიხილავენ როგორც იმ მოდელის დასაბამს, რომელმაც პოლიციის ლეგიტიმურობა საზოგადოების ნდობასა და თანადგომაზე დააფუძნა. სწორედ ამ კონტექსტში დამკვიდრდა ცნობილი

ფორმულა, რომ „პოლიცია არის ხალხი და ხალხი არის პოლიცია.“ აღნიშნულის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობა იზომება არა მხოლოდ ძალის გამოყენებით ან დაკავებების რაოდენობით, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებითა და დანაშაულის პრევენციით, რაც საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ვერ მიიღწევა.²

შემდგომი თეორიული განვითარება განსაკუთრებით დაკავშირებულია ჰერმან გოლდსტეინის სახელთან. გოლდსტეინი მიუთითებდა, რომ პოლიციის ეფექტიანობა ვერ განისაზღვრება მხოლოდ შიდა ორგანიზაციული მართვის გაუმჯობესებით. მისი აზრით, პოლიცია ვალდებულია იმუშაოს იმ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტასაც საზოგადოება მოელის მისგან. აღნიშნულისთვის აუცილებელია პრობლემის ზუსტი იდენტიფიცირება, არსებული რეაგირების შეფასება, ალტერნატივების განხილვა და შესაბამისი პასუხის შერჩევა. ანუ, პრობლემაზე ორიენტირებული პოლიცია გახდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის ერთ-ერთი ძლიერი კომპონენტი: მაქსიმალური ფოკუსირება გაკეთდა არა მხოლოდ უკვე მომხდარ ინციდენტზე, არამედ მის გამომწვევ მიზეზებზე.³

აღსანიშნავია, რომ ამავე მოსაზრებას განავითარებდნენ ტროიანოვიჩი და ბუკერო, რომლებიც საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას აღწერდნენ როგორც პოლიციისა და მოსახლეობის პარტნიორობას, რომლის მიზანიც დანაშაულის, შიშისა და ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებული პრობლე-

2 შეადარე. Clarkson, C.T. and Richardson, J.H., 1889. Police! London: Field & Tuer, The Leadenhall Press; Simpkin, Marshall & Co.; Hamilton, Adams & Co., გვ. 59. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.beal/cops0001&id=75>> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

3 შეადარე. Goldstein, H., 1987. Toward community-oriented policing: Potential, basic requirements, and threshold questions. Crime & Delinquency, 33(1), გვ. 6; Bayley, D.H., 1991. Problem-oriented policing. American Journal of Police, 10(4), გვ. 141.

მების ერთობლივი გადაჭრაა.⁴ მათი მოსაზრებით, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია არ იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული საპოლიციო მოდელი ან პატრულირების ტექნიკა; ეს იყო ზოგადად საპოლიციო უწყებების მთავარი მამოძრავებელი დერძი, რომელიც გულისხმობს დეცენტრალიზაციას, პოლიციის მუდმივ ხელმისაწვდომობას, საზოგადოებასთან დიალოგს და მოსახლეობის რესურსების გამოყენებას ადგილობრივი პრობლემების გადასაწყვეტად.⁵

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის განვითარებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა „გატეხილი ფანჯრების“ თეორიამაც, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მცირე დარღვევების დროულ მართვაზე და იმაზე, რომ ადგილობრივი უწყესრიგობა, თუ მას სისტემურად არავინ რეაგირებს, უფრო მძიმე დანაშაულის ხელშემწყობ გარემოდ შეიძლება იქცეს.⁶ ამასთან, უნდა ვთქვათ, რომ ამ თეორიას გარკვეული კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ. მაგრამ აღნიშნულმა კრიტიკამ კიდევ უფრო გააძლიერა პოლიციის და საზოგადოების ურთიერთკავშირის მნიშვნელობის როლი, რომელიც მიმართულია ადგილობრივ დონეზე პრობლემის მოგვარების აუცილებლობისკენ.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ძირითადი თეორიული საფუძვლები სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ

ელემენტს აერთიანებს: პირველ რიგში, პოლიცია უნდა იყოს საზოგადოებასთან ახლოს და არა მისგან დისტანცირებული; მეორე, პოლიციის საქმიანობა უნდა იყოს დაფუძნებული პრობლემის ანალიზზე და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ინციდენტზე რეაგირებით; და მესამე, ყველა განხორციელებული საქმიანობის შედეგი უნდა იყოს მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, რომელშიც მოქალაქეთა ნდობა, ლეგიტიმურობის აღქმა და თანამშრომლობა გადამწყვეტ როლს თამაშობს.⁷

2. საზოგადოებასთან პარტნიორობის, ნდობის და ანგარიშვალდებულების პრინციპი

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის პირველი და მთავარი პრინციპია პარტნიორობა საზოგადოებასთან. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ პოლიცია მხოლოდ ინფორმაციის მიმღები და შემდგომ რეაგირების განმახორციელებელი ორგანო არ არის. იგი აქტიურად ქმნის საინფორმაციო ბაზას, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები საკუთარი პრობლემების და საფრთხეების შესახებ აცნობებენ პოლიციას. პარტნიორობა გამოიხატება ასევე იმაში, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, სკოლები, არასამთავრობო სექტორი, სოციალური სამსახური და თვითმმართველობა პოლიციის საქმიანობის გარეთ მდგომი დამკვირვებლები კი არა,

4 შეადარე. Trojanowicz, R. and Bucqueroux, B., 1998. Community Policing: How to Get Started. Cincinnati, OH: Anderson Publishing, გვ. 6.

5 იქვე. გვ. 9.

6 შეადარე. Wilson, J.Q. and Kelling, G.L., 1982. Broken Windows: The Police and Neighborhood Safety. The Atlantic Monthly, 249(3), გვ. 31.

7 შეადარე. Eck, J.E. and Spelman, W., 1987. Who Ya Gonna Call? The Police as Problem-Busters. Crime & Delinquency, 33(1), გვ. 33; Goldsmith, A., 2005. Police Reform and the Problem of Trust. Theoretical Criminology, 9(4), გვ. 443.

პრობლემების გადაწყვეტის თანამონაწილეები ხდებიან.⁸

ამ პრინციპთან უშუალოდ არის დაკავშირებული ნდობის საკითხი. პოლიცისადმი ნდობა არ არის დაკავშირებული მხოლოდ იმასთან, რამდენად წარმატებით იძიებს პოლიცია კონკრეტულ დანაშაულს. მოქალაქეებისათვის გადამწყვეტია, რამდენად სრულფასოვანი და სამართლიანი დამოკიდებულება აქვს პოლიციას მათთან, რამდენად გააზრებული აქვს მოსახლეობის პრობლემები და რა სიხშირით ამყარებს კომუნიკაციას საზოგადოებასთან. კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები უფრო მეტად არიან მზად, ითანამშრომლონ პოლიციასთან, მიაწოდონ ინფორმაცია, განაცხადონ დანაშაულის შესახებ და დაეხმარონ გამოძიებას მაშინ, როდესაც პოლიციას სამართლიან და ლეგიტიმურ ინსტიტუტად აღიქვამენ.⁹

აღსანიშნავია, რომ ნდობის შემცირება ხშირად უკავშირდება როგორც პოლიციის საქმიანობის არაეფექტიანობას, ისე ერთჯერად უარყოფით გამოცდილებებს. კონკრეტულ მოქალაქესთან არა-სამართლიანი ან უყურადღებო დამოკიდებულება შეიძლება არა მხოლოდ კონკრეტულ ურთიერთობაზე, არამედ ფართო საზოგადოებრივ აღქმაზეც აისახოს.

ცუდი ინფორმაცია პოლიციის შესახებ, როგორც წესი, უფრო ძლიერად მოქმედებს საზოგადოების შეხედულების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე პოზიტიური გამოცდილება; ამიტომ აუცილებელია, პოლიცია მუდმივად იყოს დაკავშირებული საზოგადოებასთან და არა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.¹⁰

უმნიშვნელოვანესი პრინციპებია ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. თუ პოლიციას სურს საზოგადოებასთან პარტნიორობა, მაგრამ განსაზღვრულ საჭიროებებზე არ რეაგირებს, საზოგადოების ჩართულობა ფორმალურ ხასიათს მიიღებს. ანგარიშვალდებულება გულისხმობს, რომ პოლიცია განსაზღვრავს საკუთარ პრიორიტეტებს, უსმენს მოქალაქეთა მოთხოვნებს, აქვეყნებს მიღებულ გადაწყვეტილებებს და თავადაც ექვემდებარება გარე და შიდა ზედამხედველობას. სწორედ ამიტომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცირება არ შეიძლება იყოს მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება; იგი ინსტიტუციური პასუხისმგებლობის განსხვავებულ ფორმასაც გულისხმობს.¹¹

შესაბამისად, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელი რეალურად მოქმედებს მაშინ, როდესაც პოლიციას ადგილობრივ დონეზე აქვს საკმარისი

8 შეადარე. Hanwell, D., 2001. International Community Policing Partnership. FBI Law Enforcement Bulletin, 70(1), გვ. 22. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/fbileb70&id=20> [წვდომის თარიღი 14.05.2026]; Parrish, T., 2023. The Importance of Local Government and Police Leadership Relations, გვ. 23. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.calea.org/news/announcements/importance-local-government-and-police-leadership-relations> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

9 შეადარე. Tyler, T.R., 2006. Why People Obey the Law. Princeton: Princeton University Press, გვ. 87; Sunshine, J. and Tyler, T.R., 2003. The Role of Procedural Justice and Legitimacy in Shaping Public Support for Policing. Law & Society Review, 37(3), გვ. 513; Kaariainen, J. and Siren, R., 2011. Trust in the Police, Generalized Trust and Reporting Crime. European Journal of Criminology, 8(1), გვ. 67.

10 შეადარე. Goldsmith, A., 2005. Police Reform and the Problem of Trust. Theoretical Criminology, 9(4), გვ. 443; Hurst-Wagner, M. and Oswald, M.E., 2012. Impact of Deception Detection Errors on Public's Trust in the Police. Legal and Criminological Psychology, 17(2), გვ. 296.

11 შეადარე. Cheung, J., 2005. Police Accountability. The Police Journal, 78(1), გვ. 5; Witkin, N., 2017. The Police-Community Partnership: Civilian Oversight as an Evaluation Tool for Community Policing. The Scholar: St. Mary's Law Review on Race and Social Justice, 18(2), გვ. 183.

ავტონომია პრობლემის ამოსაცნობად, მაგრამ ამავე დროს არსებობს შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც მას საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას აკისრებს. მხოლოდ ამ ორი ელემენტის – დეცენტრალიზაციისა და ანგარიშვალდებულების – ერთიანობა ქმნის გარემოს, სადაც პოლიცია გადაწყვეტილების მიღებისას კავშირშია კონკრეტული უბნის მოსახლეობასთან, რაც პოლიციას უქმნის იმიჯს, რომ ის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ორგანოა.

3. შედარებითი გამოცდილება

3.1 ამერიკის შეერთებული შტატები

პოლიციის განვითარება შეერთებულ შტატებში ინგლისში პოლიციის განვითარებას მიჰყვებოდა. ადრეულ კოლონიებში პოლიცია ორი ფორმით ფუნქციონირებდა. ის იყო როგორც არაფორმალური, ასევე კომუნალური, რომელსაც „მეთვალყურეობას“, ანუ კერძო, კომერციულ პოლიციას უწოდებდნენ.

შეერთებულ შტატებში საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბება საპოლიციო ისტორიის რამდენიმე მიმართულებით განვითარდა. აღსანიშნავია, რომ ადრეულ ეტაპზე საზოგადოების უსაფრთხოება მეტწილად მოხალისეობრივ სადარაჯო სისტემებს ემყარებოდა. მოგვიანებით უკვე გარკვეულმა ცვლილებებმა და პროფესიონალურმა პოლიციამ ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა უზრუნველყო, მაგრამ

ამავე დროს პოლიცია საზოგადოებას დააშორა. სწორედ პოლიციასა და საზოგადოების დისტანცირებამ და ქალაქების სოციალურ პრობლემებთან გამწვავებულმა დაპირისპირებამ გამოიწვია მოთხოვნა ახალი მოდელისადმი, რომელიც მოქალაქესთან უშუალო კონტაქტს აღადგენდა.¹²

ამერიკული ლიტერატურა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის სამ ძირითად განზომილებას (კომპონენტს) გამოყოფს: პირველი ეხება პოლიციის ანგარიშვალდებულებას როგორც საზოგადოების, ისე შიდა საპოლიციო იერარქიის წინაშე. მეორე გულისხმობს პოლიციის ინტეგრაციას საკუთარ თემებში, რაც ნიშნავს, რომ პოლიციელები პირად ღონეზე ურთიერთობენ მოქალაქეებთან, იცნობენ საზოგადოების განწყობებსა და პრობლემებს და მუშაობენ მათ ერთობლივ მოგვარებაზე. მესამე განზომილება კი მოითხოვს, რომ პოლიცია ორიენტირებული იყოს ზოგადი პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე და არა მხოლოდ კონკრეტულ დანაშაულებრივ ინციდენტებზე რეაგირებაზე.¹³

„Hillsborough County Sheriff's Office (HCSO) 1980-იანი წლებიდან იყენებს პოლიციის დეცენტრალიზებულ ფილოსოფიას. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, ოლქი დაიყო გეოგრაფიულ სექტორებად, რამაც განაპირობა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სტრატეგიის დანერგვა. ამ სტრატეგიის ძირითადი ელემენტები მოიცავდა თითოეულ საპატრულო ზონაში საზოგადოებრივი რესუ-

12 შეადარე. Potter, G., 2013. The History of Policing in the United States. Eastern Kentucky University Police Studies Online. განთავსებულია: Transforming Our Communities Alliance Colorado, გვ. 2. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.tocacolorado.org/public-safety-reports/the-history-of-policing-in-the-united-states> [წვდომის თარიღი 14.05.2026]; Kelling, G.L. and Moore, M.H., 1988. The Evolving Strategy of Policing. Perspectives on Policing, No. 4. Washington, DC: National Institute of Justice, გვ. 2.

13 შეადარე. Weisheit, R.A., Wells, L.E. and Falcone, D.N., 1994. Community Policing in Small Town and Rural America. Crime & Delinquency, 40(4), გვ. 551.

რსების ოფიცრების (Community Resource Deputies) დანიშვნას, სპეციალური კოორდინატორების ინსტიტუტის შემოღებას, საზოგადოებრივი პოლიცირების მიმართულებით 180-საათიანი სპეციალიზებული სასწავლო კურსის (ტრენინგის) გავლასა და ამავე ოფიცრებისთვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შემუშავებას.¹⁴

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიციის საქმიანობის მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც პოლიციას განახლებული დამოკიდებულებების დანერგვის აუცილებლობა აიძულა. ცენტრალიზებული კონტროლის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფდა დანაშაულის შემცირებას. შესაბამისად, აუცილებელი იყო საზოგადოების მოლოდინების გამართლება, რაც მათთან ურთიერთობის გარეშე გამორიცხული იყო.¹⁵

21-ე საუკუნეში ამერიკაში საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია წარმოადგენს მრავალმხრივ და თანმიმდევრულ მობილიზებულ სისტემას, რომელიც დაინტერესებულია კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება თანაბრად და სწორად გადაანაწილოს. მისი ძირითადი მახასიათებლებია ინფორმაციისა და ანალიტიკის აქტიური გამოყენება. პოლიციის ეფექტური საქმიანობა, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია მას და

საზოგადოებას შორის ურთიერთკავშირის გაღრმავებაზე. ამერიკის პოლიციის ძირითადი მიზანი მიმართულია მას და საზოგადოებას შორის ნდობის გაღრმავებისკენ, შესაბამისად იკლებს დანაშაული და უსაფრთხოება უფრო გარანტირებული ხდება.

უნდა ვისაუბროთ ისეთი ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე, რომელმაც ხელი შეუწყო საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის განვითარებას და დღესაც აგრძელებს. Community Oriented Policing Services (COPS) ოფისი წარმოადგენს იუსტიციის დეპარტამენტის ფედერალურ განყოფილებას, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციური საქმიანობის ქვეყნის მასშტაბით განვითარებაზე. ეს არის ერთადერთი სააგენტო იუსტიციის დეპარტამენტში, რომლის სახელშიც ფიგურირებს „პოლიცია“. COPS ოფისი დაარსდა 1994 წელს და გახდა ქვეყნის დანაშაულთან ბრძოლაში სტრატეგიული წევრი, უზრუნველყოფილი გრანტებით, სხვადასხვა ცოდნის რესურსებით, ტრენინგებითა და ტექნიკური დახმარებით. წლების განმავლობაში COPS ოფისი იქცა მთავარ ორგანიზაციად, რომელთანაც სამართალდამცავი ორგანოები ქვეყნის მასშტაბით ურთიერთობენ და კვლავაც უსმენენ სფეროს საჭიროებებს, უზრუნველყოფენ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია დანაშაულის შემცირებისა და პოლიცია-

14 შეადარე. Perez, N.M., Bromley, M. and Cochran, J., 2017. Organizational Commitment among Sheriffs' Deputies during the Shift to Community-Oriented Policing. *Policing: An International Journal*, 40(2), გვ. 326. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/police40&id=319> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

15 შეადარე. White, J.R., 2004. *Defending the Homeland: Domestic Intelligence, Law Enforcement, and Security*. Belmont, CA: Wadsworth, მითითებულია: Brown, B., 2007. Community Policing in Post-September 11 America: A Comment on the Concept of Community-Oriented Counterterrorism. *Police Practice & Research*, 8(3), გვ. 247. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/gppr8&id=236> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

სა და საზოგადოებას შორის ნდობის განმტკიცებისთვის.¹⁶

ამასთან, ამერიკული გამოცდილება ერთგვაროვანი არ არის. საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას ხშირად უწევს კონკურენცია უფრო მკაცრ კონტროლზე და უსაფრთხოების სწრაფ დემონსტრირებაზე ორიენტირებულ მიდგომებთან, განსაკუთრებით ტერორიზმისა და მაღალი რისკის საფრთხეების კონტექსტში.¹⁷ სწორედ ამიტომ ამერიკული მაგალითი აჩვენებს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია მხოლოდ პროგრამის დაწერა არ არის; მისი მდგრადობა დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა იგი უსაფრთხოების პოლიტიკის სხვა მოთხოვნებთან თანაარსებობას ისე, რომ არ დაკარგოს საზოგადოებრივი ნდობის, ურთიერთობისა და პრობლემების ერთობლივი გადაჭრის ძირითადი ღირებულებები.

3.2 დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის გამოცდილება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციისთვის განსაკუთრებულია, რადგან სწორედ აქ იღებს სათავეს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელი. ბრიტანულ კონტექსტში თანამედროვე საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია მიზნად ისახავს პოლიციასა და

საზოგადოებას შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, სადაც უსაფრთხოება განიხილება როგორც ერთობლივი პასუხისმგებლობა. ამ მოდელში პოლიცია მხოლოდ უკვე ჩადენილ დანაშაულზე არ რეაგირებს; იგი თანამშრომლობს საზოგადოებრივ ჯგუფებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა ინსტიტუტებთან პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნით.¹⁸

აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამსახურმა (Home Office) გამოაქვეყნა ეროვნული პროგრამის National Reassurance Policing Programme (NRPP) შეფასების შედეგები, რომლებიც მიმდინარეობდა 2003 წლის აპრილიდან 2005 წლის აპრილამდე. პროგრამამ აჩვენა, რომ მთლიანობაში აღნიშნულმა მოდელმა დადებითი გავლენა მოახდინა დანაშაულზე, დანაშაულის აღქმასა და ანტისოციალურ ქცევაზე, უსაფრთხოების გრძნობასა და საზოგადოებრივი ნდობის გაზრდაზე პოლიციის მიმართ. ამ შედეგების გათვალისწინებით, ბრიტანეთის მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ შექმნილიყო ყველა რეგიონში საკუთარი სამეზობლო პოლიციის ჯგუფი (neighbourhood policing team). ამ ნაბიჯმა აჩვენა, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელს კვლავ

- 16 შეადარე. Office of Community Oriented Policing Services, About the COPS Office. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://cops.usdoj.gov/node/501> [წვდომის თარიღი 14.05.2026]; Section 10001-10003, Public Safety Partnership and Community Policing Act of 1994, Title I of the Violent Crime Control and Law Enforcement Act of 1994. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.congress.gov/bill/103rd-congress/house-bill/3355/text/enr> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
- 17 შეადარე. Brown, B., 2007. Community Policing in Post-September 11 America: A Comment on the Concept of Community-Oriented Counterterrorism. Police Practice & Research, 8(3), გვ. 241. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/gppr8&id=236> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
- 18 შეადარე. Jones, T., 2001. The Politics of the Police. Criminal Justice, გვ. 480. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/crmcj1&id=453> [წვდომის თარიღი 14.05.2026]; Innes, M., 2006. Introduction: Reassurance and the "New" Community Policing. Policing and Society, 16(2), გვ. 95. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pgsty16&id=94> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართალდამცავ სისტემაში.¹⁹

ბრიტანული მოდელის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია პროფესიული მომზადება და ინსტიტუციური მხარდაჭერა. პოლიციის საწყისი სწავლებისა და განვითარების პროგრამებმა, ხოლო მოგვიანებით პრობლემაზე ორიენტირებული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული საპოლიციო მიდგომების პოპულარიზაციამ, საზოგადოებაზე ორიენტირებული საქმიანობა პროფესიული სტანდარტის ნაწილად აქცია. ამით ბრიტანეთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საზოგადოებასთან მუშაობა ვერ იქნება მხოლოდ „კეთილი ნებისა“ ან ინდივიდუალური ენთუზიაზმის საკითხი; მას უნდა ჰქონდეს სატრენინგო, ორგანიზაციული და მმართველობითი საფუძველი.²⁰

სამართლებრივი საკითხების გასაზრებლად მნიშვნელოვანია შევხვით Police Reform Act 2002-ს, რომელმაც Community Support Officers-ის ინსტიტუტს სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა. კანონი ითვალისწინებს, რომ პოლიციის უფროსს (Chief Officer) შეუძლია განსაზღვროს პოლიციის თანამშრომელი როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის თანამშემწე. ამასთან, იგი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ კანდიდატი მზადაა ამ როლისთვის, შესაბამისად, შეუძლია ეს ფუნქცია შეასრულოს და აქვს სათანადო მომზადება. ოფიცერს აქვს და-

წესებული უფლებამოსილებები და მოვალეობები, რომლებიც მოცემულია პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებაში ან/და კანონმდებლობაში.²¹

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობიდან საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მექანიზმების გაძლიერება. მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამართალდარღვევებზე რეაგირების რაოდენობით, არამედ საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხით, მოქალაქეთა ნდობით, ადგილობრივი პრობლემების გამოვლენითა და მათზე კოორდინირებული რეაგირებით. ამისათვის აუცილებელია მოქალაქეთა საჩივრების მარტივი და ეფექტიანი განხილვის სისტემა, ადგილობრივ დონეზე რეგულარული საჯარო შეხვედრები და პოლიციის საქმიანობის გარე შეფასების მექანიზმების გაძლიერება. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამოუკიდებელი ზედამხედველობის მოდელის განვითარებაც, თუმცა იგი უნდა დაექვემდებაროს სწორედ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მიზანს — ნდობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეებთან პარტნიორობის გაძლიერებას.

ამავდროულად, ბრიტანული გამოცდილება აჩვენებს შესაძლო რისკსაც: თუ ადგილობრივ ოფიცრებს მიეცემათ დე-

19 შეადარე. Tuffin, R., Morris, J. and Poole, A., 2006. An Evaluation of the Impact of the National Reassurance Policing Programme. London: Home Office, გვ. ix. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gov.uk/government/publications/an-evaluation-of-the-impact-of-the-national-reassurance-policing-programme> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

20 შეადარე. Peace, R.J., 2006. Probationer Training for Neighbourhood Policing in England and Wales: Fit for Purpose? Policing: An International Journal of Police Strategies & Management, 29(2), გვ. 336; Bullock, K. and others, 2022. Police Perceptions of Problem-Oriented Policing and Evidence-Based Policing: Evidence from England and Wales. Police Practice and Research, 23(6), გვ. 775. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1080/15614263.2022.2046568> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

21 მუხლი 38, Police Reform Act 2002 (UK). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2002/30/section/38> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

ცენტრალიზებული ავტონომია, მაგრამ ადგილობრივი საზოგადოებისა და გარე ზედამხედველობის მიმართ ანგარიშვალდებულება სათანადოდ არ გამყარდება, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციაც შეიძლება გახდეს მხოლოდ ფართო დისკრეციის მქონე ადგილობრივი სამსახური. შესაბამისად, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის ერთ-ერთი მთავარი არსი – იყოს ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე – გაქარწყვლება, ხოლო ოფიცერი წარმოგვიდგება, როგორც კლასიკური პოლიციის თანამშრომელი. ამიტომ ბრიტანეთის მაგალითის მთავარი გაკვეთილი საქართველოსთვის არის არა მხოლოდ ადგილობრივი ოფიცრის არსებობა, არამედ მისი სამართლებრივი სტატუსის, მომზადებისა და ანგარიშვალდებულების შეკრული მოდელი.

3.3 იაპონია

იაპონია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად მიიჩნევა. მისი საფუძველი არის Koban-ისა და Chuzaisho-ს სისტემა – მცირე პოლიციური პოსტები ქალაქებსა და სოფლად, რომლებიც საზოგადოებასთან ყოველდღიურ, უშუალო ურთიერთობაზეა აგებული. ამ შემთხვევაში პოლიციელი კონკრეტულ ტერიტორიასთან მაქსიმალურად ახლოს არის, რეგულარულად სტუმრობს მოსახლეობას, აგროვებს ინფორმაციას ადგილობრივი გარემოს შესახებ, უწევს მოქალაქეებს კო-

ნსულტაციას და აქტიურად მონაწილეობს პრევენციულ საქმიანობაში.²²

აღსანიშნავია, რომ იაპონური მოდელის განსაკუთრებულობა ვლინდება იმაში, რომ იგი საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის საქმიანობას დიდ ყურადღებას უთმობს და მას მაღალ დონეზე აკონტროლებს. მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის ეს ობიექტები მხოლოდ რაიმე ქმედებაზე რეაგირების ადგილად არ განიხილება; იგი წარმოადგენს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ სივრცეს, სადაც მათთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: უსაფრთხოება, მართლწესრიგი და ზოგადი სოციალური პრობლემები, ერთიან სისტემაში ექცევა. აღნიშნული კი უზრუნველყოფს ისეთ შედეგს, როდესაც პოლიცია და საზოგადოება ერთიანად ახდენენ დანაშაულის პრევენციას.²³

იაპონიაში დანერგილმა ახალმა მიდგომებმა საფუძველი ჩაუყარა მნიშვნელოვან რეფორმებს საპოლიციო უწყებებში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეროვნული პოლიციის აკადემია ამზადებს უფროს ოფიცრებს და ატარებს კვლევებს. მას აქვს სხვადასხვა მიმართულების სასწავლო დეპარტამენტები, როგორებიცაა: საზოგადოებრივი უსაფრთხოება, გამოძიება, ტრანსპორტი და მართლწესრიგის დაცვა. აკადემიაში ასევე მოქმედებს სპეციალიზებული ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ დონეზე მომზადებასა და კვლევას, მათ შორის საერთაშორისო თანამშრომ-

22 შეადარე. Araki, N., 1988. The Role of Police in Japanese Society. Law & Society Review, 22(5), გვ. 1034. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/lwsocw22&id=1037>> [წვდომის თარიღი 14.05.2026]; National Police Agency, 2021. Police of Japan 2021. Tokyo: National Police Agency, გვ. 13. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.npa.go.jp/english/Police_of_Japan/police-of-japan2021/003/003/003-1.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

23 შეადარე. Aldous, C. and Leishman, F., 2001. Worlds Apart? Policing in Japan and Britain. Criminal Justice Matters, 44(1), გვ. 20. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.crimeandjustice.org.uk/sites/default/files/09627250108552899.pdf>> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

ლობისა და ფინანსური დანაშაულის მიმართულებით.²⁴ პარალელურად პოლიცია, საზოგადოებრივ მოხალისეებთან თანამშრომლობით, ცდილობს არასრულწლოვანთა დანაშაულის ადრეულ ეტაპზე გამოვლენას და მათ დროულ მხარდაჭერას, განსაკუთრებით დანაშაულის მაღალი რისკის ზონებში. ის ასევე კონტაქტს ამყარებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის მქონე ახალგაზრდებთან და ეხმარება მათ რეაბილიტაციაში კონსულტაციებით, სახლში ვიზიტებითა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვით.²⁵ გარდა ამისა, პოლიცია ზრდის საზოგადოების ცნობიერებას არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზებზე და ხელს უწყობს ახალგაზრდების მხარდაჭერის სისტემურ განვითარებას.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიციამ შეძლოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ღონისძიებებში არსებული ხარვეზების თავიდან აცილება და სათანადოდ უპასუხოს სხვადასხვა გამოწვევას — მათ შორის ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებს — იაპონიაში სწრაფად ცვალებადი სოციალური ვითარების პირობებში, პოლიცია მიზნად ისახავს რესურსების პრიორიტეტულ განაწილებას საპოლიციო სტრუქტურების შიდა საზღვრების მიღმა და ეფექტიან, დაბალანსებულ ორგანიზაციულ მართვას. ეს, მთლიანობაში, აუმჯობესებს საპოლიციო სისტემის ფუნქციონირებას და ამით დააკმაყოფილებს საზოგადოების მოლოდინსა და ნდობას.²⁶

საქართველოსთვის იაპონური გამოცდილების ყველაზე მისაღები მიდგომა არის ადგილობრივი, მცირე ზომის საპო-

ლიციო პუნქტების (სივრცეების) განთავსების იდეა, სადაც იქნება პოლიციელი, რომელსაც მუდმივი კონტაქტი ექნება საზოგადოებასთან. იაპონია აჩვენებს, რომ ნდობა იზრდება მაშინ, როდესაც ოფიცერი მოქალაქისთვის ცნობილია, ტერიტორია მისთვის ნაცნობია და კომუნიკაცია შემთხვევითი არ არის. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ მოდელის წარმატება ემყარება მაღალ პროფესიულ დისციპლინასა და წესების ერთობლიობას; ამიტომ მისი გადმოტანა შეუძლებელია მხოლოდ ფორმალური სტრუქტურული კოპირებით.

3.4 ნიდერლანდები

ნიდერლანდების საპოლიციო პრაქტიკა ბოლო რამდენიმე ათწლეულია მიჰყვება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბების გლობალურ ტენდენციას. ისტორიულად, ნიდერლანდური პოლიციის სისტემას გააჩნდა ტრადიციული, რეაგირებაზე ორიენტირებული მიდგომები, მაგრამ 1970-იანი წლების შემდეგ დაიწყო ექსპერიმენტული პროექტები მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციისა და პრობლემების პრევენციის მიმართულებით. ამან საფუძველი ჩაუყარა ნამდვილი „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის“ მოდელის განვითარებას, რომელიც აერთიანებს პრობლემებზე ჩართულობას, პარტნიორობას და წინასწარ დაგეგმილ პრევენციულ საქმიანობას საზოგადოებასთან ერთად. ნიდერლანდური პოლიცია ცდილობს დაკარგოს „მხოლოდ ძალის მატარებელი“ იმიჯი და გახდეს საზოგადოე-

24 შეადარე. National Police Agency, 2021. Police of Japan 2021. Tokyo: National Police Agency, გვ. 6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.npa.go.jp/english/Police_of_Japan/police-of-japan2021/POJcontents.html [წვდომის თარიღი 14.05.2026].

25 იქვე. გვ. 21.

26 შეადარე. National Police Agency, 2022. Crime Situation in 2022, გვ. 6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.npa.go.jp/english/crime_situation_in_2022_en.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2026].

ბისთვის უფრო მიმზიდველი და ნდობით აღსავსე ინსტიტუტი.²⁷

1977 წლის დოკუმენტმა „Politie in Verandering“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მან მკვეთრად გააკრიტიკა ტრადიციული, ავტორიტარული და მხოლოდ რეაქტიულ პასუხებზე ორიენტირებული მოდელი და პოლიციას შესთავაზა პროაქტიული, პრევენციული და საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე დაფუძნებული სტრატეგია. ამ კონცეფციამ არა მხოლოდ პოლიციური ტექნიკა, არამედ პოლიციის საზოგადოებრივი როლის აღქმაც შეცვალა: პოლიცია აღარ უნდა ყოფილიყო დახურული სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ მოთხოვნებზე პასუხობს; იგი საზოგადოების მხარდაჭერისა და პარტნიორობის გარეშე ვერ მიღწევდა დანაშაულის პრევენციას.²⁸

1997 წელს, ფრანგული „maisons de justice“-ისა და ამერიკული community justice პროგრამის შთაგონებით, ნიდერლანდებში დაიწყო პროექტი სახელწოდებით „Justitie in de buurt“, რაც ორმაგ მნიშვნელობას ატარებს: „სამეზობლო მართლმსაჯულება“ და „მართლმსაჯულება ახლოს“. იდეა იყო ისეთი ოფისების გახსნა, სადაც პროკურორი და სხვა სასამართლო ინსტიტუტები შეძლებდნენ პრობლემებზე ორიენტირებულად მუშაობას, საზოგადოებასთან ახლოს და ასევე სხვა ოფიციალურ ორგანოებთან ახლოს — როგორცაა პოლიცია, ადგილობრივი ადმინისტრაცია, სოციალური კეთილ-

დღეობის ორგანიზაციები და სხვა.²⁹

ნიდერლანდების 2012 წლის პოლიციის შესახებ კანონში საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციასთან დაკავშირებული სავალდებულო დებულება (მუხლი 38a) არის ის, რომ „ყოველ 5000 მცხოვრებზე უნდა არსებობდეს მინიმუმ ერთი საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ოფიცერი.“ პოლიციის აქტის საპარლამენტო განხილვის დროს ეს დებულება კანონში დაემატა პარლამენტის წევრების ინიციატივით. მათ ჰქონდათ შემფოთება, რომ ეროვნული პოლიციის სისტემის შექმნას შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოეხდინა ადგილობრივ პოლიცირებაზე და ასევე საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ოფიცრების ხელმისაწვდომობაზე მოსახლეობისთვის. თუმცა, მიუხედავად ამ დებულების არსებობისა, ნიდერლანდების პოლიციის აქტი არ იძლევა დამატებით ინფორმაციას ამ ოფიცრების კონკრეტული ფუნქციების შესახებ.³⁰

ნიდერლანდების მაგალითი ცხადყოფს, რომ კანონმდებლობა შეიძლება აღგენდეს მინიმალურ სტრუქტურულ გარანტიას, მაგრამ მოდელის რეალური წარმატება მაინც იმაზეა დამოკიდებული, როგორ განიმარტება ოფიცრის როლი, რამდენად ინტეგრირებულია იგი ადგილობრივ გუნდში, რამდენად შეუძლია პრობლემების პროაქტიული იდენტიფიცირება და რამდენად მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალურ და სოციალურ

27 შეადარე. Jackson, J.L. and ter Voert, M.J., 2000. From the Outside Looking In: A Researcher's View of Current Policing Practice in the Netherlands. *International Journal of Police Science & Management*, 2(4), გვ. 361. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/injposcim2&id=374> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

28 იქვე.

29 შეადარე. Boutellier, H., 1997. Right to the Community: Neighbourhood Justice in the Netherlands. *European Journal on Criminal Policy and Research*, 5(4), გვ. 43. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/eurjcp5&id=373> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

30 Article 38a, Police Act 2012 (Netherlands). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://wetten.overheid.nl/BWBR0031788/> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

პარტნიორებთან. სწორედ ეს გარემოებები განასხვავებს საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას უბრალო ტერიტორიული დანაწილებისაგან.

3.5. შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე დამატებითი შეფასებები

ჩვენ მიერ მიმოხილული ქვეყნების მაგალითებიდან გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინსტიტუციური ფორმით, მაგრამ მათ გარკვეული საერთოც აქვთ. კერძოდ, ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ტერიტორიულ პასუხისმგებლობას: ოფიცერს აქვს არა ფორმალურად საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქცია, არამედ ის ყოველდღიურად არის დაკავშირებული საზოგადოებასთან. რაც მთავარია, პოლიციას საზოგადოებასთან ურთიერთობა არ უწევს შემთხვევით ან კონკრეტულად რაიმე პრობლემის დროს; იგი სტრუქტურირებულია, რეგულარულად და წინასწარ განსაზღვრული ფორმით ურთიერთობს საზოგადოების თითოეულ წევრთან. კანონმდებლობით, სრულყოფილად თუ არა, გარკვეულწილად მაინც არის განსაზღვრული ოფიცერის სტატუსი, ამას ადასტურებს ფუნქციების გამოყოფა. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიული მომზადება, რომელიც განიხილება სავალდებულო მოთხოვნად, რაც ზრდის ოფიცერის კვალიფიკაციის შესაძლებლობას. აღნიშნული ნიშნების გარეშე საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელი კარგავს თავის ფუნქციას და მხოლოდ დეცენტრალიზებული პატრულირების მოდელად რჩება.

ამერიკული, ბრიტანული, იაპონური და ნიდერლანდური გამოცდილების შედარება კიდევ სხვა მნიშვნელოვან გარემოებას გამოკვეთს: ოფიცერი ეფექტურად

მუშაობს მაშინ, როცა მას უწევს პრობლემებზე რეაგირება და ანალიზზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება. ანუ, მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობა და პრობლემების დაფიქსირება არ არის საკმარისი; მისი საქმიანობის ეფექტიანობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ პრობლემათა გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბალანსის დაცვა, რაც გულისხმობს ოფიცერის მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, ერთი პირობის დაცვით – შეზღუდული დისკრეციის ფარგლებში. ბრიტანული და ნიდერლანდური გამოცდილება ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა: ორივე სისტემა ცდილობს ადგილობრივი საპოლიციო საქმიანობის გაძლიერებას, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მექანიზმებს, რომლებიც ოფიცერის საქმიანობას კონტროლირებადსა და შეფასებადს ხდის. საქართველოსთვის ეს ნიშნავს, რომ მართლწესრიგის ოფიცერის როლის გაძლიერება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ უფლებამოსილებების გაზრდით; პარალელურად აუცილებელია მისი საქმიანობის მიზნების, ადგილობრივი ანგარიშვალდებულებებისა და შეფასების კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრა.

4. საქართველო: მოქმედი წესები და პრაქტიკული შეფერხებები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებმა დაიწყეს ამბიციური ტრანსფორმაციის პროცესი სხვადასხვა სფეროში. საქართველოსთვის საპოლიციო სისტემის რეფორმა იქცა ცენტრალურ საკითხად, რათა აღმოფხვრილიყო წარსულის ნაშ-

თები და სამართალდამცავი ორგანოები შესაბამისობაში მოსულიყო დემოკრატიულ პრინციპებთან. პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში პოლიციური რეფორმა ჩვეულებრივ ისახავს ერთ-ერთ სამ ძირითად მიზანს: რეპრესიული ინსტიტუტების დაშლა, ეკონომიკური კრიზისის შედეგად გაჩენილი კრიმინალური ელემენტების კონტროლი და საზოგადოებისთვის პოლიციის საქმიანობის ზედამხედველობის უფლებამოსილების მინიჭება.³¹

საბჭოთა პერიოდის დამკვიდრებულმა პრაქტიკამ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართული პოლიციის განვითარებას. ცხადია, რომ იმდროინდელი გამოცდილება ვერანაირ შედეგს ვერ გამოიღებდა ახალი საპოლიციო სისტემის ჩამოყალიბების ასპარეზზე. წარსული მიდგომების ინერციით გაგრძელებამ ქვეყანა მიიყვანა იმ რეალობამდე, რომ საბჭოთა პოლიციის გავლენა ისევ იგრძნობოდა საქართველოში. შესაბამისად, იმ პერიოდის სისტემური მიდგომა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელთან.

საქართველოში პოლიციის სისტემის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს პოლიცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩა საბჭოთა პოლიციის მოდელის გა-

ვლენის ქვეშ. მკაცრად ცენტრალიზებული კონტროლის პირობებში გატარებულმა რეპრესიულმა პოლიტიკამ განაპირობა სისტემური კორუფციის ზრდა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის სრული დაკარგვა. ამგვარმა კრიზისულმა ვითარებამ გამოიწვია პოლიციის ფუნდამენტური რეფორმის საჭიროება. გასათვალისწინებელია, რომ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებები მოითხოვს პოლიციის სისტემისა და ფუნქციების ახლებურ გააზრებასა და ახალი მიდგომების შემუშავებას. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს პოლიციის მიერ მოქალაქეთათვის საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული სერვისის შეთავაზებას.³²

უნდა ითქვას, რომ 2004 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა სამართალდამცავ უწყებებში. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ნდობის ამაღლება პოლიციის მიმართ, კორუფციის აღმოფხვრა და საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწვა.³³ გატარებულმა რეფორმამ შეცვალა სამართალდამცავი უწყებების სტრუქტურა და მიდგომები გადაწყვეტილების მიღებისას, რასაც დაემატა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის დანერგვა. საზოგადოებაზე ორიენტირე-

31 შეადარე. Marat, E., 2013. Reforming the Police in Post-Soviet States: Georgia and Kyrgyzstan. Carlisle, PA: Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press, გვ. 1, 4-5. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://press.armywarcollege.edu/monographs/316> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

32 შეადარე. იზორია, ლ., რედ., 2015. საპოლიციო სამართალი. თბილისი: შსს აკადემია, გვ. 321; Kupatadze, A., 2012. Police Reform in Georgia. Affiliated Fellow, გვ. 6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://css.ge/wp-content/uploads/2019/07/kupatadze_police_eng.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2026].

33 შეადარე. Meladze, G. and others, 2024. Community Policing Reform in Post-Soviet Georgia: Decoding the Persistent Challenges through Soviet Legacies. Constitutional Law Review, 17, გვ. 57. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://clr.iliauni.edu.ge/index.php/journal/article/view/169> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

ბული მიდგომის დანერგვა დაიწყო 2005 წელს, როდესაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა რაიონული საპატრულო ინსპექტორების განყოფილება. საპატრულო ინსპექტორები, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპერირებდნენ, ასრულებდნენ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის ფუნქციებსა და მოვალეობებს. განსაკუთრებული აქცენტი კი საზოგადოებასთან ურთიერთობასა და დანაშაულის პრევენციაზე კეთდებოდა, როგორც ეს განსაზღვრული იყო სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით. ამ მოდელის მიზანი იყო საზოგადოების ჩართულობა დანაშაულის შემცირების კუთხით და სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის გაღრმავება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა მოქალაქეთა მხრიდან პოლიციასთან უფრო ფართომასშტაბიან კონტაქტს. უნდა ითქვას, რომ ამ მოდელის სრულფასოვანი განვითარება ვერ განხორციელდა,³⁴ რაც მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული და რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. დღესდღეობით განსახორციელებელია მნიშვნელოვანი რეფორმა ამ მიმართულებით, რათა პრაქტიკაში რეალურად გახდეს შესაძლებელი აღნიშნული მოდელის ფუნქციონირება და იგი მხოლოდ «პოლიციის შესახებ» კანონში არსებულ ფორმალურ ჩანაწერად არ დარჩეს.³⁵

საქართველოში საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ძირითადი გამოწვევა არის არა მხოლოდ „გაძლიერება“, არამედ მისი შინაარსობრივი აღდგენა. თუ მართლწესრიგის ოფიცერის საქმიანობა პრაქტიკაში ჩვეულებრივ საპო-

ლიციო ფუნქციებთან გაიგივდება, მოქალაქისთვის გაუგებარი დარჩება, რით განსხვავდება ეს ინსტიტუტი ნებისმიერი სხვა ტერიტორიული პოლიციური ერთეულისგან. საზოგადოებაზე ორიენტირებული მოდელი კი სწორედ განსხვავებული როლის არსებობას მოითხოვს: ოფიცერმა უნდა იცოდეს თავისი უბანი, უნდა იყოს ხილული და ხელმისაწვდომი, სისტემურად უნდა ატარებდეს შეხვედრებს, უნდა აკავშირებდეს სხვადასხვა ადგილობრივ სერვისს და უნდა ფლობდეს ისეთ დისკრეციას, რომელიც პრობლემის პრევენციულ გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის სპეციალურ დებულებებს შეიცავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის №102 ბრძანება.³⁶

ამ ბრძანების ტერმინთა განმარტებაში აღნიშნულია, თუ ვინ არის მართლწესრიგის ოფიცერი და რა ფუნქციები და კომპეტენციები აქვს მას. ბრძანებაში მითითებული ფუნქციები და კომპეტენციები ძალზე მოცულობითია და მიემართება არა მხოლოდ წმინდად ოფიცერის საქმიანობისკენ, არამედ ზოგადი საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისაკენ. ასე, მაგალითად: არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა; საჭიროების შემთხვევაში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, არასრულწლოვანთა მიმართ გადამისამართების მექანიზმის გამოყენება; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსა-

34 იქვე. გვ. 60.

35 იქვე. გვ. 70.

36 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის უფროსი ინსპექტორების, უბნის ინსპექტორების, უბნის უმცროსი ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცერების, დეტექტივების (ანალიტიკოსების) და ინსპექტორების (მორიგეების) საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4708156> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

წინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა. ზემოაღნიშნული ფუნქციები და კომპეტენციები, რა თქმა უნდა, გადატვირთავს მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობას. მითითებული ფუნქციები და კომპეტენციები გარკვეულწილად დუბლირებს იმ სტრუქტურების ამოცანებს, რომელთაც სპეციალური კანონით ევალებათ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება.

4.1. საქართველოს კონტექსტში მოდელის შეფერხების ძირითადი მიზეზები

საქართველოსთვის საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ეფექტიანი განხორციელების პირველი სისტემური დაბრკოლება არის ფუნქციური გაუმიჯნაობა. აღნიშნული გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ერთი და იგივე ინსტიტუტი ერთდროულად პასუხისმგებელია როგორც საზოგადოებასთან პარტნიორობაზე, ისე მრავალფეროვან ადმინისტრაციულ, საპოლიციო და კონტროლის ფუნქციებზე.

მეორე დაბრკოლება სამართლებრივი ნორმების ზოგად ხასიათს უკავშირდება. მოქმედი წესები მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციებსა და ვალდებულებებს საკმარისი სიზუსტით არ განსაზღვრავს. შედეგად, უწყებას რჩება ფართო დისკრეცია, თავად გადაწყვიტოს, რა ფორმით და რა ფარგლებში განახორციელებს აღნიშნულ ფუნქციებს. ეს კი ართულებს ოფიცრის როლის მკაფიო გამიჯვნას და პრაქტიკაში მოდელის ერთგვაროვან განხორციელებას.

მესამე პრობლემა პროფესიული იდენტობის საკითხია. კერძოდ, საპოლიციო სისტემაში უპირატესობა კვლავ ენიჭება ძალისმიერ და ოპერატიულ საქმიანობას, რის გამოც თანამშრომლები ძირითადად ამ მიმართულებით იტვირთებიან. შესაბამისად, საზოგადოებაზე ორიენტირებული

საქმიანობა ფორმალურ ხასიათს იღებს და მის მიმართ ყურადღება კლებულობს.

მეოთხე პრობლემა მოქალაქეების ქცევა და ზოგადად, კულტურული დამოკიდებულებაა აღნიშნული მოდელის მიმართ. საბჭოთა პერიოდიდან დღემდე საზოგადოების წევრები მიიჩნევენ, რომ სხვის საქმეში ჩარევა მათ საფრთხეს მოუტანთ. შესაბამისად, ისინი მაქსიმალურად დისტანცირდებიან სხვისი პრობლემებისგან.

მეხუთე პრობლემა არის თავად უწყების მიერ პრიორიტეტების განსაზღვრა. კერძოდ, თუ უწყება თანამშრომლის საქმიანობას აფასებს იმით, თუ რამდენი ჯარიმა გამოწერა ან რამდენი ადამიანი დააკავა, აღნიშნული ვერ გამოიღებს შედეგს დანაშაულის პრევენციის კუთხით.

მექვესე მიზეზი არის ადგილობრივ თვითმმართველობასთან კავშირის არქონა. კერძოდ, აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობის არსებობა ისეთ ინსტიტუტებთან, როგორიცაა, მაგალითად, სკოლები და მუნიციპალური სამსახურები.

დასკვნა

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის განვითარებამ და ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ნათელია, რომ ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ვერ იქნება იდეალურად სრულყოფილი და ვერ შეასრულებს აღნიშნული მოდელის მნიშვნელოვან ფუნქციებს. მიუხედავად ამისა, ჩემ მიერ მიმოხილული იქნა ოთხი ქვეყნის გამოცდილება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული განვითარების თვალსაზრისით, სადაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა.

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ

ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება მნიშვნელოვანია, რადგან იგი კარგად წარმოაჩენს, როგორ შეიძლება შეიცვალოს პოლიციის ორგანიზება და როგორ უნდა იმუშაოს პოლიციამ კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე; დიდი ბრიტანეთი – სამართლებრივი სტატუსისა და პროფესიული მომზადების მნიშვნელობაზე; იაპონია — იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ პოლიციელი ყოველდღიურად იყოს მოქალაქეებთან ახლოს და მათთვის ხილული; ხოლო ნიდერლანდების გამოცდილება აჩვენებს ადგილობრივი ხელმისაწვდომობისა და სამართლებრივი გარანტიების მნიშვნელობას. ეს მაგალითები ადასტურებს, რომ პოლიცია უფრო ეფექტიანია მაშინ, როდესაც ის საზოგადოებასთან ახლოს არის და ეს კავშირი რეალური ორგანიზაციული და სამართლებრივი წესებით არის გამყარებული.

საქართველოს შემთხვევაში მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელი ნაწილობრივ ოფიციალურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა პრაქტიკაში მისი ძირითადი შინაარსი ჯერ კიდევ სუსტია. მართლწესრიგის ოფიცრის სხვადასხვა საპოლიციო და ადმინისტრაციული ამოცანით დატვირთვა ამცირებს მის შესაძლებლობას, აქტიურად ითანამშრომლოს მოქალაქეებთან და საზოგადოებასთან მუდმივი კავშირი შეინარჩუნოს. ამიტომ, მოდელის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მიზნის სწორად განსაზღვრა, კანონის გაუმჯობესება, თანამშრომლების გადამზადება და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის გაძლიერება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია საქართველოში რეალურად გადაიქცეს დანაშაულის პრევენციის, ნდობის ზრდისა და დემოკრატიული სამართალდამცავი კულ-

ტურის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად.

პირველი რეკომენდაცია არის სამართლებრივი სტატუსის დაზუსტება. მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციები უნდა გაიმიჯნოს კლასიკური საპოლიციო, საგამოძიებო და სხვადასხვა დარგობრივი ადმინისტრაციული კონტროლის მქონე ამოცანებისგან. ეს არ ნიშნავს, რომ ოფიცერს არ უნდა შეეძლოს სამართალდარღვევებზე რეაგირება, თუმცა, მისი მთავარი როლი უნდა იყოს საზოგადოებასთან თანამშრომლობა, პრობლემების დროულად აღმოჩენა, უსაფრთხოების მდგომარეობის გაანალიზება და სხვადასხვა უწყებასთან კოორდინაცია.

მეორე რეკომენდაცია ადგილობრივ დონეზე მოქალაქეებისთვის პოლიციის ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდება. საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა იაპონიის მცირე პოლიციური პოსტების გამოცდილება და ნიდერლანდების wijkagent-ის (საუბნო ოფიცრის) ტერიტორიული მოდელი. ორივე მაგალითი აჩვენებს, რომ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მუდმივი და მარტივი კავშირი კონკრეტულ პოლიციელთან, რომელიც მის უბანს კარგად იცნობს. ამ სისტემების პირდაპირ გადმოტანა საქართველოსთვის აუცილებელი არ არის, თუმცა საჭიროა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც მოქალაქეს მისცემს საშუალებას, მუდმივად და მარტივად დაუკავშირდეს კონკრეტულ მართლწესრიგის ოფიცერს. ოფიცერმა კარგად უნდა იცოდეს თავისი ტერიტორია, რეგულარულად შეხვდეს მოქალაქეებს და ადგილობრივი უსაფრთხოების საკითხებზე წინასწარ იმუშაოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება ეს მოდელი პრაქტიკაში რეალურად მოქმედი და არა მხოლოდ ფორმალურად არსებული.

მესამე რეკომენდაცია ეხება მართლწესრიგის ოფიცრების სპეციალურ მომზადებას. საზოგადოებაზე ორიენტირებული

პოლიციის მოდელი მხოლოდ ზოგადი ინსტრუქციებით ვერ იმუშავებს. საჭიროა ცალკე სასწავლო პროგრამა, სადაც ოფიცრები შეისწავლიან მოქალაქეებთან კომუნიკაციას, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, პრობლემების ანალიზს, მონაცემების გამოყენებას, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, არასრულწლოვნებთან მუშაობას და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას. დიდი ბრიტანეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი მოდელი წარმატებით მუშაობს მაშინ, როდესაც ოფიცრს შესაბამისი ცოდნა, უნარები და მუდმივი პროფესიული მხარდაჭერა აქვს.

მეოთხე რეკომენდაცია ანგარიშვალდებულების გაძლიერებას უკავშირდება. ადგილობრივ დონეზე უნდა არსებობდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობას შეაფასებს არა მხოლოდ დაკავებების ან სამართალდარღვევებზე რეაგირების რაოდენობით, არამედ მოქალაქეებთან კომუნიკაციით, ნდობის ხარისხითა და ადგილობრივი პრობლემების მოგვარებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა რეგულარული შეხვედრები მოსახლეობასთან, მუნიციპალიტეტთან ერთად უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრა და საჩივრების მარტივი და გამჭვირვალე განხილვის წესი.

მეხუთე რეკომენდაცია დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოს შექმნას გულისხმობს, დიდი ბრიტანეთის

Independent Office for Police Conduct-ის მსგავსად. ასეთი ორგანო უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებელი და მისი მთავარი ფუნქცია უნდა იყოს პოლიციის საქმიანობაზე გარე კონტროლის განხორციელება. ეს ნიშნავს, რომ თუ მოქალაქეს ექნება პრეტენზია პოლიციელის ქმედებაზე, საკითხი არ უნდა შეისწავლოს მხოლოდ თვითონ პოლიციამ ან სამინისტროს შიდა სამსახურმა; იგი უნდა შეისწავლოს ცალკე, დამოუკიდებელმა ორგანომ. ასეთი ორგანო შეაფასებს როგორც კონკრეტული პოლიციელის შესაძლო გადაცდომას, ისე იმ სისტემურ პრობლემებსაც, რომლებიც პოლიციის საქმიანობაში შეიძლება არსებობდეს. მისი არსებობა გააძლიერებს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეთა ნდობას პოლიციის მიმართ.

მეექვსე რეკომენდაცია საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას ეხება. მოქმედ სამართლებრივ წესებში პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ მართლწესრიგის ოფიცრს ევალება მოქალაქეებთან რეგულარული კომუნიკაცია, საჯარო შეხვედრების გამართვა და სკოლებთან, უნივერსიტეტებთან, მუნიციპალიტეტთან და ადგილობრივ ჯგუფებთან თანამშრომლობა. ეს ვალდებულება აუცილებელია, რათა საზოგადოებასთან ურთიერთობა მხოლოდ ფორმალური არ იყოს და რეალურად დაეხმაროს ნდობის გაზრდასა და ადგილობრივი პრობლემების გამოვლენას.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იზორია, ლ., "რედ." 2015. საპოლიციო სამართალი. თბილისი: შსს აკადემია.
2. Aldous, C. and Leishman, F., 2001. Worlds Apart? Policing in Japan and Britain. Criminal Justice Matters, 44(1). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.crimeandjustice.org.uk/sites/default/files/09627250108552899.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
3. Araki, N., 1988. The Role of Police in Japanese Society. Law & Society Review, 22(5). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/lwsocrw22&id=1037> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
4. Bayley, D.H., 1991. Problem-oriented Policing. American Journal of Police, 10(4).
5. Boutellier, H., 1997. Right to the Community: Neighbourhood Justice in the Netherlands. European Journal on Criminal Policy and Research, 5(4). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/eurjcp5&id=373> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
6. Brown, B., 2007. Community Policing in Post-September 11 America: A Comment on the Concept of Community-Oriented Counterterrorism. Police Practice & Research, 8(3). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/gppr8&id=236> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
7. Bullock, K. and others, 2022. Police Perceptions of Problem-oriented Policing and Evidence-Based Policing: Evidence from England and Wales. Police Practice and Research, 23(6). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1080/15614263.2022.2046568> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
8. Cheung, J., 2005. Police accountability. The Police Journal, 78(1).
9. Clarkson, C.T. and Richardson, J.H., 1889. Police! London: Field & Tuer, The Leadenhall Press; Simpkin, Marshall & Co.; Hamilton, Adams & Co. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.beal/cops0001&id=75> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
10. Eck, J.E. and Spelman, W., 1987. Who Ya Gonna Call? The Police as Problem-Busters. Crime & Delinquency, 33(1).
11. Goldsmith, A., 2005. Police Reform and the Problem of Trust. Theoretical Criminology, 9(4).
12. Goldstein, H., 1987. Toward Community-Oriented Policing: Potential, Basic Requirements, and Threshold Questions. Crime & Delinquency, 33(1).
13. Hanwell, D., 2001. International Community Policing Partnership. FBI Law Enforcement Bulletin, 70(1). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/fbileb70&id=20> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
14. Hurst-Wagner, M. and Oswald, M.E., 2012. Impact of Deception Detection Errors on Public's Trust in the Police. Legal and Criminological Psychology, 17(2).
15. Innes, M., 2006. Introduction: Reassurance and the "New" Community Policing. Policing and Society, 16(2). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pgsty16&id=94> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
16. Jackson, J.L. and ter Voert, M.J., 2000. From the Outside Looking In: A Researcher's View of Current Policing Practice in the Netherlands. International Journal of Police Science & Management, 2(4). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/injposcim2&id=374> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
17. Jones, T., 2001. The Politics of the Police. Criminal Justice. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/crmcj1&id=453> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
18. Kaariainen, J. and Siren, R., 2011. Trust in the Police, Generalized Trust and Reporting Crime. European Journal of Criminology, 8(1).
19. Kelling, G.L. and Moore, M.H., 1988. The Evolving Strategy of Policing. Perspectives on Policing, No. 4. Washington, DC: National Institute of Justice.

20. Kupatadze, A., 2012. Police Reform in Georgia. Affiliated Fellow. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://css.ge/wp-content/uploads/2019/07/kupatadze_police_eng.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2026]
21. Marat, E., 2013. Reforming the Police in Post-Soviet States: Georgia and Kyrgyzstan. Carlisle, PA: Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://press.armywarcollege.edu/monographs/316> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
22. Meladze, G. and others, 2024. Community Policing Reform in Post-Soviet Georgia: Decoding the Persistent Challenges through Soviet Legacies. Constitutional Law Review, 17. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://clr.iliauni.edu.ge/index.php/journal/article/view/169> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
23. National Police Agency, 2021. Police of Japan 2021. Tokyo: National Police Agency. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.npa.go.jp/english/Police_of_Japan/police-of-japan2021/POJcontents.html [წვდომის თარიღი 14.05.2026].
24. National Police Agency, 2022. Crime Situation in 2022. Tokyo: National Police Agency. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.npa.go.jp/english/crime_situation_in_2022_en.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2026].
25. Office of Community Oriented Policing Services, About the COPS Office. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://cops.usdoj.gov/node/501> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
26. Parrish, T., 2023. The Importance of Local Government and Police Leadership Relations. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.calea.org/news/announcements/importance-local-government-and-police-leadership-relations> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
27. Peace, R.J., 2006. Probationer Training for Neighbourhood Policing in England and Wales: Fit for Purpose? Policing: An International Journal of Police Strategies & Management, 29(2). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/police29&id=335> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
28. Perez, N.M., Bromley, M. and Cochran, J., 2017. Organizational Commitment among Sheriffs' Deputies during the Shift to Community-Oriented Policing. Policing: An International Journal, 40(2). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/police40&id=319> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
29. Potter, G., 2013. The History of Policing in the United States. Eastern Kentucky University Police Studies Online. განთავსებულია: Transforming Our Communities Alliance Colorado. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.tocacolorado.org/public-safety-reports/the-history-of-policing-in-the-united-states> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
30. Sunshine, J. and Tyler, T.R., 2003. The Role of Procedural Justice and Legitimacy in Shaping Public Support for Policing. Law & Society Review, 37(3).
31. Trojanowicz, R. and Bucqueroux, B., 1998. Community Policing: How to Get Started. Cincinnati, OH: Anderson Publishing.
32. Tuffin, R., Morris, J. and Poole, A., 2006. An Evaluation of the Impact of the National Reassurance Policing Programme. London: Home Office. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gov.uk/government/publications/an-evaluation-of-the-impact-of-the-national-reassurance-policing-programme> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
33. Tyler, T.R., 2006. Why People Obey the Law. Princeton: Princeton University Press.
34. Weisheit, R.A., Wells, L.E. and Falcone, D.N., 1994. Community Policing in Small Town and Rural America. Crime & Delinquency, 40(4).
35. White, J.R., 2004. Defending the Homeland: Domestic Intelligence, Law Enforcement, and Security. Belmont, CA: Wadsworth.
36. Wilson, J.Q. and Kelling, G.L., 1982. Broken Windows: The Police and Neighborhood Safety. The Atlantic Monthly, 249(3).
37. Witkin, N., 2017. The Police-Community Partnership: Civilian Oversight as an Evaluation Tool for Community Policing. The Scholar: St. Mary's Law Review on Race and Social Justice, 18(2).

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის №102 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის უფროსი ინსპექტორების, უბნის ინსპექტორების, უბნის უმცროსი ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრების, დეტექტივების (ანალიტიკოსების) და ინსპექტორების (მორიგეების) საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4708156> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
2. Police Reform Act 2002 (UK). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2002/30> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
3. Police Act 2012 (Netherlands). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://wetten.overheid.nl/BWBR0031788/> [წვდომის თარიღი 14.05.2026].
4. Public Safety Partnership and Community Policing Act of 1994, Title I of the Violent Crime Control and Law Enforcement Act of 1994, Pub. L. No. 103-322. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.congress.gov/bill/103rd-congress/house-bill/3355/text/enr> [წვდომის თარიღი 14.05.2026].

BIBLIOGRAPHY

Used Literature:

1. Aldous, C. and Leishman, F., 2001. Worlds Apart? Policing in Japan and Britain. Criminal Justice Matters, 44(1). [Online] available at: <https://www.crimeandjustice.org.uk/sites/crimeandjustice.org.uk/files/09627250108552899.pdf> [Accessed 14.05.2026]. (in English)
2. Araki, N., 1988. The Role of Police in Japanese Society. Law & Society Review, 22(5). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/lwsocw22&id=1037> [Accessed 14.05.2026]. (in English)
3. Bayley, D.H., 1991. Problem-oriented policing. American Journal of Police, 10(4). (in English)
4. Boutellier, H., 1997. Right to the Community: Neighbourhood Justice in the Netherlands. European Journal on Criminal Policy and Research, 5(4). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/eujcpr5&id=373> [Accessed 14.05.2026]. (in English)
5. Brown, B., 2007. Community Policing in Post-September 11 America: A Comment on the Concept of Community-Oriented Counterterrorism. Police Practice & Research, 8(3). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/gppr8&id=236> [Accessed 14.05.2026]. (in English)
6. Bullock, K. and others, 2022. Police Perceptions of Problem-Oriented Policing and Evidence-Based Policing: Evidence from England and Wales. Police Practice and Research, 23(6). [Online] available at: <https://doi.org/10.1080/15614263.2022.2046568> [Accessed 14.05.2026]. (in English)
7. Cheung, J., 2005. Police accountability. The Police Journal, 78(1). (in English)
8. Clarkson, C.T. and Richardson, J.H., 1889. Police! London: Field & Tuer, The Leadenhall Press; Simpkin, Marshall & Co.; Hamilton, Adams & Co. [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.beal/cops0001&id=75> [Accessed 14.05.2026]. (in English)
9. Eck, J.E. and Spelman, W., 1987. Who Ya Gonna Call? The Police as Problem-Busters. Crime & Delinquency, 33(1). (in English)
10. Goldsmith, A., 2005. Police Reform and the Problem of Trust. Theoretical Criminology, 9(4). (in English)
11. Goldstein, H., 1987. Toward Community-Oriented Policing: Potential, Basic Requirements, and Threshold Questions. Crime & Delinquency, 33(1). (in English)
12. Hanwell, D., 2001. International Community Policing Partnership. FBI Law Enforcement Bulletin, 70(1). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/fbileb70&id=20> [Accessed 14.05.2026]. (in English)
13. Hurst-Wagner, M. and Oswald, M.E., 2012. Impact of Deception Detection Errors on Public's Trust in the Police. Legal and Criminological Psychology, 17(2). (in English)
14. Innes, M., 2006. Introduction: Reassurance and the "New" Community Policing. Policing and

- Society, 16(2). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pgsty16&id=94> [Accessed 14.05.2026]. (in English)
15. Izoria, L., "ed.," 2015. Police Law. Tbilisi: MIA Academy. (in Georgian)
 16. Jackson, J.L. and ter Voert, M.J., 2000. From the Outside Looking In: A Researcher's View of Current Policing Practice in the Netherlands. *International Journal of Police Science & Management*, 2(4). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/injposcim2&id=374> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 17. Jones, T., 2001. The Politics of the Police. *Criminal Justice*. [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/crmcj1&id=453> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 18. Kaariainen, J. and Siren, R., 2011. Trust in the Police, Generalized Trust and Reporting Crime. *European Journal of Criminology*, 8(1). (in English)
 19. Kelling, G.L. and Moore, M.H., 1988. The Evolving Strategy of Policing. *Perspectives on Policing*, No. 4. Washington, DC: National Institute of Justice. (in English)
 20. Kupatadze, A., 2012. Police Reform in Georgia. Affiliated Fellow. [Online] available at: https://css.ge/wp-content/uploads/2019/07/kupatadze_police_eng.pdf [Accessed 14.05.2026]. (in English)
 21. Marat, E., 2013. Reforming the Police in Post-Soviet States: Georgia and Kyrgyzstan. Carlisle, PA: Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press. [Online] available at: <https://press.armywarcollege.edu/monographs/316> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 22. Meladze, G. and others, 2024. Community Policing Reform in Post-Soviet Georgia: Decoding the Persistent Challenges through Soviet Legacies. *Constitutional Law Review*, 17. [Online] available at: <https://clr.iliauni.edu.ge/index.php/journal/article/view/169> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 23. National Police Agency, 2021. Police of Japan 2021. Tokyo: National Police Agency. [Online] available at: https://www.npa.go.jp/english/Police_of_Japan/police-of-japan2021/POJcontents.html [Accessed 14.05.2026]. (in English)
 24. National Police Agency, 2022. Crime Situation in 2022. Tokyo: National Police Agency. [Online] available at: https://www.npa.go.jp/english/crime_situation_in_2022_en.pdf [Accessed 14.05.2026]. (in English)
 25. Office of Community Oriented Policing Services, About the COPS Office. [Online] available at: <https://cops.usdoj.gov/node/501> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 26. Parrish, T., 2023. The Importance of Local Government and Police Leadership Relations. [Online] available at: <https://www.calea.org/news/announcements/importance-local-government-and-police-leadership-relations> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 27. Peace, R.J., 2006. Probationer Training for Neighbourhood Policing in England and Wales: Fit for Purpose? *Policing: An International Journal of Police Strategies & Management*, 29(2). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/polic29&id=335> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 28. Perez, N.M., Bromley, M. and Cochran, J., 2017. Organizational Commitment among Sheriffs' Deputies during the Shift to Community-Oriented Policing. *Policing: An International Journal*, 40(2). [Online] available at: <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/polic40&id=319> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 29. Potter, G., 2013. The History of Policing in the United States. Eastern Kentucky University Police Studies Online. Retrieved from: Transforming Our Communities Alliance Colorado. [Online] available at: <https://www.tocacolorado.org/public-safety-reports/the-history-of-policing-in-the-united-states> [Accessed 14.05.2026]. (in English)
 30. Sunshine, J. and Tyler, T.R., 2003. The Role of Procedural Justice and Legitimacy in Shaping Public Support for Policing. *Law & Society Review*, 37(3). (in English)
 31. Trojanowicz, R. and Bucqueroux, B., 1998. Community Policing: How to Get Started. Cincinnati, OH: Anderson Publishing. (in English)
 32. Tuffin, R., Morris, J. and Poole, A., 2006. An Evaluation of the Impact of the National Reassurance Policing Programme. London: Home Office.

- [Online] available at: <https://www.gov.uk/government/publications/an-evaluation-of-the-impact-of-the-national-reassurance-policing-programme> [Accessed 14.05.2026]. (in English)
33. Tyler, T.R., 2006. Why People Obey the Law. Princeton: Princeton University Press. (in English)
 34. Weisheit, R.A., Wells, L.E. and Falcone, D.N., 1994. Community Policing in Small Town and Rural America. *Crime & Delinquency*, 40(4). (in English)
 35. White, J.R., 2004. Defending the Homeland: Domestic Intelligence, Law Enforcement, and Security. Belmont, CA: Wadsworth. (in English)
 36. Wilson, J.Q. and Kelling, G.L., 1982. Broken Windows: The Police and Neighborhood Safety. *The Atlantic Monthly*, 249(3). (in English)
 37. Witkin, N., 2017. The Police-Community Partnership: Civilian Oversight as an Evaluation Tool for Community Policing. *The Scholar: St. Mary's Law Review on Race and Social Justice*, 18(2). (in English)

Normative Materials:

1. Order No. 102 of the Minister of Internal Affairs of Georgia of 13 December 2019 on the Approval of the Rules of Activity of Investigators, Detectives, Senior District Inspectors, District Inspectors, Junior District Inspectors, Community Officers, Detectives (Analysts) and Inspectors (Duty Officers) of the Ministry of Internal Affairs of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4708156> [Accessed 14.05.2026]. (in Georgian)
2. Police Reform Act 2002 (UK). [Online] available at: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2002/30> [Accessed 14.05.2026]. (in English)
3. Police Act 2012 (Netherlands). [Online] available at: <https://wetten.overheid.nl/BWBR0031788/> [Accessed 14.05.2026]. (in Dutch)
4. Public Safety Partnership and Community Policing Act of 1994, Title I of the Violent Crime Control and Law Enforcement Act of 1994, Pub. L. No. 103-322. [Online] available at: <https://www.congress.gov/bill/103rd-congress/house-bill/3355/text/enr> [Accessed 14.05.2026]. (in English)

სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში

doi <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.6>

ეთერი ბურჯანაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა: e_burjanadze@cu.edu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0001-2256-4670>

ეთერი ბურჯანაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის დანერგვის სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იძულებითი აღსრულების პროცესში. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, სადაც ფართოდ არის გავრცელებული იპოთეკით უზრუნველყოფილი საკრედიტო ურთიერთობები და, შესაბამისად, მაღალია იძულებითი აღსრულების სტადიაზე არსებული სოციალური და სამართლებრივი რისკები. სააღსრულებო მედიაცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში პერსპექტიულ საკანონმდებლო მოდელს წარმოადგენს, რომლის სამართლებრივი ბუნება და ეფექტიანობა ამ ეტაპზე კომპლექსურად არ არის შესწავლილი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს „აღსრულების კოდექსის“ პროექტით გათვალისწინებული სააღსრულებო მედიაციის მექანიზმის ეფექტიანობის შეფასება, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და შემოთავაზებული რეფორმის ანალიზის საფუძველზე მოსალოდნელი სამართლებრივი ხარვეზებისა და პრაქტიკული გამოწვევების პროგნოზირება. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა დოგმატური, შედარებითსამართლებრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის, სასამართლო და სააღსრულებო პრაქტიკის, უცხოური სამართლებრივი მოდელების, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და სააღსრულებო სფეროს პრაქტიკოსებთან ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ანალიზს.

კვლევის მიგნებებით გამოიკვეთა, რომ სააღსრულებო მედიაციის სპეციალური საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში მხარეთა შორის მორიგება აქტიურად გამოიყენება, თუმცა აღნიშნული პროცესი მოკლებულია ერთიან სამართლებრივ სტანდარტსა და ეფექტიან პროცედურულ მექანიზმებს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა ბალანსის, კონფიდენციალურობის პრინციპისა და მომავალში

მიღწეული შეთანხმების იძულებითი აღსრულებადობის ურთიერთმიმართების პრობლემებს.

საბოლოოდ, ნაშრომში შემოთავაზებულია სააღსრულებო მედიაციის მოდელის ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი რეკომენდაციები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საკანონმდებლო რეგულირების დახვეწის, ისე სააღსრულებო პრაქტიკის განვითარების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მოვალე, კრედიტორი, მხარეთა მორიგება, კონფიდენციალურობა, აღსრულებადობა, ინტერესთა ბალანსი

THE INSTITUTE OF ENFORCEMENT MEDIATION IN MORTGAGE ENFORCEMENT PROCEEDINGS

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.6>

Eteri Burjanadze

*PHD student at the Faculty of Law and Social Sciences at East European University
Georgia, Tbilisi*

Email: e_burjanadze@cu.edu.ge

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0001-2256-4670>

გთგნო ბურჯანაძე

ABSTRACT

The present paper examines the legal and practical aspects of enforcement mediation in the compulsory enforcement of mortgage-secured claims. The issue is relevant in Georgia, where mortgage-secured credit relations are widespread and consequently, social and legal risks at the enforcement stage are substantial. Enforcement mediation represents a promising legislative model within the Georgian legal framework, the legal nature and effectiveness of which have not yet been comprehensively studied.

The purpose of the paper is to evaluate the effectiveness of the enforcement mediation mechanism envisaged by the Draft Enforcement Code, as well as to identify potential legal shortcomings and practical challenges through an analysis of the existing legislation and the proposed reform. The research employs doctrinal, comparative legal, and qualitative research methods, based on the analysis of Georgian legislation, judicial and enforcement practice, foreign legal models, international recommendations, and semi-structured interviews with enforcement practitioners.

The findings show that, despite the absence of a special legislative framework governing enforcement mediation, settlement between the parties is actively used in practice; however, the process lacks unified legal standards and effective procedural mechanisms. The paper focuses on the balance of interests between creditor and debtor, the principle of confidentiality, and the relationship between confidentiality and the enforceability of settlements reached through mediation. Ultimately, the paper proposes legal recommendations for the effective implementation of enforcement mediation, which may contribute to the improvement of legislative regulation and to the development of enforcement practice.

Keywords: Debtor, Creditor, Party settlement, Confidentiality, Enforceability, Balance of interests

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეხება სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის დანერგვის პერსპექტივებსა და მისი გამოყენების სამართლებრივ თუ პრაქტიკულ ასპექტებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში. აღნიშნული პრობლემატიკა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვე საქართველოს რეალობაში, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტებით და შესაბამისად, მაღალია იძულებითი აღსრულების პროცესში არსებული სოციალური და სამართლებრივი რისკები. თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში, მედიაცია განიხილება, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია მხარეთა ინტერესების შეთანხმებით დაბალანსებასა და კონფლიქტის არადესტრუქციული ფორმით გადაწყვეტაზე. წინამდებარე ნაშრომი ფოკუსირებულია მედიაციის ერთ-ერთ სპეციფიკურ სახეზე, სააღსრულებო მედიაციაზე, რომელიც საქართველოს რეალობაში ახალი სამართლებრივი მექანიზმია და მისი სამართლებრივი ბუნება, პრაქტიკული მნიშვნელობა და ეფექტიანობა ამ ეტაპზე არასაკმარისად არის შესწავლილი.

დღეისთვის მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მორიგების წარმართვის წესებსა და პირობებს, მით უფრო, სააღსრულებო მედიაციის მარეგულირებელ ნორმებს. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა აღსრულების სფეროში პირველი, ერთიანი, სისტემატიზებული დოკუმენტი – საქართველოს კანონი „აღსრულების კოდექსი“, რომელიც წარმოადგენს

სააღსრულებო სისტემაში მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივას. საქართველოს პარლამენტში ინიცირებული „აღსრულების კოდექსის“ პროექტი, მიღებულია პირველი მოსმენით, თუმცა მისი საბოლოო მიღების პროცესი ამ ეტაპზე შეჩერებულია. არაერთ სხვა სიახლესთან ერთად, კოდექსის პროექტმა შემოიტანა – სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტი.

სააღსრულებო მედიაციის გამოყენება შესაძლებელია ყველა კატეგორიის სააღსრულებო წარმოების დროს. სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის პრაქტიკაში დანერგვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უზრუნველყოფილი სააღსრულებო წარმოების პროცესში, როდესაც აღსრულება ხორციელდება იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ სააღსრულებო მედიაცია თავისი არსით უნივერსალური ინსტიტუტია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ყველა კატეგორიის სააღსრულებო წარმოებაში, წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იძულებითი აღსრულებაზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სწორედ ამ კატეგორიის საქმეებში ყველაზე მკვეთრად იკვეთება კრედიტორის მოთხოვნის ეფექტიანი დაკმაყოფილებისა და მოვალის საკუთრების, მათ შორის საცხოვრებელი უძრავი ქონების, დაცვის ინტერესთა ბალანსის აუცილებლობა. იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაცია, თავისი სამართლებრივი და სოციალური შედეგებიდან გამომდინარე, შეუქცევად ხასიათს ატარებს, რის გამოც დავის მორიგებით დასრულებასა და ქონების რეალიზაციის თავიდან აცილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, სწორედ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იძულებითი აღსრულება წარმოადგენს სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტიანობის

შეფასების ყველაზე რელევანტურ სფეროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში ძირითადი ყურადღება ეთმობა სწორედ ამ კატეგორიის საქმეთა აღსრულების პროცესში სააღსრულებო მედიაციის დანერგვის სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემების ანალიზს.

სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის ქართულ სამართლებრივ სივრცეში დანერგვა მნიშვნელოვან სამართლებრივ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან აღნიშნული მექანიზმი უნდა მოერგოს იძულებითი აღსრულების სპეციფიკას, სადაც მხარეთა შორის ძალთა ბალანსი ხშირ შემთხვევაში არსებითად დარღვეულია და მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების სრულყოფილად რეალიზება პრაქტიკულ სირთულეებს აწყდება.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების, მისი პრაქტიკული მნიშვნელობისა და ეფექტიანობის შეფასება იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში. ნაშრომის მიზანია, მოქმედი კანონმდებლობისა და აღსრულების კოდექსის პროექტის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდეს სააღსრულებო მედიაციის მარეგულირებელი ნორმების ძირითადი ხარვეზები და შეფასდეს მათი შესაბამისობა როგორც მხარეთა ინტერესთა ბალანსის, ისე აღსრულების ეფექტიანობის მოთხოვნებთან.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის, „აღსრულების კოდექსის“ პროექტისა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შედარებითი ანალიზი, სააღსრულებო მედიაციის პრაქტიკაში შესაძლო სამართლებრივი პრობლემების გამოვლენა, საერთაშორისო გამოცდილების შესწავ-

ლა და იმ სამართლებრივი რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტიან დანერგვას ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, რამდენად ეფექტიან სამართლებრივ მექანიზმს ქმნის სააღსრულებო მედიაცია იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში, რამდენად უზრუნველყოფს იგი კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა სამართლიან ბალანსს და რამდენად არის შესაძლებელი მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების, განსაკუთრებით კი კონფიდენციალურობის პრინციპის, შეთავსება სააღსრულებო პროცესის ეფექტიანობასთან და მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობასთან.

ნაშრომის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა დოგმატური, შედარებითსამართლებრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, სააღსრულებო და საბანკო პრაქტიკის, აგრეთვე საერთაშორისო რეკომენდაციებისა და უცხოური სამართლებრივი მოდელების ანალიზს. კვლევის ფარგლებში 3 თვის განმავლობაში განხორციელდა 16 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ სააღსრულებო სისტემაში პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებთან, მათ შორის, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლებთან, კერძო აღმასრულებლებთან, იურისტებთან, ასევე, მედიატორებთან, საჯარო რეესტრისა და საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან. თითოეულ რესპონდენტთან ინტერვიუ განხორციელდა წინასწარ შემუშავებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე, რომელიც მორგებული იყო რესპონდენტის პროფესიულ გამოცდილებასა და საკვლევ თემის სპეციფიკაზე. ინტერვიუ-

ების მიზანს წარმოადგენდა მოქმედ სააღსრულებო პრაქტიკაში მხარეთა შორის მორიგების არსებული მექანიზმების შესწავლა, პრაქტიკული პრობლემებისა და სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის საქმიანობის შეფასება. კვლევის ეთიკური სტანდარტების დაცვის მიზნით, ინტერვიუები განხორციელდა კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით და რესპონდენტთა ვინაობა ნაშრომში არ საჯაროვდება.

1. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის იძულებითი აღსრულება

იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე ნებაყოფლობით არ შეასრულებს კრედიტორის წინაშე არსებულ ვალდებულებას, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით არის დატვირთული უძრავი ქონება, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოვალის წინააღმდეგ დაიწყოს იძულებითი აღსრულება. სააღსრულებო წარმოება იწყება იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე,¹ კრედიტორი მიმართავს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ან კერძო აღმასრულებელს, სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით.

აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოებას იწყებს იმ შემთხვევაში თუკი:

“1) თუ არ არის გასული სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა; 2) თუ სააღსრულებო დოკუმენტი შეესაბამება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,² ე.ი. თუ ის შედგენილია კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით; 3) გადახდილია აღსრულების საფასური.”³

სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა აღმასრულებელი მოვალეს უგზავნის წინადადებას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, სადაც მოცემულია სააღსრულებო წარმოების დაწყების სამართლებრივი შედეგები და გასატარებელი ღონისძიებები.⁴ ამავდროულად, აღმასრულებელი, იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე არეგისტრირებს ყადაღას. თუკი მოვალე ნებაყოფლობით არ შეასრულებს ვალდებულებას და არ დაფარავს დავალიანებას შეტყობინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, აღმასრულებელი ამზადებს საქმეს უძრავი ქონების საჯარო აუქციონზე რეალიზაციისთვის. რეალიზაციამდე, ექსპერტის მიერ ხდება სარეალიზაციო ქონების შეფასება. აღმასრულებელი დეტალურად იკვლევს უძრავ ქონებას, მასზე არსებულ შეზღუდვებსა და უფლებებს.

სააღსრულებო წარმოების ფინალურ ეტაპს წარმოადგენს იძულებით აუქციონზე ქონების რეალიზაცია. იძულებითი აუქციონი, როგორც აღსრულების სახე,

1 პუნქტი 1, მუხლი 25, საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/18442?publication=129>> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

2 სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტები ვრცლად იხილეთ, მუხლი 21, საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/18442?publication=129>> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

3 ქურდაძე, შ., ქურდაძე, გ., ხუნაშვილი, ნ. და ქყონია, ზ., 2018. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. ნაწილი 1. თბილისი: დანი, გვ. 254.

4 პუნქტი 7, მუხლი 25, საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/18442?publication=129>> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

ქართულ კანონმდებლობაში პირველად გამოჩნდა 1999 წელს, როდესაც მიღებულ იქნა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ ტერმინმა ჩაანაცვლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გამოყენებული ტერმინი „საჯარო ვაჭრობა“. დღეის მდგომარეობით, იძულებითი აუქციონის წესები რეგულირდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმირების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის 21-ე ბრძანებით.

იძულებით აუქციონს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ატარებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. იძულებითი აუქციონი ცხადდება საჯაროდ, ფინანსთა სამინისტროს შემდეგ ვებ-გვერდზე – www.eauction.ge. როგორც წესი, იძულებითი აუქციონი უნდა ჩატარდეს ქონებაზე ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში.⁵ აუქციონში მონაწილეების მიღება ნებისმიერ პირს შეუძლია.

მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს მხარეთა მორიგებას სააღსრულებო წარმოების ეტაპზე, შესაბამისად, მომდევნო თავებში განვიხილავთ მედიაციის როლს, მნიშვნელობას და სააღსრულებო წარმოებაში სააღსრულებო მედიაციის დანერგვის ეფექტურ გზებს.

2. სააღსრულებო მედიაცია

2.1. სააღსრულებო მედიაცია და „აღსრულების კოდექსის“ პროექტი

მედიაცია წარმოადგენს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმს, რომელიც დაფუძნებულია მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმებასა და მედიატორის ნეიტრალურ ჩართულობაზე. თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში მედიაციის გამოყენება სულ უფრო ფართოვდება, მათ შორის სააღსრულებო სამართლებრივ ურთიერთობებშიც. „უფრო მეტიც, მას შემდგომ, რაც მედიაციის დადებითი მხარეების შესახებ ინფორმაცია საზოგადოების ფართო წრისთვის ხდება ხელმისაწვდომი, ეს თავად განაპირობებს მედიაციის ფართოდ გამოყენებას“;⁶ რადგან იზრდება მხარეთა ნდობა ამ ინსტიტუტის მიმართ. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი, დავების შეთანხმებით დასრულების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა მსოფლიოში. „მედიაცია დავების გადაწყვეტის მომავალზე ორიენტირებული მექანიზმია,⁷ რომლის ფარგლებშიც შესაძებ პირი, მედიატორი, ორი მოდავე მხარის ინტერესებს აახლოებს და ცდილობს, შეათანხმოს საერთო პოზიციაზე,⁸ მედიაციის პრინციპებზე დაყრდნობით.“⁹

ტერმინი „სააღსრულებო მედიაცია“ წარმოადგენს სიახლეს საქართველოს რეალობაში, რომელსაც „აღსრულებო

5 პუნქტი 1, მუხლი 69, საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/18442?publication=129> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

6 ყანდაშვილი, ი., 2017. მედიაცია – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში (მედიაციის ინსტიტუტური მოწყობა). სამართლის ჟურნალი, 2. გვ. 115. შეადარე: Kovach, K.K., 2010. Mediation in a nutshell, 2nd edition, Thomson West, United States of America, გვ.38-39.

7 ცერცვაძე, გ., 2010. მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა). თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი. გვ 156.

8 Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5th edition. London: Cavendish Publishing Limited. გვ.95.

9 Uzelac, A., 2009. Paths of Mediation in Bosnia and Herzegovina. Sarajevo: International Finance Corporation. გვ. 24.

ბის კოდექსის“ პროექტი არეგულირებს „აღსრულების კოდექსი“ ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში 2021 წლის 22 თებერვალს. პროექტი მიღებულია პირველი მოსმენით, მიმდინარეობდა მისი მეორე მოსმენისთვის მომზადება, თუმცა დღეის მდგომარეობით გაურკვეველი ვადით შეჩერებულია კოდექსის მიღების საკითხი, შესაბამისად, შეჩერებულია სააღსრულებო მედიაციის დანერგვაც. სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტი არსებითად ეფუძნება აღსრულების ეროვნული ბიუროს ფარგლებში უკვე მოქმედ მორიგებისა და მხარეთა ინტერესების დაცვის პრაქტიკულ მექანიზმებს, თუმცა „აღსრულების კოდექსის“ პროექტი პირველად ცდილობს აღნიშნული პროცესის სპეციალურ სამართლებრივ რეგულირებას.

ამჟამად მოქმედი კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ არ იცნობს ამგვარ ტერმინს და არც მედიაციის, მორიგებების შესახებ მარეგულირებელ ნორმებს მოიცავს. ამიტომ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე დეტალურად იყოს დარეგულირებული ეს საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სააღსრულებო მედიაციის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა კატეგორიის სააღსრულებო წარმოებაში, კვლევა ფოკუსირებულია სწორედ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იძულებითი აღსრულების პროცესზე, სადაც მხარეთა ინტერესთა კონფლიქტი და სოციალური რისკები განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება.

2.2. სააღსრულებო მედიაციის არსი და მნიშვნელობა

კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა შედარებითსამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუციური დიზაინი და ფუნქციური მოდელები არსებითი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ზოგიერთ იურისდიქციებში მედიაცია პირდაპირ არის ინტეგრირებული იძულებითი აღსრულების პროცესში, მაშინ როდესაც სხვა სამართლებრივ სისტემებში იგი დამოუკიდებელ სტრუქტურად გვევლინება. მაგალითად, ანგლო-ამერიკული (ბრიტანული) სამართლებრივი მოდელის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მედიაცია ფუნქციონირებს როგორც ცალკე მდგომი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ავტონომიური მექანიზმი (ADR). ინგლისურ სამართლებრივ სისტემაში ADR-ის ინსტიტუციური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო Centre for Effective Dispute Resolution (CEDR)-ის ჩამოყალიბება, 1990 წელს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა mediation-ის, როგორც დამოუკიდებელი დავის გადაწყვეტის მექანიზმის, პრაქტიკულ და ინსტიტუციურ განვითარებაში.¹⁰ ბრიტანული მიდგომით, სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომი მედიაცია (post-judgment mediation) გამოიყენება კაუზალურად, საჭიროებისამებრ და დამოუკიდებლად ემსახურება სხვადასხვა კატეგორიის, მათ შორის, უშუალოდ სააღსრულებო წარმოების ეტაპზე კრედიტორს და მოვალეს შორის არსებული კონფლიქტების მართვას.¹¹

10 შეადარე. Genn, H., 2010. Judging Civil Justice (The Hamlyn Lectures). Cambridge University Press. გვ. 92. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://law.exeter.ac.uk/v8media/facultysites/hass/law/imeges/hamlyn/Genn_judging_civil_justice.pdf [წვდომის თარიღი 10.06.2026].

11 შეადარე. Andrews, N., 2019. Andrews on Civil Processes: Volume II: Arbitration and Mediation. Intersentia, გვ. 142.

ევროპული კონტინენტური სამართლის გამოცდილების შესწავლა ცხადყოფს, რომ სააღსრულებო მედიაციის პრაქტიკული ეფექტიანობა იმპერატიულად არის დამოკიდებული პროცესის მკაფიო საკანონმდებლო რეგულირებასა და მხარეთა ინტერესების პროპორციულობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებზე. გერმანულ სამართალში Vollstreckungsmediation (სააღსრულებო მედიაცია) არ გვევლინება სრულად დამოუკიდებელ, ავტონომიურ ინსტიტუტად, ის ინტეგრირებულია სააღსრულებო პროცესში.¹² გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, აღსრულების ორგანოებს ავალდებულებს ხელი შეუწყონ კრედიტორსა და მოვალეს შორის მორიგების მიღწევას და კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში დავალიანების განწილვადას.¹³ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, ნებისმიერ სტადიაზე თავიდან აიცილონ სარეალიზაციო ობიექტის იძულებითი გასხვისება საჯარო აუქციონზე და კონსენსუსის საფუძველზე მოახდინონ ვალდებულების გადანაწილება.¹⁴

ინსტიტუციური მოქნილობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ესტონეთის სამართლებრივი მოდელი (Mediation in Enforcement Proceedings), რომელიც აქცენტს აკეთებს სააღსრულებო წარმოების სუბიექტებს

შორის ეფექტიანი კომუნიკაციისა და შეთანხმებაზე ორიენტირებული მექანიზმების განვითარებაზე. აღნიშნულ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოლაპარაკების გზით დავის დეესკალაციას, რაც განსაკუთრებულ სოციალურ-სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს იმ საქმეებში, რომლებიც ფიზიკური პირის საცხოვრებელ ქონებასა და ფინანსურ კრიზისს უკავშირდება.¹⁵

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, აღსრულების კოდექსის პროექტი პირველად ამკვიდრებს ტერმინს – სააღსრულებო მედიაცია. კოდექსის 33-ე მუხლი განმარტავს სააღსრულებო მედიაციის არსს. სააღსრულებო მედიაცია წარმოადგენს აღსრულების ეტაპზე კრედიტორსა და მოვალეს შორის დავის შეთანხმებით დასრულების ალტერნატიულ სამართლებრივ მექანიზმს. საინტერესოა, ვინ არის უფლებამოსილი, მიიღოს მედიაციის პროცესის დაწყების გადაწყვეტილება. კოდექსის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია თანხის გადახდევინების საქმეებზე აუქციონის გამოცხადებამდე, ხოლო სხვა საქმეებზე – საქმის აღსრულებამდე, აღმასრულებლის წარმოებაში არსებულ საქმეზე ერთჯერადად მიიღოს გადაწყვეტილება სააღსრულებო მედიაციის დაწყების შესახებ.¹⁶

12 შეადარე. Stürner, R., 2005. German Enforcement Law and Practice in C.H. van Rhee (ed), European Traditions in Civil Procedure. Intersentia, გვ. 327.

13 §802b (2), გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ZPO). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/zpo/_802b.html> [წვდომის თარიღი 10.06.2026].

14 იქვე. §802b (1).

15 §53, ესტონეთის სააღსრულებო წარმოების კოდექსი (Täitemenetluse seadustik). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.riigiteataja.ee/en/akt/503042023007?leiaKehtiv>> [წვდომის თარიღი 10.06.2026].

16 ნაწილი 2, მუხლი 33, საქართველოს კანონი აღსრულების კოდექსი (პროექტი). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887>> [წვდომის თარიღი 30.04.2026]. შენიშვნა: აღსრულების კოდექსი საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა 2021 წლის 22 თებერვალს. თუმცა შეჩერებულია მისი მიღების შემდგომი პროცედურები და ამ ეტაპზე არ არის ძალაში შესული.

2.3. სააღსრულებო მედიაციის დაწყება

სააღსრულებო მედიაციის დაწყების ინიციატორი შესაძლებელია იყოს: სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირი, აღსრულების ეროვნული ბიურო, ან/და აღმასრულებელი.¹⁷ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირში მოიაზრება კრედიტორი ან მოვალე, რომელსაც უფლება აქვს განცხადებით მიმართოს აღმასრულებელს თანხის გადახდვინების საქმეებზე აუქციონის გამოცხადებამდე, ხოლო სხვა საქმეებზე – საქმის აღსრულებამდე და მოითხოვოს სააღსრულებო მედიაციის დაწყება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კოდექსი პირდაპირ აღგენს შეზღუდვას, თანხის გადახდვინების საქმეებზე, მხოლოდ აუქციონის გამოცხადებამდეა შესაძლებელი მედიაციის დაწყება. იმის გათვალისწინებით, რომ აუქციონისთვის საქმის მომზადება, ქონების აუქციონზე განთავსება, დიდ რესურსთან არის დაკავშირებული, მათ შორის ფინანსურ დანახარჯებთანაც, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა რთული იყოს აუქციონის შეწყვეტა. აუქციონის შეწყვეტა არ არის რეკომენდებული, რადგან შესაძლოა ამით აუქციონში მონაწილე მესამე პირების ინტერესები შეილახოს, მონაწილე პირებს გადახდილი ჰქონდეთ აუქციონში მონაწილეობის საფასური, ბიჯი განთავსებული და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აუქციონის ეტაპზე მედიაციის დაწყებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მესამე პირების ინტერესებსა და სააღსრულებო პროცესის სტაბილურობაზე, გამონაკლის შემთხვევებში, მხარეთა ერთობლივი თანხმობის არსებობისას, მიზანშეწონილია აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება,

გარემოებების შეფასების საფუძველზე, მედიაციის დაწყების გადაწყვეტილება მიიღოს აუქციონის ეტაპზე. „აღსრულების კოდექსის“ 32-ე მუხლის პირველი ნაწილის, თ – პუნქტი,¹⁸ უფლებას ანიჭებს მხარეებს მოითხოვონ სააღსრულებო მედიაცია. მიზანშეწონილია, კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილში შევიდეს ცვლილება და მხარეებს მედიაციის დაწყების და საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სააღსრულებო წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

დღეს მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, მორიგების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების მიზნით, სააღსრულებო პროცესში მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერისა და სოციალური მუშაკის ჩართვა ხდება ძირითადად რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე. კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, მედიაციის დაწყების ინიციატორი იყოს თავად აღმასრულებელი ან/და აღსრულების ეროვნული ბიურო, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი, მაგალითად, სახეზეა ისეთი შემთხვევა, როდესაც შეუსაბამოდ მცირე დავალიანების ამოღების მიზნით მოსალოდნელია გაცილებით დიდი ღირებულების საცხოვრებელი სახლის რეალიზაცია. ასეთ შემთხვევაში, გონივრულია, აღმასრულებელმა დააყენოს მხარეთა მედიაციის საკითხი და დააფიქროს მხარეები მოლაპარაკებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად, მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპს, სააღსრულებო მედიაცია იწყება იმ შემთხვევაში, თუ სააღსრულებო საქმის არც ერთი მხარე არ არის სააღსრულებო მედიაციის წინააღმდეგი.¹⁹

სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირის მიერ სააღსრულებო მედიაციის დაწყების მოთხოვნის შემთხვევაში,

17 იქვე. ნაწილი 3, მუხლი 33.

18 შეადარე. იქვე. პუნქტი „თ“, ნაწილი 1, მუხლი 32.

19 შეადარე. იქვე. ნაწილი 4, მუხლი 33.

აღმასრულებელი ვალდებულია, მიმართოს აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მედიაციის დაწყების მოთხოვნით. ხოლო, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე სააღსრულებო მედიაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი პირის მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.²⁰

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „აღსრულების კოდექსი“ პროექტის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს მედიაციის დაწყებაზე, აქ ბუნდოვანია, თუკი აღსრულების ყველა მონაწილე, როგორც კრედიტორი, ისე მოვალე მზად არის და თანახმაა მედიაციის პროცესზე, რა საფუძვლით უნდა განაცხადოს უარი თავმჯდომარემ. მართალია, კოდექსის 33-ე მუხლის მე-5 ნაწილში პირდაპირ არის დათქმა, რომ მედიაციის დაწყებაზე უარი უნდა დასაბუთდეს, თუმცა ბუნდოვან ხასიათს ატარებს, რა მიიჩნევა დასაბუთებად და რამდენად საკმარისი იქნება ეს დასაბუთება თითოეული მხარისთვის. პროცესის მონაწილე ორივე მხარის ინტერესების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია, ცვლილება შევიდეს კოდექსის პროექტში და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს არ ჰქონდეს მედიაციაზე უარის თქმის უფლებამოსილება, თუკი მხარეთა ნება მედიაციის დაწყების თაობაზე სახეზეა.

პრობლემურია, კოდექსის პროექტით განსაზღვრული მედიაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა, რომელიც შესაძლოა სააღსრულებო პროცესის გაუმართლებელი გაჭიანურების საფუძველი გახდეს. აღსრულების პროცესში თითოეულ დღესა და საათს აქვს მნიშვნელობა, ამიტომ ეფექტური მოლაპარაკებებისა და სწრაფი შედეგის მიღწევის

მიზნით, პროცესში მონაწილეთა მხრიდან მედიაციის სურვილის შემთხვევაში, აუცილებელია, რაც შეიძლება მალე ჩაერთოს მედიატორი სააღსრულებო წარმოებაში. სააღსრულებო წარმოების სტადიაზე დროის ფაქტორი პირდაპირკავშირშია კრედიტორის უფლების ეფექტურ რეალიზაციასთან, ნებისმიერი ბიუროკრატიული ვადა უნდა იყოს მინიმუმებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოვალის მხრიდან პროცესის არაკეთილსინდისიერი გაჭიანურება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 33-ე მუხლის მე-5 ნაწილში მოცემული 10 დღიანი ვადა მიზანშეწონილია შემცირდეს 5 დღემდე.

2.4. სააღსრულებო მედიაციის პროცესი

სააღსრულებო მედიაციის დაწყების შემდეგ, პროცესში ერთვება მედიატორი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს მხარეთა შორის კომუნიკაციის წარმართვა, საქმის გარემოებების შეფასება და შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობა.

„აღსრულების კოდექსის“ პროექტის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო მედიაციას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მედიატორები. სააღსრულებო მედიაციის განხორციელების წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.²¹

აღსრულების კოდექსი არეგულირებს სააღსრულებო მედიაციის შესახებ ზოგად, ძირითად საკითხებს, რაც შეეხება უშუალოდ მედიაციის წარმოების პროცესს, მედიატორის უფლებებს, ვალდებულებებს, მედიაციის მიმდინარეობისა და მისი შედეგების ძირითად სავალდებულო პირობებს, აუცილებელია დეტალურად

20 შეადარე. იქვე. ნაწილი 5, მუხლი 33.

21 იქვე. ნაწილი 8, მუხლი 33.

არეგულირებდეს ცალკე დოკუმენტი. ამ ეტაპისთვის, ასეთი დოკუმენტი ჯერ არ არის შექმნილი და ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით, შემუშავდება და ამოქმედდება მას შემდეგ, რაც სააღსრულებო კოდექსი შევა ძალაში.

არსებითი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს სააღსრულებო მედიაციის ვადები. „აღსრულების კოდექსის“ პროექტის მიხედვით, სააღსრულებო მედიაცია უნდა განხორციელდეს გონივრული ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა.²² მნიშვნელოვანია, რომ განსაზღვრული იყოს მედიაციის მაქსიმალური ვადა, სხვა შემთხვევაში, არის რისკი, რომელიმე მხარემ განგებ გააჭიანუროს მედიაციის მიმდინარეობა, არც იყოს მისი მიზანი მხარესთან შეთანხმება და ამით ხელი შეუშალოს საქმის სწრაფად და ეფექტურად აღსრულებას. კვლევის ფარგლებში დასაბუთებულია, რომ ზემოაღნიშნული 3 თვიანი ვადა, უზრუნველყოფილ საქმეებზე შემცირდეს, 1 თვემდე.

შესაძლებელია, სააღსრულებო მედიაცია შეწყდეს ნებისმიერ დროს, ვადაზე ადრე მხარეთა მოთხოვნით, ასევე, შესაძლოა მედიატორმაც შეწყვიტოს იმ შემთხვევაში, თუ ნათლად ხედავს, რომ შესაბამისი ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მედიაციის გაგრძელება შეუძლებელია.²³

„აღსრულების კოდექსის“ პროექტის მიხედვით, შენარჩუნებულია სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. საჭიროების შემთხვევაში, სააღსრულებო მედიაციის პროცესში მონაწილეობს სოციალური მუშაკი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. სოციალური მუშაკი ახორციელებს მხარე-

ებთან კომუნიკაციას და საჭიროებიდან გამომდინარე, ესწრება სააღსრულებო მოქმედებებს.²⁴ კოდექსის მიხედვით არ არის განსაზღვრული, ვინ შეიძლება იყოს სოციალური მუშაკი, რა როლი აქვს მაქვს სააღსრულებო მედიაციის პროცესში, რა ფუნქციები აქვს მას და რით განსხვავდება მისი ფუნქციები მედიატორის საქმიანობისგან. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სააღსრულებო მედიაციის პროცესში სოციალური მუშაკისა და მედიატორის ფუნქციების პარალელურმა არსებობამ შესაძლოა წარმოშვას უფლებამოსილება გადაკვეთისა და პროცესის არაეფექტიანი მართვის რისკი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სააღსრულებო მედიაციის პროცესი სრულად წარმართოს შესაბამისი კვალიფიკაციის, პროფესიული უნარებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე მედიატორმა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მხარეთა ეფექტიან კომუნიკაციასა და ინტერესთა დაბალანსებას, ისე პროცესის პროფესიულ და შედეგზე ორიენტირებულ მართვას.

2.5. მედიაციის წარმმართველი პირი – მედიატორი

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი მედიატორად განიხილავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ დაადგინა მედიატორთა პროფესიული სტანდარტი. ასოციაციის წესდება განსაზღვრავს, რომ მედიატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არაა ნასამართლები და არის ასოციაციის წევრი. მას თავისთავად გავლილი უნდა ჰქონდეს მედიატორთა სერტიფიცირების პროგ-

22 იქვე. ნაწილი 9, მუხლი 33.

23 იქვე. ნაწილი 7, მუხლი 33.

24 იქვე. ნაწილი 10, მუხლი 33.

რამით გათვალისწინებული მედიაციის ან მედიატორის ტრენინგი.²⁵ ასევე, აუცილებელია მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის გათვალისწინება და გამოყენება მედიატორის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დასაზუსტებლად. რაც შეეხება, სააღსრულებო მედიაციის წარმმართველ მედიატორს, ზემოაღნიშნულ ან სხვაგვარ მოთხოვნებს კოდექსის პროექტი არ იძლევა, ამიტომ სავალდებულოა, ცალკე ბრძანებით დეტალურად იქნეს გაწერილი მედიატორის სავალდებულო მოთხოვნები, კრიტერიუმები, ასევე ამავე ბრძანებაში უნდა გაიწეროს მედიატორის სახელმძღვანელო პრინციპები და მედიაციის პროცესის სავალდებულო კომპონენტები.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ევროპული კომისიის მიერ შემუშავებული სამედიაციო შეთანხმების ნიმუშები, კითხვარები.²⁶ ევროპული მედიაციის სტანდარტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მედიაციის პროცესის სტრუქტურირებას, სამედიაციო შეთანხმების ფორმალიზებასა და მხარეთა ეფექტიან კომუნიკაციას, რაც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ქართული სააღსრულებო მედიაციის მოდელის შემდგომი განვითარებისთვისაც.

სააღსრულებო მედიაციის პროცესის მიუკერძოებლობისა და ლეგიტიმაციის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე შეიქმნას მედიატორის კეთილსინდისიერების კონტრო-

ლის კომპლექსური მექანიზმი. კერძოდ, ერთი მხრივ, სააღსრულებო წარმოების მხარეებს უნდა მიენიჭოთ მედიატორის აცილების პროცედურული უფლება ინტერესთა კონფლიქტის ან სხვა ობიექტური საფუძვლების არსებობისას, რაც მკაფიოდ უნდა გაიწეროს კანონმდებლობაში. მეორე მხრივ, აღნიშნულ უფლებას თან უნდა სდევდეს სააღსრულებო მედიატორის პროფესიული და ეთიკური სტანდარტების მარეგულირებელი ნორმები, სადაც დეტალურად განისაზღვრება როგორც მისი სავალდებულო ქცევის წესები, ისე მათი დარღვევისათვის გათვალისწინებული ადეკვატური სამართლებრივი სანქციები. მიგვაჩნია, რომ აცილების ინსტიტუტისა და მკაცრი პროფესიული პასუხისმგებლობის სისტემის სინთეზი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტიას მხარეთა უფლებების დასაცავად და სააღსრულებო მედიაციისადმი საზოგადოებრივი ნდობის ასამაღლებლად.

2.6. კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა ბალანსის პრობლემა სააღსრულებო მედიაციაში

მედიაციის კონფიდენციალურობა ასრულებს სხვადასხვა დადებითი ეფექტის სტიმულირებისა და მათ შორის ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის ფუნქციას. დადებითი ეფექტი შესაძლოა იყოს მხარეთა გულწრფელობა, მედიატორის ნეიტრალურობა, სამართლიანობა და

25 შეადარე. ბარნაბიშვილი, გ. და სიხარულიძე, ტ., 2024. მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 1-ის კომენტარი. ყანდაშვილი, ი., „რედ.“ მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი: უნივერსალი, გვ.20.

26 სამედიაციო შეთანხმების ნიმუშები იხ. მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), 2018 წელი, გვ. 37-43. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/mediation-development-toolkit-geo/1680b0f478>> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

სხვა.²⁷ მედიაციის მეშვეობით მხარეებს აქვთ კარგი საშუალება, გაერკვნენ პრობლემის არსში, მისცენ მას სწორი განმარტებები და ჩაწვდნენ დაპირისპირების რეალურ მიზეზებს.²⁸ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, დაარეგულირონ აღნიშნული კონფლიქტი მშვიდობიანად, მართონ კონფლიქტი, დარჩეს ორივე მხარე მოგებული²⁹. თუმცა, მედიაციის დადებითი ფაქტორები რომ შენარჩუნდეს, მიზანშეწონილია მედიაციის დროს ხდებოდეს მხარეთა ინტერესების ბალანსი.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პრაქტიკოსთა დიდი ნაწილი პრობლემურად მიიჩნევს კრედიტორისა და მოვალის შორის არსებულ ფაქტობრივ უთანასწორობას, განსაკუთრებით საბანკო ინსტიტუტისა და ფიზიკური პირის მონაწილეობით მიმდინარე სააღსრულებო წარმოებებში.

სააღსრულებო მედიაციის პროცესში კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა ბალანსის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან აღნიშნულ ურთიერთობაში ხშირად სახეზეა ძალაუფლების ფაქტობრივი ასიმეტრია. განსაკუთრებით პრობლემურია შემთხვევები, როდესაც კრედიტორს წარმოადგენს საბანკო ან სხვა ფინანსური ინსტიტუტი, ხოლო მოვალე, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი ფიზიკური პირი, რომლისთვისაც დავის შედეგი შესაძლოა საცხოვრებელი ქონების დაკარგვას უკავ-

შირდებოდეს. ასეთ პირობებში არსებობს საფრთხე, რომ მედიაცია მხოლოდ ფორმალურად დარჩეს ნებაყოფლობით მექანიზმად და რეალურად ძლიერი მხარის გავლენის ქვეშ მოექცეს. აღნიშნული გარემოება საჭიროებს ისეთი სამართლებრივი და პროცედურული გარანტიების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფს მოვალის ინფორმირებულობას, პროცესში რეალურ მონაწილეობას, მედიატორის ნეიტრალურობასა და შეთანხმების თავისუფალი ნების საფუძველზე მიღწევას, წინააღმდეგ შემთხვევაში სააღსრულებო მედიაციამ შესაძლოა დაკარგოს თავისი მთავარი დანიშნულება – მხარეთა ინტერესების სამართლიანი და დაბალანსებული შეთანხმების გზით მოწესრიგება.

3. კონფიდენციალურობის პრინციპისა და აღსრულებადობის უზრუნველყოფის კოლიზია სააღსრულებო მედიაციაში

ეფექტური მედიაციის ფუნდამენტური პრინციპია კონფიდენციალურობა, კონფიდენციალობა ფაქტობრივად ხელს უწყობს მხარეებს, რომ ერთმანეთს შორის ინფორმაცია გაცვალონ, პრობლემები მოაგვარონ და მოლაპარაკებების წარმოებაც მათ ინტერესებს დააფუძნონ.³⁰ „მედიაციის კონფიდენციალურობა ძალი-

27 შეადარე. ბიჭია, მ., 2023. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადური, 12 (1). თსუ გამომცემლობა, გვ. 19. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://adryearbook.tsu.ge/index.php/ADR/article/view/7081/7085>> [წვდომის თარიღი 11.06.2026].

28 ყანდაშვილი, ი., 2019. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თსუ გამომცემლობა, გვ. 68.

29 Kumar, A., 2016. Alternative Dispute Resolution System, K.K. Publications, გვ. 233.

30 შეადარე. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, გვ. 4-5. ნანახია წყაროში: შეადარე. ბიჭია, მ., 2021. მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს. სამართლის მაცნე, 3, გვ. 15. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://heraldoflaw.com/read-book/?ID=2020>> [წვდომის თარიღი 11.06.2026].

ან ემსგავსება მღვდლის, ადვოკატის, ექიმის მიერ კონფიდენციალურობის დაცვას, რადგან ამ შემთხვევაშიც მოქმედებს გამჭვირვალებისა და ჩვენების მიცემისგან დაცვის პრივილეგია.”³¹

მედიაციის მონაწილეებს დასაწყისშივე განემარტებათ, რომ ის, რასაც იტყვიან მედიაციის დროს, მედიაციის ზღურბლს არ გასცდება და ამიტომ მედიაციაში ჩართულს პირებს აქვთ მედიაციისგან კონფიდენციალურობის მოლოდინი.³² „როცა მედიაციის დროს მიწოდებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა არაა მეორე მხარისა და მედიატორის მიერ დაცული, ეს განაპირობებს მედიაციის პროცესის ეფექტიანობის ხარისხის შემცირებას.”³³

კვლევის ფარგლებში, მოკვლეულ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროში სააღსრულებო წარმოებების დროს მორიგებების პრაქტიკა ინდივიდუალური ინტერვიუების საფუძველზე. სააღსრულებო წარმოებაში მორიგების პრაქტიკა, განსხვავებით სასამართლო მედიაციისგან, არ ხასიათდება მკაცრი კონფიდენციალურობით. პროცესში შესაძლებელია ჩართული იყოს საქმის მწარმოებელი აღმასრულებელი, ხოლო მხარეთა ინტერესების დაცვის მექანიზმი აწარმოებდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივ კომუნიკაციას მხარეებთან. მნიშვნელოვანი შეხვედრები და მორიგების შედეგები ფიქსირდება შესაბამის ოქმში,

რომელიც ინახება სააღსრულებო წარმოების მასალებში და ძირითადად ინფორმაციული ხასიათისაა.³⁴

სააღსრულებო მედიაციის ამოქმედების შემთხვევაში, სხვა ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას. თუმცა, სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ გამოწვევას წარმოადგენს კონფიდენციალურობის პრინციპისა და მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობის უზრუნველყოფას შორის არსებული კოლიზია. კონფიდენციალურობა მიზნად ისახავს მხარეთა შორის თავისუფალი და ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაციის უზრუნველყოფას, რაც მედიაციის ეფექტიანობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. თუმცა სააღსრულებო მედიაცია არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი კერძოსამართლებრივი მედიაციისაგან, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში დავა უკვე იმყოფება იძულებითი აღსრულების ეტაპზე და დაკავშირებულია კონკრეტული სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებასთან.

სპეციფიკის გათვალისწინებით, სააღსრულებო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პრინციპის აბსოლუტიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან სააღსრულებო ეტაპზე უკვე არსე-

31 Deason, E. E., 2001. The Quest for Uniformity in Mediation Confidentiality: Foolish Consistency or Crucial Predictability? *Marquette Law Review*, Vol. 85, გვ. 80. ნანახია წყაროში: ბიჭია, მ., 2023. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადი, 12 (1). თსუ გამომცემლობა, გვ. 11.

32 Rausch, M., 2003. The Uniform Mediation Act. *Ohio State Journal on Dispute Resolution*, 18 (2), გვ. 608. ნანახია წყაროში: ბიჭია, მ., 2023. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადი, 12 (1). თსუ გამომცემლობა, გვ. 15.

33 Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. *Bond University Student Law Review*, 4, გვ. 3. ნანახია წყაროში: ბიჭია, მ., 2021. მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს. სამართლის მაცნე, 3, გვ. 15. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heraldoflaw.com/read-book/?ID=2020> [წვდომის თარიღი 11.06.2026].

34 ინტერვიუ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთან (ინტერვიუს თარიღი 15.04.2026).

ბობს საჯარო სამართლებრივი ინტერესი და აღსრულების ეფექტიანობის მოთხოვნა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც სხვა სახის მედიაციების შემთხვევაშიც არ არის კონფიდენციალურობა აბსოლუტური. საქართველოს კანონმდებლობაში 2020 წლამდე არ იყო ასახული კონფიდენციალურობის დაცვის შეზღუდვის შემთხვევები, თუმცა ისინი დადგენილი იყო ევროპულ დირექტივებში. შემდგომში საქართველომ ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით კანონით აღიარა მედიაციის კონფიდენციალურობის შეზღუდვის საგამონაკლისო შემთხვევები.³⁵

სააღსრულებო მედიაციის შემთხვევაში, მიღწეული შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება საჭიროებს მის სამართლებრივ ფორმალიზაციას, რაც გარკვეულ შემთხვევებში განაპირობებს აღსრულების ორგანოს ან სასამართლოსათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება როგორც მორიგების პირობების შესრულების კონტროლი, ისე შეთანხმების რეალური აღსრულებადობის უზრუნველყოფა. ასეთ საგამონაკლისო შემთხვევებშიც კი ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით იმგვარად, რომ ინფორმაციის კონფიდენციალობა მაქსიმალურად იყოს დაცული გარეშე პირებისაგან.³⁶ სააღსრულებო მედიაციის ფარგლებში კონფიდენციალურობა უნდა ვრცელდებოდეს უშუალოდ მოლაპარაკებების პროცესზე, მხარეთა პოზიციებსა და მედიაციის ფარგლებში გამოთქმულ სამართლებრივ თუ ფაქტობრივ შეფასებებზე. თუმცა, საბოლოო შეთანხმება, მისი აღს-

რულებისათვის აუცილებელი მოცულობით ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი პირებისთვის, მათ შორის საქმის მწარმოებელი აღმასრულებლისთვის.

4. მორიგებით დასრულებული სააღსრულებო წარმოებების სტატიისტიკა

სააღსრულებო წარმოების პროცესში მედიაციის პრაქტიკული მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სტატისტიკური მონაცემები მხარეთა მორიგებისა და შეთანხმებით დასრულებული სააღსრულებო წარმოებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ „აღსრულების კოდექსის“ პროექტით გათვალისწინებული სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტი ამ ეტაპისთვის ოფიციალურად ამოქმედებული არ არის, აღსრულების ეროვნული ბიუროს მხარეთა ინტერესების დაცვისა და მედიაციის სამსახურის საქმიანობა პრაქტიკაში უკვე ასრულებს სააღსრულებო მედიაციის ფუნქციურად მსგავს როლს და მიმართულია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობისკენ.

სტატისტიკის შესწავლის და პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, ნათლად ჩანს, რომ წლების განმავლობაში უფრო და უფრო ძლიერდება მორიგებებისა და მედიაციის როლი სააღსრულებო წარმოებაში. გავეცანით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოქვეყნებულ მორიგების მაჩვენებელს, 2017 და 2025 წლამდე. 2017 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით:

35 ბიჭია, მ., 2021. მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს. სამართლის მაცნე, 3, გვ. 17. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heraldoflaw.com/read-book/?ID=2020> [წვდომის თარიღი 11.06.2026].

36 იქვე. გვ. 17. შეადარე. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე მედიაციის შესახებ, რეგისტრაციის №07-2/319/9.

- 2017 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით აღსრულების ეროვნულ ბიუროში მხარეებს შორის მორიგებისა და დავალიანების განწილვალების მაჩვენებელმა ჯამში სულ – 183 ერთეული შემთხვევა შეადგინა;
- ამავე პერიოდში, მორიგების შედეგად გამოცხადებული აუქციონი შეწყდა 37 შემთხვევაში და არ მოხდა ქონების რეალიზაცია.³⁷

მორიგებათა რიცხვმა 2024 წელს მაქსიმუმს მიაღწია. 9 თვის განმავლობაში მორიგებით 13 ათასზე მეტი საქმე დასრულდა:

- 2024 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით აღსრულების ეროვნულ ბიუროში მხარეებს შორის მორიგებით და განწილვალებით 13 068 საქმე დასრულდა;
- ამავე პერიოდში, მორიგების შედეგად შეწყდა 114 აუქციონი და არ მოხდა ქონების რეალიზაცია.³⁸

სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის აქტუალობას მნიშვნელოვნად განაპირობებს როგორც იპოთეკით უზრუნველყოფილი საკრედიტო ურთიერთობების ზრდა, ისე სააღსრულებო წარმოებათა მაღალი რაოდენობა. ამასთანავე, იძულებითი აუქციონით დასრულებული საქმეების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ დავის შეთანხმებით დასრულების მექანიზმები პრაქტიკაში ჯერ კიდევ არასაკმარისად გამოიყენება, რაც კიდევ უფრო ზრდის ეფექტიანი სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუციური განვითარების საჭიროებას.

ყოველწლიურად მორიგებით დასრულებული საქმეების რაოდენობის ზრდა მიუთითებს, რომ პრაქტიკაში არსებობს დავის შეთანხმებით დასრულების რე-

ალური მოთხოვნა, თუმცა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა ზღუდავს ამ პროცესის ინსტიტუციურ განვითარებას.

გაანალიზებული სტატისტიკური მონაცემები და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა ხელს შეუწყობს მორიგებით დასრულებული სააღსრულებო წარმოებების რაოდენობის ზრდას.

5. სააღსრულებო მედიაცია და საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“

საინტერესოა, აღსრულების კოდექსის პროექტით განსაზღვრულ სააღსრულებო მედიაციას რამდენად არეგულირებს „მედიაციის შესახებ“ კანონი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკითხი არ არის გამოკვლეული და იმდენად ნოვაციაა, რომ რიგი საკითხები ჯერ კანონმდებლის მიერაც არაა განსაზღვრული. თუმცა, გამოვიკვლიეთ დეტალურად შემოადინებული და მივედით დასკვნამდე, რომ სააღსრულებო მედიაცია არის ცალკე მდგომი ინსტიტუტი და „მედიაციის შესახებ“ კანონით არ რეგულირდება.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მედიაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძ-

37 „აღსრულების ეროვნულ ბიუროში მორიგებით დასრულებული საქმეების რაოდენობა იმატებს“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://nbe.gov.ge/news/145> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

38 „აღსრულების ეროვნული ბიურო 2024 წლის 6 თვის მორიგების მაჩვენებლის სტატისტიკას აქვეყნებს“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://nbe.gov.ge/news/690> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

ვლითა და წესით.³⁹ მედიაციის პროცესი წარმართება მედიატორების მეშვეობით, რომელიც არის მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, აკმაყოფილებს „მედიაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანახმაა, წარმართოს მედიაცია, მიუხედავად მისი სტატუსისა და არჩევის/დანიშვნის წესისა.⁴⁰

კანონი დეტალურად ადგენს მედიატორთა არჩევა/დანიშვნის წესს, მედიაციის დაწყების, დასრულების პირობებს და ფუნდამენტურ პრინციპებს. არც ერთი ეს წესი არ ვრცელდება სააღსრულებო მედიაციაზე. სააღსრულებო მედიაციის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია მხოლოდ აღსრულების კოდექსის პროექტში და ასევე, იგეგმება იუსტიციის მინისტრის ბრძანების შემუშავებაც, რომელიც კონკრეტულად დაარეგულირებს მედიაციის წესებს.

„მედიაციის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრულია იმ მედიაციათა სახეები, რომლებზეც არ ვრცელდება კანონის მოქმედება. ზემოაღნიშნული განაპირობა იმ თავისებურებამ, რაც მედიაციის ე.წ. „საგამონაკლისო“ ფორმებს აქვთ. „მედიაციის შესახებ“ კანონის რეგულირების სფეროს მიღმა დარჩა მედიაციის გარკვეული სახეები, მათ შორის ასეთია სააღსრულებო მედიაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახის მედიაციისათვის ძირითადი პრინციპები საერთოა. გასათვალისწინებელია, დავის სპეციფიკის გათვალისწინებით საჯარო ინტერესის უზრუნველყოფად გარკვეულ შემთხვევებში ხდება მედიაციის პრინციპების ნაწილობრივი,

თანაზომიერი შეზღუდვა.⁴¹ არასრულწლოვნის მედიაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობის, მისი კომპექსურობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკე რეგულირების სფეროა, ანალოგიურად, ცალკე რეგულირებადი უნდა იყოს ახალი ინსტიტუტი საქართველოს რეალობაში – სააღსრულებო მედიაცია.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ „აღსრულების კოდექსის“ ამოქმედების შემდგომ მიზანშეწონილია, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ გამონაკლის მედიაციათა ჩამონათვალს (რომელზეც არ ვრცელდება კანონის მოქმედება) დაემატოს სააღსრულებო მედიაცია, მისი სამართლებრივი სპეციფიკისა და სპეციალური პროცედურული რეგულირების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში სააღსრულებო მედიაციის დანერგვა ქმნის დავის ეფექტიანი და ინტერესთა დაბალანსებული გადაწყვეტის შესაძლებლობას, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელება მოითხოვს შესაბამის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ სრულყოფას. მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი პრაქტიკულად არ შეიცავს სააღსრულებო მედიაციის მარეგულირებელ სპეციალურ

39 პუნქტი „ა“, მუხლი 2, საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=3> > [წვდომის თარიღი 30.04.2026].

40 იქვე. პუნქტი „ე“, მუხლი 2.

41 ბარნაბიშვილი, გ. და სიხარულიძე, ტ., 2024. მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის კომენტარი. ყანდაშვილი, ი., „რედ.“ მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი: უნივერსალი, გვ.19.

ნორმებს, ხოლო „აღსრულების კოდექსის“ პროექტით გათვალისწინებული რეგულაციები, მიუხედავად მათი პროგრესული ხასიათისა, რიგ შემთხვევებში კვლავ ზოგად და არასაკმარისად დეტალიზებულ მოწესრიგებას გვთავაზობს.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მხარეთა შორის მორიგება სააღსრულებო წარმოების ფარგლებში დღესაც აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში, განსაკუთრებით იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების აღსრულებისას, თუმცა აღნიშნული პროცესი მოკლებულია ერთიან სამართლებრივ ჩარჩოსა და ეფექტიან პროცედურულ მექანიზმებს. შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ სააღსრულებო მედიაციის ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც მკაფიო საკანონმდებლო რეგულირებაზე, ისე მხარეთა ინტერესთა ბალანსის დაცვის ეფექტიან გარანტიებზე. ამასთანავე, კვლევამ დაადასტურა, რომ უცხოური მოდელების პირდაპირი გადმოტანა ქართულ სამართლებრივ სივრცეში მიზანშეწონილი არ არის და აუცილებელია ისეთი სამართლებრივი მოდელის ფორმირება, რომელიც გაითვალისწინებს ქართული სააღსრულებო სისტემის ინსტიტუციურ და პრაქტიკულ სპეციფიკას.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სააღსრულებო მედიაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ძალაუფლების ასიმეტრია, აგრეთვე მედიაციის კონფიდენციალურობის პრინციპსა და მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობას შორის არსებული სამართლებრივი კოლიზია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კონფიდენციალურობის აბსოლუტიზაცია სააღსრულებო მედიაციის პროცესში პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან მიღწეული შეთანხმების ეფექტიანი აღსრულება საჭიროე-

ბს სამართლებრივ ფორმალიზაციასა და აღსრულების ორგანოს ჩართულობას.

ამდენად, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტიანი დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ მკაფიო საკანონმდებლო რეგულირების, შესაბამისი პროცედურული გარანტიების, მედიაციის ფუნდამენტური პრინციპებისა და იძულებითი აღსრულების ეფექტიანობის გონივრული დაბალანსების პირობებში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტური დანერგვისა და დახვეწისთვის მიზანშეწონილად მიიჩნევა შემდეგი რეკომენდაციები:

1. აუცილებელია სააღსრულებო მედიაციის საკანონმდებლო დონეზე ამოქმედება და ამ ინსტიტუტის სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირება. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს როგორც „აღსრულების კოდექსის“ მიღებით, ისე მოქმედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით. „აღსრულების კოდექსით“ ან მოქმედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებებით, უნდა განისაზღვროს სააღსრულებო მედიაციის სამართლებრივი საფუძვლები, ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დეტალურად დარეგულირდეს მედიაციის დაწყების, წარმართვის, დასრულებისა და მიღწეული შეთანხმების ფორმალიზების პროცედურა.
2. კანონმდებლობაში სავალდებულო წესით უნდა გაიწეროს სააღსრულებო მედიაციის წარმართვის ფუნდამენტური პრინციპები, მათ

შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას. ამასთანავე, კონფიდენციალურობის პრინციპი გონივრულად უნდა დაბალანსდეს მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობის უზრუნველყოფის აუცილებლობასთან, რათა დაცული იყოს როგორც მედიაციის პროცესის ნდობა, ისე შეთანხმების ეფექტიანი სამართლებრივი განხორციელება.

3. მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე გაერთიანდეს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში დღეის მდგომარეობით მოქმედი სოციალური მუშაკის და მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერის ინსტიტუტი, დაინერგოს მედიატორის ცნება და მედიატორმა შეითავსოს როგორც მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერის, ისე სოციალური მუშაკის ფუნქცია. მედიატორის სამართლებრივი სტატუსი, პროფესიული კვალიფიკაცია და ეთიკური სტანდარტები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით.
4. აუცილებელია „აღსრულების კოდექსის“ პროექტით გათვალისწინებული სააღსრულებო მედიაციის პროცედურის სრულყოფა და პროექტის 33-ე მუხლის გადახედვა. ამ მიზნით, უნდა გაფართოვდეს მედიაციის დაწყების შესაძლებლობა სააღსრულებო წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, შეიზღუდოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მედიაციის დაწყებაზე უარის თქმის დისკრეციული უფლებამოსილება, თუკი სახეზეა მხარეთა ნების ავტონომია და ორმხრივი თანხმობა. ამასთანავე, იპოთეკით უზრუნველყოფილი საქმეების სპეციფიკის

გათვალისწინებით, წარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, მედიაციის დაწყების გადაწყვეტილების მიღების 10-დღიანი ვადა უნდა შემცირდეს 5 დღემდე, ხოლო უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეებზე მედიაციის მაქსიმალური ვადა განისაზღვროს არაუმეტეს 1 თვით.

5. აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს მედიაციის შედეგების ფორმალიზებისა და აღსრულების მექანიზმები. მედიაციის შედეგი უნდა აისახოს სამართლებრივ დოკუმენტში – მედიაციის ოქმში, რაც ქმნის შესაბამისი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების სამართლებრივ საფუძველს. მედიაციის ოქმის შინაარსისა და იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის სააღსრულებო წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღმასრულებელმა უნდა განახორცილოს შესაბამისი სააღსრულებო მოქმედება, იქნება ეს განწილვალების გრაფიკის დამტკიცება თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, სააღსრულებო წარმოების გარკვეული ვადით შეჩერება, სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისთვის დაბრუნება თუ სხვა.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული პრაქტიკული გამოცდილება, სტატისტიკური მონაცემები და ჩატარებული ინტერვიუები ქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტის დანერგვამ და გამართულმა საკანონმდებლო რეგულაციამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მორიგებით დასრულებული სააღსრულებო წარმოებების რაოდენობის ზრდას, მხარეთა ინტერესთა შედარებით დაბალანსებულ დაცვასა და იძულებითი აღსრულების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარნაბიშვილი, გ. და სიხარულიძე, ტ., 2024. მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის კომენტარი. ყანდაშვილი, ი., „რედ.“ მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი: უნივერსალი.
2. ბიჭია, მ., 2021. მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს. სამართლის მაცნე, 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heraldoflaw.com/read-book/?ID=2020> [წვდომის თარიღი 11.06.2026].
3. ბიჭია, მ., 2023. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწადული, 12 (1) . თსუ გამომცემლობა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://adryearbook.tsu.ge/index.php/ADR/article/view/7081/7085> [წვდომის თარიღი 11.06.2026].
4. მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), 2018 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/mediation-development-toolkit-geo/1680b0f478> [წვდომის თარიღი 30.04.2026].
5. ქურდაძე, მ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი, ნ. და ჭყონია, ზ., 2018. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. ნაწილი 1. თბილისი: დანი.
6. ყანდაშვილი, ი., 2017. მედიაცია – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში (მედიაციის ინსტიტუციური მოწყობა). სამართლის ჟურნალი, 2.
7. ყანდაშვილი, ი., 2019. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
8. ცერცვაძე, გ., 2010. მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა). თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი.
9. Andrews, N., 2019. Andrews on Civil Processes: Volume II: Arbitration and Mediation. Intersentia.
10. Deason, E., E., 2001. The Quest for Uniformity in Mediation Confidentiality: Foolish Consistency or Crucial Predictability? Marquette Law Review, Vol. 85.
11. Genn, H., 2010. Judging Civil Justice (The Hamlyn Lectures). Cambridge University Press. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://law.exeter.ac.uk/v8media/facultysites/hass/law/imeges/hamlyn/Genn_judging_civil_justice.pdf [წვდომის თარიღი 10.06.2026].
12. Kovach, K.K., 2010. Mediation in a Nutshell. 2nd edition, Thomson West, United States of America.
13. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5th edition. London: Cavendish Publishing Limited.
14. Kumar, A., 2016. Alternative Dispute Resolution System. K.K. Publications.
15. Rausch, M., 2003. The Uniform Mediation Act. Ohio State Journal on Dispute Resolution, 18 (2).
16. Stürner, R., 2005. German Enforcement Law and Practice in C.H. van Rhee (ed), European Traditions in Civil Procedure. Intersentia.
17. Uzelac, A., 2009. Paths of Mediation in Bosnia and Herzegovina. Sarajevo: International Finance Corporation.
18. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი აღსრულების კოდექსი (პროექტი) (2021 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> [წვდომის თარიღი 30.04.2026].
2. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/18442?publication=129> [წვდომის თარიღი 30.04.2026].
3. საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=3> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

4. „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმირების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის 21 ბრძანება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/1193802?publication=0> [წვდომის თარიღი 30.04.2026].
5. განმარტებითი ბარათი „საქართველოს კანონის პროექტზე – აღსრულების კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856> [წვდომის თარიღი 30.04.2026].
6. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (Zivilprozessordnung – ZPO). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/ [წვდომის თარიღი 10.06.2026].
7. ესტონეთის სააღსრულებო წარმოების კოდექსი (Täitemenetluse seadustik). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.riigiteataja.ee/en/akt/503042023007?leiaKehtiv> [წვდომის თარიღი 10.06.2026].
8. diation in Business Disputes During a Pandemic. Herald of Law, 3. [Online] available at: <https://heraldoflaw.com/read-book/?ID=2020> [Accessed 11.06.2026]. (in Georgian)
4. Bichia, M., 2023. Confidentiality of the Mediation Process and Ethical Dilemmas. Alternative Dispute Resolution Yearbook, 12(1). TSU Publishing. [Online] available at: <https://adryearbook.tsu.ge/index.php/ADR/article/view/7081/7085> [Accessed 11.06.2026]. (in Georgian)
5. Deason, E. E., 2001. The Quest for Uniformity in Mediation Confidentiality: Foolish Consistency or Crucial Predictability? Marquette Law Review, Vol. 85. (in English)
6. Genn, H., 2010. Judging Civil Justice (The Hamlyn Lectures). Cambridge University Press. [Online] available at: https://law.exeter.ac.uk/v8media/facultysites/hass/law/imeges/hamlyn/Genn_judging_civil_justice.pdf [Accessed 10.06.2026]. (in English)
7. Mediation Development Toolkit. European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), 2018. [Online] available at: <https://rm.coe.int/mediation-development-toolkit-geo/1680b0f478> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
8. Qurdadze, Sh., Qurdadze, G., Khunashvili, N. and Chkonia, Z., 2018. Comments on the Law of Georgia On Enforcement Proceedings, Part 1. Tbilisi: Dani. (in Georgian)
9. Kandashvili, I., 2017. "Mediation – A New Form of Alternative Dispute Resolution and the Perspective of its Legislative Regulation in Georgia (Institutional Framework of Mediation)", Law Journal, 2. (in Georgian)
10. Kandashvili, I., 2019. Judicial and Non-Judicial Forms of Alternative Dispute Resolution on the Example of Mediation in Georgia. Tbilisi: TSU Publishing. (in Georgian)
11. Tsertsvadze, G., 2010. Mediation as an Alternative Dispute Resolution Method (General Overview). Tbilisi: Meridiani Publishing. (in Georgian)
12. Kovach, K.K., 2010. Mediation in a Nutshell. 2nd edition, Thomson West, United States of America. (in English)
13. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5th edition. London: Cavendish Publishing Limited. (in English)

ინტერნეტ რესურსები:

1. „აღსრულების ეროვნულ ბიუროში მორიგებით დასრულებული საქმეების რაოდენობა იმატებს“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://nbe.gov.ge/news/145> [წვდომის თარიღი 30.04.2026].
2. „აღსრულების ეროვნული ბიურო 2024 წლის 6 თვის მორიგების მაჩვენებლის სტატისტიკას აქვეყნებს“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://nbe.gov.ge/news/690> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

BIBLIOGRAPHY

Used Literature:

1. Andrews, N., 2019. Andrews on Civil Processes: Volume II: Arbitration and Mediation. Intersentia. (in English)
2. Barnabishvili, G. and Sikharulidze, T., 2024. Commentary on Article 1 of the Law of Georgia on Mediation. In: Kandashvili, I., „ed.,“ Commentaries on the Law of Georgia on Mediation. Tbilisi: Universali. (in Georgian)
3. Bichia, M., 2021. The Importance of Using Me-

14. Kumar, A., 2016. Alternative Dispute Resolution System. K.K. Publications. (in English)
15. Rausch, M., 2003. The Uniform Mediation Act. Ohio State Journal on Dispute Resolution, 18 (2). (in English)
16. Stürner, R., 2005. German Enforcement Law and Practice in C.H. van Rhee (ed), European Traditions in Civil Procedure. Intersentia. (in English)
17. Uzelac, A., 2009. Paths of Mediation in Bosnia and Herzegovina. Sarajevo:International Finance Corporation. (in English)
18. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4. (in English)

Normative Materials:

1. Draft Enforcement Code of Georgia (as of February 22, 2021). [Online] available at: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
2. Law of Georgia On Enforcement Proceedings, [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/18442?publication=129> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
3. Law of Georgia On Mediation. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=3> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
4. Order No. 21 of the Minister of Justice of Georgia of January 31, 2011, "On the Approval of the Form, Rule, and Procedures for Conducting a Forced Auction". [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/1193802?publication=0> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
5. Explanatory Note to the Draft Enforcement Code of Georgia [Online] available at: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
6. Estonian Code of Enforcement Procedure (Täitemenetluse seadustik). [Online] available at: <https://www.riigiteataja.ee/en/akt/503042023007?leiaKehtiv> [Accessed 10.06.2026]. (in English)
7. German Code of Civil Procedure (Zivilprozessord-

nung – ZPO). [Online] available at: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/ [Accessed 10.06.2026]. (in English)

Internet Sources:

1. The number of cases completed with reconciliation in the National Bureau of Enforcement increases [Online] available at: <https://nbe.gov.ge/news/145> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
2. National Bureau of Enforcement publishes statistics on the settlement rate for the 6 months of 2024. [Online] available at: <https://nbe.gov.ge/news/690> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)

გთხოვთ გთხოვთ გთხოვთ

რეგრესის უფლება საბანკო გარანტიის ურთიერთობებში (URDG 758-ისა და საქართველოს სამოქალაქო სამართლის დოქტრინული ანალიზი)

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.7>

თამარ გოგოლაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი

ელ-ფოსტა: tamarg.law@gmail.com

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0003-7310-3879>

აბსტრაქტი

სტატიაში გამოკვლეულია რეგრესის უფლება საბანკო გარანტიის ურთიერთობებში საქართველოს სამოქალაქო სამართლისა და URDG 758-ის ურთიერთმიმართების საფუძველზე. ნაშრომის მთავარი თეზისია, რომ რეგრესი, მიუხედავად მისი კანონის მიერ აღიარებისა, ვერ განიხილება სრულად თვითკმარ მექანიზმად, თუ იგი არ არის გამყარებული პრინციპალსა და გარანტს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით. კვლევა აანალიზებს გარანტიის ავტონომიას, მოთხოვნის დოკუმენტურ ბუნებას, გარანტის მიერ გადახდის სამართლებრივ შედეგებსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა სისტემას. ნაშრომი გვიჩვენებს, რომ URDG 758 რეგრესის საკითხს პირდაპირ არ არეგულირებს, თუმცა მისი ავტონომიური და დოკუმენტური ლოგიკა უნდა იქნეს გამოყენებული ეროვნული სამართლის განმარტებისას. დასკვნის სახით დასაბუთებულია ანაზღაურების შესახებ წერილობითი შეთანხმების აუცილებლობა.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბანკო პრაქტიკაში წარმოშობილ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია გარანტის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების პროცესთან. გაანალიზებულია ის გარემოებები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვრული სახელშეკრულებო მექანიზმები რეგრესის უფლების ეფექტიანი განხორციელებისა და მხარეთა ინტერესების დაცვისათვის.

საკვანძო სიტყვები: ანაზღაურება, ავტონომია, მოთხოვნა, პრინციპალი, გარანტი, ბენეფიციარი

THE RIGHT OF RECOURSE IN BANK GUARANTEE RELATIONSHIPS (Doctrinal Analysis of URDG 758 and Georgian Civil Law)

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.13.7>

Tamar Gogolashvili

*PhD Student at the Faculty of Law at Caucasus International University
Georgia, Tbilisi*

Email: tamarg.law@gmail.com

ORCID: ID <https://orcid.org/0009-0003-7310-3879>

ABSTRACT

The article examines the right of recourse in bank guarantee relationships through the interaction between Georgian Civil Law and URDG 758. The central thesis is that recourse, although recognized by law, cannot be understood as a fully self-sufficient mechanism unless it is supported by a written agreement between the principal and the guarantor. The article analyzes the autonomy principle, the documentary nature of the demand guarantee, the legal consequences of payment by the guarantor and the system Georgian Civil Code provisions governing bank guarantees. The research demonstrates that URDG 758 does not regulate recourse directly, yet its logic of autonomy and documentary compliance should influence national interpretation. The article argues for a contractual model that clearly defines reimbursement, costs, interest, and procedural duties. The findings may be used in banking practice, contract drafting and doctrinal interpretation of Georgian private law.

The study also pays particular attention to the risks arising in banking practice in connection with the recovery of amounts paid by the guarantor. It analyzes the extent to which pre-established contractual mechanisms are essential for the effective exercise of the right of recourse and for the protection of the parties' interests.

KEYWORDS: Reimbursement, Autonomy, Demand, Principal, Guarantor, Beneficiary

შესავალი

საბანკო გარანტია თანამედროვე კერძო სამართლისა და საბანკო პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რადგან იგი აერთიანებს უზრუნველყოფის ეკონომიკურ ფუნქციას, დამოუკიდებელი ვალდებულების იურიდიულ ფორმას და დოკუმენტური გადახდის მოქნილ მექანიზმს. გარანტიის არსი არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ბენეფიციარი იღებს დაცვის დამატებით საშუალებას. მისი რეალური მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: სამოქალაქო ბრუნვაში იქმნება გადახდის ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს, ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავის გავლენას ბენეფიციარის დაკმაყოფილებაზე. სწორედ ამიტომ საბანკო გარანტია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ურთიერთობებში, სადაც მხარეებს სჭირდებათ შესრულების სწრაფი, ფორმალუზებული და მაღალი ნდობის მქონე მექანიზმი.

გარანტიის ინსტიტუტის დოქტრინული სირთულე იწყება იქ, სადაც გარანტიის ავტონომია გადადის გარანტის ეკონომიკური დაცვის საკითხში. გარანტი ბენეფიციარის წინაშე იღებს დამოუკიდებელ ვალდებულებას, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს, რომ გარანტმა საბოლოოდ საკუთარი ქონებით უნდა იტვირთოს პრინციპალის კომერციული რისკი. საბანკო გარანტიის ფუნქციური “არქიტექტურა” ეფუძნება სამი სახის ურთიერთობას: პრინციპალი ითხოვს გარანტიის გაცემას, გარანტი იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, ხოლო გადახდის შემთხვევაში პრინციპალი ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს გადახდილი თანხა. ამ მესამე, შიდა ურთიერთობის გარეშე გარანტიის სისტემა დაკარგავდა ეკონომიკურ სიმყარეს.

კვლევის საგანია სწორედ ეს შიდა

ურთიერთობა: რეგრესის უფლება და მისი ფარგლები. ქართული სამართალი საბანკო გარანტიას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით, თუმცა რეგრესის საკითხის სიღრმისეული გააზრება მოითხოვს არა მხოლოდ ნორმების ტექსტობრივ წაკითხვას, არამედ მათ სისტემურ და მიზნობრივ განმარტებას. შეიძლება ითქვას, რომ გარანტს გადახდის შემდეგ წარმოეშობა მოთხოვნა პრინციპალის მიმართ, მაგრამ მთავარი კითხვა უფრო რთულია: საკმარისია თუ არა მხოლოდ კანონის ნორმა იმისთვის, რომ გარანტმა პრაქტიკაში ეფექტიანად მიიღოს ანაზღაურება, თუ აუცილებელია წინასწარ წერილობითი შეთანხმება, რომელიც რეგრესის საფუძველს, მოცულობასა და პროცედურას განსაზღვრავს.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგია: რეგრესის უფლება, მიუხედავად მისი კანონით აღიარებისა, პრაქტიკაში სრულად ეფექტიანი ვერ იქნება, თუ გარანტსა და პრინციპალს შორის არ არსებობს წერილობითი შეთანხმება ანაზღაურების შესახებ. ეს შეთანხმება არ არის მხოლოდ ფორმალური საბანკო დოკუმენტი; იგი არის გარანტიის გაცემის სამართლებრივი და ეკონომიკური წინაპირობა. სწორედ მასში უნდა განისაზღვროს, რა თანხა უნდა აანაზღაუროს პრინციპალმა, მოიცავს თუ არა ანაზღაურება საკომისიოებს, ხარჯებს, პროცენტს, რა ვადაში უნდა შესრულდეს ანაზღაურება და რა გავლენა აქვს პრინციპალის შესაძლო შესაგებლებს გარანტის მოთხოვნაზე.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება დოგმატურ, სისტემურ და თელეოლოგიურ ანალიზს. დოგმატური მეთოდი გამოიყენება რეგრესის სამართლებრივი ბუნების განსასაზღვრად; სისტემური მეთოდი – სამოქალაქო კოდექსის ნორმათა ურთიერთმიმართების გამოსავკვეთად; თელეოლოგიური მეთოდი – საბანკო გარანტიის

ეკონომიკური მიზნისა და URDG 758-ის¹ პრინციპების შესაფასებლად. კვლევა ფოკუსირებულია ქართული სამართლისა და URDG 758-ის ურთიერთმიმართების სიდრმისეულ ანალიზზე და არ მოიცავს უცხოური სამართლებრივი სისტემების შედარებით განხილვას.

1. საბანკო გარანტიის ავტონომია და რეგრესის წინაპირობების წარმოშობა

საბანკო გარანტიის ავტონომია ნიშნავს, რომ გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე დამოუკიდებელია პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ძირითადი ხელშეკრულებისგან. ეს დამოუკიდებლობა არ არის მხოლოდ ტექნიკური ფორმულა; იგი განსაზღვრავს გარანტიის არსს. თუ გარანტი ყოველ მოთხოვნაზე მოუწევდა ძირითადი ხელშეკრულების შესრულების ფაქტობრივი და სამართლებრივი ანალიზი, საბანკო გარანტია გადაიქცეოდა ჩვეულებრივ უზრუნველყოფილ ვალდებულებად და დაკარგავდა იმ სისწრაფესა და ნდობას, რის გამოც იგი გამოიყენება კომერციულ ბრუნვაში. ავტონომია არის გარანტიის ეფექტიანობის საფუძველი, მაგრამ ამავე დროს იგი ქმნის რეგრესის პრობლემასაც.

გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე, განსაკუთრებით URDG 758-ის ფარგლებში, დოკუმენტურ ბუნებას ატარებს. გარანტი ამოწმებს არა ფაქტობრივ შესრულებას, არამედ წარმოდგენილი მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას გარანტიის პირობებთან. გარანტი არის ფორმალური

შესაბამისობის შემფასებელი სუბიექტი. შესაბამისად, გადახდა შეიძლება განხორციელდეს მაშინაც, როდესაც პრინციპალი მიიჩნევს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა უსაფუძვლოა. სწორედ ამ პოტენციური რისკის გამო რეგრესი იქცევა გარანტის დაცვის აუცილებელ მექანიზმად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიდგომა ავტონომიისადმი არ არის სრულად ერთმნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, იგი აღიარებს საბანკო გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას. მეორე მხრივ, რეგრესის ეტაპზე პრინციპალს ანიჭებს ისეთი შესაგებლების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც გარანტიის ავტონომიურ ბუნებას ასუსტებს. ამგვარად, ქართული სამართლის შიგნით წარმოიშობა დუალიზმი: გადახდის ეტაპზე გარანტია დამოუკიდებელია, ხოლო გადახდის შემდგომ ურთიერთობაში იგი ნაწილობრივ უბრუნდება ძირითადი ურთიერთობის კაუზალურ ლოგიკას. სწორედ ეს დუალიზმი ქმნის დოქტრინულ და პრაქტიკულ დისონანსს.

რეგრესის უფლება ავტონომიის ბუნებრივი გაგრძელებაა. თუ გარანტი იხდის დოკუმენტური მოთხოვნის საფუძველზე და არა ძირითადი ვალდებულების სრული სამართლებრივი შეფასებით, მაშინ მისი ანაზღაურების უფლება არ შეიძლება ისე იქნეს შეზღუდული, თითქოს მან საბოლოოდ იკისრა ძირითადი დავის რისკი. გარანტის როლი არის გადახდის უზრუნველყოფა და არა პრინციპალის ვალდებულების მატერიალური დადასტურება. ამიტომ რეგრესის შეზღუდვა იმავე საფუძველებით, რომლითაც პრინციპალი შეიძლება ედავებოდეს ბენეფიციარს, საფრთხეს უქმნის ინსტიტუტის ფუნქციურ თანმიმდევრულობას.

1 URDG 758 (Uniform Rules for Demand Guarantees – უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე) არის საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC – International Chamber of Commerce) მიერ გამოქვეყნებული საერთაშორისოდ აღიარებული წესების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს მოთხოვნაზე დაფუძნებულ გარანტიებს. URDG 758 ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ივლისიდან.

ავტონომიის პრინციპი არ ნიშნავს ბენეფიციარის თვითნებობის შეუზღუდავ დაცვას. უფლების ბოროტად გამოყენების ან თაღლითური მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში ეროვნული სამართალი შეიძლება იცნობდეს გადახდის შეჩერების ან დაცვის სპეციალურ მექანიზმებს, მაგრამ ეს გამონაკლისი არ უნდა გადაიქცეს ზოგად წესად, რომელიც რეგრესის ეტაპზე გარანტს ართმევს ანაზღაურებას მხოლოდ იმიტომ, რომ პრინციპალს აქვს დავა ბენეფიციართან.

ამგვარად, საბანკო გარანტიის ავტონომია რეგრესის საკითხს წინასწარ განსაზღვრავს. გარანტიის დამოუკიდებლობა მხოლოდ მაშინ არის ფუნქციურად გამართლებული, როდესაც გარანტს გადახდის შემდეგ აქვს ძლიერი, წინასწარ განსაზღვრული და პრაქტიკულად აღსრულებადი მოთხოვნა პრინციპალის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებლობა იქცევა გარანტის საწინააღმდეგო რისკად და არა კომერციული ბრუნვის სტაბილურობის მექანიზმად.

2. რეგრესის უფლების სამართლებრივი ბუნება: რეგრესი, სუბროგაცია და ანაზღაურების მოთხოვნა

რეგრესის უფლების დოქტრინული განსაზღვრა აუცილებელია, რადგან პრაქტიკაში ხშირად სამი მსგავსი, მაგრამ განსხვავებული კატეგორიის აღრევა ხდება: რეგრესი, სუბროგაცია და ანაზღაურების სახელშეკრულებო მოთხოვნა.

საბანკო გარანტიის კონტექსტში რეგრესი უფრო ახლო დგას ანაზღაურების დამოუკიდებელ მოთხოვნასთან, ვიდრე სუბროგაციასთან. გარანტის მოთხოვნა პრინციპალის მიმართ ეფუძნება იმ გა-

რემოებას, რომ გადახდა განხორციელდა პრინციპალის დავალებით, მის სასარგებლოდ და მის კომერციულ ინტერესში. ამდენად, რეგრესი არის ახალი მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა გადახდის ფაქტით, მაგრამ მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია შიდა სამართლებრივ ურთიერთობაზე.

რეგრესი არის სუბროგაციის რელატიური შედეგი, ანუ უფლებებში გათანაბრება²

სუბროგაციასთან რეგრესის გაიგივება საბანკო გარანტიის სფეროში პრობლემურია. თუ გარანტს მხოლოდ ბენეფიციარის უფლებები გადაეცემოდა, მაშინ პრინციპალს შეეძლებოდა გარანტის წინააღმდეგ იმავე შესაგებლების გამოყენება, რაც მას ბენეფიციარის წინააღმდეგ ჰქონდა. ასეთი მოდელი პრაქტიკულად გააუქმებდა გარანტიის ავტონომიურ ეფექტს და ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა მოთხოვნაზე დაფუძნებული გარანტიის არსთან. ამიტომ თავდებობის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი სუბროგაციული მოდელი ანალოგიით ვერ გავრცელდება საბანკო გარანტიაზე, რადგან თავდებობა აქცესორული, ხოლო გარანტია დამოუკიდებელი ვალდებულებაა.

რეგრესი, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნა, არ ნიშნავს პრინციპალის დაცვის სრულ გაუქმებას. პრინციპალს უნდა ღარჩეს შესაძლებლობა ედავოს გარანტს იმ შემთხვევაში, თუ გარანტმა გადაიხდა აშკარად შეუსაბამო მოთხოვნის საფუძველზე, დაარღვია შეთანხმებული პროცედურა, არ აცნობა მოთხოვნის მიღების შესახებ ან გადაიხდა უხეში დაუღვრობით. მაგრამ ეს შესაგებლები უნდა უკავშირდებოდეს გარანტის ქცევას და არა ძირითადი ხელშეკრულების ყველა შესაძლო დავას. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგრესი დაკარგავს დამოუკიდებელ ბუნებას.

2 შეადარე. მესხიშვილი, ქ., 2020. კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და პრაქტიკა. I ტომი. თბილისი: გვ. 73.

ამგვარი გამიჯვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული სამართლისთვის. უფრო სწორი იქნება რეგრესის აღქმა როგორც გარანტიის დამოუკიდებელი მოთხოვნის ანაზღაურების შესახებ, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ გარემოებებით, რომლებიც უშუალოდ გარანტიის შესრულებასა და გარანტიის კეთილსინდისიერებას უკავშირდება.

რეგრესის ასეთი გაგება უკეთესად პასუხობს საბანკო გარანტიის ეკონომიკურ მიზანსაც. ბანკი³ გარანტიას გასცემს საკრედიტო-საბანკო მომსახურების ფარგლებში, რომლის საფასურსაც იღებს და რომლის უკან დგას პრინციპალის ანაზღაურების ვალდებულება. თუ ეს ვალდებულება გაურკვეველია ან ადვილად სადავო ხდება, ბანკი ან გაზრდის ფასს, ან შეზღუდავს გარანტიების გაცემას, რაც საბოლოოდ აზიანებს კომერციული ბრუნვის ინტერესს.

3. პრინციპალსა და გარანტის შორის ანაზღაურების შესახებ შეთანხმება

წინამდებარე ერთ-ერთი მთავარი საკითხია, საჭიროა თუ არა პრინციპალსა და გარანტს შორის წერილობითი შეთანხმება რეგრესისათვის. პასუხი უნდა გაიმიჯნოს ორ დონეზე: რეგრესის წარმოშობის ფორმალური საფუძველი და მისი პრაქტიკული აღსრულებადობა. ფორმალურად კანონმა შეიძლება აღიაროს გარანტის უფლება, მოითხოვოს გადახდილი თა-

ნხის დაბრუნება, მაგრამ ასეთი ნორმა, თავისთავად, ვერ პასუხობს ყველა იმ საკითხს, რომლებიც საბანკო პრაქტიკაში გადამწყვეტია: რა ვადაში უნდა აუნაზღაურდეს თანხა გარანტს, მოიცავს თუ არა მოთხოვნა პროცენტს, ხარჯებს, უცხოური ვალუტის კურსის სხვაობას.

საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჯეროვანი შეთანხმება ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, არამედ ბანკის სასარგებლოდ საკმარისი უზრუნველყოფის არსებობაც.⁴

წერილობითი შეთანხმება ანაზღაურების შესახებ, შესაბამისად, არ არის რეგრესის შესახებ უბრალო დამატებითი მტკიცებულება. იგი არის გარანტიის გაცემის შიდა სამართლებრივი საფუძველი. მასში პრინციპალი წინასწარ აღიარებს, რომ გარანტის მიერ გარანტიის პირობების შესაბამისად გადახდილი ნებისმიერი თანხა ექვემდებარება სრულ ანაზღაურებას. ასეთ შეთანხმებაში შეიძლება ჩამოყალიბდეს გარანტის დისკრეციის ფარგლები, მოთხოვნის შემოწმების სტანდარტი, შეტყობინების წესი, ანაზღაურების ვადა და პრინციპალის ვალდებულება გადაუხადოს გარანტს თანხა პირველივე მოთხოვნისთანავე.

ქართული სამართლის პირობებში წერილობითი შეთანხმების აუცილებლობა კიდევ უფრო ძლიერია, რადგან სამოქალაქო კოდექსის ტექსტი რეგრესის ყველა პრაქტიკულ ასპექტს არ არეგულირებს. კოდექსი ადგენს ზოგად უფლებას, მაგრამ ვერ ჩაანაცვლებს საბანკო ურთიერთობის დეტალურ სტრუქტურას. საბანკო გარანტიის გაცემამდე ბანკმა უნდა

3 მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გარანტი შეიძლება იყოს არამხოლოდ კომერციული ბანკი, არამედ კანონით პირდაპირ განსაზღვრული სხვა ინსტრუქტიც, წინამდებარე ნაშრომი საბანკო გარანტიას განიხილავს საბანკო პრაქტიკის ქრილში.

4 შეადარე. Graf von Westphalen, F., 2023. Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr. 5th ed. Frankfurt am Main: Fachmedien Recht und Wirtschaft, dfv Mediengruppe, გვ. 14.

მიიღოს არა მხოლოდ განაცხადი გარანტიის გაცემაზე, არამედ მკაფიო ვალდებულება ანაზღაურებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დავისას პრინციპალს ექნება სივრცე ამტკიცოს, რომ გარანტმა გადაიხადა ნაადრევად, არასწორად, არასაკმარისი შემოწმების საფუძველზე ან ბენეფიციარის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

უზენაესი სასამართლო სრულად იზიარებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებას შემდეგზე: „ბენეფიციარის მოთხოვნა არ გულისხმობს იმას, რომ გარანტმა ყველა შემთხვევაში უპირობოდ უნდა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, გარანტი ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მას მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ”.⁵

წერილობითი ფორმის მოთხოვნა ასევე გამომდინარეობს მტკიცებულებითი ფუნქციიდან. რეგრესული დავისას გარანტმა უნდა დაადასტუროს არა მხოლოდ გადახდის ფაქტი, არამედ ისიც, რომ გადახდა განხორციელდა იმ ურთიერთობის ფარგლებში, რომლისთვისაც პრინციპალი პასუხისმგებელია. ზეპირი ან ზოგადი შეთანხმება ამ მიზანს ვერ უზრუნველყოფს. საბანკო ურთიერთობაში, სადაც საუბარია ხშირად მნიშვნელოვან თანხებზე, წერილობითი შეთანხმება ქმნის არა ფორმალურ, არამედ სამართლებრივ უსაფრთხოებას.

ანაზღაურების შეთანხმების გარეშე რეგრესი შეიძლება დარჩეს ფორმალურ უფლებად, რომლის განხორციელება

დამოკიდებულია სასამართლოს განმარტებაზე. ასეთი მდგომარეობა არ შეესაბამება საბანკო გარანტიის ბუნებას. გარანტიის ინსტიტუტი ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულობას; შესაბამისად, გარანტის შიდა დაცვის მექანიზმიც წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს. სწორედ ამიტომ პრაქტიკაში ბანკები, როგორც წესი, გარანტიის გაცემამდე აფორმებენ განაცხადს, საკრედიტო ან უზრუნველყოფის ხელშეკრულებას, ან ცალკე ანაზღაურების შეთანხმებას, სადაც პრინციპალის ვალდებულება დეტალურად არის გაწერილი.

პრინციპალის დავა ბენეფიციართან არ უნდა აჩერებდეს ანაზღაურებას. პრინციპალს შეუძლია დამოუკიდებლად იდავოს ბენეფიციარის წინააღმდეგ, მაგრამ ეს დავა არ უნდა იქცეს გარანტის რეგრესის პარალიზების საშუალებად. სწორედ ამგვარი გამიჯვნა იცავს გარანტიის ავტონომიას.

ამიტომ დასკვნა მკაფიოა: კანონის დონეზე რეგრესის აღიარება აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. საბანკო პრაქტიკაში რეგრესი სრულფასოვნად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გამყარებულია წერილობითი შეთანხმებით ანაზღაურების შესახებ. ასეთი შეთანხმება არ აუქმებს კანონით მინიჭებულ უფლებას; პირიქით, აძლევს მას კონკრეტულ ფორმას, მოცულობას და აღსრულებადობას.

5 ქიპაშვილი, ნ., 2015. საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გვ. 94. შეადარე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1164-2023) [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/71597/1> [წვდომის თარიღი 25.04.2026].

4. URDG 758-ის ფუნქცია და მისი გამოყენების პრაქტიკა რეგრესთან მიმართებით

სამართლის მეცნიერებაში ხშირად უთითებენ უნიფიცირებული წესების მნიშვნელობაზე ეროვნული კანონმდებლობისათვის.⁶

URDG 758 წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ ჩამოყალიბებულ წესებს მოთხოვნაზე დაფუძნებული გარანტიებისთვის. მისი სამართლებრივი ბუნება განსხვავდება ეროვნული კანონმდებლობისგან: იგი არ არის კანონი, არამედ სახელმეკრულებო წესთა კრებული, რომელიც მოქმედებს მაშინ, როდესაც მხარეები მისი გამოყენების შესახებ გარანტიის ტექსტში მიუთითებენ. მიუხედავად ამისა, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო სტანდარტული პირობების კრებულისა. URDG 758 ქმნის საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის საერთო ენას, ამცირებს განმარტების რისკს და უზრუნველყოფს გარანტიის შესრულების პროგნოზირებადობას.

სავაჭრო პალატის მოდელური წესები URDG 758 ვრცელდება ნებისმიერ ისეთ გარანტიაზე, რომელშიც პირდაპირაა მიუთითებული, რომ ის ამ წესებს ექვემდებარება.⁷ ამ ეტაპზე შეუძლებელია საბოლოოდ იმის პროგნოზირება, შეძლებს თუ არა URDG 758 პრაქტიკაში ფართომასშტაბიან დამკვიდრებას.⁸

საქართველოს უზენაესი სასამართ-

ლოს მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში შემდეგია: “სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად არ განსაზღვრავს საბანკო გარანტიის სახეებს. სამოქალაქო კოდექსის დებულებების შესავსებად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758)”.⁹

URDG 758-ის გამოყენების პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გარანტიებში, სადაც მხარეები სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის წარმომადგენლები არიან. ასეთ ვითარებაში ეროვნული სამართლის განსხვავებები შეიძლება გახდეს გაურკვევლობის წყარო. URDG-ს ჩართვა გარანტიაში საშუალებას იძლევა, რომ მოთხოვნის წარდგენა, დოკუმენტების შემოწმება, ვადები, შეუსაბამობის შეტყობინება, ვადის გაგრძელება ან გადახდის მოთხოვნა საერთო სტანდარტით დარეგულირდეს. ამით ბენეფიციარიც და გარანტიც წინასწარ ხელავენ შესრულების პროცესის სამართლებრივ ჩარჩოს.

მნიშვნელოვანია, რომ URDG 758 რეგრესს პირდაპირ არ არეგულირებს. ეს არ არის ხარვეზი, არამედ წესების სისტემური არჩევანი. URDG-ის მიზანია გარანტსა და ბენეფიციარს შორის გარანტიის შესრულების ურთიერთობის მოწესრიგება. პრინციპალსა და გარანტს შორის შიდა ანაზღაურების ურთიერთობა კი რჩება ეროვნული სამართლისა და მხარეთა შეთანხმების სფეროდ. სწორედ ამიტომ

6 შეადარე. Bertrams, R. F., 2013. Bank Guarantees in International Trade. Fourth Revised Edition. Wolters Kluwer Law & Business, გვ. 28.

7 ICC, 2010. Uniform Rules for Demand Guarantees, URDG 758. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.cipic-bragadin.com/wp-content/uploads/2015/09/ICC-URDG-758.pdf>> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

8 შეადარე. Graf von Westphalen, F., 2023. Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr. 5th ed. Frankfurt am Main: Fachmedien Recht und Wirtschaft, dfv Mediengruppe, გვ. 39.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №330310114533822). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/22906/0>> [წვდომის თარიღი 25.04.2026].

URDG-ის არსებობა ვერ ჩაანაცვლებს პრინციპალთან წერილობით ანაზღაურების შეთანხმებას.

URDG 758-ის პრაქტიკული ღირებულება განსაკუთრებით ჩანს დოკუმენტური შესაბამისობის სტანდარტში. წესები გარანტს აძლევს განსაზღვრულ ვადას მოთხოვნის შესამოწმებლად და ავალდებულებს მას, იმოქმედოს დოკუმენტების საფუძველზე. შესაბამისად, თუ გარანტი მა გადაიხდა წესების დაცვით, პრინციპალის მიერ შემდგომი დავა ბენეფიციართან არ უნდა იქცეს რეგრესის უარყოფის საფუძველად, გარდა უფლების ბოროტად გამოყენების ან გარანტის არაკეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევისა. URDG 758 ავალდებულებს გარანტს, შეაფასოს მოთხოვნის შესაბამისობა ხუთ სამუშაო დღეში. შეფასება უნდა ეფუძნებოდეს „გონივრული ბანკის“ სტანდარტს, რაც გამორიცხავს როგორც ზედმეტ ფორმალიზმს, ისე დაუსაბუთებელ ლიბერალიზმს.¹⁰

URDG-ის გამოყენების პრაქტიკაში ხშირად გარანტიის ტექსტი და შიდა საბანკო დოკუმენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია, მაგრამ სამართლებრივად განსხვავებულ სფეროებს აწესრიგებს. გარანტიის ტექსტი განსაზღვრავს გარანტის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, ხოლო პრინციპალთან ხელშეკრულება – გარანტის ანაზღაურების უფლებას. ამ ორი დოკუმენტის აღრევა ქმნის რისკს. URDG-ის მითითება გარანტიაში არ ნიშნავს, რომ პრინციპალი ავტომატურად და დეტალურად არის ვალდებული, აუნაზღაუროს გარანტს ყველა თანხა, თუ ეს შიდა ურთიერთობაში მკაფიოდ არ არის გაწერილი.

ქართული საბანკო პრაქტიკისთვის

URDG 758-ის მნიშვნელობა შეიძლება ორ დონეზე შეფასდეს. პირველ დონეზე იგი არის ოპერაციული სტანდარტი, რომელიც ამარტივებს საერთაშორისო გარანტიების გაცემასა და შესრულებას. მეორე დონეზე იგი არის ინტერპრეტაციის წყარო, რომელიც ეხმარება ქართულ სამართალს საბანკო გარანტიის ავტონომიური ბუნების სწორად გაგებაში. სწორედ მეორე დონეა მნიშვნელოვანი რეგრესისთვის: ქართული სამართლის ნორმები უნდა განიმარტოს ისე, რომ არ დაირღვეს გარანტიის ის ფუნქციური ლოგიკა, რომელსაც URDG 758 გამოხატავს.

აქედან გამომდინარე, URDG 758-ის როლი რეგრესთან მიმართებით არ არის ნორმატიულ დონეზე დადგენილი, მაგრამ არის დოქტრინულად არსებითი. იგი არ ქმნის რეგრესის უფლებას, მაგრამ აყალიბებს იმ სამართლებრივ გარემოს, რომელშიც რეგრესის უფლება უნდა იქნეს სწორად გაგებული და გამოყენებული.

5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა სისტემური ანალიზი

„საბანკო გარანტიის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სტაბილურობას, ანუ იმას, თუ რამდენად დაზღვეულია გარანტიის მიმღები (ბენეფიციარი) იმისგან, რომ ამა თუ იმ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო გარანტია ვადაზე აღრე შეწყვეტს მოქმედებას.“¹¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიის ინსტიტუტს დამოუკიდებლად აწესრიგებს, მაგრამ მისი ნო-

10 შეადარე. მუხლი 19, ICC, 2010. Uniform Rules for Demand Guarantees, URDG 758. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <https://www.cipic-bragadin.com/wp-content/uploads/2015/09/ICC-URDG-758.pdf> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

11 გაბისონია, ზ., 2012. საბანკო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 255.

რმები სრულად ვერ ასახავს მოთხოვნაზე დაფუძნებული გარანტიის თანამედროვე კომერციულ ფუნქციას. განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ კოდექსი, ერთი მხრივ, აღიარებს გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, რეგრესის ეტაპზე ქმნის სივრცეს პრინციპალის ფართო შესაგებლებისთვის. ამგვარი კონსტრუქცია ქმნის შიდა ნორმატიულ დაძაბულობას, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ ჩანს ბანკის მიერ გადახდის განხორციელების შემდეგ.

კოდექსის რეგრესის მოდელი შეიძლება დადებითად შეფასდეს იმდენად, რამდენადაც იგი არეგულირებს გარანტის მოთხოვნას პრინციპალის მიმართ. მაგრამ ნორმის არსებობა საკმარისი არ არის, თუ მისი გამოყენება შეიძლება ისე განიმარტოს, რომ გარანტის მოთხოვნა გახდეს ძირითადი ურთიერთობის ყველა შესაძლო დავის ფარგლებში განხილვის საგანი. საბანკო გარანტიის ავტონომიის პირობებში რეგრესი უნდა იყოს სწრაფი და ეფექტიანი, რადგან იგი არის გარანტის მიერ განხორციელებული გადახდის ეკონომიკური კომპენსაცია.

განსაკუთრებით პრობლემურია მოთხოვნის შესაბამისობის შემოწმების საკითხი. თუ იგი განიმარტება ფართოდ, როგორც ბენეფიციარის მატერიალური უფლებამოსილების სრულყოფილი შემოწმება ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ გარანტს ეკისრება ისეთი ფუნქცია, რომელიც ეწინააღმდეგება გარანტიის დოკუმენტურ ბუნებას. ვფიქრობთ, გარანტმა უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა გარანტიის პირობებს და აშკარად ხომ არ იკვეთება უფლების ბოროტად გამოყენება.

პრინციპალის შესაგებლის ფარგლები ასევე უნდა განიმარტოს შეზღუდულად. პრინციპალს უნდა შეეძლოს მიუთითოს, რომ გარანტმა დაარღვია შეტყობინების ვალდებულება, გადაიხადა აშკარად

შეუსაბამო მოთხოვნის საფუძველზე ან იმოქმედა არაკეთილსინდისიერად. მაგრამ პრინციპალს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რეგრესის წინააღმდეგ გამოიყენოს ყველა ის არგუმენტი, რომლებიც მას ბენეფიციართან ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში აქვს. ასეთი ფართო მიდგომა საბანკო გარანტიას აქცევს არასტაბილურ ინსტრუმენტად.

სისტემური განმარტებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ გარანტი და პრინციპალი ერთსა და იმავე ურთიერთობაში არ არიან როგორც ჩვეულებრივი მოვალე და თავდები.

ქართული სამართლის განმარტებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კეთილსინდისიერების პრინციპს. თუ გარანტმა იმოქმედა კეთილსინდისიერად, გარანტიის პირობების შესაბამისად და კომერციულად გონივრულ ფარგლებში, მისი რეგრესული მოთხოვნა დაცული უნდა იყოს.

საკანონმდებლო თვალსაზრისით სასურველია, რომ ქართულ სამართალში კიდევ უფრო მკაფიოდ გაიმიჯნოს საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე შემდეგი ურთიერთობები. ურთიერთობა გარანტსა და ბენეფიციარს შორის უნდა დაემყაროს ავტონომიასა და დოკუმენტურ შესაბამისობას, ხოლო გარანტსა და პრინციპალს შორის ურთიერთობა უნდა დაემყაროს წერილობით შეთანხმებას ანაზღაურების შესახებ და რეგრესის ეფექტიან დაცვას. ამგვარი გამიჯვნა თავიდან ააცილებს მხარეებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც დღეს ნორმათა განმარტებისას ჩნდება. ამიტომ ქართული სამართლის დოქტრინული განვითარება უნდა წავიდეს არა გარანტიის ავტონომიის შეზღუდვის, არამედ რეგრესის დაცვის გაძლიერების მიმართულებით. ეს არ ნიშნავს პრინციპალის ინტერესების იგნორირებას; ეს ნიშნავს რისკების სწორ განაწილებას.

პრინციპალს, რომელმაც მოითხოვა გარანტიის გაცემა და ისარგებლა მისით, უნდა ეკისრებოდეს გარანტიის ანაზღაურების მკაფიო ვალდებულება, ხოლო ბენეფიციართან დავა უნდა გადაწყდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის ფარგლებში.

6. რეგრესის ფარგლები

რეგრესის საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ იმაში არ მდგომარეობს, აქვს თუ არა გარანტს მოთხოვნა პრინციპალის მიმართ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რას მოიცავს ეს მოთხოვნა. ვიწრო გაგებით რეგრესი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ბენეფიციარისთვის გადახდილი ძირითადი თანხით. მაგრამ საბანკო გარანტიის რეალური ეკონომიკური შედეგი უფრო ფართოა. გარანტს შეიძლება დაეკისროს საკომისიო, გარიცხვის ხარჯი, კორესპონდენტი ბანკის ხარჯი, იურიდიული მომსახურების ღირებულება, სასამართლო ან საარბიტრაჟო ხარჯი, ასევე ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგი.

„როგორც წესი, გარანტი პრინციპალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში თანხმდება, რომ იგი ბენეფიციარის დაკმაყოფილების შემდეგ უფლებამოსილია პრინციპალს მოსთხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ამგვარი მოთხოვნა ბენეფიციარის დაკმაყოფილებისთანავე ავტომატურად, კანონის ძალით (ipso iure) კი არ წარმოიშობა, არამედ 890 I მუხლის თანახმად, მხოლოდ გარანტის და პრინციპალის შეთანხმებით“.¹²

თუ ანაზღაურების შეთანხმება ამ საკითხებს არ აწესრიგებს, დავისას გაურკვეველი ხდება, რა შეიძლება მოითხოვოს გარანტმა. კანონით გათვალისწინებული ზოგადი რეგრესი ხშირად საკმარისი არ

არის ხარჯების სრული სპექტრის დასაფარად. ამიტომ წერილობით შეთანხმებაში აუცილებელია ჩაიწეროს, რომ პრინციპალის ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ გადახდილ თანხას, არამედ ყველა გონივრულ და დოკუმენტურად დადასტურებულ ხარჯს, რომელიც გარანტიის გაცემას, მართვას, მოთხოვნის განხილვას, გადახდას ან შემდგომი ანაზღაურების მოთხოვნას უკავშირდება.

პროცენტის საკითხიც არსებითია. თუ პრინციპალი დაუყოვნებლივ არ აუნაზღაურებს გარანტს გადახდილ თანხას, ბანკი ფაქტობრივად აფინანსებს პრინციპალს. ასეთ ვითარებაში რეგრესული მოთხოვნის პროცენტით უზრუნველყოფა არა სანქცია, არამედ ეკონომიკური სამართლიანობის ელემენტია. პროცენტი უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც გარანტმა განახორციელა გადახდა ან როდესაც პრინციპალს დაეკისრა ანაზღაურების ვალდებულება შეთანხმებით განსაზღვრული წესით.

სავალუტო რისკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გარანტიებში. გარანტია შეიძლება გაიცეს უცხოურ ვალუტაში, ხოლო პრინციპალის ანგარიშები ან უზრუნველყოფა იყოს სხვა ვალუტაში. თუ კურსის ცვლილებით გარანტს მიაღდა ზიანი, უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, ვინ ატარებს ამ რისკს. საბანკო პრაქტიკის თავისებურებების გათვალისწინებით, ასეთი რისკი უნდა ეკისრებოდეს პრინციპალს, რადგან გარანტია გაიცა მისი კომერციული ინტერესისათვის.

რეგრესის ფარგლების წინასწარი განსაზღვრა ასევე ამცირებს სასამართლო დავის ალბათობას, ამიტომ რეგრესის მოცულობა უნდა განისაზღვროს ფართოდ, მაგრამ არა უსაზღვროდ. გარანტს უნდა აუნაზღაურდეს ყველა გონივრული და გარანტიის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი, თუმცა მას არ უნდა შეეძლოს ისეთი თანხე-

12 შენგელია, რ. და სხვები, 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მე-4, ტომი მე-2. თბილისი: გვ. 584.

ბის მოთხოვნა, რომლებიც არ უკავშირდება გარანტიას ან წარმოიშვა მისი არაკეთილსინდისიერი ქცევით. ამ ბალანსს საუკეთესოდ უზრუნველყოფს წერილობითი შეთანხმება ანაზღაურების შესახებ.

7. რეკომენდაციები ქართული საბანკო პრაქტიკისა და ნორმატივების განმარტებისთვის

რეგრესის ეფექტიანი მოდელი მხოლოდ სასამართლო განმარტების საკითხი არ არის; იგი საბანკო დოკუმენტაციის ხარისხთანაც არის დაკავშირებული. ქართულ პრაქტიკაში აუცილებელია, რომ გარანტიის გაცემის ყველა შემთხვევაში შიდა დოკუმენტი, იქნება ეს განაცხადი, ხელშეკრულება თუ ცალკე ანაზღაურების შეთანხმება, მკაფიოდ ასახავდეს პრინციპალის ვალდებულებას. ტექსტი არ უნდა შემოიფარგლოს ზოგადი ფრაზით, რომ პრინციპალი აუნაზღაურებს ბანკს გადახდილ თანხას. მასში უნდა იყოს განსაზღვრული ანაზღაურების ვადა, მოცულობა, ხარჯების კატეგორიები, პროცენტი, ვალუტის კურსის რისკი და ბანკის მიერ მიღებული მოთხოვნის შემოწმების სტანდარტი.

პირველი რეკომენდაცია ეხება გარანტიის გაცემამდე პრინციპალის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს. იგი უნდა შეიცავდეს დათქმას, რომ ბანკის მიერ გარანტიის პირობებისა და შესაბამისი წესების დაცვით განხორციელებული გადახდა არის პრინციპალის მიმართ დაუყოვნებლივ ანაზღაურებადი.

მეორე რეკომენდაცია ეხება შეტყობინების წესს. პრაქტიკულად სასურველია, რომ ანაზღაურების შესახებ შეთანხმება განსაზღვრავდეს, რა ფორმით აცნობებს ბანკი პრინციპალს ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებას, რა ვადაში შეუძლია პრინციპალს მიაწოდოს ბანკს ინფორ-

მაცია უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ და რა შედეგი მოჰყვება ასეთი ინფორმაციის მიუწოდებლობას. ამგვარი მექანიზმი, ერთი მხრივ, იცავს პრინციპალს, ხოლო, მეორე მხრივ, არ აფერხებს URDG-ის ვადებში მოთხოვნის განხილვას.

მესამე რეკომენდაცია უკავშირდება შესაგებლების შეზღუდვას. შეთანხმებაში უნდა ჩაიწეროს, რომ პრინციპალი ვერ უარყოფს ანაზღაურების ვალდებულებას მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მას აქვს ან შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნა ბენეფიციარის წინააღმდეგ ძირითადი ხელშეკრულებიდან. შესაგებელი დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკმა არსებითად დაარღვია გარანტიის პირობები, გადაიხადა აშკარად შეუსაბამო მოთხოვნის საფუძველზე ან იმოქმედა არაკეთილსინდისიერად. ასეთი ჩანაწერი ხელს უწყობს რისკების სწორ განაწილებას.

მეოთხე რეკომენდაცია შეეხება უზრუნველყოფას. თუ გარანტიის თანხა არსებითია, ბანკის რეგრესული მოთხოვნა უნდა იყოს გამყარებული შესაბამისი უზრუნველყოფით: თანხის დაბლოკვით, დეპოზიტით, გირავნობით, იპოთეკით ან სხვა მისაღები საშუალებით. რეგრესის უფლება, რომელიც მხოლოდ მოთხოვნის სახით არსებობს და არ არის უზრუნველყოფილი, პრაქტიკაში ხშირად არასაკმარისია. საბანკო გარანტია, როგორც კრედიტთან მიახლოებული რისკის შემცველი პროდუქტი, საჭიროებს ანალოგიურ რისკ-მენეჯმენტს.

დოქტრინული თვალსაზრისით რეკომენდებულია, რომ ქართული სასამართლოები რეგრესის დავებში მკაფიოდ გამიჯნავდნენ სამ ურთიერთობას: ძირითადი ხელშეკრულება პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის, გარანტიის ურთიერთობა გარანტსა და ბენეფიციარს შორის და შიდა ანაზღაურების ურთიერთობა გარანტსა და პრინციპალს შორის. ამ სამ ურთიერთობას სხვადასხვა ფუნქცია აქვს

და მათი აღრევა იწვევს სამართლებრივ გაურკვევლობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი ხელშეკრულების დავა ავტომატურად არ გავრცელდეს გარანტიის რეგრესზე.

აუცილებელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები უფრო ნათლად ასახავდეს მოთხოვნაზე დაფუძნებული საბანკო გარანტიის სპეციფიკას. ნორმაში შეიძლება დაზუსტდეს, რომ გარანტიის მიერ გარანტიის პირობების დაცვით განხორციელებული გადახდა წარმოშობს პრინციპალის ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო ამ ვალდებულების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ გარანტიის არაკეთილსინდისიერი ან აშკარად არასწორი მოქმედების შემთხვევაში. ასეთი მიდგომა არ ეწინააღმდეგება ქართულ კერძო სამართალს; იგი მხოლოდ აკონკრეტებს საბანკო გარანტიის ფუნქციურ ბუნებას.

დასკვნა

ანალიზი აჩვენებს, რომ რეგრესის უფლება საბანკო გარანტიის ურთიერთობებში არ არის დამხმარე მექანიზმი. იგი წარმოადგენს გარანტიის ინსტიტუტის ფუნქციურ ბირთვს, რადგან სწორედ რეგრესის მეშვეობით ნარჩუნდება ბალანსი ბენეფიციარის სწრაფ დაკმაყოფილებასა და გარანტიის ეკონომიკურ დაცვას შორის. გარანტიის ავტონომია ვერ იქნება მდგრადი, თუ გადახდის შემდეგ გარანტი აღმოჩნდება დაუცველი პრინციპალის ფართო შესაგებლების წინაშე.

რეგრესის სამართლებრივი ბუნება უნდა განიმარტოს როგორც დამოუკიდებელი ანაზღაურებითი მოთხოვნა და არა როგორც ბენეფიციარის მოთხოვნის უბრალო გაგრძელება. სუბროგაციასთან მისი გაიგივება საბანკო გარანტიის სფეროში არასასურველია, რადგან ეს გარანტს დააბრუნებს ძირითად ხელშეკრულებასთან

ბასთან დაკავშირებულ დავაში. რეგრესის დამოუკიდებელი ბუნება უკეთესად პასუხობს როგორც გარანტიის ავტონომიას, ისე საბანკო პრაქტიკის საჭიროებებს.

რეგრესის კანონით აღიარება აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. პრაქტიკაში რეგრესი ეფექტიანად ფუნქციონირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც გარანტსა და პრინციპალს შორის არსებობს წერილობითი ანაზღაურების შეთანხმება. ასეთი შეთანხმება განსაზღვრავს რეგრესის მოცულობას, ვადებს, ხარჯებს, პროცენტს, პროცედურას და პრინციპალის შესაგებელთა ფარგლებს. ამიტომ იგი უნდა ჩაითვალოს არა ტექნიკურ დანამატად, არამედ გარანტიის გაცემის აუცილებელ შიდა სამართლებრივ საფუძვლად.

URDG 758 რეგრესს პირდაპირ არ არეგულირებს, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც არსებითია. იგი ქმნის გარანტიის შესრულების ავტონომიურ და დოკუმენტურ ჩარჩოს, რომელიც ეროვნული სამართლის განმარტებაზე გავლენას უნდა ახდენდეს. თუ გარანტი მოქმედებს URDG-ის წესების შესაბამისად და კეთილსინდისიერად იხდის, მისი ანაზღაურების უფლება უნდა იყოს ძლიერი და წინასწარ პროგნოზირებადი.

საბოლოოდ, რეგრესის უფლება უნდა განიმარტოს როგორც კანონით აღიარებული, მაგრამ სახელშეკრულებო წესით სრულყოფილი მოთხოვნა. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებზე, არამედ იმაზე, რამდენად ზუსტად არის მოწესრიგებული გარანტსა და პრინციპალს შორის ანაზღაურების შესახებ ურთიერთობა. სწორედ ასეთი მოდელი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის სტაბილურობას, კომერციული ბრუნვის სანდოობასა და ქართული სამართლის დაახლოებას URDG 758-ის ფუნქციურ ლოგიკასთან.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბისონია, ზ., 2012. საბანკო სამართალი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.
2. მესხიშვილი, ქ., 2020. კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და პრაქტიკა. I ტომი. თბილისი.
3. ძლიერიშვილი, ზ. და სხვები, 2014. სახელმეკრულებო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი.
4. შენგელია, რ. და სხვები, 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მე-4. ტომი მე-2. თბილისი.
5. ჭიპაშვილი, ნ., 2015. საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
6. Affaki, G. and Goode, R., 2011. Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees URDG 758. 2011. Paris: ICC Publication No. 702E.
7. Andrews, G. M. and Millett, R., 2011. Law of Guarantees. London: Sweet & Maxwell. Goode.
8. Bertrams, R. F., 2013. Bank Guarantees in International Trade. Fourth Revised Edition. Wolters Kluwer Law & Business.
9. Graf von Westphalen, F., 2023. Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr. 5th ed. Frankfurt am Main: Fachmedien Recht und Wirtschaft, dfv Mediengruppe.
10. Kronke, H. and McKendrick, E., 2015. Transnational Commercial Law: Text, Cases and Materials. 2nd ed. Oxford: Oxford University Press.
11. Ostendorf, P., 2023. Internationale Wirtschaftsverträge: Exportkontrolle, Kartellrecht, Freistellung, Haftungsbeschränkung, Abtretungsverboten, Rechtswahl, Vertragsbeendigung, Streitbeilegung, Versicherung, internationale Liefer – und Anlagenbauverträge, Vertriebs – und Lizenzvereinbarungen. 3rd ed. München: C.H. Beck.
12. Proctor, C., 2015. The Law and Practice of International Banking. 2nd ed. Oxford: OUP Oxford.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

2. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=53> [წვდომის თარიღი 30.04.2026].
3. ICC, 2010. Uniform Rules for Demand Guarantees, URDG 758. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.cipcc-bragadin.com/wp-content/uploads/2015/09/ICC-URDG-758.pdf> [წვდომის თარიღი 30.04.2026].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1038-999-2016). [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/58614/1> [წვდომის თარიღი 25.04.2026].
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1164-2023). [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/71597/1> [წვდომის თარიღი 25.04.2026].
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №330310114533822). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/22906/0> [წვდომის თარიღი 25.04.2026].

BIBLIOGRAPHY

Used literature:

1. Affaki, G. and Goode, R., 2011. Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees URDG 758. 2011. Paris: ICC Publication No. 702E. (in English)
2. Andrews, G. M. and Millett, R., 2011. Law of Guarantees. London: Sweet & Maxwell. Goode. (in English)
3. Bertrams, R. F., 2013. Bank Guarantees in International Trade. Fourth Revised Edition. Wolters Kluwer Law & Business. (in English)
4. Dzlierishvili, Z. and others, 2014. Contract Law.

- Tbilisi: Meridiani Publishing House. (in Georgian)
5. Gabisonia, Z., 2012. Banking Law. Tbilisi: Meridiani Publishing House. (in Georgian)
 6. Graf von Westphalen, F., 2023. Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr. 5th ed. Frankfurt am Main: Fachmedien Recht und Wirtschaft, dfv Mediengruppe. (in German)
 7. Kronke, H. and McKendrick, E., 2015. Transnational Commercial Law: Text, Cases and Materials. 2nd ed. Oxford: Oxford University Press. (in English)
 8. Meskhishvili, K., 2020. Topical Issues of Private Law: Theory and Practice. Vol. I. Tbilisi. (in Georgian)
 9. Ostendorf, P., 2023. Internationale Wirtschaftsverträge: Exportkontrolle, Kartellrecht, Freistellung, Haftungsbeschränkung, Abtretungsverboten, Rechtswahl, Vertragsbeendigung, Streitbeilegung, Versicherung, internationale Liefer – und Anlagenbauverträge, Vertriebs – und Lizenzvereinbarungen. 3rd ed. München: C.H. Beck. (in German)
 10. Proctor, C., 2015. The Law and Practice of International Banking. 2nd ed. Oxford: OUP Oxford. (in English)
 11. Shengelia, R. and others, 2001. Commentary on the Civil Code of Georgia. Book IV, Vol. II. Tbilisi. (in Georgian)
 12. Tchipashvili, N., 2015. Bank Guarantee under Georgian Legislation and International Uniform Rules. Tbilisi: Grigol Robakidze University. (in Georgian)

Normative Materials:

1. Civil Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
2. Law of Georgia on the Activities of Commercial Banks. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=53> [Accessed 30.04.2026]. (in Georgian)
3. International Chamber of Commerce, 2010. Uniform Rules for Demand Guarantees, URDG 758. [Online] available at: <https://www.cipic-bragadin.com/wp-content/uploads/2015/09/ICC-URDG-758.pdf> [Accessed 30.04.2026]. (in English)

Judicial Practice:

1. Decision of the Supreme Court of Georgia dated 1 February 2016 (Case No. AS-1038-999-2016). [Online] available at: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/58614/1> [Accessed 25.04.2026]. (in Georgian)
2. Decision of the Supreme Court of Georgia dated 4 December 2023 (Case No. AS-1164-2023). [Online] available at: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/71597/1> [Accessed 25.04.2026]. (in Georgian)
3. Decision of the Supreme Court of Georgia dated 20 December 2016 (Case No. 330310114533822). [Online] available at: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/22906/0> [Accessed 25.04.2026]. (in Georgian)

სამართლის მაცნე HERALD OF LAW

07/2026

#13

სამართლის მეცნიერთა კავშირის
საერთაშორისო სამეცნიერო
რეფერირებადი და რეცენზირებადი
ჟურნალი

International refereed and
peer-reviewed Scientific Journal
of The Union of Law Scientists

E ISSN 2667-9434

www.heraldoflaw.com

Email: info@heraldoflaw.com